



**კონფლიქტის საფასური:
უთქმელი ამბავი
ქართულ-ოსური კონტექსტი**

2016

რედაქტორები: დინა ალბოროვა, სიუზან ალენი, ნინო კალანდარიშვილი

პასუხისმგებელი გამოცემაზე: მარგარიტა ტადევოსიანი

ტირაჟი: 100

© ჯორჯ მელისონის უნივერსიტეტი, აშშ

სარჩევი

რედაქტორებისაგან

დინა ალბოროვა, სიუზან ალენი, ნინო კალანდარიშვილი5

წინათქმა ქართული ამბებისათვის

გოგა აფციაური9

ქართული უთქმელი ამბები11

წინათქმა ოსური ამბებისათვის

ირინა ქელეხსაევა67

ოსური უთქმელი ამბები69

რედაქტორებისაგან

„მოქმედი, ან პოტენციური კონფლიქტი შეიძლება მოგვარდეს ან შემსუბუქდეს, თუკი მივმართავთ საერთო ადამიანურ შესაძლებლობებს რეაგირება მოახდინოს კეთილ ნებასა და გონიერებაზე“¹.

თქვენ წინაშეა კრებული „კონფლიქტის საფასური: უთქმელი ამბები, ქართულ-ოსური კონტექსტი“, რომელიც ანალიტიკური სტატიების კრებულის „კონფლიქტის საფასური: ქართულ-სამხრეთოსური კონტექსტი“ გაგრძელებას წარმოადგენს. მასში შესულია გამყოფი ხაზის ორივე მხარეს მცხოვრები ადამიანების თვალთ დახახული ქართულ-სამხრეთოსური კონფლიქტი და ის საფასური, რის გაღებაც ორივე მხარის წარმომადგენლებს მოუხდათ და დღემდე უხდებათ.

როდესაც საქმე ეხება სხვადასხვა დონეზე კონფლიქტის ან მისი გადაჭრის შესაძლო გზების ანალიზს, ადამიანური განზომილების დონეზე ანალიზს, ხშირ შემთხვევაში, ნაკლები ყურადღება ეთმობა ხოლმე, რაც უდავოდ ხელს უშლის სრული სურათის დანახვას და განაპირობებს იმგვარი გადანყვეტილებების მიღებას, რომლებიც ნაკლებად ითვალისწინებს იმ უბრალო ადამიანების ინტერესებს, რომლებსაც კონფლიქტებისა და ომების უმძიმესი ტვირთის ზიდვა უწევთ. არადა სწორედ ამ ადამიანების მეხსიერებასა და გამოცდილებაშია ის გასაღები, რომლის გამოყენებაც აუცილებელია კონფლიქტის მშვიდობიანი გადაჭრის მცდელობისას ნებისმიერ დონეზე, იქნება ეს ეროვნული, რეგიონალური თუ საერთაშორისო. სწორედ ეს ასიათასობით ადამიანი, რომლებიც ხშირ შემთხვევაში სრულიად უნებლიეთ და საკუთარი უნიკალური გამოცდილებით გახდა კონფლიქტის მხარე, იღებს ძალზე მნიშვნელოვან გადანყვეტილებას დავინყებისა და არდავინყების, მონანიებისა და მიტევეების თუ სამაგიეროს გადახდის ჩიხში დარჩენის შესახებ, რაც არა მხოლოდ უშუალოდ მეხსიერების მატარებლების, არამედ მათი მომავალი თაობების განწყობაზე და გადანყვეტილებებზე აისახება.

კრებულში შესული ადამიანური ისტორიების შეგროვება 2015 წლის მინურულს დაიწყო. ჟურნალისტებმა, ირინა ქელესხაევამ და გოგა აფციაურმა კონფლიქტით უშუალოდ დაზარალებულ ადამიანებს სთხოვეს გაეხსენებინათ თავს გადაამხდარი და დღევანდელი გადასახედიდან შეეფასებინათ წარსული მოვლენები, ესაუბრათ ანმყოზე, ურთიერთობების შესაძლებლობასა და მომავლის პერს-

¹ უილიამ დევიდსონი, ჯოზეფ მონტვილი „საგარეო პოლიტიკა ფროიდის მიხედვით“ (1981-8266.)

პექტივებზე. ადამიანური ისტორიების ავტორები არიან სხვადასხვა ასაკის ქალები და კაცები, ასაკოვნებიც და ახალგაზრდებიც, კონფლიქტის დროს გაზრდილებიც და კონფლიქტამდე ერთმანეთის გვერდით თანაცხოვრების უნიკალური გამოცდილების მქონენიც, ამ თანაცხოვრების გამსხენებლებიც და ისინიც, ვინც გაურბის მსგავს მოგონებებს. მიუხედავად იმისა, რომ თითოეული ადამიანის მიერ გადატანილი და განცდილი სრულიად უნიკალურია და სავსეა მოთხრობლის პირადი ტკივილით, ჩვენ შეგნებულად არ ვუთითებთ მათ სახელებსა და გვარებს, რათა კიდევ ერთხელ გავუსვათ ხაზი მათ თავს გადახდენილის მსგავსებას სხვა მრავალი ადამიანის მიერ გადატანილსა და განცდილთან.

ქართველებისა და ოსების მიერ, როგორც 90-ანი წლების, ასევე 2008 წლის მოვლენების ინტერპრეტაცია განსხვავებულია ერთმანეთისაგან, იმის მიუხედავად, რომ უმძიმესი ფაქტები, რაც ადამიანებს გადახდათ თავს, ერთმანეთს ჰგავს. ხანდახან მხოლოდ ამბის მონაწილეების ეთნიკური კუთვნილების შეცვლაა საკმარისი, რომ ერთი მხრიდან მოყოლილი ამბავი ძნელად გასარჩევი გახდეს მეორე მხარის მიერ მოყოლილი ამბისაგან.

თავის მოგონებებში, მათ თავს გადახდენილის გარდა, ადამიანები მიუთითებენ, მათი აზრით, უშუალო დამნაშავეებზე, უმეტეს შემთხვევაში მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირებზე, ასევე ტკივილით იხსენებენ უახლოესი სამეზობლოს მხრიდან, მათი აზრით, ჩადენილ „ღალატსა“ თუ მიყენებულ ტრავმებს. თუმცა არ ავიწყდებათ მეორე მხარის წარმომადგენლების, უმეტეს შემთხვევაში უშუალო მეზობლების, ნაცნობებისა თუ ნაცნობის ნაცნობების, ანდა უბრალოდ, უცნობი ადამიანების მიერ გამოვლენილი ადამიანური საქციელიც.

ადამიანების მიერ მოთხრობილი ისტორიები კიდევ ერთხელ გვახსენებს, რომ მნიშვნელოვანია არა მარტო საერთო კონტექსტი, არამედ თითოეული ადამიანის ბედი. ამ ისტორიებში ასახულია არა მარტო გაღებულ დანაკარგები, გადატანილი ტკივილი და უკიდევანო წყენა, არამედ აწმყოს შეფასება და ფიქრი მომავალზე. უმეტეს შემთხვევაში კონფლიქტის ორივე მხარის მცხოვრებთა სწორედ აწმყოს შეფასებები და მომავლის პერსპექტივები რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან. მოთხრობილ ამბებში კარგად ჩანს ის პოლიტიკური ფონი, რაც ადგილებზეა და რაც გავლენას ახდენს ადამიანების მიერ მოვლენათა გადაფასების შესაძლებლობაზე. როგორც სამხრეთოსურ, ასევე ქართულ მხარეს მოთხრობილ ამბებში მკითხველი ამოიცნობს ცხინვალსა და თბილისში დღეისათვის არსებულ, დიამეტრალურად განსხვავებულ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ განწყობებს, რომლებიც უშუალო ზე-

მოქმედებას ახდენს ადამიანების ნების თავისუფალ გამოვლენაზე. ხშირად სწორედ ადამიანებში დღემდე არსებული ნდობის აღდგენის პოტენციალი და შერიგების სურვილი ეწირება ამ პოლიტიკურ კონიუნქტურას, ტოტალურ კონტროლსა და წნეხს.

სამხრეთ ოსურ და ქართულ მხარეს მოთხრობილ ადამიანურ ისტორიებში კარგად ჩანს, ერთი მხარის მიერ მოვლენათა აღქმის დროს მეორე მხარის დემონიზაციისა და საკუთარი ვიქტიმიზაციის ჩაკეტილ წრეზე ტრიალი, ხოლო მეორე მხარის მიერ შერიგებისა და წარსული შეცდომების გააზრების, შესაძლოა, არც თუ სიღრმისეული, მაგრამ მაინც გააზრების, სურვილი. ადამიანების მხრიდან კონფლიქტის დარეგულირების მიმართ ასეთი განსხვავებული აღქმები და მიდგომები ცხინვალისა და თბილისის განსხვავებული მიდგომებისა და განსხვავებულ საინფორმაციო სივრცესა და პოლიტიკურ ორბიტებზე ყოფნის შედეგაცაა.

შესაძლოა, სწორედ ამიტაც არის განპირობებული ის, რომ სამხრეთოსური ისტორიები უფრო ტრაგიკულ წარსულსა და დღევანდელობაზეა ორიენტირებული, ხოლო ქართული მხარის მიერ მოთხრობილი ამბები, იმის მიუხედავად, რომ მათი უმეტესობა დევნილ მოსახლეობას ეკუთვნის და მათში აღწერილი ამბები უკიდევანო ტკივილს შეიცავს, უფრო მომავალზეა ორიენტირებული.

როგორც არ უნდა გვეუცხოებოდეს, აღსაქმელად მძიმედ და რეალობასთან შეუსაბამოდ გვეჩვენებოდეს ადამიანების მიერ ინტერპრეტირებული ძველი მოვლენები და დღევანდელობა, უნდა ვაღიაროთ, რომ სწორედ ასეთი აღქმები და მიდგომები დამკვიდრებული და განმსაზღვრელი, როგორც ერთ, ასევე მეორე მხარეს. და სწორედ ასეთ განცდებთან, აღქმებთან და ტკივილთან გვაქვს საქმე როგორც ერთ, ასევე მეორე მხარეს, მოგვწონს ეს თუ არა, მისაღებია ეს ჩვენთვის თუ არა, კომფორტულია ეს ჩვენთვის, როგორც მოქალაქეებისათვის, თუ არა, ქმნის ეს დაბრკოლებებს ნდობის აღდგენის კუთხით, თუ არა. ერთი რამ კი ცხადია, ამგვარი მიდგომებისა თუ ტკივილის არდანახვა, იგნორირება, მხოლოდ პროპაგანდისთვის გადაბრალება და ამ ტკივილის მატარებელი ადამიანების არმოსმენა სერიოზულ დაბრკოლებად იქცევა ხოლმე გამოსავლის ძიების გზაზე, როგორც ქართულ-ოსური, ასევე სხვა კონფლიქტების შემთხვევაში.

სწორედ ამიტომ „კონფლიქტის საფასურის“ ანალიტიკურ ნაწილზე მუშაობის დროს რედაქტორებმა ჩათვალეს, რომ ადამიანური ისტორიების გარეშე ეს პუბლიკაცია ვერ იქნებოდა სრულყოფილი. ხოლო შეგროვებული მასალის გაცნობის შემდეგ დარწმუნდნენ, რომ საჭიროა, ეს ისტორიები ცალკე გამოიცეს იმავე პუბლიკაციის ფარგლებში.

ადამიანურ ისტორიებში გადმოცემული ტკივილი და დანაკარგები, სრულიად განსხვავებული და ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავი თვალსაზრისები წარმოადგენს სწორედ იმ საფასურს, რის გაღებაც დღემდე უწევთ საზოგადოებებს. ეს ისტორიები, თავის მხრივ, გვაძლევს ქართულ-სამხრეთოსური კონტექსტის უფრო სრულ სურათს. ამიტომ შეგნებულად არ შევცვალებთ ავტორთა მიერ გამოყენებული გეოგრაფიული სახელწოდებები და არ ჩავრეულვართ ფაქტების წარმოჩენასა და ინტერპრეტაციაში. ჩვენ, სამ რედაქტორს, გვაქვს საკუთარი, ინდივიდუალური შეხედულება ტერმინოლოგიაზე, ფაქტებსა და მათ ინტერპრეტაციაზე, მაგრამ ვცდილობდით, ფრთხილად ვყოფილიყავით, რათა რაიმე სახის ცვლილება არ შეგვეტანა მთხრობელთა პირად მოსაზრებებში. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ მკითხველი ამბებისა და აღქმების ამ მრავალფეროვნებას სასარგებლოდ ჩათვლის პროცესების უფრო ღრმა გაგებისათვის. რედაქტორები შეიძლება სულაც არ ეთანხმებოდნენ არა მარტო ისტორიების ავტორებს. არამედ ერთმანეთის მოსაზრებებსაც, მაგრამ ისინი თანხმდებიან, რომ პატივს სცემენ ერთმანეთის უფლებას, ჰქონდეთ განსხვავებული თვალსაზრისი.

დინა ალბოროვა, სიუზან ალენი, ნინო კალანდარიშვილი¹

P.S. ადამიანების მონათხრობი ჩანერილია ქართულ (ქართული მხარე) და რუსულ და ოსურ (ოსური მხარე) ენებზე. კრებული „კონფლიქტის საფასური: უთქმელი ამბები“ გამოდის ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. ქართულ კრებულში ქართველი მთხრობლების სტილი დაცულია და შენარჩუნებულია მხოლოდ მთხრობელისათვის დამახასიათებელი ცოცხალი მეტყველების ნიუანსები. სამწუხაროდ, ეს მნიშვნელოვანი ნიუანსი თარგმანში იკარგება და მხოლოდ ქართული ვერსიის მკითხველს აქვს შესაძლებლობა ნაკითხულის უკან ცოცხალი ადამიანის ხმა „გაიგონოს“.

¹ დინა ალბოროვა არის სამხრეთ ოსეთის უნივერსიტეტის პოლიტოლოგიისა და სოციოლოგიის კათედრის პედაგოგი, ასევე აშშ ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტის კონფლიქტების გადანეგებისა და ანალიზის სკოლის მონეული მეცნიერ-თანამშრომელი. სიუზან ალენი აშშ ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტის კონფლიქტების გადანეგებისა და ანალიზის სკოლის პროფესორი და, ასევე, მშვიდობის მშენებლობის პრაქტიკის ცენტრის ხელმძღვანელია. ნინო კალანდარიშვილი არის ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტის გამგეობის თავმჯდომარე. ამ წინასიტყვაობაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის მხოლოდ ავტორებს და არ ასახავს მათი ორგანიზაციების პოზიციებს.

წინათქმა ქართული აგზებისათვის

ავვისტოს ომის შემდეგ რვა წელი გავიდა. ამ დროის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა. იცვალება ადამიანების განწყობაც, მათი მიდგომები კონფლიქტების მოგვარების თვალსაზრისით. კონფლიქტის ზონაში ჩასვლა ხშირად მინევეს. ადამიანებს ვესაუბრებოდი ომამდე და ვესაუბრები ომის შემდეგაც. მათთან ურთიერთობა 2008 წლის აგვისტოს ომის დასრულების შემდეგ განსაკუთრებით რთული იყო. იძულებით გადაადგილებული პირები ჯერ ისევ გორთან ახლოს მოწყობილ კარვების ქალაქში ცხოვრობდნენ, როცა მათი ისტორიების მოსასმენად მივედი. ომს, სისასტიკეს, ძალადობას და აგრესიას გამოქცეული ადამიანების ნაწილი საერთოდ ვერაფერს ამბობდა. ტრამვირებული საზოგადოების ნაწილი შოკის ფონზე საერთოდ დადუმდა. მეორე ნაწილი კი დაკარგული სახლ-კარის, დაღუპული ნათესავების გამო უფრო აგრესიული იყო, თითქოს მათ შურისძიება სწყუროდათ. მას შემდეგ 8 წელი გავიდა და კონფლიქტის ზონაში ისევ მივედი ადამიანებთან მათი პირადი ისტორიების მოსასმენად და ჩასაწერად, ისევ ვენვიე იძულებით გადაადგილებულ პირებს, რომლებიც გორთან ახლოს კოტეჯებში ცხოვრობენ. პროექტ „კონფლიქტის საფასურის“ ფარგლებში ადამიანების ისტორიები უნდა შემეგროვებინა. გამეგო რა ფასი გადაიხადეს აგვისტოს ომის დროს. მთხრობელების ნაწილს ვიცნობდი, მათ შესახებ გარკვეული ინფორმაცია მქონდა, მაგრამ მათი ტრაგიკული თავგადასავლების დეტალები ჩემთვის უცნობი იყო. ზოგს საერთოდ არ ვიცნობდი და მათთან მეგობრების მიხეილ ჩიტაძის („გორის საინფორმაციო ცენტრი“) და ნათია ნადირაძის („უსაფრთხო მსოფლიო“) დახმარებით მივედი. ჩანაწერების გაშიფვრის შემდეგ აღმოვაჩინე, რომ ეს ადამიანები 8 წლის შემდეგ მოვლენებს უფრო ცივი გონებით აფასებენ, სჭარბობს პრაგმატიზმი, შურისძიების და სიძულვილის სურვილიც გამქრალია. ჩემდა გასაკვირად ყველა მათგანი შერიგებაზე, ნდობის აღდგენაზე და ურთიერთობების განახლებაზე საუბრობდა. იხსენებდნენ მეორე მხარეს მყოფ ნათესავებს, მეგობრებს, ნაცნობებს. იხსენებდნენ მათთან გატარებულ წლებს. რა ფასი გადაიხადეს ამ ადამიანებმა 90 – იანი წლების კონფლიქტის და 2008 წლის ომის დროს? მათი დიდი ნაწილი დაკარგულ მატერიალურ ქონებაზე უფრო ნაკლებს დარდობს, ვიდრე მორალურ საფასურზე, დაკარგულ ადამიანურ ურთიერთობებზე, აღმართულ ბარიერებზე, განწყვეტილ კავშირებზე. დრო გადის და ეს ადამიანები სულ უფრო მეტს ფიქრობენ მეორე მხარეს დარჩენილ ნათესავებზე. ერთ-ერთი ინტერვიუს დასრულების შემდეგ მოხუცმა კაცმა, რომელმაც ბევრი

რამ დაკარგა ომის დროს, ღრმად ამოისუნთქა და მითხრა გულზე მომეშვაო. ვკითხე რატომ მეთქი? – დიდი ხანია მინდოდა ჩემი ისტორია ვინმესთვის მომეყოლაო.

შერიგებისა და ნდობის აღდგენის პროცესზე მომუშავე პირებმა მეტად უნდა მოუსმინონ ომგადატანილ ადამიანებს. კონფლიქტის ეპიცენტრში მცხოვრები ადამიანები ხომ უკეთესად ხედავენ და გრძნობენ გარემოს, კონფლიქტის ტრანსფორმაციის შესაძლებლობებს. იმ მოხუცი კაცის გულისტკივილი კი ისაა, რომ მას არავინ უსმენს. სამწუხაროდ ქართული ჟურნალისტიკაც სხვა თემებზე და „გმირებზე“ უფროა ორიენტირებული. არადა მედიას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ნდობის აღდგენის პროცესში, ეს პროცესი კი ამ ადამიანების მოსმენის გარეშე ვერ განხორციელდება. დიდი მადლობა მთხრობელებს, რომლებიც საკუთარ ისტორიებს ღიად და თავისუფლად ყვებიან. ისინი არც ადგილობრივი ხელისუფლების კრიტიკას ერიდებიან, მაგალითად ნახევრად დანგრეული სახლების აღდგენის გაჭიანურებული პროცესის გამო და წარსულში დაშვებული შეცდომების გააზრებასაც არ გაუბიან. სწორედ ღია და თავისუფალ საზოგადოებას შეუძლია დაამსხვრიოს სტერეოტიპები, გათავისუფლდეს მტრის ხატისგან და გადადგას ნაბიჯი მშვიდობის მოსაპოვებლად.

„მე არავინ არა ვარ, ერთი რიგითი ქართველი ვარ, ერთი რიგითი პიროვნება, რომელმაც ძალიან ძვირად ზღო ვაი პოლიტიკოსების მიერ წამოწყებული, გაჩაღებული, გაღვივებული კონფლიქტიდან, რომელიც ამ ფართომასშტაბიან ომში გადაიზარდა, რომლითაც ვერავინ ვერაფერი ვერ მოიგო, ვერც ქართულმა მხარემ, ვერც ოსურმა მხარემ. თითქოს მომუშადა ეს ჭრლობები და ჩვენ ისევ მივსტირით იმ ძველ პერიოდს, როდესაც ერთად გვექონდა ჩვენ თანაცხოვრება“. – ამბობს ერთ ერთი მთხრობელი.

დღეს ეს ადამიანები ყვებიან საკუთარ ისტორიებს, დიახ ცრემლიანია ეს ისტორიები, მაგრამ მათ უნდათ რომ მოუსმინონ, გაუგონ, რომ მათი ცხოვრებისეული გაკვეთილები სხვებისთვის მაგალითი გახდეს და ის ტრაგედია არ განმეორდეს, რაც რვა წლის წინ დატრიალდა. ამ ადამიანებს პოლიტიკოსებმა და გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა უნდა უსმინონ, რადგან კონფლიქტების მოგვარება, ნდობის აღდგენა, მშვიდობის დამყარება ამ ადამიანების ნააზრევისა და მონაწილეობის გარეშე შეუძლებელი იქნება. ამ ადამიანებმა ნახეს ომი, იციან კონფლიქტის საფასური და ამ ადამიანებმა ყველაზე მეტად იციან მშვიდობის ფასი.

გოგა აფციაური

* * *

ა. ა. ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭვრინისის მცხოვრები, 80 წლის

ახლა ამ წუთში სოფელში ვარ და ჩემ ოჯახურ საქმიანობას ვენევი. ძროხა მყავს, ორი ქათამი და ღვინო, ყურძენი მამყავს... 8 ათეული წლისა ვარ. დაბადებითა აქ დავიბადე, გაზრდილთა აქ გავიზარდე, შრომით ეხლა 59 წელში რომ დავინყე, მიხდებოდა ქარელისკენ, ვმუშაობდი, ახალციხეში, მერე ზნაურში და... ზნაურში დიდხან ვიმუშავე, თითქმის ერთი 32 წელი.

იმ დროსა ზნაურში ვმუშაობდი, რო ირეოდნენ, მე არ მომწონდა ეს არევაი. ცალკე ქართველები ბუტბუტობდნენ, ცალკე ოსები. მე რა მქონდა ხოლმე ახლა, ჩემს სიტყვას ცოტა ჰქონდა ანგარიშგასანევი ძალი და ვეტყვოდი ხოლმე, ნუ იზამთ ამას, თორემ ცუდად დამთავრდება თქვენთვისაც და ჩვენთვისაც. ახლა ვინ დამიჯერებდა... აბუნტებულ ქვეყანასთან...სტალინის მეტი არავინ დაამშვიდებდა. ბოლო-ბოლოსა მაინც აურ-დაურის. იქ მერე ქართველებთანაც მომივიდა ლაპარაკი, ოსებთან იმდენად არა. მოსამართლე იყო ერთი კაკოი, მაგათ ჰქონდათ თავანთი ჯგუფი და მე იმ დროს „ენტეესში“ ვმუშობდი, და რომ ლაპარაკობდნენ არა, მე ვუთხარი, გაჩერდით-მეთქი, შენ მაინც გაჩერდი-მეთქი, მოსამართლე ხარ-მეთქი. ნუ შვებით ამ საქმეს, ნუ გაართულებთ, ნუ აირევით, ნუ დაირევით, ცუდად დამთავრდება, ვიცი-მეთქი. გადინვებიან ხალხი-მეთქი, განადგურდებიან, ჰოდა, აიო, შენაო, სტალინისტი ხარო. მე ზუსტად სტალინისტი ვარ, მაგრამ შენ ვინა ხარ-მეთქი. მე არც მოსამართლის მეშინოდა, არც პროკურორის. ბოლო-ბოლოს მე რას დამიჯერებდნენ, არა? მაინც აირივნენ-დაირივნენ და ზუსტად ისე მოხდა – კიდევ გადანვეს, კიდევ გამორეკეს და არიან ახლა ლტოლვილები და თბილისი ლამის ჩავარდეს ქვესკნელში იმდენი ხალხია დაგროვილი. აქეთ კიდევ ხალხი აღარ არი. სოფლები დაცარიელდა. .. ოთხჯერ ვარ დაჭერილი... ცხინვალამდე და იმის იქით ჯავამდეც ვიყავი, ესე იგი, განადგურებულია... ქართული სოფლები მაინც, კეხვი, აჩაბეთი და ეგენი, არა, აღარ ეტყობა ნასახლარები. აღარაფერი აღარ არი. ამას აბა ვინლა აღადგენს, რა ვიცი მე. ეს შედეგი გამოიღო იმ 90-იანმა წლებმა, განადგურდა სოფლები, ხალხი, დაიხოცნენ ბევრნი დარდისგანა და კიდევ რამდენი მოკვდება ღმერთმა იცის. და მშველელი კიდევ არა გვყავს.

90-იან წლებში წამოვედი მერე, რომ აირ-დაირივნენ, მივატოვე სახლი, თან მეგონა, რომ ესა დროებითია, ჩქარა შერიგდებიან-მეთქი, სამუშაო დავკეტე, სანყოფიში ვიყავი ზნაურში. მერე ის სანყოფი

გამიღეს, გაანადგურეს, წაიღეს ყველაფერი ჩემი, ამათი – მთავრობისა და რომ გავიგე, მენწყინა. მერე ჩემი საკუთარიც გადავანარჩუნე, მეგობარს ჩავაბარე. გადმოვედი და დავსახლდი აქ სოფელში იმის შემდეგ აქა ვარ, არსად არ წავსულვარ. და მერე არაფორმალეზი, ადამია (ვაჟა ადამია-„მერაბ კოსტავას საზოგადოების“ თავმჯდომარე 90-იან წლებში) მოვიდა ერთჯერა თავისი მოშლილი ზარბაზანითა. წავიდნენ, იარეს, იარეს, ჩვენ არ გავაჩერეთ აქა. ჩვენ რომ გაგვეჩერებინა, ჩვენც გვესროდნენ იქიდან. წავიდნენ ქალეთში (კონფლიქტამდე შერეული სოფელი იყო, რომელიც ჭვრინისს ესაზღვრება) გაჩერდნენ. ხუთი დღის შემდეგა წამოვიდნენ იქა რუსები და... რუსული იარაღით, შეიძლება ოსებიც იყვნენ. ამათ რომ გაიგეს რუსული იარაღის ხმაი, გამოიქცნენ, თვითფრინავი ჰყავდათ, იქ დატოვეს, ეს თვითფრინავი დაუნვეს, ეს ზარბაზანიცა და იმის შემდეგა მოდიოდა ხოლმე დროდადრო საქურდლადა. ჩვენგანა იქით ვინც გადავიდოდა, ზოგი რას იპარავდა, ზოგი რასა. ის სოფლები დაიცალა. ასე თუ ისე, კარგი არაფერი არ მომხდარა რა. ქურდობდნენ ისინიც, ჩვენებიც. ვინ როგორ მოასწრებდა, რა. აქაურებიც ქურდობდნენ. ჩემს მეტი ყველა ქურდობდა. მე ეხლა, არც იმათი მიხედოდა არაფერი და ვიყავი, რო ჩემი არ წაერთმიათ. იქ რაც მქონდა, წამართვეს, მაგრამ აქა, აქედან აღარ გავატანე არავის.

ჩვენები შევიდნენ ერთხელ, ამ 90-იანი წლების შედეგად „სერი ბალთას“ ვუძახით აქ. ერთი ოჯახი იყო სულ ნაპირას ცხოვრობდა და ის დაწვეს. მე როგორ გავიგე ახლა, ზუსტად ის ხალხი მოხვდნენ ჩემთან სახლში. იმათი უფროსი მივიყვანე... ერთი ზნაურელი იყო და იმას ჰყავდა ეს ბიჭები და იქ ლაპარაკობდნენ, რო...აიო, ჩვენ დავწვითო და ვეჩხუბე და გამოვყარე სახლიდან. როგორ დავწვით-მეთქი, იმ დანვამა ქალეთი გადაწვა-მეთქი. თქვენ რომ ის სახლი დავწვით-მეთქი... მერე შემოვიდნენ და მთელი იმერლები... ქალეთში ნახევარს იქითა იმერლები ცხოვრობდნენ, ნახევარს აქეთ ოსები. ის იმერლები სულ გადაწვეს იმათა. აი, იმ ერთი სახლის გულობაზე. ჭვრინისში კი, აქა, ჩვენთან არავინ არ მოსულა. არც ოსი, არც რუსი, არც თათარი, არავინ.

2008-შიც აგვისტოში, ისევ აქ ვიყავი, მეუღლე მაშინ ავადმყოფი მყავდა, კალიასკაში მეჯინა. და ზუსტად ჩვენსკენ არ წამოვიდნენ რუსები, არც ოსები წამოვიდნენ. მოვიდნენ ოსები ატოცში (მეზობელი ქართული სოფელი) ერთი სახლი გადაწვეს, რომ ჩამოიარეს, ნიღბები ჰქონდათ და, მე ერთი შევიცანი მეგობრის შვილი. ის მეკითხება, რო მეო მიცნობო და, ეხლა მე კი გამეცინა, ჩემნაირები შევხვდით, ხუთი კაცი, ხნიერები...მე როგორ არ გიცნობ-მეთქი, მართალია, ნიღაბი გაქ-მეთქი, მარა შენი ლაპარაკით გიცნობ, მეგობრის შვილი ხარ-მეთქი. ჰოოდა, ავთო ძიაო, ჩვენა ჭვრინისს

არაფერს ვერჩითო. ახლა რა მიზნით. თქვენაო, არ გიქურდიათო, არაფერი გადაგინვიათო, იმათმა ჩვენა გვანყენინესო და ახლა კოდაში მივდივართო, კოდელებმაც აწყენინეს იქ. ჩვენა გადავრჩით რა. ერთი დანგრეული სკოლა გვქონდა, ის დაგვინვეს, მარა ის ისედაც დამწვარი იყო. ერთ დღეს მწყემსი ვიყავი, გავიგე, რო რუსები შემოვიდნენო, არ მეჯერა, მარა ნამოვედი მაინც, ქალი კალიასკაში დავტოვე და ბალკონში მყავდა. უნდა ნამოვსულიყავი შუადღისას, რო მიმეხედა, პური მეჭმია, ამოვედი და... ყოფილან ჩემთან, რაღაცეები მოიპარეს, საით წავიდნენ, ქალო, თუ დაინახე-მეთქი. მგონი, ზეით წავიდნენო. წავედი, დავენიე. ოსები იყვნენ, მერე მივხვდი რო ოსები იყვნენ. თვითონ იმან მიცნო, ნიღბები ჰქონდათ. ჩვენაო, აგერ მეშოკში გვაქო შენი რაღაცეებიო და წაიღეო. ამოვიღე, დრუჟბა იყო რა... მაშინ დრუჟბები ეგრე ადვილად არ იყო. კიდე დრელე იყო, რაც გვქონდა სახელსონოში. ჰოდა, ნამოვიღე და მივხვდი მერე ვინც იყო, მარა რას ვიზავდი, რა...

მერე კი, ის ჩემები დამიბრუნეს ყველაფერი. და მეტი არაფერი არ მომხდარა. რუსები ჩვენსკენ არ წამოსულან, ეს ოსებმაც შეგვეშვენ, აღარ მოდიოდნენ და ასე გამოვედით დღემდისა და რავი ახლა, კიდევ თუ იქნება რამე არევაი...

დღესდღეობითა კი იქითა მხარეს უმიზეზოთა არ გადავალთ. ვიცით, რომ გვიჭერენ. აი, ეხლა, საქონელი ხანდახან გადადის და აღარ მოდის. ჩემს მეტი არავინ გადადის... თუ არადა, საქონელი დავკარგოთ, რაღა მოხელე ვართ, არა? გადავალ ხოლმე. იქეთ ერთი ალი... ალი იყო, ლეკი, მახაჭკალიდან იყო და იმან ბევრჯერ დამიჭირა ხოლმე საქონლითა და გამომიშვეს, ერთი ხუთჯერ მაინც. ახლა... მიშვებდნენ, დამიჭერდნენ... სულ ადრე დამიჭირეს, 1500 მანეთი მივეცი იმ დღესვე... დილით ნამოვედი, საღამოთი ჩამიყვანეს, დილით ნამოვედი, მერე კიდე დამიჭირეს... ჩვენებური გოგო დაიჭირეს იმათა და მოვიდნენ ჩემთანა, რო ლალი დაიჭირესო და... ახლა, უნდა დემეხსნა მე. წავედი, ნაძვებში ტრაფარეგია, იმის იქით ჰყავთ ეს ბავშვი და ტირის. აბა, გოგოა და მაინც იმათ ხელში ძნელია. ძნელია, ასე, თუ იმათი კანონი არ იცი, ძნელია. მერე მოვიდა ის ალი, მე მითხრა, რო შენ წადიო, არა-მეთქი, ჯერა-მეთქი, ეს გოგო გაუშვით-მეთქი, მერე წავალ-მეთქი. არაო, ესა გადაცემული გვაქო, (იგულისხმება ინფორმაცია დაკავების შესახებ) მაშინ მეც ამიყვანეთ-მეთქი. არაო, წადიო. არა-მეთქი, თუ არ გაუშვებთ, მე არ წავალ-მეთქი... მერე ეხლა არ გაუშვეს, ავდექი და მეც წავედი. იქ რო მიმიყვანეს, მერე ვუთხარი იმ უფროსსა, სამხედრო ნაწილის უფროსსა. ეხლა-მეთქი 4 ათასი მანეთი უნდა მასესხო-მეთქი და ხვალ გამოვალ და ამოგიტან-მეთქი, მერე... თუ არა გაქ-მეთქი, რომ შევატყვე, რო არ ჰქონდა, რავი... შეიძლება ჰქონდა, მარა არ

მენდო, მაშინ-მეთქი, ქალეთში, მეგობარი რო მყავს სევაი-მეთქი, ხომ იცი-მეთქი, დაურეკე და ის მამიტანს-მეთქი. დაურეკა! კარგი კაცი იყო ძალიან ეს... დაურეკა, გამომიტანა 4000 მანეთი, ახლა ფული მაქ ჯიბეში, ნაგვიყვანეს, იმ დღესვე შევიტანე დილითა და გამოგვიშვეს. ჩერეზ გორზე წამოვედით. ახლა მერე მოხდა კიდევ ასეთი. საქონელი გავრეკეთ, ნაწილი მოვიდა, ერთი ძროხა არ მოვიდა, ისევ იმ გოგოსი, ლალის. მოსაგები იყო და იქეთ არ მოიგო, კაცო, იმათ იმაში (ტერიტორიაზე) რაღა ვქნათ ახლა. დარჩეს? მგელმა უნდა შეჭამოს. ერთი კვირის წინა დეკეულა შეუჭამა მგელმა იმ გოგოს. ავდექით და ისევ ჩვენ შევედით, ვეძებეთ, ახლა ბატარია (გასანათებელი) მაქ-მეთქი, ძალიან შორს ანათებს და მოხდა ისე, რომ ეს ბატარია ავანთე, ცუდი ადგილი იყო... გადასასვლელი და... ეტყობა, იმათმა შენიშნეს, იმ შობელძაღვლებმა და მოვიდნენ და დაგვიჭირეს. დაგვიჭირეს, გვითხრეს, თქვენაო პროდუქტზე ხართ გადმოსულიო. რად გვინდა მე თქვენი პროდუქტი, ჩვენთან ნავალამ (ბევრი) ყრია მეთქი, პროდუქტი-მეთქი... მართლაც ეგრეა, რა. რა არ იშოვება ჩვენთან? ყველაფერი ბევრია. მაინც ნაგვიყვანეს. მიგვიყვანეს გარნიზონში, შეგვიდგინეს საბუთები, ვუთხარით ძროხამ მოიგო აქეთ ხბო... ჰოდა, მერე ერთი ბესლანელი ოსი იყო, ეგა წამოვიდა... იქაური იყო, ბალთელი გოდო ჰქვია, ნათესავადაც მეკუთვნი და ისიც... ის წამოიყვანა და ეს ძროხაი ნახეს ჯაგვებში... ჩვენ ზეით წავედით, მერე უნდა წამოვსულიყავით, ჭაობისკენ ჩამოვსულიყავით და ვნახავდით იქა და...ნახეს და მიიყვანეს... ჩვენებური გოგოა გათხოვილი და იმასთან მიიყვანეს სახლში. მერე დარწმუნდნენ, რომ ზუსტად ძროხისთვის ვიყავით გადასულები, მარა მაინც ნაგვიყვანეს, მაინც ნაგვიყვანეს... იქაც ეგრე ფული მქონდა ჩადებულ ჯიბეში, მე ხომ ვიცოდი, რო ან დამიჭერდნენ, ან არ დამიჭერდნენ, 5 ათასი მანეთი ჩავიდე... მარა... მერე ძვირი გადაგვახდევინეს, 8 ათასი გადაგვახდევინეს. ჰოდა, გვითხრა მოსამართლემ, თუ კიდევ ჩაგვივარდებითო, ორჯერ მეტს გადაგახდევინებთო და ეგრეც მოხდა.

გლახები ვართ და თან ფული გვიჭირს, ჰო? ახლა თავისუფლება ძვირი ღირს, გინდა იქით იყოს, გინდა აქეთ იყოს. ეს ფული ხომ დავკარგე რვა ათასი. დაახლოებით რვა ათასი რუსული ფული 300-400 ლარია, ჰო? ჰო ასეა? მეორე, ძროხა რამის გამიძრა. ჩემ ძროხამ სხვას არ მოაწველინა. ესე იგი შაფათს საღამოი, კვირას დილაი, მერე იმ საღამოი და მეორე დილაი კიდე ორშაბათისა, ვერ მოწველეს ძროხა. ხბოს მოაწვებინეს და... რომ მოვედი უკვე გამძრალივით იყო. მერე როგორც ძლივს ჩავაყენე კალაპოტში. ეს ხომ დანაკარგი არი, არა? გლახისთვის არი დანაკარგი... ეს არის ჩემი დანაკარგი. მარტო ეს კი არ არი დანაკარგი, სხვა უფრო მეტია, აბა შეხე-

დე – ნათესაობა დავკარგეთ, მოუსვენრად ვართ. გვერიდება, იქით ვერ გავდივართ. აუარებელი სოკოა, იქ სოკოზე ვერ გავდივართ. გაიპარები, დაგიჭერენ, ტყეში ვერ გავდივართ, შეშა გვიჭირს. რომ შერიგებულყო რა... შეშაც ახლოს გვაქ და სოკოც ახლოს გვაქ. ეს დავკარგეთ. ნათესავეები, ბუნება, და ჩვენ გარეშე ბუნებაც მოწყენილია. გაველურდა ის მხარე, იმათ საქონელი იმდენი აღარ ჰყავთ, არ უვლიან, არ ხნავენ, ჩვენა ვხნავთ, ვთესავთ. საქონელი სადაც შედის კულტურდება, თუ არა და ველურდება, მეტი არაფერი... დანაკარგი არ არი, მა რა არი აბა?.. ძალიან მტკივნეულად ვუყურებ მე ამას ყველაფერს. ამაზე ცუდი საქმეი ადრეც ხდებოდა ხოლმე, აი, ძველ ქართულ ისტორიებში წერია ყველაფერი, გვანადგურებდნენ, გადაგვწვავდნენ და ზუსტად ასე მოგვივიდა. მოძმე მოძმის ხელით გადაიწვა, განადგურდა, დაიხოცნენ... მე მოყვრები მყავდა ბორჯომის რაიონიდან, ისინი გარეკეს ჩვენებმა, ნავიდნენ ორჯონიკიძეში, ახლა ერთი მოყვარე მყავს კიდეც... ცოლი მომიკვდა. იმ მოყვარეს ნახვა მინდოდა, ვერ ვნახულობ. ლარსზე ნავიდე, დიდი დრო უნდა, სახლში ვინ დავტოვო... ვიზაც უნდა, ფულიც უნდა, დროც უნდა. აქეთ რომ იყოს უფლებები, ნავალ, ძმაო, ცხინვალში დავჯდები... ერთ დღეში ჩავალ იქ, იმ ღამეს დავრჩები, მეორე დღეს ჩამოვალ. ვითომაც დამიჭირეს და ახლა... ახლა რო ხდება დაჭერაი და ერთ დღეს დამიჭერენ, მეორე დღეს გამომიშვებენ.

დღეს ჭვინისში ისევ ისე ვცხოვრობთ, დასამუშავებელს ვამუშავებთ, ოჯახს უვლით, საქონელს უვლით, რაც გვყავს... და... ძროხა თუ გადავიდა მე არარ გადავდივარ და ხანდახან იმათ გადმორეკონ შეიძლება. იმათი საქონელიც გადმოდის ხოლმე . აი, გუშინაც გამოჰყვნენ იმათ საქონელი. მე რომ გადავედი... მე ახლა იქ, ტრაფარეტს იქით როგორ ნავალ, აღარ ნავალ. კიდეც ველარ ჩავბარდები იმათ ხელში. აქეთ ვდგავარ ხოლმე და გამოვიდნენ, გამოვიდნენ და მერე მოჰყვნენ ხუთი სული იმათი. გამოვიდნენ მერე... აქამდე ჩამოჰყვნენ, სოფლამდისა და გავრეკე და ნავიდნენ მერე. ჩვენც ეგრე ვშვებით, გავურეკამთ ხოლმე. ისინიც ეგრე შვებიან.

ჩვენი მომავალი მთავრობაზეა დამოკიდებული. შერიგებაც იმათზეა, ყველაფერი. იმედი ასე მაქ რო... ადრეც რო გვიჭირდა ხოლმე ქვეყანას, მერე ან... ძან გავგიჭირდებოდა, მერე გამოჩნდებოდა ვიღაც კეთილი ადამიანი... ჯერ-ჯერობით კეთილი ადამიანი მთავრობაში არ არის, არავინ. მე ივანაშვილის იმედი მქონდა და ვერაფერი გამოდის, იმიტომ რო ძან ბევრი არიან მოწინააღმდეგეები, როგორც ვუყურებ მე ტელევიზიაში, ყველანი უფროსობას ჩემულობენ, ყველას უნდა, რო იმის სიტყვა გავიდეს. სინამდვილეში ასე არ არის. უფროსი იმიტომ გყავს, რო ის ყველაზე ჭკვიანი უნდა იყოს და იმის სიტყვას უნდა ჰქონდეს ძალი. კანონი არ არსებობს,

თორე ამდენს არავინ არ ილაპარაკებს. ჰოდა, იქნება ვილაც გამოჩნდეს, მართალი ადამიანი, შეგვარიგოს, გაგვიშვან, გამოუშვან და მორჩა, ისევე გაგრძელდება ჩვეულებრივი ცხოვრება, როგორც ადრე ვიყავით, ეგრე...

ეხლა რა მინდა გითხრა. ოთხჯერა ვარ მე იქით დაკავებული და იზოლატორში წაყვანილი....ორჯერ ძროხის გადმოსაყვანად გადავედი და რუსებმა დამიჭირეს. მესამედ ჩემი მეგობარი მოკვდა, ოსი, იქითა მხარეს. წავედით წინა დღით სამძიმარზე და არა უშავდა. მეორე დღესაც გასვენებაში უნდა წავსულიყავი, მეგობარი მომიკვდა და, აბა, რა უნდა მექნა. ახლა ფული, შესანიშნავი ჩავიდე და იმათთვის მისაცემი ჯარიმაც, თუ დამიჭერდნენ, ყოველი შემთხვევისათვის. ჰოდა, დამიჭირეს, აქ, ჩვენთან, ნაძვებში. ვუთხარი, ძმაკაცის გასვენებაში მივდივარ – მეთქი. ჯერ არ დამიჯერეს, მერე დამიჯერეს, მაგრამ მაინც გამაჩერეს. ვეუბნებოდი, დროზე გამიშვით, აი, ჯარიმას ვიხდი-მეთქი და გამასამართლეთ. წამიყვანეს გამომძიებელთან, მერე კი ჯავაში. დამაჯარიმეს და უნდოდათ, სახლში გავეგზავნე. მე სახლში რა მინდა, მეგობრის გასვენებაში უნდა წავიდე, ამისათვის არ გადავედი? მეუბნებიან, ეს შეუძლებელიაო. ამ დროს იმ გასვენებაში იმათი პრეზიდენტი იყო მისული, თიბილოვი. ჰოდა, უთხრეს ჩემი მეგობრის შვილებმა, ჩვენი მამის მეგობარი დაიჭირესო, ისეთივე ბებერი, როგორიც მამაჩვენი იყოო, დასაფლავებაზე მოდიოდა ჩვენთანო. დარეკა იმან და დატრიალდა...თავისი მანქანით მიმიყვანეს ჩემი მეგობრის სახლში. დავესწარი დასაფლავებას და კიდევ ნახევარი საათი დამტოვეს ქელეხში. მერე ისევ მანქანით წამომიყვანეს უკან. მორჩა, ამის მერე აღარ გადავალ, აღარ დავეჭვებინები, მეყო....

მეკითხები, შერიგება მინდა თუ არა, მინდა, აბა რა. შეიძლება ეს შერიგება? შეიძლება, აბა რა. იქითაც არის ასეთი ხალხი. ყოველ შემთხვევაში, იმ ნაცნობი ხალხის შვილები მონდომებულებია. კი, უნდა ახლა იმათაც... ხნიერში წასული ადამიანები ვინც არიან. ცოტა სულ ახალგაზრდებს არ უნდათ შერიგება, ჩვენსკენაც ხომ ეგრე არი? იმათკენაც ასეა. მე მგონი, რომ შერიგდებიან ბოლოს-ბოლოს. იმიტომ, რომ ჩვენ ტერიტორიას რას უშვებიან? ეს ხომ ჯავამდისა ჩვენი არი, კაცო, იმის იქითაც საქართველოსია.. ამ მინა-წყალს რას უშვებიან? ჩვენი ხალხი მთავრობა... უნდა შერიგდნენ, სხვა გზა არ არის.

* * *

**ლ. ჩ. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგნეთის
მცხოვრები, 60 წლის**

დავიბადე ქალაქ ცხინვალში, საშუალო სკოლა, უმაღლესი სასწავლებელიც ცხინვალში დავამთავრე, ცხინვალი ის ქალაქი იყო, ჩემი დროის ცხინვალი, სადაც სახლის კარები არ იკეტებოდა, სადაც სითბო იყო ძალიან ბევრი, სადაც ნდობა იყო ძალიან დიდი. ვთამაშობდით ქუჩაში, არ ვიცოდით, ვინ იყო ეროვნებით ჩვენი მეგობარი: იყო ოსიც, იყო რუსიც, იყო ებრაელიც, იყო სომეხიც... აი, ამ გარემოცვაში გავიზარდე და არ იყო გარჩევა ეროვნებისა... მე არ ვიცი, ვის დასჭირდა ეს და ყველამ იცის, ალბათ, ვის დასჭირდა, ეს ჩადებული ნაღმი ცხინვალში, რომელიც 90-იანი წლებიდან ამოქმედდა...

მე მახსოვს ძალიან კარგად, 89 წელს დაიწყო, აი, აქ დაძაბული სიტუაცია, როდესაც ჩვენი გზები, ასე ვთქვათ, ჩვენი კავშირები შესუსტდა ერთმანეთთან. როდესაც დაიწყო უკვე სუვერენიტეტზე საუბარი, ასე ვთქვათ, ოსურმა მხარემ, გამოყოფაზე საუბარი, დამოუკიდებლობაზე საუბარი... მართალია, მაშინ ზვიად გამსახურდიამაც შეუწყო ხელი თავისი პოლიტიკითა და თავისი მოქმედებით ამას. დღეს, დღევანდელი გადმოსახედიდან მე რომ ვუყურებ, ეს იყო ძალიან დიდი შეცდომა, უდიდესი შეცდომა, რომელმაც, აი, ჩვენს მხარეს, ჩვენს ასე ვთქვათ, რეგიონს უბედურებისა და დაძაბულობის მეტი არაფერი არ მოუტანა. ყოველ შემთხვევაში, კარგი არ მოუტანია.

91 წელი ეს იყო პიკი იმ პერიოდისათვის, 89 წლიდან მოყოლებული, როდესაც აქ ფართომასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებები გაიშალა.

რომ გითხრათ, ჩემს ოჯახს შეეხო, ნამდვილად შეეხო, იმიტომ, რომ ჩემი მეუღლე იმ პირველი შეტაკებების დროს დაიღუპა, რომელიც ერგნეთის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა. 91 წლის 23 ნოემბერს დაიღუპა ჩემი მეუღლე. აი აქედან დაიწყო, ფაქტიურად, ჩემი გაუცხოება ცხინვალთან. მანამდე იყო ჩვეულებრივი ურთიერთობა, მიმოსვლა, ყველაფერი გვქონდა. სახლი გვქონდა ცხინვალში, რა თქმა უნდა, სადაც გავიზარდე... დავიბადე და გავიზარდე. მეგობრები მყავდა, ნათესავები მყავდა. მათთან, ფაქტიურად, 10 წლის განმავლობაში კავშირი გამიწყდა. ათი წელი ისე გავიდა, 91 წლიდან, რომ ცხინვალში არ ვიყავი ჩასული. და თითოეული სახლი მახსოვდა, თითოეული კენჭი მახსოვდა, თითოეული ქუჩა მახსოვდა და ძალიან მენატრებოდა.

ზუსტად 2000 წელს ჩავედი, 91 წლის შემდეგ... 2000 წელს ჩავედი პირველად ცხინვალში და ცხინვალი ის აღარ დამხვდა, რაც იყო, ძალიან ბევრი ადამიანი ცხინვალიდან წასული იყო, ის ადამიანი, ვინც ცხინვალში ასე ვთქვათ, კულტურულ, პოლიტიკურ ამინდს ქმნიდა... ძალიან ბევრი... აი, მე მახსოვს ერთი, ძალიან ცნობილი, პატივცემული პიროვნება, ოსი ეროვნების ადამიანი, რომელიც ქართველებში იყო გაზრდილი, გვარს არ დავასახელებ ეხლა, ბუნებრივია, შეგნებულად წავიდა ვლადიკავკაზში, თუ რუსეთის რომელიღაც ქალაქში გადავიდა საცხოვრებლად: მე არ მინდა, ჩემმა მეგობრებმა მე მესროლონ, ან მე ვესროლო ჩემ მეგობრებსო, და შეგნებულად გაეცალნენ სიტუაციას.

ცხინვალი 2000 წელს დამხვდა ძალიან გაუცხოებული, ქუჩებში რომ დავდიოდი, იმ ძველ, ჩემს ყოფილ, ასე ვთქვათ, თანაქალაქელებთან შეხვედრის საშუალება არა მქონდა, იმიტომ, რომ რაღაცა სხვანაირი სიტუაცია იყო, დაძაბული, ურთიერთობა ვერ გამოგვიდოდა ჩვენ ერთმანეთთან... მაგრამ დროთა განმავლობაში, ისევ ნელ-ნელა დაიწყო იმ ურთიერთობების აღდგენა. და ამ ურთიერთობების აღდგენაში ძალიან დიდი როლი შეასრულა სპონტანურად გახსნილმა ერგენტის ბაზრობამ.

ამ ბაზრის არსებობა ერგენტის ტერიტორიაზე ეს იყო... არ ვიცი... აი, მოფიქრებული... სპეციალურად უნდა მოგეფიქრებინა, აი, ესეთი ურთიერთობის ფორმა, რომ ეს ორი ერი ერთმანეთთან დაახლოებული და გაუცხოებული, შერიგებულიყო ხელახლა. ეს სპეციალურად უნდა მოგეფიქრებინა, მაგრამ ცხოვრებამ და იმ... თანაცხოვრებამ, რომლებიც წლების განმავლობაში გრძელდებოდა და საუკუნეების განმავლობაში, თავისთავად მოიტანა აი, იმ ურთიერთობების აღდგენა, თავისთავად მოიტანა ის დაახლოება, ნდობა აღდგა ერთმანეთში. მე არ ვამბობ, რომ აქ მარტო ქართველები იყვნენ დამნაშევეები, აქ ოსური მხარეც ძალიან დიდ ცოდვას ჩადიოდა, რამდენი, სრულიად უდანაშაულო ახალგაზრდა გამოსალმეს სიცოცხლეს, მარტო ძარის ტრაგედია რას ნიშნავს, რას ნიშნავს ერედვის ტრაგედია, როდესაც ცოცხლად ჩაყარეს საფლავში და... ეს ძალიან მძიმე ცოდვაა საერთოდ, მაგრამ ეს არ იყო სახელმწიფო პოლიტიკა, აქ იყო, მაშინ არაფორმალურად ეძახდნენ... ის ბნელი ადამიანები, რომლებსაც უფრო მეტად, იმის მაგივრად, რომ შეეერთებინათ ამ ხალხის მწუხარებას, სიხარულიც, უფრო მეტად აღვივებდნენ ამას ყველაფერს და ამ ფაქტებმა გამოიწვია გაუარესება სიტუაციის.

მე ძალიან კარგად მახსოვს, ერთი შეხვედრის დროს წამოაყენეს: ქართველებმა ბოდიში უნდა მოუხადონ ოსებს, თუ ქართველებს ბოდიში ჰქონდათ ოსებთან მოსახდელი, ოსებსაც ჰქონდათ ჩვენ-

თან ბოდიში მოსახდელი. მე, კი ბატონო, ძალიან დიდი ტრაგედია განიცადა ჩემმა ოჯახმა 91 წელს და ამას მოჰყვა შემდეგ ტრაგედიები, ყოველ სამ წელიწადში ჩემი ოჯახიდან ერთი წევრი მიდიოდა ამ დიდი ტრაგედიიდან გამონვეული ტკივილითა და დარდით და უბედურებით. მე მოვუხდელი ბოდიშს, მაგრამ ისინი მომიხდიდნენ მე ბოდიშს? აი ამაზე უნდა ემუშავა საზოგადოებას, მაგრამ აქ უკვე მესამე ძალა იყო ძალიან სრიოზულად ჩარეული, რომელსაც ჩვენი შერიგება არაფრით არ აწყობდა და ამან უფრო მეტად დაძაბა სიტუაცია, მეტად განავითარა ეს ნეგატიური მოვლენები ერთანეთს შორის, მაგრამ ხალხი მაინც ბრძენია, არ ცდება დამოკიდებულებაში, ურთიერთობაში არავითარ შემთხვევაში...

მე მახსოვს ცხინვალში ისეთი სიტუაცია, როდესაც, აი, ინტელიგენტი ოსების შვილები ქართულ სკოლაში შეჰყავდათ სასწავლებლად, იმიტომ რომ აქ დიდი კულტურა იყო ნაჩვენები რუსულსაგან განსხვავებით, მე არ ვაკნინებ რუსულ კულტურას მაგრამ, ქართული კულტურა მათთვის უფრო ახლო იყო, მისაღები იყო... აი, ამ კულტურაში გაიზარდნენ ისინი და აქ ნახეს თავიანთი, ასე ვთქვათ, თვითმყოფადობა ოსებმა, არ დაკარგეს, პირიქით. საქართველო ყველანაირად უწყობდა ხელს... გაზეთი გამოდიოდა, ჟურნალი ჰქონდათ „ფიდუაგი“ და რა ვიცი – ყველაფერი. თეტრი იყო, რაც მთავარია, და თეატრში გვერდი-გვერდ ორი დასი მუშაობდა, ქართული და ოსური დასი და გარჩევა არ იყო იქ ოსისა და ქართველის.

როდესაც შერეული საკონტროლო კომისია მუშაობდა, და ეს იყო ერთადერთი ლეგიტიმური ორგანო ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების საქმეში. სახელმწიფო მინისტრების დონეზე წყდებოდა ეს ამბები, იყო შეხვედრები არა მარტო ცხინვალში, იყო თბილისში შეხვედრები, იყო მოსკოვში, იყო ვლადიკავკაზში, იყო საზღვარგარეთ... მე ყველა ამ შეხვედრაში ვმონაწილეობდი, და ყველა დოკუმენტმა, ფაქტიურად, ჩვენს თვალწინ გაიარა. იმიტომ რომ იმ კომისიაში მე ჟურნალსიტად ვმუშაობდი ქართული მხრიდან. აქ იყო ჩხუბი, იყო კამათი, იყო დაპირისპირება, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მაინც საღი აზრი იმარჯვებდა და ერთ დონეზე დგებოდა, ქართველები ძალიან ბევრ რაღაცას სთავაზობდნენ. და მე მახსოვს ლიუბლიანაში 2006 წელს გაიმართა შეხვედრა, სადაც ევროპის სახელმწიფოებმა, არა მარტო ევროკავშირმა, ეუთომ, ევროპის სახელმწიფოებმა სადღაც 8 მილიონ ევრომდე გამოყვეს, რომ აი, ამ რეგიონის ინფრასტრუქტურა განვითარებულიყო.

დიახ, და ეს იყო ის თანხა, რომელიც ძალიან სჭირდებოდა იმ დანგრეულ ეკონომიკას, 90-იანი წლების შემდეგ გაჩანაგებულს, არა მარტო ოსურ ეკონომიკას, არამედ ჩვენსასაც. სოფლებში ინფრასტრუქტურის მოწყობა იყო, ქარხნებისა და ფაბრიკების ამუშა-

ვება იყო დაგეგმილი, სარწყავი სისტემების გაუმჯობესება, სას-მელი წყლის სისტემის გაუმჯობესება, სპორტული ღონისძიებები, სახელმწიფო დონეზე სახელმწიფო სტრუქტურის განვითარების ღონისძიებები, მაგრამ 2008 წლის ომმა... აი, ეს დაფინანსებები შეწყდა, მაგრამ ომის შემდეგ კიდევ დარჩა გარკვეული თანხა. მე მახსენდება ერთ-ერთი შეხვედრა, პირადი შეხვედრა იყო, როდესაც ეუთოს წარმომადგენლები ჩამოვიდნენ, აი, აქ ერგნეთში, იქიდან ბორის ჩოჩიევი (დღეს ლეონიდ თიბილოვის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი) გამობრძანდა, ისინი შეხვდნენ ერთმანეთს... საქმე იმაში იყო, რომ დაუხარჯავი დარჩა გარკვეული თანხა, სადაც ორი მილიონი, რომლითაც შესაძლებელი იყო, მაგალითად, ომის შემდეგ უკვე გადაკეტილი ერგნეთის არხის ამუშავება. აი, აქ შეთახნდება ვერ შედგა ამ ორ მხარეს შორის და ფაქტიურად ის ფულიც, ასე ვთქვათ, ამ რეგიონისთვის დაიკარგა. თორემ, ალბათ, ვიცავდა რაღაცაში გამოიყენებდა შემდეგ.

აი, ამ კომისიაზე გადანყვეტილებები ძალიან ეხმარებოდა მშვიდობის გამყარებას და სტაბილურობას. მართალია, დროდადრო იყო მომენტები, გარკვეული ჯგუფები ძაბავდნენ სიტუაციას, იყო მუდმივი სროლები, იყო პროვოკაციებიც, ორივე მხრიდან, ვერ უარვყოფ ამას, მაგრამ მაინც იყო, მყიფე, მაგრამ მშვიდობა იყო. ომამდე არ მისულა საქმე.

2004 წლამდე ძალიან კარგად იმუშავა ერგნეთის ბაზარმა, ფაქტიურად ამან შეარიგა ორი ხალხი. ერგნეთში მოდიოდა არა მარტო ოსი ეროვნების ადამიანი, არამედ, მოდიოდნენ ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების მაცხოვრებლებიც.

საერთოდ, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ყველაზე კარგად, ჩემი დაკვირვებით, ყველაზე კარგად მოქმედებს ორი ერის შერიგების ამბავში. და იმ დონეზე იყვნენ შერიგებულები... მე მაშინ აქ დიდი შემოსავალი არ მქონდა, ჩვენ ბაზართან არანაირი შეხება არ გვქონდა, მაგრამ მე მქონდა მინისასტუმრო, სადაც თავს იყრიდნენ სხვადასხვა, ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსული ხალხი და მე მახსოვს, ისინი 100 ათასებს ისე უტოვებდნენ ერთმანეთს, ოსები დავუშვათ, ყაბარდოელები, ბალყარები, როსტოვიდან ჩამოდიოდნენ, ისე უტოვებდნენ ისინი ამ ფულს ქართველებს, ერთი წამით არ ჰქონდათ მისი დაკარგვის შიში. და ნახევარი საქართველო, კი გახსოვთ, ერგნეთის ბაზრობით იყო. მართალია მას ჰქონდა თავისი ნეგატიური მხარეები, ის შავი ხვრელები და კონტრაბანდა და ასე შემდეგ და ასე შემდეგ, მაგრამ სახელმწიფო დონეზე შეიძლებოდა ამ საკითხების დარეგულირებაც, რაღაცა კონტროლის გამკაცრება, საბაჟო სისტემის ამოქმედება. ამ გადასახადების გადახდის შემდეგ, ეს თანხა მოიყრიდა თავს საქართველოს ბიუჯეტში, ეკონო-

მისტებისა და იურისტების ძალიან კარგი კორპუსის, ასე ვთქვათ, გააქტიურება უნდა მოჰყოლოდა ამ სიტუაციას. მაგრამ, სამწუხაროდ, სააკაშვილისა და ოქრუაშვილის ავანტიურამ დახურა ბაზარი, მოიშალა ის სისტემა, თორემ დღეს გადაღმა მხარეს დავუშვათ, უკვე ერგნეთის ტერიტორიაზე არა, მამისაანთუბნის (მცირე ტერიტორია ერგნეთსა და ცხინვალს შორის, ცხინვალის შესასვლელთან) ტერიტორიაზე დღესაც მოქმედებს ის ბაზარი, რომელიც იმ დროს, 90-იან წლებში ჩაისახა. ოღონდ დღეს ქართველების გარეშე, თავისთავად ცხადია.

მართალია, ერგნეთში ბაზარი 2004-ში დაიხურა, მაგრამ გადაადგილების საშუალება მაინც იყო. მართალია, იქ გაამკაცრეს კონტროლი ოსურმა მხარემ, ჩვენებმაც გაამკაცრეს კონტროლი, მაგრამ ხალხის მიმოსვლა არ შეწყვეტილა, იმიტომ რომ ცხინვალისათვის ყველაზე ახლომდებარე დასახლებული პუნქტები იყო ქართულ მხარეს, სამხრეთით. ისინი თბილისში დადიოდნენ ექიმთან, სავაჭროდ, სამშენებლო მასალები თბილისიდან ჩამოჰქონდათ, პროდუქტი თბილისიდან ჩამოჰქონდათ, აბსოლუტურად ყველაფერი... ექიმთან თბილისში მიდიოდნენ, ეს იყო ძალიან კარგი, ვერ გეტყვით, რომ ინერციით გაგრძელდა ეხლა, ინერციით ასეთი რაღაცეები არ გრძელდება. ესე იგი, გაქვს შენ წინაისტორიული პერიოდი, რის მიხედვითაც შენ კავშირს ამყარებ იმ დაპირისპირებულ მეორე მხარესთან. ამას ჰქონდა თავისი ისტორიული ფესვებიც, ურთიერთობებიც, ყველაფერი... ცხინვალში თითქმის ნახევარზე მეტს უმაღლესი სასწავლებლები თბილისში ჰქონდათ დამთავრებული. აქ იყო მეცნიერები, რომლებსაც თბილისში ჰქონდათ ასპირანტურა დამთავრებული, უნივერსიტეტში დავუშვათ, მეცნიერებათა აკადემიაში. ეს ხალხი იმ კავშირებს არ კარგავდა. არავითარ შემთხვევაში. და შეგნებულად 2004 წლიდან 2008 წლამდე, როდესაც უკვე გადაიკეტა, აი, ეს, მთლიანად ჩაიხურა და ომმა საერთოდ მოგვწყვიტა უკვე ერთმანეთისაგან. დღეისათვის ჩიხში ვართ შესულები, ასე ვთქვათ, არანაირი მოლაპარაკება არ შველის, აი, ამ საკითხებს. გამოიყენა ჩვენმა მტერმა ძალიან კარგად. გამოიყენა და ეს არ არის, რა თქმა უნდა, კარგი და არც ბუნებრივია და არც კანონზომიერი, მე ეჭვი არ მეპარება იმაში, რომ დადგება დრო, შეიძლება ერთი წლის შემდეგ, ორი წლის შემდეგ, ათი წლის შემდეგ, მაგრამ ჩვენი მიმოსვლა აღდგება ერთმანეთთან, აუცილებლად. მე მინდა, ერთი ძალიან ისეთი ფაქტი გავიხსენო, გადაკეტილი როდესაც იყო გზები, ამ დროს, ცხინვალში რუსეთიდან ჩამოყვანილი პრემიერ-მინისტრი იყო, ვინმე ბრონცევი. მისი ხელმოწერით მე ვნახე დოკუმენტები ოსურ პრესაში გამოქვეყნებული, სადაც ერგნეთი იყო ერთ-ერთი გამშვები პუნქტი და სადაც თავისუფლად

გადაადგილება არ იკრძალებოდა. ეს იყო ომის შემდეგ. ესე იგი, ეს იმას ნიშნავდა, რომ მათთანაც ჯერ კიდევ თვლიდნენ (ჩვენთანაც, რა თქმა უნდა) რომ ჩვენი ურთიერთობა აუცილებლად აღდგებოდა. და გადასასვლელი პუნქტები სხვადასხვა ადგილებთან ერთად იყო ერგნეთის ერთ-ერთი პუნქტი. და ბუნებრივია, არ შეიძლება აი, ამ ტრანსკამის, ამ გზის დაკეტვა. ის დიდი პოლიტიკის ნაწილია, აქ იკვეთება არა მარტო ქართული და ოსური ინტერესები, აგერ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებია, აგერ სომხეთია, აზერბაიჯანია... აქედან დადიოდნენ სუყველა, მოკლე გზაა ყველაზე, ვიდრე ლარსზე, და თანაც, უფრო უსაფრთხოც ყველანაირად, იმ პერიოდშიც კი.

2008 წელზე თუ უნდა ვისაუბროთ, იმასაც ვიტყვი, რომ უდიდესი დარტყმა ამ სოფელს მიადგა, ჩემს ოჯახსაც მიადგა, თუნდაც იმიტომ, რომ სახლი, ფაქტიურად, განადგურდა. მაგრამ ერთ დღეს არ დაწყებულა ჩვენთვის ეს ომი. ეს ომი გრძელდებოდა წლების განმავლობაში და თითქმის ყოველდღე იყო დაძაბული სიტუაცია: სროლები ყოველდღე იყო, აფეთქებების ხმა ისმოდა. ჩვენს ირგვლივ ძალიან ხშირად, აი, აგერ, ჩემს შემოსასვლელ ჭიშკართან ყოველთვის მანქანა იდგა, აი, დაძაბული მომენტები როდესაც იყო, დარაჯობდნენ... ეს იყო, ნუ, გარკვეული, ასე ვთქვათ, სამსახურები და ასე შემდეგ. ნაბიჯ-ნაბიჯ მოვედით ამ ომამდე, ნაბიჯ-ნაბიჯ. და აი, ეს იყო ბოლო წერტილი, 2008 წლის აგვისტო, როდესაც უკვე ნასასვლელი გზა აღარსად აღარ ქონდა, დაინყო ფართომასშტაბიანი ომი და აი, ეს წინა დღეები... ჩართული ვიყავით ჩვენც ყველანაირად. რა ვიცი, აი, ამ სროლებში... და როდესაც სინყნარე დადგებოდა, მე მიკვირდა, რატომ აღარ ისვრიან, იმდენად შევეჩვიეთ აი, ამ სროლებთან, აფეთქებების ხმასთან ერთად ცხოვრებას, რომ სინყნარე უკვე მაშინებდა, მართალი გითხრათ. ომმა საერთოდ, რვა აგვისტომ საერთოდ დააგვირგვინა ყველაფერი. ომის შეფასებისგან და ამ სიტუაციის შეფასებისგან არ ვიცი, ახლა რამდენად შეიძლება, რომ თავი შევიკავო, მაგრამ ეს იყო ბოლო წვეთი, რომელმაც აავსო ჩვენიც და... მაგრამ გავიდა, აი, ომის შემდეგ ექვსი წელი გავიდა და დღევანდელი გადმოსახედიდან მეც და, ალბათ, ქართული მხარეც და, ზუსტად ვიცი, ოსური მხარეც ძალიან ბევრ რამეს ნანობს, რომ ჩვენ აი, ამ იზოლაციაში აღმოვჩნდით ერთმანეთთან. არის მომენტები, როდესაც რეკავენ ეს ჩვენი მეგობრები და ამბობენ, რომ აი, უთქვენოდ აქ ყოფნას აზრი არა აქვს, ის აღარ არის, რაც იყო, ცხინვალის ის აღარ არის, რაც იყო.

ამ ომის შემდეგ, ნუ თავისთავად ცხადია, ეპიცენტრი ერგნეთი იყო, ერგნეთში 160 სახლი დაინვა, ვერ გეტყვი, რომ ყველა აფეთქებებისა და, ასე ვთქვათ კასეტური ბომბების ჩამოცვენის შედეგად განადგურდა ეგ სახლები, იყო გარკვეულ ადამიანთა ჯგუფები, სე-

პარატისტებისა, რომლებიც დადიოდნენ და ყრიდნენ მოლოტოვის კოქტილებს სახლებში და წვავდნენ. ძალიან მძიმე იყო ჩვენთვის... აი, მე, მაგალითად, როგორც კი შეწყდა ბრძოლა, დავბრუნდი, არ ვიცოდი, ჩემი სახლი რა მდგომარეობაში იყო, იმიტომ, რომ ისე გავიქეციტ აქედან საბუთების წაღებაც ვერ მოვასწარი. უბრალოდ, შვილები უნდა გადამერჩინა, სხვა გზა არ იყო. ეს იყო ცხრა აგვისტო უკვე და, როდესაც 19-ში დავბრუნდი, დამხვდა უკაცრიელი სოფელი, სადაც აბსოლუტურად გადამწვარი იყო ყველა სახლი, ჩვენს უბანში განსაკუთრებით... და ტრასაზე ისევ ოსური და რუსული მანქანები პატრულირებდნენ, და იმდენად მძიმე იყო ამ მანქანების დანახვა ჩემთვის, რომ, როდესაც მომიახლოვდებოდნენ, თვალებს ვხუჭავდი, რომ შესაძლებელი იყო იქიდან ესროლათ ჩემთვის და არ მიხდოდა დამენახა, ვინ მესროდა.

სოფელში, უბანში როდესაც შემოვედი, აბსოლუტურად ყველა ჭიშკარი ღია იყო, ვერ გეტყვი, რომ წაღებული იყო რაღაც-რაღაცეები, ეზოში ისევ... ეზოებში ისევ ქათმები დარბოდნენ, ძაღლები... მაგრამ სიჩუმე იყო აუტანელი. სიო იყო პატარა და აი, ამ დამწვარი თუნუქის სახურავებს არხევდა და ისეთი ღრჭიალისა და იმის ხმა იყო – შემზარავი. ძალიან მძიმე იყო, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი. მაგრამ, ნუ როგორმე... როგორღაც გავუძელით ამას ყველაფერს. თუმცა, მსხვერპლიც იყო, ერგნეთიდან რამდენიმე ადამიანი სახლებში გამოწვეს, ისეც მოკლეს იარაღის სროლით, ოღონდ არა რუსებმა... ოსებმა.

ნელ-ნელა შუშდება ის ტკივლები, რაც ჩვენ მივიღეთ, ნელ-ნელა... სახლებიც აღადგინეს უკვე. ძალიან დაგვეხმარა დანიის ლტოლვილთა საბჭო, ჯერ ერთოთახიანი საცხოვრებელი კოტიჯები ჩაგვიდგეს, სადაც შეიძლებოდა თავის შეფარება და ღამის გათენება, შემდეგ რეაბილიტაცია მოხდა ორი წლის უკან ამ ჩვენი სახლების. და ნელ-ნელა აღდგა ცხოვრება და დაიწყო ხალხმა ნორმალური ცხოვრება.

ერთი ამბავი მინდა გიამბოთ, რომელიც არასოდეს არ დამავიწყდება ჩემს ცხოვრებაში და რომელმაც ძალიან... გარკვეული კვალი დაამჩნია ჩემს ცხოვრებასაც და პიროვნებასაც. უკვე ჩაკეტილი პერიოდი იყო და ცხინვალიდან დილის ექვს საათზე დამირეკა ჩემმა მეგობარმა, ოსი ეროვნების მამაკაცი, რომელიც პოლიციაში, მილიციაში უფრო სწორად, იმათ მილიციაში მუშაობდა ერთ-ერთი მაღალი ჩინის, რანგის პატრონი იყო, ტირილით დამირეკა რომ მას შეემთხვა ძალიან უბედური შემთხვევა. სოფელ ტბეთში მისი ძმა, სამოც წლამდე ასაკის მამაკაცი, ღამით დაგლიჯეს მგლებმა და იმდენად მძიმე მდგომარეობაში იყო ეს მამაკაცი, ცხვირის წვერი ჰქონდა მოჭმული, ყური აღარ ჰქონდა, დასახიჩრებული იყო მთლი-

ანად, და იყო უკვე კომაში, უმძიმეს მდგომარეობაში გადაყვანილი ჰყავდათ უკვე საავადმყოფოში ცხინვალისა, მაგრამ მათ უთხრეს ექიმებმა, რომ არანაირი საშუალება არ იყო მისი ცხინვალში გადარჩენისა და უთხრეს, რომ წაეყვანა სასწრაფოდ ვლადიკავკაზში, მაგრამ პრობლემა იმაში იყო რომ ვლადიკავკაზამდე ის კაცი ჩააღწევდა თუ არა ცოცხალი, ეს არ იცოდნენ და ვერც იმედს ვერ ეუბნებოდნენ, შრატიც კი არ ჰქონდათ, რომ გაეკეთებინათ მისთვის. და ამ კაცმა ტირილით დამირეკა, რომ უნდა მიშველო ღია და ეს კაცი უნდა გაიყვანო როგორმე აქედან. კითხვაზე, თქვენ გამოყვებით თუ არა მეთქი, მიპასუხა, რომ არაო, მე ხელისუფლებამ გამაფრთხილა, როგორც კი დავტოვებ მე ცხინვალის მიმდებარე ტერიტორიას, ველარ უკან დავბრუნდები და სამსახურსაც ვკარგავო, ამიტომ მთელი თავისი, ესე იგი, ნდობა გადმოიტანა ჩემზე. ნუ, თავისთავად ცხადია, ეს ჩემთვისაც ძალიან რთული იყო, ამ ამოცანის შესრულება იმდენად, რამდენადაც ჩაკეტილი გზა იყო უკვე... გადაკეტილი გზა, უსაფრთხოების ზომები, ეს მომაკვდავი მამაკაცი... შეიძლებოდა ათასი პროვოკაცია დაებრალებინათ, ამიტომ მე შეეუთანხმდი ვილაც-ვილაცებს და დავრეკეთ ტყვიავის სასწრაფო დახმარებაში და ვუთხარით რომ ცხინვალიდან უნდა გადმოგვეყვანა მამაკაცი, რაზედაც ექიმებმა გვითხრეს, რომ თუ ვერ მოგვცემთ ჩვენ ჩვენი უსაფრთხოების გარანტიებს, ჩვენ იქ შემომსვლელები არა ვართო. გამოვიყენე მაშინ ჩემი სამსახურებრივი სტატუსი, შერეული საკონტროლო კომისიის ჟურნალისტიკის, ასე ვთქვათ, თანამდებობა და პირდაპირ შევეხმიანე კულახმეტოვს (მარატ კულახმეტოვი 2008 წელს ცხინვალში დისლოცირებული შერეული სამშვიდობო ძალების სარდალი იყო), ავუხსენი სიტუაცია, კულახმეტოვი დამთანხმდა, ისინიც თავიანთი მხრიდან, ცხინვალის მხრიდან შეეხმიანენ მას, კულახმეტოვმა გამოგვიგზავნა ჩვენ დაცვა, აი, აქ პოტზე მოვიდა, რომელიც გადაკეტილი იყო, გამოგვიგზავნა დაცვა და ეს ტყვიავის სასწრაფო, დაცვის თანხლებით, ჩავედით ცხინვალში, წამოვიყვანეთ ეს მამაკაცი, რომელიც უკვე მომაკვდავი იყო, იყო უგრძობ მდგომარეობაში, კომაში და გადავიყვანეთ სასწრაფოდ, რადგან თბილისში ველარ ვასწრებდით, გორის ჰოსპიტალში.

მე მადლობელი ვარ ბატონ ნუკრი ჯოხაძეს, რომელიც მაშინ მთავარი ექიმი იყო ჰოსპიტალისა, მთელი ჰოსპიტალი დააყენა ფეხზე. და მისვლიდან რაღაცა წუთების შემდეგ უკვე საოპერაციოში შეიყვანეს ეს მამაკაცი და ჩაუტარდა რამოდენიმე ოპერაცია. ნუ, მე, რა თქმა უნდა, მის პატრონს ტელეფონით ვეხმიანებოდი, რომ ვუხსნიდით სიტუაციას ასეა, ასეა, ასეა... და გამოვიდა ეს კაცი მდგომარეობიდან, გონზეც მოვიდა, ჭამაც დაიწყო, ჩემი ხელით ვაჭმევდი

მას საჭმელს ხოლმე, ტელეფონზეც ვალაპარაკებდი, უთხრა რომ... იქიდან ჰქონდათ შიში, ცხინვალიდან რომ სპეციალურად ხომ არ დაუშავებდნენ რამეს, ან ასე შემდეგ და ჩემს თვალწინ სულ ეუბნებოდა ტელეფონზე, რომ მე საიმედო ხელში ვარ, მე ქართველების არ მეშინია, კარგად მივლიან, კარგად მეპყრობიან და ასე შემდეგ. სრულიად უკაპიკოდ ხდებოდა ეს ყველაფერი...

მაგრამ ... დადგა ის ავადსახსენებელი რვა აგვისტო და დაიწყო ომი... ჩვენ ჩვენი თავები გვექონდა გადასარჩენი და გასაქცევი გავიხიბდა აქედან და, მართალი გითხრათ, იმ რამოდენიმე დღის განმავლობაში, არც კი გამხსენებია ის პიროვნება, იმიტომ, რომ სად უნდა წავსულიყავით და როგორ უნდა წავსულიყავით, ჩვენ ეს გვექონდა საფიქრალი. და როდესაც უკვე მოვედით აზრზე, დავბინავდით, ასე ვთქვათ, აქედან წასულები და მოვიკითხე ჰოსპიტალის ამბები. ჰოსპიტალი მაშინვე ევაკუირებული იყო და სხვადასხვა საავადმყოფოებში იყო თბილისისა გადანაწილებული იქვე მყოფი დაჭრილები თუ ავადმყოფები და ასე შემდეგ... ვისაც ოდნავ შეეძლო და ჰქონდა იმის საშუალება რომ სახლში გაენერათ, ისინი სახლში განერეს და ეს მამაკაცი გადაიყვანეს თბილისის ინფექციურ საავადმყოფოში. მთელი თბილისი დავაყენე ფეხზე ასე ვთქვათ, დავინყე ძებნა და მივაგენი ინფექციურ საავადმყოფოში, მაგრამ სამწუხაროდ, ცოცხალს ვეღარ მივუსწარი იმ მამაკაცს, დაიღუპა და დაღუპვამდე, ზოგადად რომ მოდიოდა გონზე, და ეუბნებოდა ერგნეთამდე ჩამიყვანეთ და იქ არის ისეთი ქალი, რომელიც გამარჩენს და შემიყვანსო მე ცხინვალშიო. ნუ, სამწუხაროდ, იმ მთავარმა ექიმმა, ვისაც ვესაუბრებოდი მისი პასპორტი და ავადმყოფობის ისტორია გადმომცა. მე დავურეკე მის ძმას ცხინვალში, და ძალიან ცუდ მდგომარეობაში ვიყავი მე თვითონაც. მე არ მინდოდა, იმათ ისე გაეგოთ, რადგან აი, ეს დაძაბული ომი იყო და დაძაბული სიტუაცია, თითქოს შეგნებულად მოხდა მისი რაღაცა... ეს გამორიცხებულია! არც ერთი მედიცინის მუშაკი მაგას, როგორი მტერიც არ უნდა იყოს, ხელს არ მოაწერდა შეგნებულად ადამიანის სიკვდილზე. და... მერე მოხდა ისე, რომ მოლაპარაკებების შედეგად, ნითელი ჯვრის მანქანით გადაასვენეს ის მამაკაცი ცხინვალში. და იმ პერიოდისათვის ცხინვალში ჩვენი დატყვევებული ტყვე ჯარისკაცები იყვნენ და სამ ტყვე ქართველ ჯარისკაცში გაიცვალა. ასეთია ომის კანონი. მართალია, ძალიან მძიმეა ეს, დღესაც მძიმეა ჩემთვის ეს გასახსენებლად, მაგრამ ომს თავისი კანონები აქვს.

კონფლიქტის საფასურით, მეკითხებით, ფასდაუდებელი ფასი გადავიხადე მე ამ კონფლიქტში. გარდა იმისა, რომ ჩემი მეუღლე დაიღუპა, რომ ჩემი მეუღლის სიკვიდილით გამოწვეული სიმწარითა და სხვა დანარჩენი თანმდევი მოვლენებით ყოველ სამ წელი-

ნადში ჩემი ოჯახის წევრები ილუპებოდნენ და მათი, ასე ვთქვათ, აი, შიშველი სიტყვით რომ ვთქვათ, მათი გასვენება და ყველაფერი... აი, ამ ერთი ქალის მხრებზე, ჩემს მხრებზე გადადიოდა. ადამიანური მსხვერპლი, ეს იყო უმძიმესი და ეს დაავიწყდებოდა 2008 წლის აგვისტომ, როდესაც ფერფლი დარჩა ჩემი 80 წლის ოჯახიდან. როდესაც არაფერი, ისტორიაც არ დარჩა ამ ჩემს ოჯახს, ყველაფერი განადგურდა. ეს იყო... არ ვიცი, რაღა უნდა ნახოს ადამიანი ამაზე მეტი? არაფერი არ დამრჩა ამ ქვეყანაზე შვილების გარდა, მაგრამ მადლობა უფალს, რომ შვილები გადამირჩინა ცოცხლები. ეს იყო ძალიან მძიმე. მე არავინ არა ვარ, ერთი რიგითი ქართველი ვარ, ერთი რიგითი პიროვნება, რომელმაც ძალიან ძვირად ზღო ვაიპოლიტიკოსების მიერ წამონყებულ, გაჩაღებული, გაღვივებული კონფლიქტი გადაზრდილი აი ამ ფართომასშტაბიან ომში, რომლითაც ვერავინ ვერაფერი ვერ მოიგო, ვერც ქართულმა მხარემ, ვერც ოსურმა მხარემ. და ჩვენ დღეს, თითქოს მიშუშდა... არ დაგვაფიქვდა, მიშუშდა ეს ჭრილობები ომის შედეგად გამოწვეული და ჩვენ ისევ მივსტირით იმ ძველ პერიოდს, როდესაც ერთად გვქონდა ჩვენ თანაცხოვრება.

გამოუსწორებელი ოპტიმისტი ვარ მე და მჯერა, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ, ეს ურთიერთობები აღდგება. ზოგჯერ, როცა ღრმად მივდივარ აი, ამ კონფლიქტის ფესვებში და მერე ვადარებ სხვა კონფლიქტებს, ეს არ ყოფილა ეთნიკური დაპირისპირება ქართველებისა და ოსების, ეს არ ყოფილა... დაფუძვალთ ტერიტორიების მიტაცებაზე აღმოცენებული კონფლიქტი, ეს იყო ხელოვნურად შექმნილი, ხელოვნურად გაღვივებული დაძაბულობა ერთმანეთს შორის, რომელიც მესამე მხარემ ძალიან კარგად გამოიყენა. ძალიან ხშირად ვფიქრობ ხოლმე იმას, რომ ვიღაცას არ აწყობს ამ კონფლიქტის მოგვარება, დღესაც, თორემ... მე ვფიქრობ, აი, ჩემს ირგვლივ მყოფი ადამიანები მზად არიან, შეუდონ იმ ხალხს, ოსურ მხარეს ვგულისხმობ, აპატიონ ის ყველაფერი, რაც ჩვენს შორის მოხდა და ხელახლა, ახალი ფურცლიდან დაიწყონ ცხოვრება. თუმცა, ამის საფუძველს კიდევ მაძლევს ის შერეული ოჯახების ძალიან კარგი რესურსი, რომელიც დღეს გამოუყენებელია. მაგრამ გარკვეულ ძალებს არ სურთ ამ კონფლიქტის მოგვარება. ჯობია, ასე იყოს, წლების განმავლობაში გაგრძელდეს, ვიდრე აქ რაღაცა პოზიტიური ცვლილებები წამოვიდეს. არის ისეთი ძაფები, რომელთა ამოქმედება ძალიან კარგ შედეგს მოიტანს, მე არ ვამბობ, რომ ხვალვე გაიღება გზა, ხვალვე შევლენ ის ჩვენი ათასობით დევნილი, რომლებიც იქიდან არიან დღეს გამოძევებულნი და ხვალვე ისინი დაახვედრებენ აღდგენილ და რეაბილიტირებულ სახლებს, რომლებიც მათ იქ დატოვეს და, შენ კარგად იცი, უამრავი ქონება

დარჩა იქ, ქართული ქონება. დღეს ცხინვალში მიდის ბრძოლა იმაზე, ომის შედეგად დაზიანებული სახლები აღადგინონ. და რამდენჯერ გამიგია მე და უთქვიათ, რაღას ვწვავდით იმ სახლებს, როცა ჩვენ ქუჩაში უნდა დავრჩენილიყავით ომიდან ექვსი წლის შემდეგ თუ შვიდი წლის შემდეგ, რაღას ვწვავდით, შევსულიყავით იმ მზამზარეულ სახლებში და გვეცხოვრაო იქო. აი, ეს იყო ძალიან მოკლე პოლიტიკა, ვითომ ქართველების ამოძირკვის პოლიტიკა იქიდან და ყველამ ძალიან კარგად იცით და სურათებიც ძალიან ხშირად იბეჭდება, რომ, ფაქტიურად, განადგურებულია, გადასწორებულია სახლები, მოჭრილია ეს ხეივნები, გაჩეხილია ვაზი და ყველაფერი, მაგრამ ვაზი მაინც ამოიყრის, ის ერთი წლის შემდეგ იქნება თუ ხუთი წლის შემდეგ, ვაზები ამოიყრიან, ის ბაღებიც აღდგება და ყველფერი. მთავარია, ადამიანებმა ვიპოვოთ ერთმანეთი. ადამიანებმა შევძლოთ ერთმანეთთან მისვლა.

მე წავიკითხე, ერთ-ერთი ოსური გამოცემა წერდა, რომ ცხინვალში მოსთხოვეს ხელისუფლებას, რომ აეკრძალათ, ოფიციალურად აეკრძალათ ქართული სიმღერებიც მუსიკაც, ყველაფერი, ცეკვაც, განდაგანა აკრძალეს, ეს საყოველთაოდ ცნობილია, პრესაშიც იყო დაბეჭდილი. მე ისე ახლოს ვცხოვრობ გამყოფ ხაზთან და ცხინვალთან რომ ძალიან ხშირად, როდესაც აქვთ დავუშვათ ქორწილი, ძალიან ხშირად ისმის აქ მუსიკის ჰანგები და ძალიან ხშირად ცეკვავენ ისინი შალახოს ჰანგებზე, ძალიან ხშირად ისმის ქართული სიმღერები. ეს მაძლევს იმის იმედს, რომ მათ ქართული არ დავინწყებიათ, და თუ.. დღესაც აი, მეგობრების გადმოცემით, თუ ერთმანეთში რამე საიდუმლო უნდათ, რომ გაანდონ, ქართულად ელაპარაკებიან ერთანეთს, ესე იგი მათში ეს ისტორიული ცოცხლობს და ამის ნაშლა არ შეიძლება, აი, კანონზომიერი არ არის ამის ნაშლა, ეს, ბუნების კანონია ეგ. მახსოვს, ჩემი მეგობარი, ჩემი თანაკლასელი, ოსი ეროვნების პიროვნება მეუბნებოდა, რომელმაც ქართული სკოლა დაამთავრა, და მითხრა, რომ ღია, მე მიკრძალავენ ქართულ ენაზე საუბარს, მაგრამ მე ჯერ ქართულად ვფიქრობ და მერე ვთარგმნი და ისე ვამბობ ოსურადო და რუსულადო და ეს ცნობიერების, აი, მთლიანად მენტალიტეტის შეცვლაა მათი და ეს არ შეიძლება, ასე იოლად არ ხდება ადამიანში ცნობიერების შეცვლა, ეს წლებისა და საუკუნეების განმავლობაშია დალექილი მათ ცნობიერებაში და ესე იოლად არ მოხდება ეგ.

გ. ვ. კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ სარიბარის მცხოვრები

მ-კომლიანი სოფელი მთლიანად ეთნიკური ოსებითაა დასახლებული

დავიბადე სოფელ სარიბარში. ათი კლასი მაქ დამთავრებული, შრომით მოვდივარ. ჯარის შემდეგ ვიმუშავე ქსელებში, მანტიორად, იმის შემდეგ არეულობამდე სუყველგან, მეურნეობებში, ავტობუსზე ვარ ნამუშევარი. დამყავდა ექსკურსიებზე ეს ჩვენი ხალხი. ეხლაც მარშუტკით ვემსახურები სოფელს. ზოგჯერ ორი კაცის გულიზე თბილისში მივდივარ, ზოგჯერ ორი კაცის გულიზე გორში მივდივარ. კვირაში თითო დღე მაქ, ვემსახურები სოფელს, რა.

90-იანის დღეებში...აი კოდისწყაროდან იყო, იქიდან საშიშროება იყო შემოსვლისა... გინდა ქრთველების მხიდან, რა. იცავდნენ კოდისწყაროელები, აქ არავის არ უშვებდნენ. თუ აქ ვინმეაო შესაჭმელიო, ჯერ ჩვენ შევჭამთო, კაცო..

ქართველები გვიცავდნენ ჩვენა, აქაურ ოსებს. აქედან კიდევ ჩვენ იქეთ არავის არ ვუშვებდით. არასოდეს არ მომხდარა, რომ ორჭოსნელი ვილაცა ჩამოსულიყო და კოდისწყაროში ვილაცა დაეყარალებინა ან ვილაცასთვის მანქანა წაერთმიათ ან რაღაცა... არავითარი... ჩვენცა გყავდა მანქანები და ისინი ჩვენგან იყვნენ დაცულები, იქიდან კიდევ ისინი გვიცავდნენ. და იმის შემდეგ ვართ ესე. ახლაც ასე ტკბილადა ვართ. პროსტო, აი, რუსი რომ არ იდგეს ჩვენს შუაში, აი, ზოგჯერ გვიხდება ხოლმე, რომ ან პურის ჭამა ან რაღაც, ის იქით მხარეს არის... იმას ქართული მილიციისა ეშინია, ჩვენა რუსებისა გვეშინია...

აი, ეგეთი რაღაცებიც მომხდარა. კანაო, წყლის არხი რომ არის, აი იმ არხში ჩავჯექით, აქეთ მხარეზე მე ვიჯექი, იქით მხარეზე ის იჯდა, მენახირე, როცა ვძმაკაცობდით. ჩავიტანე აქედან მე პურმარილი ახლა, იმასაც ჰო ჰქონდა, მენახირესაც რაღაც ჰქონდა, მეც ჩავიტანე... ეხლა იმათთან ღვინოც იმდენი არ არის, აქ ჩვენსკენ როგორც არის, ახლა იქით არ არის იმდენი რაღაცა. სასმელზე. ეგრე ვქეიფობთ ხოლმე ხანდისხან.

ნათესავები გვყავს ბევრს დარჩენილი იქით. ჩემი ბიძაშვილები არიან. აი, მამაჩემის ძმის შვილები, შვილიშვილები ყავთ და არც ერთს არა ვცნობ. წავიდნენ, ზოგი ერთი წლისა იყო, ზოგი ორი წლისა იყო. 18-17 წელი ხო გამოვიდა? აბა ჩვიდმეტი წლისა აგერ ჩემი ბიჭია და, საერთოდ არავის არ იცნობს. დაჟე ოსურად არ იცის არც ერთი სიტყვა. იზრდება კასპში, და აქ არის, ჩემთან.

2008 საშინელი დღეები იყო მთელი ქვეყნისათვის და ამ სოფლისათვის, აბა რა. ჩვენ ვიმალებოდით. აი, ბუნკერებია ზევით რაღაცა,

აი, ძველი ბასეინები და რალაცეები იყო. იქ იყო ქალი, კაცი. ღამე სულ იქ ვათენებდით და ვიყურებოდით საიდან შემოდოდა შუქი, იმას ვერიდებოდით. იმან ხომ არ იცოდა, ჩვენ სად ვიყავით დამალული. და ეგეთ დღეებში ვიყავით. ღამე სახლში ვინ გაათენებდა, არა, აბსოლუტურად არავინ. არადა, ვმორიგეობდით ხოლმე, ერთი-ორი-სამი კაცი დადგებოდნენ იქ ზევითა და იყურებოდნენ, ან იქიდან რომ არავინ შემოვიდეს, ან აქედან არავინ შემოვიდეს. და აბსოლუტურად ახლა ჩვენთან მაგ ომის დროსა არც ქართველებს შევუწუხებივართ. პირადად ჩემთან სახლში ასმეთაური შემოვიდა პურსა ვჭამდით, იმ საღამოთი. აი, გორში დაბომბვა რომ დაიწყო. ცხრაში, ალბათ. ქართველები იმალებოდნენ ჩემთან. ერთი მომენტი იყო, ზევიდან რომ მორბოდნენ, ქართველები რომ მორბოდნენ ორჭოსნიდან, გარეთ გავედი და, ძიაო, წყალი დაგვალევინეო, გაიგე და – წყალი რა არის-მეთქი, მოდი, ღვინო დალიეთ, კაცო, რა წყალი, რი წყალი, კაცო... დაღლილები იყვნენ ერთი ექვსი-შვიდი კაცი, კახელები უფრო სწორედ. სახლში კახელი ბიჭებიცა მყავდა. ჰოდა, ახლა ოსურად დაველაპარაკე უკან ბავშვებსა, მიდი, ერთი წყალი გამოუტანეთ, ამათო და... სანამ მოვიხედე, არც ერთი კაცი აღარ იდგა იქა... გავარდნენ. რომ გაიგონეს ოსური ენა, რომ იქიდან ოსებს გამოვექეციო, აქ კიდევ ოსები შეგვხვდნენო... ხო სუყველამ არ იცის ახლა ჩვენი ამბავი. ჩვენ იმთავიდანვე არც ოსებთან, არც ქართველებთან, არავისთან არაფერი მტრობა არ გვქონდა და არც ეხლა არაფერი არ იყო... არც ახლა არ დაუჭერიათ არც ერთი კაცი, არავისგანა არ გამიგია, რომ აი, ვილაცამ დაიჭირა.

რუსების მხრიდან ერთი-ორჯერ კი იყო დაჭერები. ორი ახალგაზრდა წაიყვანეს, წყლის გულიზა ავიდნენ, წყალი უნდა გამოემვათ და დაიჭირეს. იმათთან ერთი ბებერი კაციც იყო და იმას თავი დაანებეს. იქ ხევში ასასვლელია, პადიომში და ეტა სტარიო, იო, კ ჩერტუო და თავი დაანებეს... ახლა იმათაც პრემიებს აძლევენ, ფულს აძლევენ და მაგის გულიზე.

შეხვედრები გვაქვს ხოლმე. ერთხელ ერევანში გვექონდა ოსებთანაც შეხვედრა... ჯერ გაუკვირდათ, აქედან ხარ, ოსი გვარი გაქ და ასეთი როგორ გამოვედი და მერე უჩემოდ პურსაც აღარა ჭამდნენ, ისე დავმეგობრდით. ეხლა ორჭოსნელ კაცსა იმის უფლება არა აქ, რომ თავისუფლად გაიაროს თავის ტერიტორიაზე, თავისუფლად. ჩვენა? ჩვენ ვინ გვანუხებს? ჩვენ თავისუფლად კი არა, ისე დავდივართ, რომ რა ვიცი...

90-იანების და 2008 წლის გამო ნათესაობა დავკარგეთ,... ეს სიყვარული დაიკარგა, აღარ არის... აი, სოფლებშიც აღარ არის ისეთი ისა, რა... წყობა, უკვე აღარავინ აღარავის აღარ ენდობა, გაიგე? მიმოსვლაც არ არი... სოფლებშიც, აი, სამუშაო რო არ არი, ვერა

ვმუშაობთ და უკვე აზრი აღარა აქვს რა, ალბათ... ყოველდღე უკვე იმასა ვფიქრობ, სად წავიდე, საით წავიდე და ვილაცხა რომ გამომიჩნდეს და მითხრას, აი, წამო, მათხოვრად დამიდექო, თუ არ დავუდგე. არაფერი შემოსავალი არ არის, რა. უკან-უკან ვინევით, წინ კი არა. წინ მიდიოდა ჩვენი მამა-პაპა. მამაჩემი 48 წლისა დაიღუპა. აი, ამოდენა სახლები სულ იმის ხელით არი გაკეთებული და უბრალო მანტიორად მუშაობდა, მანტიორი, აი, ხელფასი ქონდა. მე რომ ჯარიდან ჩამოვედი, მეც 110 ლარი მქონდა ხელფასი, 110 ლარი. (მანეთს გულისხმობს) ასე მეგონა... აი, მანქანას მანქანაზე ვცლიდი. მაშინაც, 03 მყავდა, 06 მყავდა, ვოლგა მყავდა.. აი, ეხლა, ეს მარშუტკა, ესეც, სესხით გამოვიტანე, რომ... ის დანარჩენები ჩავაბარე, ექვსი მანქანა ჩავაბარე ჯართში. თანხა ცოტა დავამატე და ესეთი რალაცა ვიყიდე... ეხლაც ვერა... არ არის უფრო სწორად, აი, სამუშაო. გვინდა და... წყალი რო არ არი, ვერცა ვმუშაობთ. ახლა, აი, წვეთოვანზე (წვეთოვანი სარწყავი სისტემა) რალაც, ვითომ პატარ-პატარა, აი, ჩვენი საკმარი და გასაყიდიცა მაქ ხოლმე ცოტ-ცოტა. უკვე რალაცნაირად შრომა ჩანს. ახლა წელს კიდევ გავაძლიერებ, გავადიდებ, გავაფართოებ და ეგეთი რალაცაა.

აი, ხვალე, ზეგ, მომავალში, ახლო მომავალში რომ ეს ურთიერთობები გაუმჯობესდეს რუსეთსა და საქართველოს შორის, ცხინვალსა და თბილისს შორის და ეს ჩაკეტილი გზები რალაცნაირად გაიხსნას, ეს იქნებოდა კარგი. ეს ისე იმოქმედებს ყველაფერზე, როგორ არ იმოქმედებს, კაცო, თავისუფლად რომ გავალ... უბრალოდ, თევზი რომ დამჭირდებოდა, სალამოთი წავიდოდი, დილით უკვე თევზი მქონდა სახლში, ორჯონიკიძეში ჩავიდოდი-ჩამოვიდოდი. ცხინვალში წავიღებდით ხოლმე, კომბოსტო იყო თუ რაც იყო, რა ვიცი, რაც მოგვყავდა. იქითა მხრიდან მერე წამოიღებდი, იქიდანაც რალაცა... ან ფქვილი შეგხვდებოდა, ან ზეთი ან ეგეთი რალაცა, როცა იაფობა იქნებოდა, წამოღებდი.

ახლაც ჩვენს შუაში რომ რუსი არ იდგეს, ჩვენ ყოველთვის ისევ დავძმობილდებით და ისევ უკეთესობისკენ წავალთ, კაცო. უფრო... წავალთ რა. აუცილებელი არ არის ახლა... გუშინ მე ვილაცხამ მცემა და მე ჩავიდო გულში და გინდა თუ არა, გადავუხადო და რალაც. მეც მომხვდა. მე ცხინვალის მხრიდან მომხვდა ცემა. ერთხელ აქედან გავიქეცი, გავიქეცი რა, მანქანას მართმევდნენ და წავედი ვითომ ორჯონიკიძეში და ერთი თვე დავრჩი, რაც ფული მქონდა, იქ შევჭამე და ჩამოვედი ისევ უკან, იმიტომ რომ ვერ გავძელი. მცემეს, რად გარბიხარო, გაიგე... ე, მაგიტომ, მაგიზე მცემეს... მე ვუთხარი, კაცო, ვაა... მა რალა ვქნა, რა გავაკეთო, მერე იქიდან რომ მოვდიოდი, ჩვენ სოფელს ქვია სარიბარი და სარიბარი არის რუსულად თავისუფლება გაიგე და... რომ მოვდივარ იქიდან რუსი ტამოყნიკები..

იცვი, როგორ ითარგმნება სარიბარი? თავისუფლება... თავისუფლება, რა... აი, თავისუფალი ვარ, რომ იტყვიან ხოლმე. ახლა იქიდან შემოვედი, პასპორტი გვინერა, ახლა აღარ ანერია, მაგრამ მაშინ ენერა რომ სარიბარი... პასპორტი ეგეთი. შემოვედი, რუსი ტამოყნია იქით, ტუნელში... ჩვეულებრივად, გამჩხრიკეს, წადი, თავისუფალი ხარ, წამოვედი, გამოვედი ამ ტუნელს გარეთა და უკვე ოსების პოსტია, ბუტკაა, ბუტკაში დგანან. რომ მეკითხება, აბა... ოსურად მეკითხება, სად მიდიხარ, ვინა ხარ, რა ხარ და ესე, ესე, ესე სარიბარი... რა სარიბარი, რის სარიბარიო, და პირდაპირ დამცხო. ავტომატით ისინი პადფარნიკები შეამტვრია. ჰო, ჩაგვყარეს, შეგვყარეს შიგნით... ეს გამსახურდიას დროს იყო. ჰოდა, შეგვყარეს, მთელი დღე გვაყურყუტეს მშიერი, ისა, ისა, ისა... წინა დღისითაც ხო არაფერი არ იყო, მთელი სუტკა წყლის გემოც არ ვიცით. სამნი ვართ, მერე ბოლოს ერთი ღვთისნიერი კაცი გამოჩნდა, ერთი მოხუცი კაცი, რა ვიცვი, ამ ტერიტორიაზე წამყოფი კაცი და რა არის, ეს ხალხი რათა გყავთ აქაო და ესენი ბლატნოები არიანო, თავისუფლები ვართო და კიდევ ბლატაობენო, გაიგე... ეს ქართული ისინი... გამსიკებს გვეძახდნენ ჩვენ, ქართველი გამსიკებიო... გამსახურდიას გვარის გამო... ვითომ ოსები და გაქართველებულებიო, ესეთ პონტში... გამსიკა, გამსიკა... გამსიკები არიანო, გამსიკებს გვეძახდნენ ჩვენა... აი, ისე მეჯავრებიან ახლაც ასეთი ტიპი ხალხი. ასე გვაყურყუტეს, გვაყურყუტეს, მერე ამ კაცმა უთხრა ესენი მართლა სარიბარელები არიან, გაუშვით ემ წუთში და პური აჭამეთ და ისე გაუშვითო. რა პური უნდა აჭამოო კაცო? მე ვუთხარი როგორმე აქედან გავასწრო და ცხინვალისკენ კი აღარ წამოვედით, ისევ უკან წავედით. ცხინვალში რომ ჩამოვსულიყავით, ოსები მაინც შეგვჭამდნენ ჩვენა, იმიტომ რომ ძან ვეჯავრებოდით და... ეს ჩვენ ისეთ დროს მოვდიოდით ხოლმე, რომ.. აი, წინაგარამი... სამშვიდობო ბეტეერი რომ აცილებდა ხოლმე, იმათ გამოვყვებოდით ხოლმე და აქ ჩამოვიდოდით, მერე აქედანაც ისე გავყვებოდი, წახვიდოდი... თუ მაასწრებდი და წახვიდოდი... თუ არა და, თუ ცხინვალში პატარა ბიჭმაც დაგიჭირა, ჩათვალე, რომ მანქანიანადვე დაკარგული იყავი... ეხლა მომავალი... მშვიდობა უნდა გვქონდეს ისევ..... ნელ-ნელა, ნელ-ნელა ისევ დამაკაცდებიან, ახლა იმდენად არც უნდა გავალიზიანოთ... იმიტომ რო, არც აქედან არ უნდა იყოს ლაპარაკი, რო, არიქა, ოსი შეგჭამს, და არც იქიდან, ქართველი შეგჭამსო. ჰო, აღარც გვინდა იმათზე ლაპარაკი. მაშინ რა ერქვა, გამსახურდიას დროს, არაფორმალები, ეგენი მოდიოდნენ, ართმევდნენ ოქროულს, მანქანებს, იმეებს, იმეებს, იმეებს. ვსო, ეგეთი რალაცეები იყო ცოტ-ცოტა, მოხდა რალაც-რალაცეები, დანარჩენი არავისგან შენუხებულები ჩვენ არა ვართ, სოფელი ისევ თავის ადგილზე ვართ ყველა. ეგ არის, რომ ახალგაზ-

რდობა, გაიქცა, წავიდა, სამუშაო რომ არ არის, წინ რომ არ მიდინახარ. აი, ჩვენა ვართ დარჩენილები და მეც ამოდენა სახლები და ისინი როგორ დავტოვო, თორემ რა მინდა აქ? წადი ქალაქში სადღაც... აი, კოოპერატივი მაქვს გახსნილი, ქვეყანა ფულია ჩადებული, მერე მივდივარ და უკვე წავიდა აფერისტულად... ერთი შვიდი კაცი ვართ გაერთიანებული, თავმჯდომარედ მე დამაყენეს ვითომ. მაგრამ რის თავმჯდომარე ვარ, მე თვითონაც არ ვიცი,... აი, იყო ხო მომენტი, მთელი სოფელი გადავიდა წვეთოვანზე, თავის დღეში მე ამ სოფელში, კომუნისტების შემდეგ მე აქ წყალი არ მინახია. საერთოდ ვყიდულობთ სუყველაფერს, პამიდორსაც... სუყველაფერს, პროდუქტზე ყოველთვის გორში მივდივართ და მოგვაქ. წელსა, აქედან მიაქვთ პამიდორიც და ბოსნეულიცა და ისიცა და ისიცა... ცოტა ხელშეწყობა რომ იყოს, სოფელი თავსაც გამოკვებამდა და სხვასაც. შრომა უყვართ აქ სუყველას. სუყველა... მარტო ერთი გაუშვი და მთელი დღე ამუშავე რა...

თუ ხელშეწყობა იქნება, დაბრუნდება აქ ხალხი, აბა არ დაბრუნდება? დაბრუნდება, რატომ არ დაბრუნდება, ახლა ჩემ ბავშვებს რომ უთხრა... აი, აქა რომ ამოვლენ, რა ვაკეთო და რა ვაკეთო და... ხან შეშას ვაჭრევიანებ, ხან, რა ვიცი, აი, მანქანას ორჯერ გავარეცხინებ, რომ რალაცით გაერთოს რა.. სულ რა ვაკეთო, რა ვაკეთო, იმას გაიძახიან, მერე გარბიან... ეჰ, მშვიდობა გვექნება, ჩვენც ვიქნებით, სუყველას ვუსურვებ, მშვიდობიანად ეცხოვროთ და წინ ხალხი თვითონ წამოვა მერე. მთავარია მშვიდობა გვექონდეს..

* * *

ნ. ბ. კარალეთის დევნილთა დასახლების მცხოვრები

დავიბადე მაშინდელი ცხინვალის რაონის სოფელ ერედვში, განთლება მივიღე ერედვის საშაულო სკოლაში. წარჩინებით დავამთავრე სკოლა, იმავე წელს ჩავირიცხე ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე. რა თქმა უნდა, წარმატებით დავამთავრე ინსტიტუტიც, მუშაობა დავიწყე ერედვის რვანლიან სკოლაში პიონერხელმძღვანელად და მოდიოდა და მოდიოდა წარმატებები, ჩემი კეთილსინდისიერი მუშაობის ხარჯზე. კომკავშირის თუ პარტიის ყრილობების უწყვეტი დელეგატი ვიყავი. ოლქის სახელით სიტყვაში გამოვდიოდი ყრილობაზე. მაქვს საკავშირო, რესპუბლიკური, საოლქო, რაიონული სიგელები, დიპლომები. თავის ქებაში თუ არ ჩამომართმევ, მაშინ ერთ-ერთი თითით საჩვენებელი აქტივისტი ვიყავი, არა მარტო რაიონში, ოლქშიც და მთელი ოლქის ხელმძღვანელობა მიცნობდა. რა საჩუქრები, რა ჯილდოები, ტელევიზია თუ რადიო – სულ მე მახსენებდნენ და მე მაჩვენებდნენ. ზოგიერთს მწველავი ვეგონე თურმე, ასე ხშირად რომ მაცხადებდნენ...

ძალიან კარგი მეუღლე მყავდა, დამსახურებული მასწავლებელი, სამი შვილი მყავს. ქალიშვილი გათხოვილი მყავს, ერთი ვაჟიშვილიც დაქორწინებული, ერთი დასაქორწინებელი. მეუღლე 88 წელში გულის ინფარქტით გარდაიცვალა მოულოდნელად. იყო არაჩვეულებრივი ადამიანი, არაჩვეულებრივი მასწავლებელი, მისი ნამონაფრები დღესაც გვენათესავეებიან ოჯახში და სადაც იტყვიან, ჩემი შვილები ვისი შვილები არიან, მწვანე გვაქვს ანთებული. ნუ, გავიარე ბევრი კარგი წლები, ღირსების ორდენით ვარ დაჯილდოებული, მოსწავლე-ახალგაზრდობის საქმეში გამარჯვებისთვის. მასწავლებლის სამკერდე ნიშნით ვარ დაჯილდოებული, რაღაცა წლები საბავშვო ბაღის გამგედ ვიმუშავე და იქ მუშაობისათვის აღმზრდელი მეთოდისტის საპატიო წოდებაც მომენიჭა. ნუ, სიგელებსა და დანარჩენ ჯილდოებს ნულარ იტყვი. რაღაც მხატვრული ფესტივალის ლაურეატიც ვარ, საქართველოს მწერალთა კავშირის ცხინვალის განყოფილების წევრი, 98 წელს მიმიღეს, მე ვწერ... ვწერდი... უფრო სწორად, ვწერდი. წიგნებიც მქონდა ორი გამზადებული დასაბეჭდად, მაგრამ ყველაფერი დარჩა.ომის მეშვეობით დამეკარგა ყველაფერი, ისე, როგორც სხვა დანარჩენი... ნუ ისტორია დავკარგე, ვერც ერთი სურათი, ვერც ერთი ჩემი ჩანაწერი... ჩემი წარსულის ისტორია დავკარგე

და რაც შემომრჩა ზეპირ მეხსიერებაში, ეს არის ჩემი სიმდიდრე დღესდღეობით.

ვიმუშავე მერე... კარგი მუშაობისთვის... კონკურსში გავიმარჯვე განათლების სამინისტროში და რეგიონის განათლების განყოფილების გამგედ დავინიშნე. მერე გადაკეთდა საგანმანათლებლო რესურსცენტრად და ვიყავი რესურსცენტრის ხელმძღვანელი, იქიდან გადამიყვანეს სოციალური სამსახურის უფროსად გამგეობაში და მოვიდნენ მერე ნაციონალები და არასასურველი პიროვნებები და მაიძულეს და გამათავისუფლეს. იმის შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციებში ვმოღვაწეობ. „ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“, მშვიდობის მშენებელთა რიგში ერთ-ერთი აქტივისტი მეც ვარ იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობაში“, ხუთი წლის განმავლობაში გაეროში ვიმუშავე შიდა ქართლში ადამიანის უფლებების, ქალთა უფლებების დამკვირვებლად ვიმუშავე. ამჟამადაც ვარ და კიდევ აქტიურ მუშაობას ვეწევი.

უმძიმესი წლები იყო 90-იანი წლები. უფრო სწორედ, 90-ანი კი არა, 88 წლის ბოლოს უკვე, ნოემბრიდან უკვე იგრძნობოდა სუსხი, რაღაცეები ისმოდა უკვე, როგორც ჩვენი მხრიდან, ისე იქიდან და, ესე იგი, შეგრძნება უკვე დაძაბული გვქონდა. 89 წლის 9 აპრილმა ხო მთლიანად ჩაფარცხა, თუ რამე იმედი გვქონდა. ისეთი დღე იყო ეს 9 აპრილი, არასოდეს რომ არ დაგვაზინყდება და გავიღეთ მსხვერპლი დამოუკიდებელი ქვეყნისთვის, მაგრამ დღესაც ვერ ვგრძნობთ, რომ დამოუკიდებელი ქვეყანა ვართ – რისთვის ამდენი ზვარაკად შეწირული ახალგაზრდა სიცოცხლე?

ნუ, გართულდა სიტუაცია 90-ან წლებში, დაიწყო მოკვლა ერთმანეთში. მახსოვს, რაიკომის წინ როგორ ჩაცხრილეს მანქანაში გუნდიშვილი, კიდევ სომხიშვილი, მერე კიდევ ერთმანეთი. აი, ისე გამოდიოდა, თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ... ქართველი მოკლავდა... ოსი მოკლავდა ქართველს, მერე ქართველი ოსს, მერე სამაგიეროს უხდიდნენ და დაიძაბა და დაიძაბა მას შემდეგ სიტუაცია.

91 წლამდე ჩვენ ისევ ცხინვალის რაიონს ვეკუთნოდით, ეს კეხვში ვლაპარაკობ უკვე. დიდი ლიახვის ხეობაში ვცხოვრობდი. განათლების განყოფილებასთან. მე განათლების სისტემის მუშაკი ვიყავი და განათლების სისტემასთან საქმე გვქონდა ისევ ცხინვალში, ცხინვალის განათლების განყოფილება იყო და მისვლა და მოსვლა, მაგრამ 91 წლიდან შეწყდა ჩვენი ურთიერთობა. რატომღაც დაგვენერა მერე გორის რაიონი და სად იყო ჩვენი მისასვლელი ვეღარ ვიგებდით იქ თუ აქეთ, ხალხი იყო დაბნეული.

90-იანი წლებიდან მოვდიოდით მთელი 18 წელიწადი, ვიდრე 2008 წელი მოვიდოდა, მანამდე... ეს ცხინვალში მაცხოვრებელი ქართვე-

ლები უკვე გამოსულები იყვნენ, ერთიც აღარავინ იყო დარჩენილი და 2008 წლამდე 18 წელიწადი კბილებით რომ შევინახეთ ქართული სული და ვებლაუჭებოდით ქართულ იურისდიქციას, რომ შეგვენარჩუნებინა და ასეც იყო, მედგრად ვიდექით დიდი ღიახვის ხეობაში და პატარაშიც. მაგრამ განსაკუთრებით დიდი ღიახვის ხეობაში, რადგან ჩვენ გასასვლელი არსაით არა გვექონდა და ცხინვალზე გაცილებით რომ დავდიოდით, (ერთი პერიოდი სამშვიდობო ძალები ჯავშანმანქანებით აცილებდნენ ქართველებს ცხინვალში გადაადგილებისას), მიგვაცილებდნენ და მოგვაცილებდნენ. მიუხედავად ყველაფრისა, აი, ერთი ღამე მშვიდად არა გვძინებია. არიქა, იქიდან სროლები... მაგრამ ეს პანიკური შიში უარესს უშვებოდა ადამიანებს. არიქა, დაგვესხნენ, არიქა ასე... დავრბოდით, მივრბოდით, ბავშვებს დავარბენინებდით ხან მეზობლების სახლში და ხან სადღაც. ესე უბედურებით გავატარეთ, მაგრამ მე მაინც კმაყოფილი ვიქნებოდი, ესე შეგვენარჩუნებინა... შეგვენარჩუნებინა ჩვენი მიწა-წყალი, ტერიტორია შეგვენარჩუნებინა და გაგრძელებულიყო ისევ ასე... აი, ამ პროცესებით.

ერთ ამბავს გავიხსენებ ეხლა. ცხინვალში ღირა კოზაევა-ცხოვრებოვა აკეთებდა პროექტს, სადაც აუცილებლად ჩართული უნდა ყოფილიყვნენ ქართველი ბავშვები და ქართველი ქალები – ქალთა კლუბი იყო. ღირა კოზაევას ინფორმაცია ჰქონდა, რომ მე ვიყავი ექსტრემისტი და ოსებს ვებრძოდი. ღირამ არ იცოდა, რომ ჩემი შვილი ცხოვრობდა ცხინვალში და ერთხელაც უთქვამს, რომ მე უნდა მივიდე... მაშინ განათლების განყოფილებაში ვმუშაობდი გამგე ვიყავ და მოვიდა. ეზოში დავინახე ოსების მანქანა შემოვიდა... პირდაპირ ჩემი სახელი და გვარი იკითხა, მოვიდა... ისე შევხვდი, რო, როგორც, აი, დაკარგულ ძმას შეხვდე ომიდან დაბრუნებულს. ძალიან კარგად, ბრწყინვალედ და ქალი გაოცდა, რა მითხრესო, როგორ მითხრესო, მას შემდეგ ჩვენ უკვე ხაზები გავაბით ერთმანეთთან, საკვირაო სკოლაშიც მონაწილეობდნენ, 15 ბავშვი დამყავდა ცხინვალში. კვირაობით ჩადიოდნენ. ოსი ბავშვები, ქართველი ბავშვები, პირველად გაურბოდნენ ერთმანეთს, მაგრამ მერე ისეთი ურთიერთობა დამყარდა, შეიყვარეს კიდევაც ერთმანეთი. ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ... აი, ჩვენ ისე ვმუშაობდით, ღირა თავის ბავშვებთან, მე ჩემ ბავშვებთან, რომ ბავშვებს არა ჰქონდათ არანაირი სურვილი, ერთმანეთი შესძლებოდათ.

მე ეხლა პროფესიითაც აღმზრდელი ვარ, პედაგოგი ვარ და ბავშვის სულს მე ვერ დავამახინჯებ, არც უფლება მაქვს და არც სულით არა ვარ მოწოდებული. ბავშვებს მერე შეუყვარდათ ერთმანეთი, მინერ-მონერაც გააჩაღეს და ტელეფონით დარეკვა ერთმანეთში... ნუ, ძალიან კარგად ჩატარდა ეს საკვირაო სკოლა.

საკვირაო სკოლაში სწავლობდნენ ინგლისურს, ქართულ და ოსურ ტრადიციებს, გენდერს, ხატავდნენ ბავშვები, წერდნენ – სამოქალაქო განათლებას ვაქცევდით უფრო ყურადღებას და ურთიერთობის, ნდობის აღდგენა იყო... ლაიტმოტივად გასდევდა ჩვენს მუშაობას ეს საკითხი.

90-იანი წლების ბოლოს შერბილდა ეს ვითარება, თითქოს დაინყეს ადამიანებმა ერთმანეთთან უერთიერთობა. ღირა კოზაევა აწყობდა შეხვედრებს, კოკოითანაც იყო შეხვედრა. გვინვევდნენ ქართველ ქალებსაც, ამ შეხვედრებზე ოსებიც დადიოდნენ და ყველას აზრი ვიცოდით. მერე, როცა ბაზარი გაიხსნა, ურთიერთობა დარეგულირდა ისეთ დონეზე, იმ დონეზე დავახლოვდით, ისე მივედით ერთმანეთთან, გაჩაღდა ქორწილები ერთმანეთში, მისვლა, ნათლიაობა, ნათესაობა, ჩასვლა, ამოსვლა, ბაზარი – ყველაფერი... რა წუთსაც მოვიდა ნაციონალური ხელისუფლება სათავეში, მას შემდეგაიმღვრა წყალი.

2004-ში ბაზარი დაიხურა. დაძაბული სიტუაცია, უარესად დაიძაბა, სანაკოვეის (დიმიტრი სანაკოვეი, სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის მეთაური. საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილი ადმინისტრაცია დიდი ლიახვის ხეობაში 2006 წელს) მთავრობის იქ ჩამოყალიბებით. უკეთესი იქნებოდა, რომ, თუ მაინცდამაინც აუცილებელი იყო, ქურთაში წუ განთავსდებოდა, იმიტომ, რომ ჩვენ სანაკოვეის მოსვლის მერე ტყეზე ნადირებევით მოგვინია სიარულმა და 40 კილომეტრს გავდიოდით... იყო ტრანსპორტი, ჰო, კარგი, მოვდიოდით, როცა არ იყო და თოვლსა და ყინვაში გვინვედა სიარული. წარმოიდგინე, რომ ოჯახი გვაქვს, ეს გვჭირდება, ის გვჭირდება და არსად წასასვლელი არ არის და ფეხით რომ გვიხდებოდა იმხელა ტყეებზე სიარული და რა საშიში იყო, განსაკუთრებით ზამთარში. ზაფხულშიც გვეშინოდა, მართალია, შეფოთილი იყო ტყე, მაგრამ ვინ საიდან გადმოგვიხტებოდა კაკო ყაჩაღივით, სულ იმის მოლოდინში ვიყავით.

და აი, დადგა 2008 წელი, ჩვენ ვერ შევძელით, გამოგვეყენებინა სიბრძნე სიბრყვის წინააღმდეგ. ეს ვერ მოვახერხეთ, ჩვენდა სამწუხაროდ. პირველი აგვისტოდანვე უკვე აფორიაქდა საზოგადოება, ტელევიზორს, რაღაც საიმედოს გასმენინებენ.. არადა, გვესმის რომ... ჩვენთან ეხლა ცხინვალზე ჩავრთავდით და...ხელმისაწვდომი იყო ჩვენთვის ცხინვალის ტელევიზია და რადიო და – ბავშვები გაყავთ, ქალები გაყავთ, რა ხდება? შვილს ველარ ვუკავშირდები. ერთი-ორჯერ დავურეკე, აქა ვართ ცხინვალშიო, თავს გაუფრთხილდი-მეთქი, ვეძახდი, ის მეუბნებოდა, თავს გაუფრთხილდიო. (ქალიშვილი ცხინვალში ჰყავს გათხოვილი. ომის დროს დედა-შვილი სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდნენ)

რალაცა კანტა-კუნტად დადის ხალხი სოფელში, ჩვენც შევიმალეთ, ჩემი შვილი (ვაჟი) აქეთ ცხოვრობდა(გორში), მაშინ არა მუშაობდა, მაგრამ აქეთ იყო და რა ნუთსაც დაიძაბა სიტუაცია, პირველში უკვე გადმოვიდა და მე კი ვუთხარი რალა ეხლა გადმოხვედი-მეთქი, აქედან გარბიან იქით და... მე არავის არ მივცემ საშაულელებს რომ თქვან, რომ დამალული ვიყავი და არც დავიმალებიო, სადაც ჩემი ხალხი, მეც იქ უნდა ვიყო და ორ-ორი ვაჟკაცი ბიჭი... როგორია ახლა, დედა ვარ და თვალი მიჭირავს მიმინოსავით ამათზე, რომ არაფერი შეემთხვათ. შევიმალეთ ჩვენი მეზობლის დაცემენტებულ მარანში, შევიმალეთ და აქა ვართ... ადამიანის შვილის ჭაჭანება არ არის, თურმე ხალხი გამორბის, გამოდიან აქეთ, გამოაქვთ ვინც რას მოასწრებს და მე არ ვიცი, რა ხდება.

ერთი ოთხი ვართ იქა. ჩემი ორი შვილი, მე მესამე და კიდევ ერთი 4 ოჯახის რამდენიმე წარმომადგენელი და რა ხდება ვერ ვიგებ, არავინა არაფერი არ იცის, ვის რა ვუთხრა, არადა, სოფელი ცარიელია. ჩემს პატარა ბიჭს მანქანა ჰქონდა და ჩავჯექით, თერთმეტნი ჩავსხედით მანქანაში და მოვდივართ ისეთი სისწრაფით...

ამ დროს უკვე იბომბება სოფელი, იბომბებოდა ...შუადღე იყო და თურმე შესვენება იყო გამოცხადებული და ამ დროს მოვასწარით, ჰო არ ვიცოდით... წამოვედით, რომ ან გადმოვიდოდით, ან არა და არაფერი არ წამოვიდეთ კი არა, ჩემს სახლში აღარ შევსულვარ. ერთი მოვახერხე, გავიქეცი და ეზოდან დავუწყე ყურება, ვაითუ ვეღარ მოვიდე-მეთქი და დავიმახსოვრო მაინც, არ შევედი, რომ რალაცა წამომელო, სურათები მაინც, საბუთები წამომელო მაინც, რა იქნებოდა...

ჩავსხედით მანქანაში წამოვედით, მოვდივართ, ამხელა სოფლები, ქურთა გამოვიარეთ, აჩაბეთი გამოვიარეთ, უნდა ამოვუხვიოთ ახლა ხეთისკენ მიმავალ გზაზე და ადამიანის შვილი არ არის, თერთმეტნი ვზივართ, წამოვედით, ნვერიახოს რომ ეძახიან, იქ რომ მოვედით, აღარც პოსტებია, აი, სულ დანგრეულია ყველაფერი ადამიანის შვილი არა ჩანს...ერთი კაცი მორბის ქვემოდან ზემოთ, აქეთ მორბის, ჩემმა შვილმა დაუძახა, სად მიდიხარ იქით... გატრი-ალდი უკანო... და აი, ასე რომ ჩამოვედით ერედვში, იქ დიდი ამბავია, სროლები, უბედურება, ... ერედვიდანაც ასე სიმწრით გამოვიქეცით, გორში ჩამოვედით და დავრჩით მე და ჩემი შვილი გორში, დედაჩემი და ჩემი ძმა დარჩენილან ერედვში... ღამის სამ საათზე წავიდა ჩემი შვილი და როგორია, ახლა გაგიძლოს გულმა, ერედვში ვაგზავნი გაგანია ომში... ავიდა და დასვა დედაჩემი, ჩემი ძმა არ წამოყვა, დარჩა იქა და... დედაჩემი როგორც იყო, წამოიყვანა, არც დედაჩემი მოყვებოდა, მაინც წამოიყვანა.

ვიყავით გორში და ვცხოვრობდით, კულტურის სახლი რომ არის, იმის წინ მეოთხე სართულზე და იქ ჩამოვარდა კულტურის სახლის წინ პირველი ბომბი, სულ დაიმსხვრა ყველაფერი და ჩვენც შეგვეშინდა, გამოვიქეციით იქიდან და მეორე სართულზე ჩავედით და ცხოვრობდა მოხუცი ოსი კაცი. იმან თქვა, ნუ გეშინიათო, მე მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ვარ და მეტი აღარ იქნება აქაო და ნუ გეშინიათო. ერთი – ორი დღე გავჩერდით გორში და მერე წავედით თბილისში. ეს იყო და ეს. წავედით, არაადამიანურ პირობებში რომ გვიხდებოდა ყოფნა...

კონფლიქტის ფასზე მეკითხებით და რას ვიტყვი, იცით? დღევანდელი გადასახედიდან, ახლა რაც დრო გადის, წლები წლებს ემატება და მიდის, უფრო ღრმად ვუკვირდები და ღრმად იდგამს ფესვებს ის დანაკლისი რაც... მე არ ვლაპარაკობ ეკონომიკურ დანაკლისზე, არავითარ შემთხვევაში მატერილური... მე ვდარდობ ჩემს მიწას, რეგიონს ვდარდობ და საქართველოს იმ ძირძველ კუთხეს ვდარდობ... არ მაინტერესებს სახლი და ბევრი რამე, ის უკვე ჩემი აზროვნებიდან ამოვიღე, არ არის. ვდარდობ იმ სიშორეს ყველაზე ახლობელთან ყველაზე შორეულად რომ ვგრძნობ თავს, ეს არის სულის ტკივილი, სულის ტრამვაა ეს და ასე არ უნდა იყოს.

ეხლა არის 21-ე საუკუნე, ვიცი, ორი დიდი ზესახელმწიფო ერთმანეთს ედავება პირველობაში, ხო? აქ ადამიანები არ უნდა იყვნენ მსხვერპლნი, ამათი სურვილის დაკმაყოფილების მსხვერპლი ჩვენ არ უნდა ვიყოთ ადამიანები. დედას უნდა ჰქონდეს უფლება, შვილთან მივიდეს და შვილსაც უნდა ჰქონდეს, ასევე დებს და ძმებს... მე მარტო არა ვარ, ერთი არა ვარ, რომელიც ამ ტკივილს განვიცდი, ძალიან ბევრნი არიან, უამრავი, მშობლები იქით ჰყავთ, თვითონ აქეთ არიან, ან პირიქით, და ამდენი ადამიანის სულის ტკივილი, ეს არის ადამიანების უფლებების უხეში დარღვევა და მე არ ვეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ ადამიანის უფლებები დაცულია, ქალის უფლება არ არის დაცული. ჩემი უფლება არ არის დაცული, დარღვეულია ჩემი უფლება, როგორ უნდა ვთქვა, რომ არის, როცა შვილის ნახვა... ცხრა წელიწადი უნდა გავიდეს სადაც არის და შვილიშვილი არ მინახია. ეს არის ჩემი უფლების დაცვა? არა.

იცით რა, სიძულვილით საქმე არ კეთდება, სიძულვილი სპობს, ანადგურებს, შლის და ანგრევს. სიყვარული, თუ მაქვს, სიყვარულის სიყვარული უნდა ვიცოდე, რომ მე მიყვარდნენ ისინი და მე ეს ვიცი. მე მიყვარს ოსი ერის წარმომადგენლები, მე ადამიანები მიყვარს. განა მარტო ჩემი შვილები მიყვარს და შვილიშვილები. მე ყველანი მიყვარან... იმათთან დავიბადე... მაგალითად იუზა ტატთაევა, რომელიც იყო სასკოლო კომკავშირის რაიკომის მდივანი და

მთელი პიონერული წლები... ლამის 13 წელი ვიყავი პიონერხელმძღვანელი და მე მინდა გითხრა, რომ ორგანიზაციულად, როგორც ორგანიზატორი ამ ქალმა გამზარდა მე. და ჩემნაირები, ათასობით გაიზარდნენ მის ხელში და მე მასთან მინდა შეხვედრა და მასთან მინდა დიალოგი. ის თანახმაა, გამოვიდეს აქეთ და კიდევ სხვა თანამშრომლები მაშინდელი მოვიდნენ, ის ძველი აქტივისტები შევაგროვო და ჩვენ ვილაპარაკოთ წარსულზე, წარსული შობს მომავალს. ვისაც წარსული მივიწყებული აქვს, მას მომავალი არ ექნება და არცა აქვს.

მე, საერთოდ, ოპტიმისტი ქალი ვარ..., აი, მინდა გითხრა, რომ ვარ გამოუსწორებელი ოპტიმისტი და მჯერა, კვლავ აყვავდება ჩვენს ხეობაში ალუჩა და ნუში, კვლავ აყვავდება ქართულ-ოსური ურთიერთობა, სხვანაირად არ შეიძლება. როგორც ცხვირი პირს ვერ მოცილდება, ქართველები და ოსები ისე ვერ მოვცილდებით ერთმანეთს, იმიტომ, რომ მსოფლიოში ორი, ასე მონათესავე და ერთმანეთში გადაჯაჭვული ერი იშვიათია. აი, რვიანებია... რვიანია ჩვენი და ოსური ურთიერთობა რომ არ გაიყოფა და ვერ შეველევიტ ჩვენ ერთმანეთს, რა ძალაც გინდა მოვიდეს, რა არაპოლიტიკური ნებაც გინდა იყოს, ჩვენ ხალხი ვერ შევიძულებთ ერთმანეთს... მე მარტო ჩემს შვილთან კი არა მაქვს სატელეფონო ურთიერთობა, ძალიან ბევრთან...

წყალი ნაკვალევს არ კარგავს და ჩვენი ურთიერთობა, ეს ისტორიული ურთიერთობა, საიდან მოვდივართ, ისტორიულად ძმები ვართ, მეგობრები ვართ. არანაირად არ შეიძლება, რომ არ აღდგეს და არ აღორძინდეს და აი, მე ჩემს გულში ვამბობ, რომ ვარ ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელსაც შემიძლია მივიტანო იმ მშენებლობაში... ქართულ-ოსური ურთიერთობების მშენებლობაში ისეთი აგური დავდო, რომელიც დაასრულებს-მეთქი და დაიწყებს და დაასრულებს ამ ურთიერთობების აღდგენას. ესე მგონია მე, ესე ვფიქრობ, რომ... აი, სულით, ხორციით ვარ მონადინებული, ესე არიან აქ ჩემი შვილები და შვილიშვილები. ვისა აქვს უფლება თქვას, რომ ოსი... ოსი რა... მე ეროვნებებით არ ვაფასებ ადამიანს. ადამიანში ვხედავ ადამიანს. თუ დავინახე ადამიანი, თავს ვანაცვალე. რა მნიშვნელობა აქვს ოსია, რუსია, თათარია, ვინ არი, რა არი, როგორ არი? ჩემთვის ეროვნებას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. მე გავიზარდე მაგათთან, ვცეკვავდი ინსტიტუტის ანსამბლში, ხელმძღვანელი ოსი იყო ოთარ სიუკაევი, ცხონდა იმის სული, და არანაირი ზენოლა და რალაც შევინროება მე მაშინ არ მიგრძვინია და ახლაც კიდევ მოდიან ისეთი ოსები, ძველი დროის ოსები, რომლებსაც არანაკლებ ჩემზე უნდათ, ისევ უნდათ ჩვენთან ურთიერთობა. იმას ვერავინ დამაჯერებს, რომ აი, ვეჯავრებით ოსებს ესე და ისე... ისე,

ნომერ პირველი პრობლემა ჩვენკენაც და იქეთაც განათლებაა. სამოქალაქო განათლების დონე დაბალია. და ისე ზოგადად, კლასიკური განათლების დონეც დიდად კარგი არ არის. ტოლერანტობაც იქითაც დაბალია, აქეთაც დაბალია. მე ეხლა არ ვეხები ყველას, რა თქმა უნდა, ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ, ძალიან დაბალი განათლების დონე გვაქვს და ყოველთვის ვარ მონადინებული, რომ ბევრი მუშაობაა საჭირო, ძალიან ბევრი მუშაობაა საჭირო, რომ ერთმანეთი უნდა დავარწმუნოთ, ერთმანეთი უნდა დავაჯეროთ და ერთმანეთის სულში უნდა გავაღვივოთ სიყვარულის გრძნობა... ეს ორი სიტყვა მიყვარს: „გენაცვალე“ და „სიყვარული“. ეს თუ არ არსებობს, დაღუპულია საზოგადოება, დაიღუპება ის ერი, ვისაც არ ეცოდინება, რა არის სიყვარული, ვისაც არ ეცოდინება სიტყვა „გენაცვალეს“ ფასი და მნიშვნელობა.

* * *

მ. მ. ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ დვანის მცხოვრები, 47 წლის

დავიბადე ქარელის რაიონის სოფელ დვანში და თავიდან, პირველი კლასიდან მეექვსე კლასის ჩათვლით დვანში ვსწავლობდი, ჩემს მშობლიურ სოფელში, ხოლო მეექვსე კლასის შემდგომ სწავლა გავაგრძელე ქალაქ ცხინვალის მეოთხე საშუალო სკოლაში, ვიყავი საბჭოთა არმიის რიგებში, სავალდებულო სამსახური გავიარე და ამის შემდეგ ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტი დავამთავრე, სადაც მომიწია სწავლა მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში, პირველი კურსი დავამთავრე და შემდეგ უკვე მოხდა ეს ეთნიკური კონფლიქტი, რომელმაც შემდგომში შეუქცევადი ხასიათი მიიღო და ამ დონემდე მიგვიყვანა დღევანდელი ქართველებიც და ოსებიც. ეს მოძმე ეთნიკური წარმომადგენლები.

საერთოდ, ზოგადად კონფლიქტი გაღვივდა და დაიწყო, განსაკუთრებით მძაფრი ხასიათი მიიღო... ეს იყო 90 წლის 23 ნოემბრიდან, მას შემდეგ, რაც ჯერ კიდევ არ იყო პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, აპირებდა მიტინგის ჩატარებას. აი... 23 ნოემბერი იყო, მახსოვს ზუსტად და 24 ნოემბერს დილით რომ გავიღვიძეთ, აღმოჩნდა, რომ მეზობელ სოფელში მუგუთში გაკეთებული იყო უკვე პიკეტი. ნუ რაღაც სპონტანურად გაკეთებული, რამდენიმე კაცის მიერ შექმნილი. ნუ, ამას მოჰყვა საპასუხო პიკეტი აქედან. აი, შემდგომში უკვე დაიწყო პიკეტების ეპოქა, ასე ვთქვათ. ნუ, ეს ჯერ კიდევ არ იყო გადაზრდილი მძაფრ დაპირისპირებაში. ჯერ კიდევ ხალხი როგორ იყო, იცი? აი, ფაქტიურად მაინც კანონის ეშინოდათ, ნაწილი უკვე გასული იყო, ნაწილი ისევ კანონს ექვემდებარებოდა და თანდათანობით იწყებოდა რღვევა კანონიერების და უკვე გადადიოდა ეთნიკური კონფლიქტის აქტიურ ფაზაში. და ამას თანდათანობით მერე უკვე მოჰყვა გამძაფრება აქედანაც, იქიდანაც – ორივე მხრიდან და ეს ყველაფერი უკვე მზარდი ხასიათის იყო, ფაქტიურად, მერე და ძალიან უარყოფითი შედეგების მომტანი იყო, რასაკვირველია, ორივე მხრისათვის, როგორც ქართული მხარისათვის, ისე ოსური მხარისათვის, იმიტომ რომ კონფლიქტს სიკეთე არასოდეს არვისთვის არ მოუტანია. და ირღვეოდა ის საუკუნოვანი რამ, რასაც ჰქვია ეს ნათესაობა, ის სიყვარული და ეთნიკური თანაცხოვრების ხანგძლივ პერიოდში ჩამოყალიბებული ურთიერთობები.

ქართველები და ოსები იყვნენ დანათესავებული ერები და ფაქტიურად ჩემს ბავშვობაში არასოდეს გამიგია, რომ ზღვარი ყოფილიყო – ეს ოსია, ის ქართველია და რაღაცა... და იყო ძალიან ბევრი, უამრავი შერეული ოჯახი და ფაქტიურად არაფერი დისკომფორტის მომ-

ტანი ეს ადრე არავისთვის არ ყოფილა. ზუსტად ამ პერიოდის შემდეგ აღმოჩნდა, რომ თურმე ბარიკადების სხვადასხვა მხარეს დგანან ეს ხალხი, რაც იყო ძალიან თავზარდამცემი ძალიან ბევრი ადამიანი-სათვის და თქვენ წარმოიდგინეთ ოჯახების რღვევაც კი დაიწყო. აი, ქართულ-ოსური ოჯახები რომ იყო, ცოლი და ქმარი რომ ეთნიკურად განსხვავებულები იყვნენ, დაფიქსირდა ასეთი შემთხვევებიც, რომ დაირღვა ესეთი ოჯახები პოლიტიკური ორიენტაციის ნიადაგზე. რასაკვირველია, ეს იყო ძალიან ცუდი და ნეგატიურის მომტანი, როგორც ქართული მხარისთვის, ისე ოსური მხარისთვის, როგორც აღვნიშნე.

ჩემს სოფელს შეეხო ისე, როგორც მაშინ რეგიონში არსებულ ყველა სოფელს... ისე შეეხო, ფაქტიურად ხალხის ცნობიერება უკვე გადავიდა რაღაცა გაუგებარ საომარ რეჟიმზე, ფსიქოლოგიურად ხალხის მდგომარეობა იყო უკვე უარყოფითად, ნეგატივით გაჟღენთილი, უარყოფითად განწყობილი. აქ ხალხმა პირველად დაინახა ამდენი წლის მანძილზე, მთავრობის უუნარობა რომ დაერეგულირებინა ეს კონფლიქტი და უკვე...აი... არ ვიცი... ნუ... აი... რაღაცა ხალხის მენტალური გარდაქმნა ხდებოდა თვალსა და ხელს შუა და ეს მენტალური გარდაქმნა არ იყო სულაც პროგრესული, პირიქით, ის იყო რეგრესული, იმიტომ, რომ ეს იყო ძალადობაზე, შურისძიებაზე, რევანშზე დაფუძნებული და ეთნიკურ ზიზღზე დაფუძნებული გარდაქმნა. საშინელება იყო. აი, ეს მაშინდელი ფესვები მერე შემდგომში თაობისათვის უკვე ძალიან ცუდად აისახა ადამიანის მენტალობაზე. ვაფიქსირებ, ორივე მხარეს.

ალტერნატივა მშვიდობას არა აქვს. ყოველთვის ვიტყვი ამ სიტყვებს, ამას ვაფიქსირებ ყველგან, რომ მშვიდობას ალტერნატივა არა აქვს... მერე სადღაც განელდა, შენელდა ეს კონფლიქტი და ამ კონფლიქტის შენელებას ხელი შეუწყო ოთხმხრივმა სამშვიდობო მანდატმა. დაგომისის ხელშეკრულება იყო, მგონი, და განელდა ეს კონფლიქტი... და ამის შემდეგ, როცა უკვე ვნებები ჩაცხრა, ხალხმა დაიწყო ფიქრი, ზოგადად გაცნობიერება იმისა, თუ რა ხდებოდა ამ ორ ეთნოსს შორის. ჰო, და ძალიან ბევრი, მართალია, კულუარულად, მაგრამ ძალიან ბევრი ადამიანი აღიარებდა, რომ ეს იყო უაზრო კონფლიქტი. კულუარულად იმიტომ, რომ არსებობდნენ რეაქციული ძალები, როგორც ქართულ, ისე ოსურ მხარეს, რომლებიც, აი, ამ ინფორმაციას ამკარად კეტავდნენ, რადგან აწყობდათ მათთვის კონფლიქტის გაღვივება.

და აი, ეს უბრალო ადამიანი, მშრომელი ადამიანები, რომლებიც უფრო ფართო სპექტრით იყვნენ ორივე მხარეს, ამ შემთხვევაში ჩუმად იყვნენ. იძულებით ჩუმად, რატომ... რადგან მათ არ შეეძლოთ, აი, თავისი აზრის დაფიქსირება. იმიტომ, რომ რეაქციული ფრთის ემინოდათ, ჰო, რეაქციული ნაწილის ემინოდათ, მაგრამ მთავა-

რი რაც იყო, ის იყო, რომ ხალხმა დაიწყო ფიქრი იმაზე, რომ ეს იყო უაზრო... უაზრო სისხლისღვრა, მსხვერპლი. დაიწყო ურთიერთობის ნელ-ნელა აღდგენა. ძირითადად პირველად დაიწყო უფრო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები, და დაიწყო ისევ იმ ძველი ნათესაური ურთიერთობების გახსენება – ნათლიაობა, ბიძაშვილობა და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. ნუ, გაიხსენა ხალხმა ისევ თავისი ნათესაური კავშირები და დაიწყო ძირითადად ეს ურთიერთობები. გაიხსნა გზებიც, თითქოს ის ვნებებიც ჩაცხრა, მშვიდობა დამყარდა, თითქოს იყო ის მომენტი, რომ შერიგებას წინ უკვე აღარაფერი აღარ უდგა, მაგრამ რატომღაც, სამნუხაროდ, გამოჩნდებოდნენ ხოლმე ის რეაქციული ელემენტები, რომლებიც იყვნენ ძალიან ცოტანი, იშვიათად, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ამინდის შეცვლა შეძლეს. გამოჩნდებოდნენ და იყო პროვოკაციული გამობტომები ორივე მხრიდან, ვაფიქსირებ. და ეს პროვოკაციული გამობტომები ისევ ხელახლა, ნუ აი, რუდუნებით ნაშენებ მშვიდობას ანგრევდა და ისევ იწყებოდა მშვიდობისათვის ბრძოლა და ეს პროცესი, აი, ასე გრძელდებოდა.

ძირითადად, შინაგანი რწმენა და შინაგანი მდგომარეობა ისეთი იყო, ხალხის უმეტესი ნაწილისა, რომ უნდა შერიგებულიყვნენ და მათი, აი, ფსიქოლოგიური მზაობა არსებობდა, ნუ, ამას ხელს უწყობდა, რასაკვირველია, ეს ერგნეთის ბაზრობაც და ეს ეკონომიკური ურთიერთკავშირი. თითქმის უკვე 2003 წლამდე. მე გავიხსენებ ჩიბიროვის პრეზიდენტობის პერიოდს, თითქმის აღარაფერი არ აკლდა, რომ ეს გაფორმებულიყო იურიდიულადაც, რომ რაღაცა სამშვიდობო ხელშეკრულებისთვის ხელი მოეწერათ და მქონდა იმედი, რომ ეს ყველაფერი ასე იქნებდა, მაგრამ, სამნუხაროდ, არ მოხდა ასე.

შემდგომ უკვე ეს მეორე ფაზა 2004-დან იწყება. ჩვენმა ქართულმა მთავრობამ დაიწყო ლაპარაკი იმაზე, რომ ერგნეთი არის შავი ხვრელი, ეკონომიკის შავი ხვრელი, ნუ აქ იყო დაუბეგრავი შემოსავლები და ასე შემდეგ, რაღაცა და დაიწყეს ლაპარაკი ერგნეთის ბაზრის დახურვაზე... ერგნეთის ბაზარი ფაქტიურად დაიხურა. ამას მოჰყვა შემდეგ დაძაბულობები, პროვოკაციები, ორმხრივი პროვოკაციები კიდევ და 2004 წლიდან მერე თითქმის კასკადი იყო დაძაბულობისა. აი, იფეთქებდა დაძაბულობა, რომელიც გადაიზრდებოდა ორმხრივ სროლაში, კონფლიქტში, სისხლისღვრაში, შემდეგ ჩაცხრებოდა, თითქოს გავიდოდა რამდენიმე თვე, თითქოს მშვიდობა დამყარდა მერე ისევ, 2005-შიც იყო, ექვსშიც, შვიდშიც, აი, ეს კერები დაძაბულობის. დაძაბულობის კერები კი არა, შეტაკებები იყო, რომელმაც სისხლი და მსხვერპლი მოიტანა და, ნუ, შემდეგ 2004 წლიდან იყო ის, რომ მივედით 2008 წლამდე.

2008 წელი... ეს არის ყველაზე საშინელი სიზმარი, რომელიც კი შეიძლება ადამიანს დაესიზმროს და ნახოს. 2008 წელს, ნუ როდესაც

დაიწყო ეს საშინელი ომი, სროლა... შვიდი აგვისტოდან გავედით, დავტოვეთ სოფელი იმიტომ, რომ აღარ შეიძლებოდა აქ გაჩერება. გავედით ნათესავებში და მთელი დაახლოებით ორი თვის განმავლობაში ვიყავით ნათესავებში გასული, შემდეგ, როცა უკვე ქართული პოლიცია შემოვიდა სოფელში და რუსულმა ჯარებმა ჩვენი ტერიტორია დატოვეს, სოფლის ტერიტორია, მაშინ შემოვედით საცხოვრებლად. შემოვედით და გაპარტახებული დავგვხდა სოფელი, ნუ საშინელ მდგომარეობაში. დაახლოებით 5 ათეული სახლი დამწვარი, გაანდგურებული, მიწასთან გასწორებული, გაძარცვული სოფელი, იყო მსხვერპლი, დახოცილი იყო ხალხი. პირადად ჩემი ბიძა, მამაჩემის ძმა მოკლეს ამ შეტაკებაში. რამდენიმე ადამიანი იყო დაღუპული უკვე, მსხვერპლი იყო... პირადად და ყველაზე მძიმედ კიდევ ის იყო, რომ მე ამჯერად მასწავლებლად ვმუშაობ და ჩემი ყოფილი მოსწავლე იყო გარდაცვლილი, რომელიც ამ დროს ქართულ არმიაში მსახურობდა, რომელიც ძალიან ვიტყვილე, რომ იტყვიან, ძალიან მტკივნეულად აღვიქვი მისი დაღუპვა. პატარა, თვრამეტი წლის ახალგაზრდა ბიჭის დაღუპვა, ჩემი სახლი არ იყო დამწვარი, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, აქ ჩემი და შენი რა გასარჩევია. ჩემი იყო იგივე, რაც სხვისი... და მე ვფიქრობ, რომ მთელი ამ კონფლიქტის განმავლობაში ოსურ მხარესაც დამწვარი, განადგურებული, მოკლული ადამიანიც ჩემი იყო და ქართულ მხარესაც. ეს იმიტომ რომ საერთოდ უაზრობა იყო ეს კონფლიქტი.

2013 წელს, შემდგომში, უკვე მოხდა ბორდერიზაცია რუსული რეჟიმის მიერ. აი, მამა-პაპათაგან დადგენილი საზღვრები დაირღვა ეგრეთ წოდებული საზღვრები ჩვენს სოფელსა და მეზობელ სოფელს... ოსურ სოფელს შორის, მუგუთს შორის არსებობდა საზღვარი მამაპაპითგან დადგენილი, აი ეს საზღვრები დაარღვიეს რუსულმა საოკუპაციო ძალებმა, ასე ვთქვათ, და, აი, ეს ქართული... სულ ჩვენი სოფლის მიწები მოაქციეს ეგრეთ წოდებული საზღვრის მიღმა.

პირადად ჩემი ნაკვეთიც, ერთი ჰექტარი ნაკვეთი მოექცა ამ საზღვრის მიღმა, დავრჩი ნაკვეთის გარეშე, სოფელში მოგეხსენებათ, სასოფლო-სამეურნეო სავარგულის გარეშე ცხოვრება გლენისთვის რას წარმოადგენს. და არა მარტო ჩემი, ნუ, დაახლოებით 70 ჰექტარი სოფლის ნაკვეთი მოექცა იქით. მოაქციეს თავისი მავთულხლართების იქით. მე ვფიქრობ, უკანონოდ ამ შემთხვევაში.

კონფლიქტის ფასი უზარმაზარია. უზარმაზარი ფასი გაიღო ყველამ. აქ ახლა პირადულზე უფრო ნაკლებად ვსაუბრობ, თუმცაღა, პირადულადაც გავიღეთ ფასი. პირადულად მე უფრო ფსიქოლოგიური ფასი გავიღე, ძალიან დიდი ტრავმა მივიღე. საერთოდ ყველაზე საუკეთესო რაც გამაჩნდა, ნუ საუკეთესო პერიოდი ცხოვრებისა – ახალგაზრდობა აი, ამ კონფლიქტმა შეინირა და ამ კონფლიქტზე

ნერვიულობამ შეინირა. მთელი ჩემი ცხოვრება მტანჯავს და ალბათ დამტაჯავს, სანამ ეს კონფლიქტი მოგვარდება, იმაზე ფიქრი, თუ რატომ დაიწყო ეს კონფლიქტი და როგორ უნდა დარეგულირდეს. ეს მე მგონი არის ყველაზე დიდი ფასი. ფასი იმდენად დიდია კიდევ, რომ ეს ჩემს ჯანმრთელობაზეც აისახა. გასულ ზაფხულს ინფარქტი გადავიტანე, გულის შეტევა მქონდა, კინალამ სიცოცხლესაც გამოვესალმე. მე ვფიქრობ... კი არა და, ალბათ ასეა, რომ ეს ყველაფერი იყო იმის შედეგი... აი, ამ მრავალწლიანი ნერვიულობის შედეგი, რასაც მთელი ამ წლების მანძილზე ვუყურებდი ჩემი თვალთ, განვიცდიდი, მტკიოდა და ეს, რასაკვირველია, ჯანმრთელობაზე აისახა.

რაც შეეხება ახლა მატერიალურ საფასურს, მატერიალური საფასური უფრო ნაკლებად სალაპარაკოა... მატერიალური საფასურია თუნდაც ის, რომ ჩემი ოჯახი დარჩა მიწის ნაკვეთის გარეშე, შემოსავლის გარეშე, ესეც მატერიალური საფასურია. მაგრამ კიდევ ვიმეორებ, ეს უფრო ნაკლებად სანერვიულოა, ვიდრე ის, რომ ჩვენ ორ მოძმეს შორის ასეთი ხიდჩატეხილობაა და აი, ყველაზე ძალიან მტკივა ის, რომ ჩვენი შვილები, ჩემი თაობის შემდგომი თაობა, ჩვენი შვილები, დაიზრდებიან ისე, რომ ცხინვალის ქუჩებში არსოდეს არ იქნებიან გავლილები და ცხინვალში დაიზრდება ის თაობა, რომელიც აქეთ, ჩვენსკენ, არ იქნებიან გავლილები და ისინი გაუცხოებულები იქნებიან ერთმანეთის მიმართ და მათ არ ეცოდინებათ, არც დაიჯერებენ, რა სიტბო და სიყვარული, არსებობდა ოდითგანვე ქართველებსა და ოსებს შორის. მე, მაგალითად, ძალიან მტკივა ის, რომ ჩემი სკოლა დაინვა, მეოთხე საშაულო სკოლა (ცხინვალში). საუკეთესო მოგონებები მე ჩემს სკოლასთან მაკავშირებს. და მე ჩემს სკოლაში ველარ მივალ ვერასდროს და ვერ გავიხსენებ ჩემი ბავშვობის საუკეთესო წლებს. ეს საფსურია... უდაოდ საფასურია, ხო?

და ცალმხრივი და ტენდენციური რომ არ ვიყო, ვიტყვი, რომ ასეთივე საფასურის გადახდა მოუწია მეორე მხარესაც, იმიტომ, რომ მე დარწმუნებული ვარ, ძალიან ბევრი ადამიანი ზუსტად ისე ფიქრობს, როგორც მე ვფიქრობ და ისინიც ფიქრობენ, რომ მშვიდობას ალტერნატივა არა აქვს. ეს საფასური უზარმაზარი იყო, ორივე მხრიდან გაღებული. ომს ძალიან დიდი მუცელი აქვს და, აი, ომის მუცლის ამოსავსებად ძალიან დიდი საფასურის გადახდა მოუწია, როგორც ქართულ, ისე ოსურ მხარეს.

ომამდე, საერთოდ... ქართველი და ოსი და რუსი – არ არსებობდა ასეთი დაყოფა და დიფერენცირება, რომ ის ქართველია, ეს ოსია. ძალიან კარგი ურთიერთობა გვქონდა, ნუ ეხლა მეოთხე სკოლის წინ, მეორე სკოლა იყო და იქავე მეორესკოლელებთან ძალიან კარგი მეგობრული ურთიერთობა მქონდა. ასევე კარგი ურთიერთობა მქონდა მეექვსესკოლელებთან და, საერთოდ... ახლა მეზობლები

გვყავდნენ ოსები... შემდგომში ერთი წელი, „ელექტროვიბრომანქანაში“ ვმუშაობდი, თანამშრომლები მყავდა ოსები, და შესანიშნავი ურთიერთობები გვქონდა, რა. არ იყო მაშინ რაღაცა, აი, ეს არავითარი დაპირისპირება. უბრალოდ, ახლა ვფქირობ, რომ საერთოდ ამ ურთიერთობების დანგრევა არ ვიცი, რა ძალა იყო ისეთი, რომ ეს ურთიერთობები დაანგრია. წესით, არ უნდა დანგრეულიყო ეს ურთიერთობები. და შემდგომ, კონფლიქტის შემდგომ, რა ვიცი მე... უკვე არ გვქონია ეს ურთიერთობები.. განწყდა, რასაკვირველია.

ამჟამად ვცხოვრობთ სოფელში, და გარშემო არის, სოფლის გარშემო, აი, ეს მავთულხლართები. მავთულხლართები... რა ვიცი ეხლა... ხან გვგონია, რომ სადღაც გეტოში... სადღაც... შემოღობილ კოლონიაში ვართ. არ ვიცი ახლა, მე ასე მგონია, რომ ახლა ამ ორი ერის ნათესაობას, სიყვარულს იმ ფესვებს ეს რკინის მავთულხლართები ვერ განაცალკევებს. მოვა დრო, როცა მავთულხლართები ჩაიჭრება და ქართველები და ოსები ერთმანეთს ისევ გადაეხვევიან და გადაკოცნიან და დაივიწყებენ იმ ავბედით წარსულს და ერთმანეთს ისევ გაულებენ გულს და ერთად იცხოვრებენ, ასე რომ ვთქვათ.

ამჟამად ვმუშაობ პედაგოგად და ვცდილობ, ჩემ აღსაზრდელებს, ბავშვებს ყოველთვის ვუთხრა და ყოველთვის შევაგნებინო ის, რომ ძალადობა და ომი არის საშინელება, და ვცდილობ, რომ არასოდეს არ იფიქრონ, რომ ვიღაცა მათი მტერია. მათი მტერი იქნება ის, ვინც მოუწოდებს მათ ძალადობისა და ვიღაცის სიძულვილისკენ და მათ სხვა მტერი არავინ არ ეყოლებათ, არ შეიძლება, ადამიანი იყოს მტერი რაღაცა ეთნიკური ნიშნით, ან რაღაცა პოლიტიკური ნიშნით.

მომავალს ვუყურებ ისე, რომ დარწმუნებული ვარ, უბრალოდ დროის ამბავია, რომ ქართველები და ოსები ისევ ერთად იცხოვრებენ. შედეგება დიდი კონსესუსი, აუცილებლად. მაგრამ ამას უნდა დრო, რასაკვირველია, ამას უნდა პროგრესულად მოაზროვნე ხალხი და ალბათ მივა ის პროგრესულად მოაზროვნე ფრთა, ნაწილი ორივე მხრიდან იმ კონსესუსამდე, რომელიც მერე მთლიანად ერებს ნაიყვანენ, აი, ამ საერთო-საყოველთაო შერიგებისკენ, შეიძლება ამაში დიდი როლი ითამაშოს ეკლესიამ, შეიძლება წამყვანი როლი ითამაშონ არასამთავრობოებმა, შეიძლება ჟურნალსიტებმა. შეიძლება ამაში დიდი როლი თვითონ ეკონომიკამ, სავაჭრო ურთიერთობებმა ითამაშონ. ნუ, არ ვიცი, ყველა გზა უნდა მოვსინჯოთ, აუცილებლად ყველა ნაბიჯი უნდა გადაიდგეს, ვისაც სადმე ხმა მიუწვდება, პროგრესულად მოაზროვნე ყველა ქართველმა თუ ყველა ოსმა უნდა გადადგას ეს ნაბიჯი. მით უმეტეს, ეხლა არის 21-ე საუკუნე, ინტერნეტი ხელმისაწვდომია და აი, ვირტუალურ დონეზე მაინც შეიძლება ურთიერთობები და მე მოვუწოდებდი ახლა ყველა პროგრესიულად მოაზროვნე ოსს, რომ ერთმანეთს დავედგეთ მხარში და ვუთხათ ერთანეთს ის, რომ მშვიდობას ალტერნატივა არა აქვს.

* * *

ნ. მ. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიქოზის მცხოვრები, 29 წ.

დავიბადე ქალაქ ცხინვალში, მყავს დედა, მამა გარდამეცვალა 2010 წელს. მყავს ორი და. სამივენი დაოჯახებულები ვართ, ვცხოვრობ ამჟამად დედასთან და ბებოსთან ერთად, რომელიც ამჟამად ინვალიდია და მოვლას საჭიროებს. მყავს ერთი ბიჭი, მეუღლეს გაცილებული ვარ. დავამთავრე ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქალაქ გორში 2007 წელს, 2008 წლის გაზაფხულზე დავიწყე მუშაობა სამშვიდობო ძალებში, ფირმა „ექსმედში“ სამზარეულოს მენეჯერად. სამწუხაროდ, ცნობილი მოვლენების დროს დავრჩი უმუშევარი, რადგანაც ყველა ბაზას თავის საკუთარი სამზარეულოს მენეჯერი ჰყავდა, მე კი იმხელა გამოცდილება არ მქონდა, რომ სხვა ბაზაზე გადავსულიყავი, შემდგომ ადგილზე დავიწყე მუშაობა მაღაზიაში, შემდგომ კი მოვხვდი ქალთა ასოციაცია „თანხმობის“ საინფორმაციო შეხვედრაზე და დღემდე ვარ აქ.

აღბათ, ჩემი თაობა, 80-იანი წლების თაობა, ყველაზე რთული თაობა ვართ, იმ კუთხით, რომ ძალიან ბევრ კონფლიქტს მოვესწარით, ეს იყო 89 წლის 9 აპრილი, 92 წლის არეულობა, მუდმივი შიში. 2004 წლის წინა ომის პერიოდი, მუდმივი სროლები, მუდმივი დაძაბულობა, თუმცა, თუ გამოვყოფდით, ჩვენს... სახუმაროდაც კი ქონდათ ჩემს კლასელობას. მაგალითად, ვამბობთ, რომ ომში დავიბადეთ, ომში ვიზრდებით და ომში ვსწავლობთ და, აღბათ, ომში დავოჯახდებით და მართლაც, ასეა. თუ გამოვყოფთ, დამოკიდებულებას 92 წლის შემდგომ, აღბათ, რამდენიმე წელი იყო, როდესაც დაძაბულობა იყო, ნუ მე არ მახსოვს, ეს პერიოდი ისე კარგად, თუმცა გადმოცემით ვიცი, რადგანაც ახლობლები გვყავდნენ. თუმცა, ურთიერთობები მაშინ უფრო თბილი იყო, მისვლა-მოსვლაც იყო. ის, რაც მე მახსოვს – 2006 წლამდე, 2007 წლამდე, ჩვეულებრივად ცხინვალში მოსახლეობა შედიოდა, გამოდიოდა, ნათესაური კავშირები ჰქონდათ. 2006 წელს მოვნათლე ოსი გოგონა, რომელთანაც დღემდე ვინარჩუნებ ურთიერთბას, რა თქმა უნდა, ტელეფონით და ინტერნეტის მეშვეობით, ის დაოჯახდა, შვილიც ყავს. ცხინვალში ცხოვრობს, დედა ყავს ქართველი, მამა – ოსი და ვერ გამოდის გარკვეული მიზეზების გამო – ძმა მუშაობს, შესაბამისად, უწევს ანგარიშს ძმის სამსახურს. 2008 წლის შემდგომ ურთიერთობები ძალიან დაიძაბა, ჩაიკეტა საზღვარი, მანამდე არ იყო ჩაკეტილი და ურთიერთობებიც უკვე ნელ-ნელა თბებოდა, თუმცა, გარკვეულმა მიზეზებმა ეს ყველაფერი მოსპო და რა ვიცი... აღბათ, სამომავლო

პერსპექტივაში თუ ვიფიქრებთ იმას, რომ ის ურთიერთობები ისევე ისე აღდგეს.

თუმცა, ის, რაც მე მახსოვს, ესე 95-დან 2005 წლამდე პერიოდი, კარგი პერიოდი იყო. ერგნეთის ბაზარი რომ მუშაობდა, თვითონ ცხინვალში მიმოსვლა იყო, იმიტომ, რომ იმდენად ახლოს ვცხოვრობთ, რომ მოსახლეობა საკუთარ პროდუქციას ურმებით ეზიდებოდა და ადგილზე ყიდულობდა, იქვე ყიდულობდა პროდუქტს და სანაცვლოდ მოქონდა... ძალიან ისეთი დამოკიდებულება იყო, ჩვეულებრივ ისინი ტელეფონზეც კი ურეკავდნენ ერთმანეთს, რა ჭირდებოდათ და რა უნდა მიეწოდებინათ, ან, დავუშვათ, ნისიად ეყიდათ ცხინვალში რალაცა, ნამოელოთ და დღეების ან თვეების მერე გადაეხადათ ეს თანხა. ჩამოდიოდნენ, ადგილზე მოწეული მოსავალი იყიდებოდა, ორჯონიკიძეში გაჰქონდათ და ეკონომიკურად ძლიერი იყო სოფელი, შემოსავალიც იყო, ვაშლი ჰქონდა მაშინ მოსახლეობას ძალიან ბევრი, არენდებით ჰქონდათ აღებული და იშვიათი თუ ვინმეს ნახავდით რომ... ალბათ, ზარმაცი ადამიანი თუ იქნებოდა მაშინ გაჭირვებული. ზოგადად მე და ჩემი ოჯახი, მადლობა ღმერთს, არ მახსოვს ისეთ გაჭირვებაში ვყოფილიყავით, რომ აი, რალაცა მომავლის იმედი არ გვქონოდა, დედა და მამა აკეთებდნენ ყოველთვის ყველაფერს, რომ ჩვენ არაფერი დაგვკლებოდა და ჩემს გარშემოც ესეთი მდგომარეობა იყო მაშინ, რასაც, სამწუხაროდ, ეხლა, ახლანდელ მდგომარეობაზე ვერ ვიტყვი..

ასე მოვედით 2008 წლამდე. მე ვმუშაობდი სამშვიდობო ძალებში და, შესაბამისად, ყოველ საღამოს მქონდა ინფორმაცია, რა შეიძლება ყოფილიყო, თუ სროლები იქნებოდა, იცოდნენ, რომ ოჯახში და მყავდა პატარა, ორსული. მეუბნებოდნენ ხოლმე, საღამოთი შეიძლება იყოს სროლები, რალაცა და მაინც გადით სოფლიდან, თუ გეშინიათო. ყოველთვის ვცდილობდი, რომ საღამოთი პატარა და მიმეცილებინა, ძალიან ემოციური ადამიანია ზოგადად. ჩემი და შვიდი თვის და ორი კვირის ორსული იყო ივნისის თვეში, მაშინ შემოვლით გზაზე, თუ გახსოვთ, სანაკოვეის (დომიტრი სანაკოვეი, სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, აგვისტოს ომამდე მისი მანქანა ერედვი-ქურთის შემოვლით გზაზე ააფეთქეს) მანქანა რომ ააფეთქეს, შემდეგ ავნივიდან რამდენიმე ბიჭი დაიჭრა, ნუ, ესეთი მდგომარეობა იყო, ყოველ საღამოს სროლები. ერთ-ერთი სროლის დროს, აი, ძალიან შეშინებული წამოხტა ჩემი ორსული და და შეეშინდა, სხვა დროს არ ამბობდა ხოლმე არასდროს. რამდენიმე ხანი გავიდა დაახლოებით ორი-სამი კვირა და რალაცა შეატყო, რომ ბავშვი არ მოძრაობდა, ექიმთან რომ ჩამოვედით, აღმოჩნდა რომ ბავშვს გული ჰქონდა გახეთქილი, ამიტომ, სამწუხაროდ, მოხდა ისე, რომ ბავშვი დაგვარგეთ, თუმცა,

მადლობა უფალს, რომ გადარჩა ჩემი და და არის ჯამრთელად და კარგად. გვყავს შესანიშნავი დისშვილი ახლა, ერთი წლის შემდგომ ეყოლა. 2008 წლის 7 აგვისტოს სალამოთი, ხელფასის ასაღებად მივდიოდი გორში, ხდებოდა როტაცია ამ დროს, წინა დღეებში იყო დაგეგმილი, იმყოფებოდა პირველი ბრიგადის სატანკო ნაწილი ნიქოზის სამშვიდობო ბაზაზე და უნდა ამოსულიყო გორის სატანკო ნაწილი, ამიტომ არ გამკვირვებია ის ტანკები, რომლებიც მოდიოდნენ და მოსახლეობასაც ვამშვიდებდი, რომ ეს იყო ჩვეულებრივი როტაცია და უნდა შეცვლილიყვნენ, ერთ-ერთმა ჯარისკაცმა, რომელიც ბეტეერზე იჯდა, ჩემთან ეზოში დააყენა მანქანა და მთხოვა, ათში დავბრუნდები და მანქანას გავიყვანო, რა თქმა უნდა, უარი არ მითქვამს, და როდესაც ჩემს უფროსთან ერთად მანქანით მივდიოდი გორში, დაგვირეკეს თბილისის ოფისიდან და გვითხრეს, რომ არის საშიშროება, რომ დიწყოს ომი, ამიტომ ბაზა დატოვეთო. და მთხოვეს, რომ ინფორმაცია გადამენერა ჩიპზე და წამელო თბილისში, ის, რასაც ვაკეთებდი სამსახურში... დავბრუნდი იქიდან, გორიდანვე დავრეკე სახლში და ვთხოვე დედას, რომ გამზადებული დამხვედროდნენ ჩემი დები, რომ ჩამოვიდოდი თუ არა, მაშინვე ვაპირებდი წასვლას თბილისში, არ მომდევდა უფროსი და, სიძე ჯარში იყო, ორივე სიძე ჯარშია, დაურეკა სიძემ და უთხრა, ხმამალა უთხრა, რომ აუცილებლად გადიო. ისე მოხდა, რომ ჩამოვედი, ჩემმა ერთ-ერთმა მეგობარმა ბიჭმა, რომელიც ჯარში მსახურობდა, დამირეკა და მთხოვა, ჯარიდან გამოპარული ვარ, ტანსაცმელები ვიყიდე და ზურგჩანთას შენთან დავტოვებო. კი ბატონო, ამასაც ვუთხარი, დედას დავურეკე და ვუთხარი: დედა, მოვა ეს ბიჭიმეთქი. მანქანით არისო ჩემი ძმაკაციო და მაშინვე დამარტყა თავში, რომ ჩვენ მატარებელზე უკან წასვლას ვერ მოვასწრებდით და რადგანაც ეს ტანკები მოძრაობდა ვიფიქრე, რომ შესაძლებელია, ტრანსპორტიც არ ყოფილიყო და ამ ბიჭს ვთხოვე, იქნებ დაიცადო და ამ მანქანით ჩვენ გორამდე გაგყვებით და მერე მატარებელს წაყვებით თბილისში-მეთქი. და კიო, არ არისო ამ ბიჭმა მითხრა, პრობლემაო. მე გავიქეცი სამსახურში. ბიჭებმა რომ დამინახეს, უკვე ავნივის მხარე იზომებოდა და ცეცხლი ეკიდათ მინდვრებს და ყველა გაკვირვებული მიყურებდა, რატომ ამოხვედიო, ხო ხედავ, რა ხდებაო და შეიძლება რაღაცა მოგხვდესო და ნუ სამსახურიდან უნდა გადავიტანო აუცილებლად ჩიპზე ინფორმაცია, წავიღო თბილისში-მეთქი. ჩამოვედი, ეს ბიჭიც მოვიდა, დატოვა ეს ბარგი. ჩვენ ჩავსხედით ამ ბიჭის მანქანაში და თედონმინდის (სოფელი გორთან ახლოს) მოსაცდელზე დაველოდეთ. დაახლოებით 15 წუთში მოვიდა მატარებელი და ხალხი უკვე იყო პანიკაში, იმიტომ რომ ჩამოვარდნილა ბომბები ხვითში და შუშები იყო მატარებლის ჩაღე-

ნილი და ჩვენო ვინეკითო იატაკზეო, ეს ხალხი ამბობდა. ნუ, წარმოვიდგინე ეხლა იმ მატარებელში რომ ვმჯდარიყავი, რა მოგვივიდოდა ზოგადად და რალაცა.... მაღლობა ვუთხარი უფალს, რომ რალაცნაირად მოვახერხეთ და ამას ავცდით. სალამოთი რომ წამოვედით, ღამე ვრეკავ დედასთან, მეზობლის ტელეფონზე და მეზობელი მეუბნება, თურმე ეკრანი გაფუჭებული ჰქონია ტელეფონს და ვერ დაინახა, ვინ რეკავდა და ვეგონე თავისი რძალი და ხათოო, ცირას სახლი დაიბომბაო და სახლში წამოვედიო მეო, რომ მაინტერესებს ჩვენსასაც ხო არაფერი მოხვდაო, იქ ვიყავითო სუყველანოო. და მე ვიფიქრე, რო მეთქი ეს არ მეტყვის ეხლა სიმართლეს, რომ რალაცა თუ მოუვიდათ ჩვენებს-მეთქი და ვთხოვე, დედა დამალაპარაკე-მეთქი და კიო, ცოტა ხანში დარეკე და დაგალაპარაკებო. რომ დაველაპარაკე, ხმა რომ გავიგე, მივხვდი, რომ უბრალოდ პადვალში იმყოფებოდნენ მთელი უბნის ქალები, დაახლოებით 14 ქალი იყო, მამა ინვალისი იყო და დამოუკიდებლად გადაადგილება არ შეეძლო, ჯოხით დადიოდა და ნელა დადიოდა ძალიან, ანუ უჭირდა სიარული, და მითხრა, რო ყველანი კარგადა ვართ, მაგრამ სახლი ძაან არის გაფუჭებული, ნუ სახლს არ ვჩივივარ... და ისიც მითხრა, რომ სიუჟეტი იქნებოდა რუსთავი2 – ზე და უყურე დილითო და ჩავრთე დილით ტელევიზორი და ვნახე, ჩემი სახლი რა დღეშიც იყო. პარადოქსულია, ალბათ, მაგრამ სამშვიდობო ნაწილი როდესაც დაიბომბა, პირველი ბომბი ჩემს კაბინეტს მოხვდა და სოფელი როდესაც დაიბომბა, პირველი ბომბი ჩემს სახლს დაეცა. მაღლობა უფალს, რომ ყველა გადარჩა, შემდგომ იყო განელილი ის პერიოდი და დრო, სანამ დედა და მამა ჩამოვიდოდნენ თბილისში, 11 რიცხვი იყო. დედამ არ იცოდა, რომ გორიც დაბომბილი იყო და საერთოდ არ არსებობდა არაფერი, მამა როგორღაც წვალეებით წამოიყვანა, მეზობელი სოფლიდან ბიჭი სახლიდან ზიდავდა საკუთარ ვეშს, რალაცეებს და ადგილი არ ქონია, ეგრეთ წოდებულ „ტრანგალექებს“ რომ ეძახიან, რალაცა მაღალზეო, რალაცა იმითი ავსვითო როგორღაც მამაო და მეო ფეხით გამოვყვეო ამასო, ანუ, სიარული არ შეეძლო მამას და გორში რომ ჩამოვიდნენ, სადგურზე ერთ-ერთი დაცვის პოლიციელის ნომრიდან დამირეკა. ზარი რომ შემოვიდა უცხო, მივხვდი რო ვილაცა მირეკავდა და მაშინვე გადავრეკე, და ამ ბიჭმა მითხრა რო წავიდნენო უკვეო. გეხვენებით-მეთქი იქნება მიბრუნდეთ-მეთქი და იქ იყვნენ, რომ ვკითხო რას შვებიან-მეთქი. როგორც ჩანს, გორში, ცენტრიდან რალაცა ტაქსი გამოდიოდა და ორი ბიჭი იყო კიდევ და ელოდებოდნენ. ტაქს მოუთხოვია 80 ლარი თბილისამდე და დედას უთქვია, რომ გავიყოთო თქვენცო და ჩვენცო. ამ ბიჭებს ქონიათ 35 ლარი მეტი არა... გადათვლიანო ამ ფულსო, გადმოთვლიანო და სანყლები ძალიან შენუხებულები ყო-

ფილან ამაზე, და დედას უთქვია, არა უშავსო, მე დავამატებო იმ ხუთ ლარსო და წამოზრდნდითო, ჩამოვიდნენ როგორღაც თბილისამდე და დიდუბეში ტაქსმა რომ ჩაისვა, რომ სახლამდე მოსულიყვნენ, იმ ტაქსის მძღოლმა ფული არ გამოართვა, რას ლაპარაკობთო, თქვენო იქიდან მოდიხართო, ისეთი ადგილიდანო, და ეხლაო ფულიო, ორ ლარზე როგორ დავინყოო ლაპარაკიო. და რომ გვითხრა დედამ რომ მოვედითო... არასდროს არ დამავინყდება მამას გაფითრებული თვალები, რაღაც შეშინებული, აი, არაამქვეყნიური გამოხედვა ჰქონდა, რაღაც ისეთი, ალბათ, რაღაც ძალიან ბევრი საშინელება ნახა-მეთქი, გზაში ვიძახდი და ძალიან შეეშინდა-მეთქი. ზოგადად, რადგან ძალიან ამაყი ადამიანი იყო და ჯოხით რომ გადაადგილდებოდა, წნევამ რომ დაარტყა, სულ ამბობდა ხოლმე, რომ ხედავდა, ჩვენ ვაკეთებდით კაცის საქმესაც და დედა ძალიან დაჯაფული იყო და არ უნდოდა ამის ყურება და ამბობდა, რომ ღმერთო, მომკლალიო, მაგრამ ამის საშიშროების წინაშე, რომ დადგა, ალბათ, რაღაცა ძალიან განიცადა ან რაღაც, მე ვთვლი, რომ ნახევარი სიცოცხლე მაშინ დააკლდა... ანუ, ეს სახლიც რომ ასე დაბომბილი ნახა და ამდენი წვალეების და იმის შედეგად აშენებული, საკუთრი ხელით აშენებული სახლი, რომ ესე თავზე დაემხო, ალბათ, ამანაც ძალიან იმოქმედა.

ბებო დარჩა სახლში, არ წამოსულა. შემდგომ როგორც ბებოსგან ვიცი, შემოვიდნენ 13-14 აგვისტოს ოსი მარადიორები, ოსები იყვნენ, ზუსტად ვიცი, იმიტომ, რომ არ ყოფილან იქ ქართველები, ჩვენ სახლში, რადგანაც ბებო იყო. შემოვიდნენ, ეს მანქანაც წაიღეს ამ ბიჭის, მანამდე მე ვრეკავდი მეზობლებთან და ვეხვეწებოდი, რომ იქ მანქანა დგას-მეთქი, ამ ბიჭისგან ვიცოდი, მქონდა ნებართვა, და იქნებ მავთულებით რაღაცა გადააბათ, დაქოქეთ, ბენზინი არის შიგნით, ასხია, ბებოც რაღაცნაირად ძალათი ჩასვით და წამოდით, გამოეცალეთ-მეთქი... ნუ, ვერ წამოვალ, რაღაცა, რაღაცა.... ვერავის ვერ დავავალდებულედი ამ შემთხვევაში, ბებომაც ტარება არ იცოდა, რომ მეთხოვა, რომ წამოსულიყო. და სახლშიც გამზადებული რაც იყო, დაბომბვის დროს რაც გადარჩა ყუთებში ჩალაგებული, დედას ქონებია ყუთებში ჩალაგებული, ამ ოსებმა ეს ყველაფერი ჩამოზიდეს და წაიღეს. მეზობლის ქალი მიყვებოდა მერე რომ ძალიან გვეშინოდაო, ფიჩხებში დავმალეთო ფორმებიო და რომ შემოვიდნენო, რაო ჯარისკაცი გყავთო ვინმეო სახლშიო და ამ ქალს დაუნყია ტირილი, რომ აიო, ისო სიძე იყო ამათიო ჯარშიო და გაცილდნენო ეხლაო, ომამდე გაცილდნენო და ფორმებიო დარჩენილაო და შეგვეშინდაო და მანდ დავმალეთო. ამათ წაუღიათ ეს ფორმებიც... მეზობლის სახლებიც ესე დააცარიელეს ზოგიერთისგან მატაციკლეტი, ზოგისგან რაღაცეები წაიღეს და შემდ-

გომ დედა მეუბნებოდა, რომ ვერ იცანიო ამის ფორმაო და ნუ ეხლა ფორმა ყველა ერთნაირია, არ დაგკვირვებულვარ ნამდვილად, ნაილეს ეს ქართველების ფორმები და შემდგომ იქ გადაილეს, თვითონ ოსებს აცვიათ ქართველის ფორმები და აკეთებენ რაღაც საზიზღრობებს და ჩანს, რომ თითქოს აი, ქართველების დროშით და სახელებით, წარწერით რომ ეხლა იქ იდენტიფიცირება ცოტა რთულია ხო, ვინ ვინ არის რომ გაიგოს, უცხო თვალისთვის თორემ, ჩემთვის ეხლა რომ ის ჩემი სიძე არ არის, ნამდვილად ვიცი. სანამ ჩამოვიდოდით ბებოს აჩაბეთში (სოფელი დიდი ლიახვის ხეობაში) და ჰყავდა გათხოვილი და ისინი არ გამოვიდნენ, მის მეუღლეს ყავდა ოსი მეგობრები და ქონდა ოსური პასპორტიც, ამიტომ თვლიდა, რომ არაფერი მას არ მოუვიდოდა და მის ოჯახს, შვილები გამოსიტუმრა მხოლოდ, მაგრამ, სამწუხაროდ, კაზაკებმა ისინი წამებით დახოცეს, და შვილებმა ეგრეთ ნოდებულები ქელები გადაუხადეს. ამიტომ გვინდოდა ბებოც ყოფილიყო... ნუ, რაღაცა პერიოდში მარშუტკები შემოდიოდნენ. რუსები იდგნენ, მაგრამ რაღაც პერიოდში შემოდიოდნენ მარშუტკები... ასევე მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან დიდ პატრონობას უწევდა მეუფე (ცხინვალი-ნიქოზის ეპარქიის მიტროპოლიტი ისაია ჭანტურია) დარჩენილ მოსახლეობას და თვითონ რუსი ჯარისკაცებიც წყალს აწოდებდნენ და თუ გადაადგილდებოდნენ, თეთრ ლენტს აბავდნენ ქალბატონებს... ჩემი მეზობლის ქალი თავის შვილის სახლის სანახავად ხშირად დადიოდა, და თეთრი ლენტი გამიკეთესო, რაც ნიშნავდა, რომ მშვიდობიანი მოქალაქე იყო და ისე გადაადგილდებოდა. ბებო რომ ჩამოვიყვანეთ თბილისში, მამა ვეღარ ძლებდა უკვე თბილისში და სულ ამბობდა, რომ არა უნდა დავბრუნდე, უნდა დავბრუნდე, უნდა დავბრუნდეო და როდესაც ჩამოვიდნენ სექტემბრის დასაწყისში, მამაც გამოყვა. დედა ხან ჩვენთან იყო, ხან ჩამოდიოდა და საკვები ჩამოჰქონდა ხოლმე მამასთან და ბებოსთან. და ერთ დღესაც გადაწყვიტა, რომ წასულიყო და, ალბათ, არ იქნებოდა დედა გორში მისული, რომ ტელეფონზე რეკავს და მეუბნება, შვილო, შენა ხარ? კი, მე ვარ. გიას გოგო? კი, გიას გოგო. რა ხდება, რა, ხომ მშვიდობაა?... გაიტაცეს, წაიყვანეს... ვინ წაიყვანეს? ვინ... სად წაიყვანეს? ნუ... ნუ... დავიბენი, ისე მეუბნებოდა... საბედნიერად, ვიცოდი ის ცხელი ხაზები ... როდესაც გავარკვიე, რომ მამა წაიყვანეს რუსებმა და ძალიან ბევრგან დავრეკე და ვუთხარი, რომ არის ესეთი მდგომარეობა, ნუ, დაზუსტებული ინფორმაცია, რა თქმა უნდა, მამაჩემია და ეხლა დაუზუსტებელ ინფორმაციას ვერ მოგანვდით-თქო. და აღმოჩნდა, რომ მამა მჯდარა გარეთ, გამოუვლიათ ვილისით მთვრალ ოსებს და უკითხიათ, რომ დაუნახიათ ჯოხით, – ტანკისტი ხარო და მამას მეტყველება უჭირდა მით უმეტეს ეხლა რუსულად პასუხს ვერ გასცემდა. „და

ბილ ტანკისტომ“, მამას უთქვია. ჰოდა, ჩაუსვიათ მანქანაში, ავნევის მხარეს ნაუყვანიათ და იქიდან მანქანა გაფუჭებიათ და ფეხით ნამოუყვანიათ ცხინვალამდე ... და მაყენებდნენო რალაცა ორმოებთანო ავტომატსო მიჩხაკუნებდნენო და მაგინებდნენო, მეც ვაგინებდიო, მაგრამ გულშიო, მერე გვიყვებოდა მამა. მეზობელს დაუნახია და ის კაცი გაქცეულა მეუფესთან, მეუფეს დაურეკია კულახმეტოვთან და კულახმეტოვს გაუცია ბრძანება, რომ ეს ადამიანი ჩამოიყვანეთო და ეხლა სადაც არის ქართველების პოსტი, მაშინ იქ, რუსები იდგნენ და ამათ მოუყვანიათ მამა და გადმოუსვიათ. მერე რომ მოდიოდნენ ჟურნალსიტები და რომ იგებდნენ, რომ გადატაცებული იყო და რალაცა და ეკითხებოდნენ, ძალიან წუხდებოდა უკვე მამა, ამის გახსენება აღარ უნდოდა, სულ ამბობდა: ხო ვთქვიო ერთხელო და ადგენო და იმათ კითხონ, კაცოო, ან იმის ნახონო, დავიღალეო, არ შემიძლიაო. ამაზე სულ ბრაზდებოდა ხოლმე მამა და ვეუბნებოდით რომ ის სხვა ჟურნალსიტი იყო მამა და ეს სხვა ჟურნალსიტია, არის სიუჟეტიც მამაზე. ესლა შემოგვრჩა ცოცხალად. ძაან განიცდიდა და ჩვენი საფასური არის ის, რომ სახლი დანგრეული, მამას შერყეული ჯანმრთელობა ქონდა და უარესად შეერყა, 2010 წელს კი ნამდვილად ველარ გაუძლო გულმა და დაავადებით დაიღუპა. ტრომბი დაემართა. თუმცა, ვცდილობდით, ყველაფერი გაგვეკეთებინა, ბოლოსკენ უკვე რომ ვატყობდით, რომ მამა ველარ იყო კარგად, რალაცა სახსრები მოვიძიეთ და მე და დედამ საკუთარი ხელებით გავაკარით ჭერიც და შპალერიც ორ ოთახში, რომ რალაცა რომ მოუვიდესო მამასო, ცოტა ისე ვიყოთო, სუფთადო, რვა ოთახია და რვავე ოთახის ჭერი ძირს ეყარა საერთოდ, ნელ-ნელა ვცდილობთ აღვადგინოთ. ომის შემდგომ პერიოდში იყო დახმარებები, თუმცა, გვითხრეს, რომ ჩვენს სახლს არ ეკუთვნოდა თანხა და მასალას მოგვცემდნენ, რაც არასრული აღმოჩნდა, ასევე მუშახელიც არ მოგვცეს, ძვირი არის მუშა და ეხლაც ბევრი რალაცა გასაკეთებელი გვაქვს სახლში ისევ, ნელ-ნელა ვცდილობთ, საკუთარი ხარჯებით რალაცნაირად გავაკეთოთ და შევძლოთ. რთულია გახსენება ამ ყველაფრისა, თუმცა ვთვლი, რო საჭიროა, ყველამ იცოდეს.

მე მეათე კალსში ვიყავი, მამას რომ წნევამ დაარტყა, ჩემი და ამთავრებდა იმ წელს სკოლას. დედამ გააკეთა აბსოლუტურად ყველაფერი, მიუხედავად იმისა, რო მამას დიდხნიანი მკურნალობა დასჭირდა, აბსოლუტურად ყველაფერი გააკეთა დედამ, რომ ჩვენ სწავლა-განათლება მიგველო.. არც ერთი წელიც არ გაგვცდენოდა, ჩააბარებინა ჩემ დას იმავე წელს, მომავალ წელს მე და შემიძლია ვთქვა, რომ მქონდა უდარდელი სტუდენტობა, არ მაკლდა არაფერი და დედა გახდა ჩემთვის მოტივაცია, რომ მე მო-

მავალში გამეკეთებინა ისეთი რალაცა, მიმელნია ჩემი ცოდნით იმდენისთვის, რომ დედისთვის ეს წვალეზა დამეფასებინა, დავდგომოდი გვერდში, თუნდაც, ფინანსურად, თუნდაც ჩემზე ზრუნვა მოკლებოდა ამ ადამიანს და სახლში სხვა რალაცა გაეკეთებინა, მივხმარებოდი როგორც შევძლებდი ისე და რალაცნაირად ყოფა შემემსუბუქებინა, ამიტომ დედა იყო ჩემთვის და მუდმივად იქნება ჩემთვის მოტივატორი, მოტივაციის მომცემი, როგორც აღვნიშნე, ომის შემდგომ ბევრი რალაცა საფეხურები გავიარე და 2010 წლის ერთ-ერთ საინფორმაციო შეხვედრაზე მოვხვდი ქალთა ასოციაცია „თანხმობის“ შეხვედრაზე და ეს იყო კომპიუტერის უფასო კურსები, მოსახლეობა ითხოვდა, რომ რადგანაც შემოვიდა ის, რომ ყველგან კომპიუტერს ითხოვდნენ და ყველაგან საჭირო გახდა, და მე რადგანაც ნამუშევარი მქონდა, ამიტომ მათ შემომთავაზეს ესეთი რალაცა, ჩვენ გადაგამზადებთ და შემდგომ გადაგიხდით თანხას, რომ ასწავლოთ სხვას, არა მგონია ეხლა იქ, სხვა ვინმეს, ნუ, ნორმალურ ადამიანს, ეთქვა უარი ამაზე, ჰო, მე მოვედი იმიტომ, რომ მესწავლა დამატებით რალაც, იმიტომ, რომ კარგი სამსახური მინდოდა და ესენი მთავაზობდნენ, ჩვენ გადაგამზადებთ და შემდგომ შენ ასწავლე, ამაში კიდევ თანხას გადაგიხდითო. რა თქმა უნდა, დიდი სიხარულით დავთანხმდი, 2010 წლიდან დავიწყე მუშაობა, აი, ძალიან ბევრი რალაცა, მეორე, მესამე უნივერსიტეტი დავამთავრე ამ ორგანიზაციაში, შემიძლია ვთქვა, ბევრი ტრენინგი გავიარე, სემინარი გავიარე, ვისწავლე, როგორ შეიძლება დავეხმარო სხვას, როგორ გამოვიყენო საკუთარი ცოდნა, როგორ შეიძლება გავაკეთო პრობლემაზე იდენტიფიცირება, ან როგორ შეიძლება გავაკეთო კვლევა, როგორ შეიძლება შემოვიკრიბო ჩემნაირი აქტიური ადამიანები. გავაკეთეთ ოფისი, რომელიც აღჭურვილია ინტერნეტით, ქსეროქსის აპარატით და ეს ყველაფერი, ყველა მომსახურება რაც აქ არი, არის უფასო ამ ადამიანებისათვის, ამ ყველაფერმა და ამ გამოცდილებამ თვითონ თემშიც მოგვიტანა ნდობა, შესაბამისად, უკვე ჩვენ ვართ შუამავალი რგოლი მთავრობასა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის, იმ გზამ, რაც გამოვიარე, მე ვთვლი, რომ იმ ადამიანად მაქცია, რა ადამიანიც ვარ დღეს და ვთვლი, რომ ვარ ერთ-ერთი წარმომადგენელი, წარჩინებული ადამიანი თუ ტრაზახში არ ჩამომართმევთ, ძან ისე ხმამალალი ნათქვამი გამომდის, თუმცა, დღევანდელი გადმოსახედიდან მართლა ესეა. ყოფას რაც შეეხება, ზოგადად ჩემი ოჯახის, რა თქმა უნდა, მეტ-ნაკლებად, პრობლემები არის ყველგან, თუმცა, შედარებითია ყველაფერი. შესაძლებელია, ვილაცამ ჩემზე ბევრად მალალი რანგის ადამიანმა, რომ ჩემი ყოფა შეადაროს თავისას, თქვას, რო მე მიჭირს და რალაცა ძალიან ბევ-

რი მაკლია, თუმცა, ჩემს გარშემო მყოფ ადამიანებს როდესაც ვუყურებ: ამდენი საჭიროება აქვთ, და აკლიათ, რაღაცა შემოსავალი აკლიათ, რაღაცა სჭირდება, დავუშვათ, მათ შვილს და არა აქვთ, მადლობა უფალს, მე ამის საჭიროება არა მაქვს. მყავს დედა, მყავს არაჩვეულებრივი შვილი, მაქვს არაჩვეულებრივი სამსახური, ვთვლი, რომ თვითრეალიზაციას ვახდენ მე ჩემ სამსახურში, უფროსიც მე ვარ ჩემს სასამხურში და უმცროსიც და ამიტომ რაღაცა მინიშნებულ დავალებას არ ვაკეთებ, აი, მითითებულ დავალებას არ ვაკეთებ, ვაკეთებ საჭირო საქმეს თემისთვის, თუმცა ზოგადად, თუ თემის ყოფაზე გადავალ, თუ ომამდე იყო საშუალო, მდიდარი და უფრო მდიდარი ფენა, ახლა არის საშუალო, საშუალოზე დაბალი, ლარიზი და ლატაკი ფენა. აი, არ ვიცი, ხალხი არი, რაღაცა არსებობისთვის რომ იბრძვის, ძალიან ბევრი პრობლემა აქვთ, ძალიან ბევრი საჭიროება აქვთ, ძალიან დიდ დახმარებას საჭიროებენ, ნუ, რა თქმა უნდა ფინანსურს, კი, ყველაფერი კარგია: 24-საათიანი წყალმომარაგება, 24-საათიანი გაზი, 24-საათიანი დენი, თუმცა, თვის ბოლოს ეს ყველაფერი საკუთარი ხარჯებიდან უნდა გავიღოთ. ამიტომ, თუ მე მოვიკელი ის სითბო, იმიტომ რო თვის ბოლოს რაღაცა ნაკლები თანხა გადავიხადო, თუ მე სინათლე არ ავანთე...ესეთი ყოფაც, ყოფა არ არი.

ჩვენს შორის, ქართველებსა და ოსებს შორის, არის ძალიან დიდი ძალა, რომელიც, როგორც ინფორმაციულ, ასევე სხვა სახის ომს აწარმოებს ჩვენს შორის, თუმცა მე მჯერა და დარწმუნებული ვარ, ზუსტად ის ადამიანური რესურსი, ნათესაური კავშირები ძალიან ბევრის მომცემია, რადგანაც პირდაპირ ინფორმაციის გაცვლა ხდება და თუნდაც ის, რომ დღეს ჩვენ ვართ აქ, ნიქოზში. ერთხელ მეუფემ ერთი ძალიან კარგი ფრაზა თქვა, როდესაც მედვედევი იყო ცხინვალში. კარგი ბადროს მტყორცნელი რო გვყავდესო, შეიძლებაო აქედან რო ქვა გაესროლაო, მედვედევს მოხვედროდაო და სწორი ნათქვამია, ანუ, თუ სწორად აღვიქვავთ ამას. იმდენად სი-ახლოვე გვაქვს და იმდენად ახლოს ვართ ერთმანეთთან. იმ სიკეთეებს, რაც, დავუშვათ, აქ ვაკეთებთ, აუცილებლივ გაიგებენ ისინი, უნდათ თუ არა, დაინახავენ, განათებულ ნიქოზს რომ დაინახავენ, დაუშვათ ჰო, აი, ამბულატორია მშვენიერი მაგალთია და ძალიან კარგად ჩანს ცხინვალიდან, კარგ სახლებს რო დაინახავენ, ძლიერ ადამიანებს რომ დაინახავენ, რომლებიც ბაღებშიც მუშაობენ, აყვავებული იქნება ყველაფერი, რაღაცა გასართობები ვაკეთებთ, ღონისძიებები ჩატარდება, ანუ მოსახლეობას, რომ დაინახავენ უფრო აქტიურს, საკუთარი თვალით რომ დაინახავენ და არა მოსმენილით, აი ეს ყველაფერში ხელს შეუწყობს. რაღაცა ღობესავით არის ეს მავთულხლართები, ეს არ არი, ბარიერი არ არის ურთიერ-

თობისთვის, მე ესე ვფიქრობ, მით უმეტეს, როდესაც ეს ნათესაური კავშირები არსებობს.

რა თქმა უნდა, დანაშაული ორივე მხარეს მიუძღვის და არ შეიძლება უბრალოდ ერთი მხარე დავადანაშაულოთ და ისიც უნდა ვთქვათ აუცილებელივ, რომ ომში ბამბებს არავინ არ ისვრის, ამიტომ ყველაზე მნიშვნელოვანი იქით მხარესაც და აქეთ მხარესაც ახალგაზრდებთან მუშაობაა, თორე ის ასაკოვანი ადამიანები, ვისთანაც ადრე ურთიერთობა ქონდა და მათაც ქონდათ, არ არსებობს მათი ურთიერთობის განწყვეტა ... აი, ვერ აღვინერო, რამდენ რაღაცას აკეთებენ იმისთვის, რომ ეს ურთიერთობები შენარჩუნდეს, ნუ რა თქმა უნდა, დაფარულია სხვადასხვა მიზეზების გამო, იმიტომ რომ მათაც ეშინიათ და უნდა გვესმოდეს რატოც ეშინიათ ამ ყველაფრის, მაგრამ სამომავლოდ, მე მჯერა, რომ მოვა დრო, როდესაც, თუნდაც ნიქოში, მრგვალ მაგიდასთან ოსი და ქართველი ახალგაზრდები ასე დავსხდებით და დავილაპრაკებთ ჩვენს მომავალზე და იმაზე, თუ რა კარგია მშვიდობიან, ერთიან და აქტიური ახალგაზრდებით სავსე ქვეყანაში ცხოვრება. როგორი იქნება ვნახოთ, მადლობა უფალს, ამ დღევანდელი დღისთვის და იმ შეხვედრებისთვის, რომელიც იმართება და ეს კავშირი არ უნდა განწყდეს არანაირად, იმიტომ, რომ, თუ ეს ერთი პატარა ძაფიც კი არსებობს, აუცილებელივ უნდა გავყვეთ, რომ შემდგომ გორგლად ვაქციოთ ეს ყველაფერი და უფრო დიდი და კარგი რაღაცა მივიღოთ საბოლოოდ.

* * *

თ. გ. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარდიაანთკარის მცხოვრები, 70 წლის

დავიბადე სოფელ ზარდიაანთკარში 45 წელში, მამაჩემი რომ ჩამოვიდა ომიდან. 4 წელი იყო ომში მამაჩემი. ჰოდა გავიზარდე მერე, ვსწავლობდი, ტექნიკუმი დავამთავრე სასოფლოი. შოფერი ვარ თავიდანვე დღემდინა. შოფრად ვმუშაობდი სულყველგანა, გორში თბილისში და რავი. მიდის ნელ-ნელა საქმე. 92 წელში იყო ომი, მაშინაც ომში ვიყავით. მერე კიდევ მოხდა 2008 წელში, გავიქეციტ 4 წელიწადი დავტოვეთ აქაურობაი. ეს ცოლ-შვილიც დამყავს თანა. საცა გავიქეცივი, თან დამყავდა. 2008 წლის აგვისტოში ძალიან ფინთი დღეები გვქონდა, ძალიან მძიმე დღეები იყო. ჩვენა არ გავდიოდით, არ მივდიოდით აქედანა. სულ სროლები იყო. აი, კედლები დაგლეჯილებია, შიფრები სულ დახვრეტილებია მაღლა. ჰოდა არ მივდიოდით. მერე რომ დაინყეს დისევის დანვაი, 13 რიცხვი იყო, მაშინ ძალიან შეგვეშინდა და აქაც რომ დაინყეს სახლების დანვაი ჩვენს სოფელში, აქა ჩემი ბიძაშვილების სახლები დანვეს, 4 ოჯახი, სულ დანვეს 4 ოჯახი. მერე იძულებულები გავხდით, რომ გავქეციულიყავით, უკვე შეგვეშინდა, რომ დაგვწვავდნენ. სწვავდნენ ყველაფერსა, ბუგავდნენ. გავიქეციტ. მერე ნავედით. ვიარეთ, ერთი დღე ფეხით ვიარეთ. სათემოში ჩავედით, მერე კიდევ სადღაცა ჩავედით, მერე წეროვანში ჩავედით, იქ შევეკედლეთ ვილაცასა, მერე იქიდან იგოეთში ჩავედით ფეხითა. მერე ჩემი სიძე ამოვიდა, თბილისში ცხოვრობს, ჩემი დისშვილის ქმარი, იმან ჩაგვიყვანა თბილისში. მერე შევამტვრიეთ კარები, ვილაცის საბავშვო ბაგა იყო, იქ შევედით. მერე იქიდან გამოგვიყვანეს გორში და მანდ მოგვცეს ოთახი პირველ საბავშვო ბაგაში ლალი ბაიადესთანა (ბალის გამგეა). მანდ კაი ხანი ვიყავით. ერთი სამი წელი მაინც ვიყათ, სამ წელზე მეტი ვიყათ. მანდ ვიყათ. მერე ხან შემოვიპარებოდით ხოლმე (სოფელში), გადავიპარებოდით ხოლმე, მაგრამ არაფერი ახალი. გაგვიხმა ყველაფერი. ხალხი მართლა ცოდოა რა. სოფელი არის ცოდო. განა მარტო ეს სოფელი კი არ არის ცოდოი. აი ეს სოფლები კოშკა, გუგუტიანთკარი, მერეთი – სუ ცოდოა ეს სოფლები. ახლა საჭმელი – ვაშლი ხალხს არა აქვს, დახმა ბაღები, დაგვიხმა სულა. ახლა რაღაცა წყლებს აკეთებენ, რა ვიცი ეწვალეზიან და არ ვიცი, რა იქნება. ძალიან უჭირს ხალხსა, სოციალურით ცოტა თუ არ დაგვეხმარა, თუ რაღაცა არ მოხდა, ხალხი ძალიან ცოდოა. ღვინო კი გვაქვს, ერთი ტონა ღვინო მაქვს. განა მართლა შიმშილით კი არ ვიხოცებით, კაცო, მაგრამ ცოტა ის უნდა, ცოტა

ფული უნდა ხალხსა, რომ ცოტა ხელი მოინაცვლონ, რომ ან ნამყენი ჩარგონ, ან მონამლონ, ან რალაცა ქნან, კაცო, არა, არ გვეხმარება არავინა. აი, სააკაშვილის დროს ფქვილი მაინც მოჰქონდათ ხოლმე, კაცო. მაკარონი ხომ არაფერია, მაკარონი მოჰქონდათ, ზეთი, რალაცეები და მაინც ის ვიყათ და ეხლა რამდენი ხანია ჩვენთვისა, აი, აქა ვართ, არა ვართ, არავის არაფერი ყურადღება არ მოუქცევია.

კონფლიქტის ფასსა მეკითხებით თქვენა: ახლა წაიღეს რალაცეები, მაშინა (მანქანა) დამინვეს. აქედან ხომ წაიღეს რალაცეები, სკამები, საოჯახო ნივთები, სახლი ჩემი არ დანვეს. დაზიანებული იყო. ეს ბალები სულ დახმა მოუვლელივით. 4 წელიწადი, რომ არ მორწყავ, რომ არ გასხლავ, აი, ასე სილატაკეში ვართ რა. ავადმყოფობაც გვაქვს, წნევები, რამეები, რომ ვნერვიულობ, ამხელა სახლს რომ დასტოვებ და აღარ მოხვალ ხომ ძნელია? ყველა ჩემნაირად იყო კოშკაში და გუგუთიანთკარში. ამოდენი პოლიცია დგას აქა, ხალხი არ არის აქა მაგდენი, რაც პოლიცია დგას. ყოველ საღამოთი სროლებია, ყოველდღე სროლებია აქა. სამხედრო სწავლებები ყოველდღე ხომ არ არის, კაცო? შიშში ვართ, კაცო. ემანდა ახვალ ტეკთანა და 100 მეტრში რუსის ჯარი დგას. გაყოლებაზე სულ რუსის ჯარი დგას ლენინგორამდე. შიშიც დაგვეკარგა უკვე ჩვენა. მე აღარც გავიქცევი არსადა, გინდა შემოვიდნენ ხვალა. სად უნდა წახვიდე, ომი რომ დაიწყოს, სად უნდა წახვიდე სადა? ღმერთმა გვაშოროს და მშვიდობა იყოს.

მე ცხინვალში ვმუშაობდი მთელი 12 წელიწადი. მაშინაზე ვმუშაობდი სელხოზტექნიკაში. კაი ძმაკაცები, კაი მეგობრები, კარგი ურთიერთობა. დავრჩენილვარ, გვიქეიფია ბევრჯერ. ეხლაცა აქ ვინც არიან დარჩენილები, ჩვენი ზარდიაანთკარელი ოსები, როცა გინდა, ადი იქეიფე, წამოდი. მივდივართ მოვდივართ. ტეკთანა მანდა, ზეითა ცხოვრობენ. იმ ტეკზე კი არა რუსებისაი, ჩვენ ტეკზე აქა. გვიშვებენ, იციან, რომ ერთადა ვართ. რავი, როგორ გითხრა. მერე ვმუშაობდი, მერე დავქორწინდი. ბავშვები მყავს, შვილები მყავს, შვილიშვილები მყავს. რავი, ვარ ნელ-ნელა, ვენვალეები, რა.

იქითა მხარეს იმათი აღარაფერი ვიცი. ალბათ ზოგი დაიხოცა. დაიკარგა ურთიერთობა, იმიტომ რომა, აბა, იმათ ნომერი არ იციან, ჩვენ იმათ ნომერი არ ვიცი. ვერანაირად ვერა ვხვდებით. ვლადიკავკაზში ვისაც ნათესავეები ჰყავს, იქ რეკავენ. მინდა ხოლმე, დავურეკო იქაურებს და ვიძმაკაცო ისევა. ცხინვალშიც შემოიძლია, რომ ვიძმაკაცო, ისევა მყავს, სულ ხომ არ დაიხოცებოდნენ, კაცო. როგორც ჩვენ ვართ, ისე ისინი იქნებიან. შემოიძლია რომ მივიდე-მოვიდე მეგობრებთან. არიან, კარგი ხალხი არიან, სადაც ცუდია, იქ კარგი ხალხიც არის. აქაც ეგრეა, იქაც ეგრეა, სუყველგან ეგრეა.

მე ეხლა გეტყვი იმასაც, რომა, ეხლა რომ გაიხსნას (გზა), ეხლა ბევრი ვერ შემოვა და ბევრიც შევა. ბოდიში, ვისაც რაღაცა ისა აქვს, ნახდენილი აქვს საქმე, ისა ვერ შევა. რომ სცემო, ისა მაინც არ შევა, მარა ბევრი შევა და გამოვა, ვისაც კაცობა აქვს, ნორმალური ადამიანი ვინც არის, იმას შეუშვებენ-გამოუშვებენ, მარა ეხლა ცუდ კაცსა არც იქით გაუშვებენ და არც აქეთ შემოუშვებენ. ეხლაცა იქიდანა ოსი არავინ შემოსულა.

როგორ ვცხოვრობ დღესა? ყოველდღიურად აი, რას ვაკეთებ. ერთი ძროხა მყავს, ხბო მყავს და ვუვლი მაგათა. ეხლა ნელ-ნელა ვაზები დავამყენე. ნელ-ნელა მოვდივართ, ვფორთხილობთ, მარა წყალი არა გვაქვს სარწყავი, მაგითი ვართ დალუპულები. განადგურებული იყო ყველაფერი. ხალხს, ხომ გეუბნები, საქმელი ვაშლი არა გვაქვს. არ არის წყლები, რომ მოვრწყოთ, კაცო. არ უშვებენ ისინი წყლებსა (ოსები), აღარ უშვებენ.

მე მგონია, რომ წინ უნდა წავიდეთ, აბა უკან ხომ არ წავალთ? რავი, როგორ იქნება, შეიძლება ეგენიც ჭკუაზე მოვიდნენ, რომ ერთად ვიყოთ და კარგად ვიყოთ. მაგრამა სოფელში ბევრს ჰყავს ნათესავი იქითა მხარეს. ეს ნათესაური კავშირები, რომ არ უშვებენ, იკარგება. რუსები არც იმათ უშვებენ და არც ჩვენ, საერთოდ. მანდ რუსები და ოსები შედიან, ქართველს მანდ არ შეუშვებენ. აქედან ვაშლი იქითა ბევრჯერ წაუღიათ ოს ბიჭებსა ვლადიკავკაზის გავლით. ხან მაგათაც არ უშვებენ, მაგრა ეწვალეებიან ეგ ბიჭებიც. მაგრად ეწვალეებიან, იტანჯებიან, რა. ჩვეულებრივად კარდადა ვართ, ერთად დაზრდილები ვართ, თავიდანვე ერთადა ვართ და ჩვენში ჩხუბი და რამე არ არსებობს.

აი, მაშინ, აქ რომ შემოვიდნენ და წვავდნენ აქაურობას, ამას ხან ვისზე ამბობენ და ხან ვისზე. ჩვენა ეგ ხომ აღარ ვიცით, ვინ იყო, ჩვენ გაქცეულები ვიყათ უკვე და აბა რაღასა ვხედავდით ჩვენა, ვინ იყო? ხელჩუელები აკეთებდნენ თუ ჩამოსული კავკასიელი მებრძოლები, აბა რაღა ვიცი? ეს სახლიც, აი, სწვამდნენ, შიგა დაწული იყო და რამდენიმე ბიჭი იყო აქა დარჩენილი და იმათ გადაარჩინეს. ზეით სახლი რომ არის აქა, ჩემი ბიძაშვილისაი, ეგეც გადაარჩინეს. ბიჭებმა რომ დაინახეს, რომ წაეკიდა, ჩააქრეს, რა. თორე სულ გაანადგურებდნენ აქაურობასა. მაშინა (მანქანა) რომ დანვეს, მაშინ წვამდნენ სახლსაცა.

ეხლანდელზე რა გითხრა, იცი? რასაცა ეხლა ვუყურებ, პარლამენტში ერთმანეთსა სჭამენ და ჩვენ რა ვქნათ, რა ვუყოთ, კაცო. პარლამენტში თუ არ იქნება მშვიდობაი, გარეთ როგორ იქნება მშვიდობაი? აი, ჩვენ რა ვქნათ? მითომ ჩვენზე არ არის დამოკიდებული ეგა? ეგ მარტო სახელმწიფოზეა დამოკიდებული? სახელმწიფომ უნდა გადანყვიტოს ყველაფერი და ჩვენცა სახელმწიფოში

ხალხი ვართ. გლახ ხალხსა რა, არაფერი შეუძლია?. მე რამდენიც გინდა ვილაპარაკო, არაფერი არ უნდა გამოდიოდეს? ხალხს რატომ არ უსმენენ ეგენი. ეგენი მარტო სჭამენ და ჩხუბობენ. მე არც მეშინია მაგათი. რისა მეშინია? მე საერთოდ არ მეშინია. მე არც ოპოზიციაში ვარ, არც იმაში ვარ და არც იმაში. საცა კაი ხალხია, იქ მივდივარ მე. სოფლები გაბრაზებულა, კაცო. სულ იგინებიან ხოლმე, ვინ მისცემს კიდე ხმასაო, რა ვიცი, აბა, მე!

პოლიციის საგუშაგო სოფელს შუაზე ჰყოფს. იქით ზარდიანთ-კარელი ოსები ცხოვრობენ, ზარდიანთკარელ ოსებთან ძაან ახლოს ვართ, ოჯახის წევრებივით ვართ. ძალიან გემრიელათა ვართ, კარქათა ვართ. ისე, რომ ზედმეტ სიტყვას არ გაკადრებენ, არც ჩვენა. მშვიდობა უნდათ მაგათაც, როდემდინ ვირბინოთო იქეთ – აქეთა? ეგენიც ხომ ხალხი არიან, კაცო. ბოლობოლო რა ქნან მაგათაცა, გაიქეცი, გამოიქეცი. ომი რომ დაიწყება, ჩვენ გავიქცევით, ეგენი გამოიქცევიან, მერე ჩვენ გამოვიქცევით, ეგენი გაიქცევიან და აესე, რა...

90-იანი წლების დროს მაგრად შევინარჩუნეთ ერთმანეთი, მაშინ ჩვენა ზედ ვეფარებოდით, რომ არ დაენვათ სახლები, მთელი სოფელი, აქა რომ ჩვენი ოსებისა არ დაენვათ და არ წაეღოთ არაფერი. მაშინ აქა არაფერი დანვეს. ახსოვთ ეგა მაგათ, მა არ ახსოვთ, თუკი მე მახსოვს, იმათაც ხომ ახსოვთ? თუ გახსნიან (გზას), გაუშვებენ, გამოუშვებენ. თუ გაუშვებენ და ცემით მოკლავენ იქა, ეგ რა გაშვება იქნება, მაგრამ თუ გაუშვებენ, წყნარად შევალ და ვიყიდი რამეს და მოვიტანო. ჯერ რა უნდა ვიყიდო, ფული რომ არ მაქვს. შეიძლება, ან ფქვილი იყიდო ან ზეთი ოჯახისთვისა, რაც რომ ცოტა იაფია იქითა. მერე უკვე იქ ვილაცასა ნახამ, საძმოსა ნახამ, სამეგობროსა ნახამ, ნათესავი შეგხვდება ვილაცა და მერე ისევ შევთვისდებით.

ეხლა კიდე, ხელჩუაში არის ლაპარაკი გზის გახსნაზე. მე ეგრე მგონია. იმათაც ძალიან უნდათ. მე ეხლა ცხინვალზე არა მაქვს საქმე, მაგრამ ამ სოფლებს უნდათ, რომ გაიხსნას, იმითვინა, რომა ეგ ხალხი შემოდოდნენ აქა, გადიოდნენ, ერთად ვქეიფობდით. ქორნილი, ჭირი, ლხინი – სულ ერთად ვიყავთ ხოლმე, კაცო, ხელჩუაში. ჩვენ ერთმანეთში ვიყავით ხოლმე სულ არეულები. ნეტა, ღმერთო, მშვიდობა იყოს და ჩემს ბიჭსა აქაცა აქვს სახლი, გორშიცა აქვს და ჩემს შვილიშვილსა ეს სახლიც ეყოფა. მთელი 64 წლიდან სულ რული მიჭირავს ხელში. ეხლა აღარა ვმუშაობ, აღარ არის სამუშაოები, მაგრამ ეხლა ლენინგორიდან დაყოლებული აფხაზეთამდე სულ რუსის ჯარი დგას. ჩვენა მაგდენი ჯარი არცა გვყავს. და კინაღამაც ტექნიკაც მეტია რუსისაი და ხალხიც მეტია. ესა მე ვიცი, რუსეთში დავდიოდი ხშირად.

ეგ არის და მშვიდობა გვინდა ჩვენა. ახლა ვინ მშიერია, ვინ მაძღარია, გაანძრიონ ხელი და ჭამონ, ახლა რა ვუყო მე. მე მთავრობის იმედზე აღარა ვარ, კაცო. რომ ვუცქერი, რომ ესეა, ისეა, არ მინდა აღარაფერი. აი, ცოტათი რომ სცენ პატივი ხალხსა, ჩვენ ხალხსა, კომპასა, გუგუტიანთკარსა, ზრდიაანთკარსა. ცოტათი რომ დაგვეხმარონ, ცოტათი რომ გული გაუკეთონ კაცსა, პატარა კომპენსაცია რომ მისცენ, გინდა, ათასი მანეთი მისცენ, გინდა ორი ათასი (ლარს გულისხმობს), ამათთვინ ხომ არაფერია. ესე კი არ უნდა ვცხოვრობდე მე. მე რომ ჩემი ვაშლი მეყიდა 7 ნელინადი, 800 ყუთსა ვკრეფამდი ხოლმე, ესე ვიქნებოდი, კაცო? აი რამდენი ხანია აქა ვართ, სამი ნელინადია აქა ვარ და არაფერი პატივი არ უციათ. აი, ასეთ წვალებაში და უბედურებაში ვართ. პენსია მაქვს, მაგრამ ეს პენსია რა არის, არაფერია პენსია. პენსიას სანამ ავიღებ, დახარჯულია უკვე. ხარჯებს არა ჰყოფნის.

ასე ვცხოვრობ და ვწვალობ, მაგრამა, ღმერთმა ნუ ქნას, ომი დაინწყოს, შვილო, ომსა ყველაფერი სჯობია.

რ. მ. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ წითელუბნის მცხოვრები, 53 წლის

ამ სოფელში ერთმანეთის გვერდით ცხოვრობენ ქართველები, ოსები, რეპატრიირებული მესხები და ეკომიგრანტები აჭარიდან.

დავიბადე საჩხერის რაიონის სოფელ საირხეში, დავამთვრე თბილისის ტექნიკუმის სამართალმცოდნეობის განყოფილება, მეუღლეც გავიცანი თბილისში და დავქორწინდით. გოგო და ბიჭი შეგვეძინა, თბილისში ვცხოვრობდით, მერე 89 წელში მაზლი დამელუპა და ველარ დავტოვეთ მშობლები და დავრჩით სოფელში, აქ. 90 წელში მერე დაინყო... 89-ში უფრო სწორედ არეულობა, მერე ცოტა ხო დანყნარდა ეს ყველაფერი და 90-ში განახლდა ისევ, უკვე ზამთრის პერიოდში... და განსაკუთრებით ეს მძიმე იყო ჩემთვის, იმიტომ რომ ოსები ქართველებზე ცუდს იტყოდნენ – მწყინდა, ქართველები ოსებზე ცუდს იტყოდნენ – მწყინდა. ჩემთვის ორივე შემთხვევაში იყო ძაან მძიმე ამისი მოსმენა. მაგრამ საქართველო იყო და ქართველებს იმდენად არ ეხებოდათ ეს ცუდი, უფრო ოსებს.

იმ პერიოდში განსაკუთრებით, აი, წითელუბანი იყო ოსური სოფელი, მთლიანად ოსური სოფელი და მაშინ შემოდოდნენ... აი, პირდაპირ შემოდოდნენ და ყვიროდნენ: „ოსებო, წადით!“ არაფორმალეები იყვნენ ისინი, „ოსებო, გაეთრიეთ!“, „არ მიდიხართ?!“ და ესეთი რამე... თითქმის ნახევარი სოფელი დაიცალა, მაგრამ მე არ მინდოდა წასვლა, ეხლა რო ვთქვათ...

ჰოდა, აი, არ მინდოდა წასვლა, როგორც შერეული ოჯახი ვიყავი, მინდოდა, რომ წავსულიყავით. მაგრამ ისე მოხდა ერთი ღამე, იქ ლიმონკები შეაგდეს ერთ სამ ოჯახში, მაგრამ მაინც არ წავედით ორჯონიკიძეში, წავედით დედაჩემთან, საჩხერეში. და სადღაც 4-5 თვე დავყავით იქ. მაგრამ იქ კიდე მიწისძვრა მოხდა, საშინელი მიწისძვრა, მაისი იყო თუ აპრილის თვე, და ბიძგები, განმეორებითი ბიძგები რომ იყო, უკვე შეგვეშინდა და იძულებული გავხდით და წავედით ორჯონიკიძეში. .. მეც წავედი, მაგრამ სამი თვის მერე ისევ დავბრუნდით უკან, იმიტომ რომ მაზლი მყავდა დალუპული... აქედან ჩვენ ერთი კოვზიც არ გაგვიტანია, იმიტომ რომ 89-ში ხო დამელუპა მაზლი და ჩემი დედამთლი ამბობდა, ეხლა ყველაფერი რომ წავილეთ, ჩემი ბიჭის სურათი ვის კედელზე დავკიდო იქო. და... დავრჩით.

დედამთლ-მამამთილი არ წავიდნენ. და აქ არაფერი ისეთი... ის არაფორმალეები კი დადიოდნენ და ერთ-ერთი არაფორმალი ისე...

გუშინაც ვიხსენებდით, ისე საუბარში, იყო რაჭველი. და მე წარმოშობით, ჩემი გვარი არის რაჭული გვარი და ჩემი ზემლიაკი ხარო, მეძახდა, მაგრამ ისე მეშინოდა, იმ კაცს რომ დავინახავდი, უფრო მეშინოდა, ავტომატებით დადიოდნენ სულ და იყო ერთი ის, რომ იქ შემოსასვლელში გადალობავდნენ კაცები, ოსები წავიდოდნენ და გზებს კეტავდნენ, ვისაც წასასვლელი არ ჰქონდა, დიდი ჭადარი მოჭრეს გადაკეტავდნენ ღამე, დილით ისევ გააღებდნენ. ხერგილებს აკეთებდნენ, მაგრამ მანამდე მაინც მოხდა, რომ აქ წაიყვანეს ერთი. ცოტა უფრო მეტად იმას ემტერებოდნენ, ვისაც ფული ჰქონდათ. სხვებსაც კი აყენებდნენ შეურაცხყოფას. ერთადერთი პიროვნება წაიყვანეს და აწამეს და მოკლეს, ესა არც მდიდარი იყო, არც არაფერი... დანარჩენები ეხლა მდიდრებს უფრო ემტერებოდნენ, ვიდრე ჩვეულებრივ, ჩვენნაირ ოჯახს.

მერე, 90-იანი წლების მერე, აი, გაიყინა კონფლიქტი, ერგნეთში ბაზარი გაიხსნა, ჰოდა უმეტესობა დაბრუნდა. აი, ოდნავ როგორც კი დაწყნარდა, უმეტესობა დაბრუნდა. იმიტომ რომ იქ ძნელად ეგუებთან იქაურ კლიმატს (ვლადიკავკაზს გულისხმობს) და ბევრი დაბრუნდა უკან. ისევ აენყო ურთიერთობა, მისვლა-მოსვლა, ცხინვალში გადავდიოდით, მე პირადად, ჰო, ქართული საბუთები მქონდა, თავისუფლად შევდიოდით, გამოვდიოდით და ძაან კარგი სიტუაცია იყო იმ დროს, ვაჭრობა, ყველაფერი...

ერგნეთის ბაზარი სანამ იყო, აი, ჩემი მალაზია ხო კერძოა.... ეხლაც ლამის ცარიელი მაქვს. ნუ მაშინ სავსე მქონდა, იმიტომ, რომ იაფად ვყიდულობდი, კარგ პროდუქტს ვყიდულობდი და ძაან კარგი იყო. ფქვილი ეხლა აქ რომ ძვირი ღირდა, იქ იაფი ღირდა, სანვაკი, ყველაფერი იაფი იყო. ეხლა თურქეთთან შედარებით, ყველამ იცის, რომ რუსული პროდუქტი უკეთესია. თითქმის შერიგებული იყვნენ ოსები და ქართველები, იმიტომ რომ... ეხლა ვაჭრობა იქ იყო, მთელი აჭარიდან, საჩხერიდან ქართველები ჩამოდიოდნენ, ყიდულობდნენ ან ყიდიდნენ, ბათუმიდან მანდარინის მთელი ისინი იდგნენ... იქ... დიდი მანქანები, ყიდიდნენ. და იქიდან პროდუქტი მოქონდათ და იყო ძაან კარგი ურთიერთობა.

მერე, როცა დაიკეტა, კი დაიძაბა ცოტა, უკვე ის იყო, რომ ველარ გავდიოდით, ველარ შემოვდიოდით, მაგრამ ისე, რომ ეხლა სოფლებში, თუ 90-იან წლებში, იმ სიტუაციაში ოსური აი, კილოც კი გაეგოთ უკვე აგრესია ჰქონდათ, ეხლა – არა. პირიქით, სიტუაცია უფრო გამოკეთდა ასე რო ვთქვათ.

2008 წელს, აგვისტოს, აი პირველივე ის ხო, შავშვებში ისროლეს, რადარის აფეთქება რომ უნდოდათ, მაშინ მე ვეცადე და ჩემი შვილები გავიყვანე. ეხლა თბილისში წავიდნენ და მე მაინც ვცდილობდი, ეხლა მოხუცები იყვნენ ოჯახი, საქონელი, ის, ის და არ

მინდოდა... ნამდვილად არ მინდოდა წასვლა. და მერე წავედი ზუსტად, მეთქი მაღაზიისთვის პროდუქტი უნდა მომეტანა, იმიტომ რო ხალხი უკვე ველარსად ველარ გადიოდა, რო შემოეტანათ ისა და ვაჭრობა იყო იმ პერიოდში, მაგრამ ისე მოხდა, მეც წავედი და ტანკები უკვე ზუსტად იმ დღეს დადგნენ იგოეთში და უკან ველარ დავბრუნდი. მაგრამ სიტუაცია ეხლა, სოფელში მაინც ტანკები კი იყვნენ, მაგრამ შიში თავისთავად იყო, ეხლა რა თქმა უნდა, მაგრამ დაშავებით, რო აქ ვინმეს რამე დაუშავეს, არაფერი.

მე აქ ერთი მაგალითი ვიცი, რომელიც მერეთში მოხდა. დაწვეს ერთი პიროვნების სახლი იმიტომ რო თავის დროზე, როცა ერგნეთში ბაზარი არსებობდა, იქიდან საკმაო რაოდენობის სანვავი წამოიღეს, და მერე რომ ეს 2004-ში ჩაიკეტა, აღარ გადაუხადეს. იქიდან ატყობინებდნენ, ეხვენებოდნენ თუ ეუბნებოდნენ ...მერე იმათი სახლი აფეთქდა პირდაპირ... და ეხლა არ ვიცი... ეს იმიტომ მოხდა რომ... სხვა სახელებიც დაინვა იმიტომ დაინვა, რომ რაღაც, ვილაცის ჯავრი ჰქონდათ თუ რა იყო, არ ვიცი და... ჩვენს სოფელში ეხლა ეგეთი არაფერი არ ხდებოდა რო აი, იქიდან ვილაცამ ვალით წამოიღო რამე... ისეთი აქ არაფერი არ მომხდარა.

მე დავბრუნდი უკვე, როგორც კი ტანკები გავიდნენ და გამოცხადდა, რო ყველას შეეძლო უკან დაბრუნება, იმ დღესვე დავბრუნდით, რა თქმა უნდა. და ეხლა მძიმე პერიოდი იყო იმიტომ რო აქ რაღაც მოხდა მერე, არ ვიცი, რუსებმა გადაწვეს, არ ვიცი ცეცხლი წაეკიდა, სოფლის გარშემო სულ ცეცხლი ეკიდა მინდვრებს. სულ გადამწვარი იყო ყველაფერი... ხორბლის ალებაც ვერ მოასწრო ხალხმა და ძან მძიმე პერიოდი იყო, ... იმ დროს ცოტა დახმარებებიც იყო, როგორც არასამთავრობოებისგან, მთავრობისგანაც და... მაინც როგორღაც გავედით...არადა, მძიმე, მართლა მძიმე პერიოდი იყო, იმიტომ რო ვერც თივა ავიღეთ საქონლისთვის პრესები (თივის შეკვრა) ისინი დაინვა, ვერც ხორბალი ავიღეთ, თავისთავად ნამჯაც დაინვა.

კონფლიქტის ფასი, რაც გავიღეთ? ყველაზე დიდი მორალური შიში. პირველ რიგში, 90-იან წლებში ჩემი მეუღლე ოსია, ახალგაზრდა იყო და... აი, ჩვენ მაგალითად ვიყავით, საჩხერეში წასული, ჰო ვახსენე და, იქიდან მოვდიოდით და მამაჩემი მომყვებოდა თან. მე, ჩემი შვილები და ჩემი მეუღლეც, პირდაპირ ამოვიდნენ, ჭერათხევია იქ, მთიანი სოფელი პერევალზე. ამოვიდნენ და თქვეს, ოსი თუ ვინმეა, გვითხარითო. ეხლა შიშის გრძნობაც ხოა აქ ... ხო არ ვიტყოდით... რომ ჩავიყვანთო და მერე ჩვენ მოვუვლით იმასო... და აი, ყველაზე მორალური უფრო მეტად, ვიდრე მატერიალური. ყველაზე მეტი... და მატერიალური თავისთავად დაიკარგა, ერგნეთი რომ დაიხურა, მე უკვე დაგკარგე მატერიალური, რო ჩემი

მაღაზია, ფაქტიურად, ველარ ავამოქმედე. მერე კიდე მაშინ ჩემი მეუღლე გადიოდა იქით, ორჯონიკიძეში, მუშაობდა, გასვლის საშუალება იყო, ეხლა უკვე 2004-ის შემდეგ საერთოდ ველარ გავიდა და ძალიან გაგვიჭირდა, ეკონომიურად ძალიან...გარდა ამისა, ნათესავები. ჩაკეტილი გზები... ეხლა ჩემი დედამთლის დები სულ იქ არიან, მე შვილი დავკარგე და ძალიან უნდოდათ, რომ მოსულიყვნენ, მაგრამ... იმ პერიოდში ...ეხლა კი დაუშვეს... იმის მერე დაუშვეს ესა, რომ შეუძლიათ იქიდან შემოსვლა უვიზოდ რუსეთის მოქალაქეებს, ჰო, მაგრამ მაშინ არ იყო ეგ დაშვებული. და ძაან ძნელია, როცა ახლო ნათესავი... ეხლა და იყო ჩემი დედამთლის და იმას უნდოდა ჩამოსვლა შვილშვილის დასატირებლად...ადვილი ხო არ არის, 11 წლის შვილი მყავს დაღუპული და... აი, ეს ყველაფერი... ესეც ძაან ძნელია.

ჩემი გოგო, აჰა, ეხლა აჭარელს ჰყავს. ჩვენი სოფლი ისედაც ძაან ისეთი სოფელია. მესხები ცხოვრობენ, აჭარლები ცხოვრობენ, ხეთიდან ლტოლვილები, ეს ოსები, ზოგი ქართველებიც... რომ ბინები იყიდეს ეხლა, ოსები რომ წავიდნენ, ზოგმა ქართველებმა იყიდეს. და ჩემი გოგო მოხვდა აჭარელის ოჯახში. ჩემმა ბიჭმაც მოიყვანა ქართველი გოგო ცოლად. მაგრამ ცხოვრება ძაან კარგად მიდის ეხლა, ურთიერთობა გვაქვს ძალიან კარგი ერთმანეთში, არავინ არ ამბობს რომ... შეიძლება იქა-აქა იყოს ზოგი, რომ მაინც თქვას, ის ოსია, ის ქართველია, მაგრამ ეს ძაან იშვიათობა არის, განსაკუთრებთ ჩვენს სოფელში და სხვაგან რა ხდება ეხლა...არ ვიცი და...

ნაკვეთი დავკარგეთ, აი, მავთულხლართებს მიღმა, ძნელია ახლა ეს ძალიან... ეხლა კარგია კიდევ, აგერ გაზი შემოგვიყვანეს უფასოდ, ეს ძალიან კარგია, მართლა, სოფელს არა აქ იმის საშუალება... მაგრამ ეხლა იმ დღეს იყო მოსული გამგეობიდან და შევჩვილეთ, აქ უკვე წყალი რომ არ არის, ხეხლი ველარ მოგყვავს ჰო, ვერაფერი ისეთი ვერ მოგვყავს რომ ვისარგებლოთ სოფელმა და ადგილზე დარჩეს სოფლის მოსახლეობა, რამე პერსპექტივა ჰქონდეს ახალგაზრდას. განვითარების პერსპექტივა აქ თითქმის არ არსებობს, ყველა ცდილობს, თუ რამე კაპიკებს მოიგდებს, ქალაქში ბინა იყიდოს და წავიდეს და იმუშაოს. საქონელი ყავთ ხალხს და ეხლა ამბობენ, ამდენ ხანს, წინაგრის (მეზობელი ოსური სოფელია) საძოვრებზე ვაძოვებდით ისევ, ჩვეულებრივად, არავინ არ გვიშლიდა, 2008 წლის შემდეგ უკვე შეგვზღუდეს, მაგრამ ეხლა ბანერი რაც დაიდგა, უკვე მართლა არ შეიძლება, და ამის წინ მთავრობამ გვითხრა, რომ ნუღარ იყოლიებთო საქონელსო, ღორები გააშენეთო. და რამე გააშენეთო. ღორებს სულ ჭამა უნდა, დაბმული უნდა გყავდეს, საქონელი კიდევ გადიოდა და გარკვეული თვეების განმავლობაში მაინც არ გვჭირდებოდა მაგისტვის ისა და... რა ვიცი.

ჯერ-ჯერობით არაფერს არ გვპირდება ეხლა, ეხლა კი გვითხრეს, დაგიხნავთ-დაგიტესავთო. შემოდგომით დაგვიხნეს, ეს სამი წელიწადი, როგორც გვითხრეს, გვიხნავდნენ და ეხლა გვითხრეს, გაზაფხულზე იქნებაო და ვნახოთ.

ეხლა, პუტინმა რო გამოაცხადა, რო იქნება უვიზო მიმოსვლაო, ძან გაგვეხარდა, ასე მგონია, რომ უკვე შეიძლება თავისუფლად... ეს ყველაფერი მაინც პოლიტიკის ამბავია, თორე გლეხები ეხლა.. წინაგრის ოსები და წითელუბნის ოსები ემ წუთშიც რომ ერთმანეთს შეხვდნენ, ერთმანეთს გადაკოცნიან, კარგად მოიკითხავენ, არავინ არაფერს არ დაუშავენს ერთმანეთს, კარგი ურთიერთობა იქნება. თუკი მთავრობიდან გამოვა ის კანონი რო კარგი ურთიერთობა, გლეხები ისედაც კარგად არიან ერთმანეთში.

კარგი იქნებოდა, ისევ აი, ეს ერგნეთის მსგავსი ბაზარი თუ იქნება, პირველ რიგში მაგაში არი საქმე, თორე... 2008 წელში იმდენი არაფერი მოხდა (აქ მცხოვრები ოსების მიმართ)... აი, ოსები იმდენად არ ისა ქნეს, როგორც 90-იან წლებში. მაგრამ მაინც მოხდა შერიგება, მაინც დაივიწყეს ის ყველაფერი. ეხლაც დაივიწყებენ, ნელა-ნელა, რა თქმა უნდა, ცოტა დრო უნდა, თუ ერგნეთის მსგავსი რალაც კიდევ გაკეთდება. იმიტომ რო ეხლა აჰა, აგერ ცხოვრობენ, ვთქვათ, ის ლტოლვილები, ვინც იქიდან გადმოსახლეს, იქ ოსებიც არიან, ქართველებიც არიან, ერთმანეთს არაფერს არ უშლიან. და მე მგონი, რო მთავრობიდანაც იქნება ხელშეწყობა, ხალხი უკვე უფრო... ხალხი ისეთი რამეა, ერთმანეთს ადვილად შეურიგდება. ეხლა დები და ძმები ვინც იქით არიან, მით უმეტეს... ეხლა, ეშინიათ, თორე ყველას უნდა აქეთ გადმოსვლა, ეხლა წინაგრელები სულ ჩემს მაღაზიაში დადიოდნენ ხოლმე და ეხლა უკვე ეშინიათ, თორე დიდი სიამოვნებთ გადმოვალთო და გვექნება ისევ ურთიერთობა თქვენთანო.

წინათქმა ოსური აზიისათვის

სამხრეთ ოსეთისთვის ეს არ არის პირველი პროექტი, რომელიც გულისხმობდა პოსტკონფლიქტური ზონების მოსახლეობის აუდიომასალების შეგროვებას. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, მალევე, რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ დაიწყო მსგავსი ინიციატივების განხორციელება. და ყოველ ჯერზე ჟურნალისტები აწყდებოდნენ მთავარ პრობლემას: რესპონდენტები, როგორც წესი, უარს ამბობდნენ, ელაპარაკათ განცდილზე. ამჯერადაც მხოლოდ ყველაზე მამაცები, რომლებსაც არ ეთაკილებოდათ საკუთარი ემოციების გამოხატვა, თანხმდებოდნენ საუბარზე. მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტის დაწყებიდან საკმაოდ დრო გავიდა, მათ ხელახლა უწევდათ ტკივილის განცდა. მათი უბედურების თანაზომად ტკივილს განიცდის კორესპოდენტიც, რომელიც ვერ რჩება უგრძობელი მათი ტკივილისა და მათი ადამიანური ტრაგედიის მიმართ. და მხოლოდ მაშინ, როცა ისინი ხედავდნენ თანაგანცდას, ჩნდებოდა ნდობა და იწყებდნენ საკუთარი ცხოვრების ბოლო წლების დრამის აღწერას. სოფლების მცხოვრებლებისათვის, რომლებიც პირველები აღმოჩნდებოდნენ ხოლმე საომარი მოქმედებების პირისპირ, ყველაფერი გაცილებით უფრო მძიმე იყო, ვიდრე ქალაქის მცხოვრებლებისათვის. მათ უფრო მჭიდრო კავშირებიც ჰქონდათ კონფლიქტის მხარესთან: გავრცელებული შერეული ქორწინებები, ყოფითი, ნათესაური კავშირები. ამიტომ მათი მონათხრობი სავსეა წყენით უახლოეს მეზობლებზე, ნათესავებზე, რომლებმაც მათთვის უმძიმეს მომენტებში, როგორც თვითონ ამბობენ, „უღალატეს“ მათ, არ აფრთხილებდნენ, რომ სოფელში შედიოდნენ ქართული ბანდფორმირებები. ისინი ჩუმად, ღამლამობით ტოვებდნენ დასახლებულ პუნქტებს, რომლებიც გასამხედროებული ბრბოს მიერ გასაძარცვად იყო განწირული. ჩანერილი ისტორიების უმეტესობის ავტორებმა, სოფლების, ქალაქების მცხოვრებლებმა, ლტოლვილებმა, გვთხოვეს, არ მიგვეთითებინა მათი სახელები. მათი თქმით, ეს უკავშირდება იმას, რომ მათ არ სურთ ადგილობრივი ჩინოვნიკების რისხვა და სპეცსამსახურების ყურადღება დაიმსახურონ, რომელთათვის მთელმა 2015 წელმა „გამყიდველი ენჯიოებისა“ და „უცხოეთის აგენტების“ წინააღმდეგ ბრძოლის ნიშნით გაიარა. სოფლის რიგითი მცხოვრებლისათვის ურთერთობა არასახელმწიფო სტრუქტურის ჟურნალისტთან, ან საზღვარგარეთიდან დაფინანსებულ პროექტში მონაწილეობა ძალიან თამამი ნაბიჯი იყო. ამის გამო შეეძლოთ „დაესაჯათ“, შეერცხვინათ ისინიც და მათი უახლოესი სანათესაოც. მეორე მიზეზი კი ისაა, რომ ასეთივე „ურაპატრიოტებისაგან“, მაგრამ უკვე

საქართველოში, შეიძლება დაზარალებულიყვნენ საზღვრის იქითა მხარეს მცხოვრები მათი ნათესავები და ნაცნობები. ამის მიუხედავად, რესპოდენტების საჭირო რაოდენობის პოვნა მაინც მოხერხდა. ჩვენ მიერ შეგროვებულ ისტორიებში ცალკე კუნძულად მოჩანს ახალგაზრდა კაცის, 34 წლის ცხინვალის მცხოვრების მონათხრობი, რომელიც ბარიკადებზე გაიზარდა, შემდეგ თვითონაც აიღო იარაღი და რომელსაც დღემდე აწვალებს ომისა და მშვიდობის საკითხებზე ფიქრები. ამ ნაწყვეტში ის თავის ბავშვობის მოგონებებს გვიზიარებს:

„ჩვენ სიგიჟემდე გვინდოდა სწრაფად გავზრდილიყავით. ყოველდღე, როცა მეომრებისათვის საჭმელი მიგვქონდა, ვეკითხებოდი: ჩვენთვის არ შეიძლება? ჩვენთვის ისევ არ შეიძლება ვიბრძოლოთ? როდის შეგვეძლება? ისინი გვპასუხობდნენ: ყველაფერი ნორმალურადაა, გაიზარდეთ და სანამ თქვენ გაიზრდებით, ომიც დამთავრდება. ისინი შეცდნენ. ჩვენ გავიზარდეთ და ომი ისევ გრძელდებოდა. ხან მინავლდებოდა, ხანაც ისევ იფეთქებდა“. აქ ის ლაპარაკობს ომების მიუღებლობაზე: „ჩვენ ომში გავიზარდეთ. ჩვენ მას შევეჩვიეთ, ჩვენ მას შევეზარდეთ. გარკვეულწილად, ჩვენ საომარი მოქმედებების დროს უფრო კომფორტულად ვგრძნობთ თავს, ვიდრე მშვიდობიან დროს... საომარი მოქმედებების დროს, მშვიდობიანობის დროისგან განსხვავებით, ჩვენ ზუსტად ვიცით, რა და როგორ უნდა გავაკეთოთ. მე მესმის, რომ, დიახ, ჩვენ ასე გავიზარდეთ და რომ ეს სწორი არ არის. ასე არ უნდა იყოს. მე არ მინდა, რომ მომავალი თაობებიც იარაღით ხელში გაიზარდონ და იმასვე აკეთებდნენ, რასაც ჩვენ. და ჯობს, მე მეტი გავაკეთო, ვიდრე დავუშვა, რომ მათ ისევ იარაღის აღება მოუწიოთ“.

და ბოლოს, მინდა აუცილებლად აღვნიშნო ისიც, რომ ამ რამდენიმე ისტორიის გმირებს, ამ შეიარაღებული კონფლიქტით დასახიჩრებული ბედის რვა ადამიანს მაინც სწამს სიკეთის, ადამიანური გონიერების და, რაც მთავარია, მშვიდობიანი ცხოვრების.

ირინა ქელესაევა

* * *

ე. ჯ. ძაუს¹ დასახლების მცხოვრები, პედაგოგი, 62 წლის

მე ჯავაში დავიბადე და გავიზარდე. მამაჩემიც ჯაველია. თავის დროზე, საბჭოთა პერიოდში, მამა თბილისის პირველი მაისის რაიონის მილიციის უფროსად მუშაობდა. ეს თბილისის უდიდესი რაიონი იყო. შემდეგ ხაშურის მილიციის უფროსი გახდა. ქართველებთან ერთად ცხოვრობდა, ჩვენთან ხშირად მოდიოდნენ სტუმრად მისი მეგობრები, ხანში შესული ადამიანები, ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ ჩვენ შორის რაიმე მსგავსი მოხდებოდა და ისინი აღარასოდეს მოვიდოდნენ. არც ის მეგონა, რომ მათ ჩვენი ღალატი ან წყენინება შეეძლოთ. თუმცა, რა თქმა უნდა, საშინელება მოხდა. იმ დროისთვის მშობლები უკვე აღარ იყვნენ ცოცხლები. თუმცა ჩემი ძმა, რომელიც ასევე ხაშურში დაიბადა და ბავშვობა და ახალგაზრდობა ჯავაში გაატარა, ონკოლოგიური სენით დაავადდა და მისი თბილისში გადაყვანა გვინდოდა; მაგრამ ყველაფერი ისე განვითარდა, რომ ამაზე უკვე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. ბევრი ქართველი მეზობელი გვყავდა, თბილისში ახალგაზრდა მეგობრებიც მყავდა, რომლებთან ერთადაც ბანაკებში ვისვენებდი. მაშინ, როგორც რუსული ენის და ლიტერატურის მასწავლებელს, ხშირად გამყავდა ბავშვები ქალაქიდან. როდესაც ლერმონტოვს ვასწავლიდი, ისინი მცხეთის მონასტერში მიმყავდა. რამდენჯერმე წავიყვანე ბავშვები მთანმინდაზე გრიბოედოვის საფლავის სანახავად. დღესაც არ მესმის, ეს ყველაფერი – დიდი სიყვარული, დიდი მეგობრობა სად წავიდა.

90-იანი წლების დასაწყისი იდგა. დაგვირეკეს და გვითხრეს, ქალაქზე თავდასხმაა მოსალოდნელიო. იმ დროისთვის ჩემი ორი ქალიშვილი გათხოვილი იყო და ცხინვალში ცხოვრობდა. როცა მივხვდი, რომ ამ ქალაქში თავისუფლად წასვლას ვეღარ შევძლებდი და რაღაც ხანს ჩემს ქალიშვილებს ვერ ვნახავდი, შიშმა შემიპყრო. ჯავიდან ცხინვალისკენ მიმავალი გზა ქართულ სოფლებზე გადიოდა; ისინი კი ტრასაზე გამოდიოდნენ და გვიყვიროდნენ. ისინიც კი გამოდიოდნენ, რომლებიც მთელი ცხოვრება ჯავაში მწვანისა და მზესუმზირას ყიდდნენ. ის ქალებიც კი, რომლებსაც მშვენივრად ვიცნობდი, გამოდიოდნენ, მანქანებს აჩერებდნენ, უცენზურო სიტყვებს ამბობდნენ, ზოგჯერ ვერც კი ვიგებდი მათ ნათქვამს. ჩვენ კი იძულებული ვიყავით, ზარის შემოვლითი გზით გვევლო. მერე ზარის გზაზე უბედური შემთხვევა მოხდა, საში-

¹ ადგილების დასახელება არ რედაქტირდებოდა და მოცემულია ისე, როგორც მას იყენებენ ამბების მთხრობელები.

ნელი ტრაგედია, რომელსაც ჩემი მოსწავლევ შეენირა. ის ჩემთან 10 წლის განმავლობაში სწავლობდა. როცა ამის შესახებ გავიგე, გონს ვერ მოვდიოდი. ჩემი მონაფის მეუღლეს თვალწინ მოუკლეს დედა, იქვე, ზარის გზაზე. ის ახლა ჯავაში მუშაობს, იმ ნერვიულობის ფონზე ავადმყოფი შვილი შეეძინა.

როგორღაც ჩვენთან მეზობლები მოვიდნენ და მითხრეს, რომ ავტობუსში უნდა ჩავმსხდარიყავით და ვლადიკავკაზისკენ წავსულიყავით, რადგან ჯავის და ცხინვალის დაცხრილვას აპირებდნენ. ავტომატურად სხვა ქალებთან ერთად ჩავჯექი ავტობუსში და სოფელ რუხამდე მივედი; უცებ მივხვდი, რომ ჩემი გოგონები ქალაქში სარდაფებში ისხდნენ, მე კი საკუთარი თავის გადასარჩენად მივდიოდი. ავტობუსი გავაჩერე, მძლოლი მოვატყუე, რომ ცოტა ხნით ჩამოსვლა და სკოლაში შესვლა მინდოდა; მერე გამვლელი მანქანა გავაჩერე და სახლში დავბრუნდი. ჩემ გარდა იქ აღარც ერთი ქალი აღარ იყო, ყველა გააფრთხილეს, რომ მამაკაცებისთვის ჯავის დაცვაში ხელი არ შეეშალათ. მეუღლემ სალამოს, სახლში მოსვლისას მომისწრო. სინათლეს არ ვანთებდი, ის შემოვიდა, და ღია კარი რომ დაინახა იფიქრა, ვილაც შემოიპარა და გაგვქურდაო, იქ კი მე ვიყავი, უბრალოდ, კარი არ დამიკეტავს. არ ვიცოდი, სად წავსულიყავი, რა ეშველებოდათ ჩემს შვილებს, რომლებიც ლენინის ქუჩაზე მრავალსართულიანი სახლის სარდაფში ისხდნენ. ყველაზე საშინელება ის იყო, რომ ჩვენ სკოლაში ქართველი ბავშვები სწავლობდნენ, ეროვნებით ქართველი ბავშვები. რატომღაც ჩვენ სხვა ხალხი ვართ, სხვანაირი ცხოვრებისეული შეხედულებები გვაქვს, არც კი ვიცო, რა ვთქვა; თუმცა ჩვენ მათ ისევე ვექცეოდით, როგორც საკუთარ ბავშვებს. ისინი ტყვედ არ აგვყავდა, არ ვუყვიროდით, არ ვცემდით. უბრალოდ ველოდით, რომ ყველა მალე მოეგებოდა გონს, ეს ყველაფერი მაინც ხომ ზემოდან მოდიოდა, ადრე თუ გვიან ყველაფერი ჩაივლიდა და ისევ ყველანი ერთად, გვერდიგვერდ ვისწავლიდით სკოლაში. ერთი მეზობელი გვყავდა, ოსი ჰყავდა ქმარი; მისი სახელი არ მახსოვს, ომის დროს და მერეც დამლაგებლად მუშაობდა. შემდეგ, როცა მეუღლე გარდაეცვალა, წავიდა, ჯავის დატოვება და საქართველოში დაბრუნება მოუწია. ასევე გვყავდა ერთი მასწავლებელი ნატა გიორგის ასული ილიაშვილი. არ ვიცო, სად დაიბადა, თუმცა უმაღლესი განათლება ჩვენს ინსტიტუტში მიიღო. ბიოლოგია, ჩემს ძმასთან ერთად სწავლობდა. ის არაჩვეულებრივი ადამიანია და დღესაც აქ შრომობს, ბავშვებს ზრდის. მისი შვილები ოსები არიან. ზოგი დარჩა, ბევრი წავიდა, ალბათ თავიანთი შვილების გამო ეშინოდათ.

ზოგადად ძალიან ვამაყობდი იმით, რომ სოფიკო ჭიაურელის ნდობით აღჭურვილი პირი ვიყავი, რომელიც ჯავის რაიონში იყრი-

და კენჭს. ჩვენთან ინტერნატში მოვიდნენ და გვითხრეს, რომ სოფიკო ჭიაურელი იყრიდა კენჭს საქართველოს პარლამენტის წევრად და სჭირდებოდა ადამიანი, რომელიც მხარს დაუჭერდა და წარმოადგენდა. დირექტორმა მე მომმართა, რაც დიდ პატივად ჩავთვალე, მით უმეტეს, რომ კარგად ვიცნობდი მის ფილმებს, ხშირად ვუყურებდი და მომწონდა. როდესაც სოფიკოს ჰკითხეს, უნდოდა თუ არა ახალგაზრდა ადამიანი ნდობით აღჭურვილ პირად, მან თქვა, რომ, ცხადია, ძალიან მესიამოვნებაო. ვიცოდი, რომ ის არა მარტო ქართული, არამედ საბჭოთა კინოს სახეც იყო, მშვენივრად ასრულებდა როლებს, იგი ყველას გვიყვარდა. მით უმეტეს, რომ ის როლებს ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებების მიხედვით გადაღებულ ფილმებშიც ასრულებდა. ეს ყველაფერი, ცხადია, ძალიან გამიხარდა და სიტყვით გამოვედი. არ ვიცი როგორ: კარგად თუ ცუდად, თუმცა მათ მოენონათ, ყოველ შემთხვევაში, ის მომიახლოვდა და გადამეხვია. დიდი მადლობა გადამიხადა, მითხრა, რომ ოდესმე თბილისში დამპატიჟებდა. მას მერე აღარ შევხვედრით ერთმანეთს, თუმცა ის მაშინ დეპუტატი გახდა.

იმ დროისათვის უკვე აღარანაირი დაფინანსება აღარ იყო. ისე გამოვიდა, რომ სკოლა-ინტერნატს, სადაც მე დირექტორი ვიყავი, საკვები სჭირდებოდა. ავსტრიიდან ჰუმანიტარული დახმარება კონსერვების და მშრალი საკვების სახით მოვიდა. თუმცა ამბობენ, რომ ეს ყველაფერი საქართველოს გავლით მოდიოდა და ყოველდღე კგბ-ში მიწევდა მისვლა და ხელის მოწერა იმაზე, რომ დახმარება ქართველებს არ მოუტანიათ და ის ცხინვალიდან ჩამოიტანეს; იმაზე, რომ ქართველებთან არანაირი კავშირი არ მქონდა. ასეთ მძიმე პირობებში შევინარჩუნეთ ჩვენი სკოლა, ჩვენი კოლექტივი. ეს სკოლა დღემდე მუშაობს.

შემდეგ ჩვენთან საშინელი მინისძვრა მოხდა და ყველაფერი ერთმანეთს მიეწყო. მაშინ ჩემი ქმარი სკოლის დირექტორად მუშაობდა და, მგონი, ვაგონები ვოლგოგრადიდან მან ჩამოიყვანა. შიგ ბავშვებს ეძინათ. ეს ვაგონები რომ არა, ცხადია, არაფერი არ გვექნებოდა და სკოლის გადარჩენასაც ვერ შევძლებდით. საშინელ პირობებში ვცხოვრობდით: ჩვენი დასახლების დასაცავად წასული ბავშვების გამო შიშით ვცახცახებდით. სანაკოევის შვილს – გენა სანაკოევს საშინელება შეემთხვა. როცა გაიგო, რა ხდებოდა, ის ვლადიკავკაზიდან ჩამოვიდა. უთხრეს: თუ გინდა, დღეს დაისვენე, შვილო, ახალი ჩამოსული ხარო. მან კი თქვა, რა დასვენებაზეა ლაპარაკი, როცა ჩვენი ბიჭები იხოცებიანო! ის წავიდა და ქართველებმა ცისფერი თვალების გამო ის სლავური ეროვნების სახედ დაასახელეს. საშინელი სიკვდილით მოკლეს. ჩემი მეზობელი ცხოვრობოვი, სოფელი საქერედან, თიგიევი... ესენიც ჩვენი

ბიჭები იყვნენ, ჩვენები, ჯაველები, რომლებიც დაილუპნენ. მეზობელ სოფლებში ერთი ახალგაზრდაც კი არ დარჩა, ვისაც თავისი დასახლება არ დაუცავს. ზოგჯერ გამოვდიოდი, ვფიქრობდი დავაპურებ-მეთქი! არადა დასაპურებელიც კი აღარავინ იყო! ყველა პოსტზე იდგა. არც ერთ მათგანზე ცუდი არაფერი მეთქმის. ისეთებიც იყვნენ, ვინც ამ მოვლენებამდე გაცილებით ადრე ჩრდილოეთ ოსეთში წავიდნენ, თუმცა მათ ჩვენთვის პური მოჰქონდათ. მთხოვდნენ: ელვირა, თუ შეგიძლია, ეს პური დაარიგეო.

საშინელება ხდებოდა 1989 წელს, ქართველების პირველი შემოტევების დროს. ჩემი მეზობელი ბორიკ ცხოვრებოვი, სკოლა-ინტერნატის მძღოლი და კიდევ რამდენიმე ბიჭი – ყველანი ჩვენი საზღვრების დასაცავად წავიდნენ... ეს პირველი მსხვერპლი იყო ჯავიდან. ბორიკ ცხოვრებოვი... მეორე მსხვერპლიც ცხოვრებოვი იყო გვარად, ასევე ჩემი მეზობელი. ის რაღაც სოფლის დასაცავად წაიყვანეს და მასაც მტრის ტყვია მოხვდა. დაილუპა. ჯერ ოცი წლისაც არ იყო.

საშინელი დრო იყო, მე სკოლა-ინტერნატის თანამშრომელი დამელუპა. მის მოსაგონარ სუფრაზე დასადებადაც კი არაფერი გვქონდა. თევზის კონსერვები გავხსენით პურთან ერთად და ასე დავმარხეთ საცოდავი ქალი.

ჩემი ერთადერთი ძმისშვილი, ჩემი ძმის ქალიშვილი, თბილისში დარჩა. იმაზე ფიქრიც კი მზარავდა, რომ ველარასოდეს ვნახავდი დისშვილს, ველარასოდეს მოვეხვეოდი. შემდეგ, როცა დარეკვის შესაძლებლობა გაჩნდა, მითხრა რომ მათთან ყველაფერი კარგად, ნორმალურად იყო. ეს ძალიან მაღიზიანებდა. როგორ უნდა ყოფილიყო მათთან ყველაფერი კარგად, როცა ჩვენ ასეთ მდგომარეობაში ვიყავით?!

არ შემიძლია, ქართველებს ვაპატიო. ჩვენ გვერდიგვერდ ვცხოვრობდით, შერეული ოჯახები გვყავდა, ვმეგობრობდით, მათი შვილები ჩვენთან სწავლობდნენ. ერთ დროს ბავშვების 30% იმ ტერიტორიიდან იყო, თუმცა არ ვამბობ, რომ მათგან ყველა ეროვნებით ქართველი იყო. ვერ ვაპატიებ იმას, რომ არც ერთმა არ მისცა თავს უფლება, ჩვენთვის ეთქვა, გავეფრთხილებინეთ, რომ სადამოს ჩვენზე თავდასხმას აპირებდნენ! თავი დაიცავით, ფრთხილად იყავით ან რამე მოფიქრეთო! ისინი უბრალოდ ადგნენ და წავიდნენ. ასე როგორ შეიძლება?! შემდეგ, რამდენიმე წლის წინ თურქეთში ოთხმხრივ შეხვედრაში მონაწილეობა მომიწია ეროვნული დიპლომატიის დონეზე და გამომშვიდობებისას ერთ-ერთმა ქართველმა ქალმა მითხრა: ქალბატონო ელვირა! თუ კიდევ ჩამოხვალთ, კეხვის სასაფლაოდან ჩემი შვილის საფლავის მიწა წამომიღეთ კოლოფით, იქ არის დამარხული. ის მუხლებზე ხელს ირტყამდა და

მოთქვამდა: ნუთუ ველარასოდეს მოვხვდები შვილის საფლავზე, ვერ ვემთხვევი მიწას, სადაც ჩემი შვილი წევს? მე ბუნებით ემოციური ადამიანი ვარ, თვალზე ცრემლი მომადგა. ქალის, დედის ცრემლების დანახვისას თავი ვერ შევიკავე. ვკითხე, მაინცდამაინც მე რატომ მომმართე-მეთქი. მან კი მიპასუხა, 25 წელს ჯავის საავადმყოფოში ვმუშაობდი მედდად, თქვენ ჯაველი ხართ და ამიტომაც მოგმართავთო. როცა ჯავაში დავბრუნდი და ჩვენებს მოვუყევი, მითხრეს, სანამ აქ მუშაობდა, მშვენიერი ქალი და კარგი თანამშრომელი იყო, მაგრამ, როდესაც ომი დაიწყო, მანქანების გასაჩერებლად ისიც გზაზე გავიდაო. მისთვის, ცხადია, არანაირი მიწა არ წამიღია. უბრალოდ, ის სურათი თვალწინ მიდგას. ვკითხე, იცით, რა დაემართა თქვენს სახლებს, დღეს როგორ გამოიყურება-მეთქი? მან მიპასუხა, ომიდან ორი თვის შემდეგ ფილმი გადაიღეს და ხალხს მათი სახლები აჩვენესო. მისი თქმით, სახლების ასეთ დღეში დანახვის შემდეგ ერთ თვეში 300 ადამიანი გარდაიცვალა. აქ კი უკვე მოთმინება დავკარგე და ვუთხარი, ნეტა თქვენი „სუფთა მიწა“ გენახათ-მეთქი. ისეთი თვალეებით შემომხედა, ჩემთვის კი უკვე სულერთი იყო.

2008 წელი ყველაზე საშინელი წელი იყო. ჩემს სახლში 27 დევნილი ცხოვრობდა! ვმუშაობდი პროექტში „დახმარება ავადმყოფ ბავშვებს“. ჩემი პროექტი იმიტომ გავიდა, რომ კონკრეტული მონაცემები მქონდა: გუფთიდან ხვწმდე, სულ რაღაც სამი კილომეტრის სიგრძის ტერიტორიაზე 16 ადამიანი ცხოვრობდა ცერებრალური დამბლითა და დაუნის სინდრომით. ძალიან მინდოდა მათთვის პროგრამის შემუშავება. დამირეკეს და მითხრეს, ჩამოდით, ფული წაიღეთო. ეს 6 აგვისტოს მოხდა. მე უბრალოდ დრო არ მქონდა. რაღაცნაირ მძიმე და დაძაბულ გარემოში ვიყავი. გავიფიქრე: მოიცდიან და ყველაფერი როცა დალაგდება და დაწყნარდება წავალ, ფულს წამოვიღებ, ყველაფერს ისე გავაკეთებ როგორც საჭიროა-მეთქი. პროექტს ეუთო აფინანსებდა. ცხადია, ველარ შევძელი წასვლა. ომი დაიწყო!

მთელი ოჯახი ტელევიზორის წინ ვიხსედით, უცებ კი სააკაშვილი აცხადებს, არანაირი თავდასხმა არ იქნებაო. ჩვენ, ცხადია, ეს არ დავიჯერეთ; ამის დაჯერება გულუბრყვილობა იქნებოდა. თუმცა მაინც სიმშვიდე იყო, ვერაფრით ვერ წარმოვიდგენდით, რომ ასეთი რამე მოხდებოდა. მძინარე ქალაქზე თავდასხმა, ქალაქზე, სადაც შენი შვილები და შვილიშვილები არიან... ჩემი ქმარი მაშინვე წამოდგა, იარაღი აიღო და წავიდა. ორი დღე-ღამე აღარ მინახავს. შემდეგ მოვიდა, ისევ რაღაც წაიღო და წავიდა. მე თვითონაც არ ვიცი, როგორ ვცხოვრობდი. ჩემს სახლში მაშინაც და 8 რიცხვშიც დევნილები ცხოვრობდნენ. მათ წასვლა უნდოდათ,

მაგრამ რატომღაც არ გამოვიდა. თვითონაც არ იცოდნენ, რა უნდა ექნათ, სად წასულიყვნენ. ახლა იმ მდგომარეობის აღწერა შეუძლებელია, თუმცა ისიც არ ვიცოდით, რა უნდა გვექნა. ერთმანეთს ვეკითხებოდით, მაგრამ არც ერთ კითხვაზე არ გვექონდა პასუხი, საკუთარი თავისთვისაც კი. ჩემი სახლი პირდაპირ გზაზე იდგა, გადახვევაც კი არ იყო საჭირო. ვხედავდი, როგორ მოჰყავდათ დევნილები მანქანებით. სულ სავსე მანქანები მოდიოდა; ბევრი ხელს მიქნევდა და ვხვდებოდი, რომ ჩემი ნაცნობები იყვნენ. ისინი ჩრდილოეთ ოსეთში წავიდნენ, რადგან მეტი გამოსავალი არ ჰქონდათ. ჩემ გარშემო ქალებისა და ბავშვების უმეტესობა წავიდა. აღარავინ აღარ დარჩა, ყველას ეშინოდა. ჯავაში სამი ბომბი ჩამოაგდეს. თუმცა გასაოცარია, ალბათ ღვთის წყალობით ბომბი ისეთ სახლს დაეცა, რომელშიც იმწუთას არავინ არ იყო. ახლოს სამი სახლი იდგა და სამივე დაინგრა, განადგურდა. თუმცა იქაც არავინ ცხოვრობდა, ამიტომ, ღვთის მადლით, უმსხვერპლოდ გადავრჩით. ისინიც წავიდნენ, ბავშვები წაიყვანეს. როცა მარტო ვრჩებოდი და წარმოვიდგენდი, რომ ტყვია ან ბომბი ისეთ სახლს კი არ დაეცა, სადაც ჩემი შვილები ცხოვრობენ, არამედ, უბრალოდ, ერთ-ერთ სახლს ბავშვებით, ჭკუიდან ვიშლებოდი. ჯიბეში მხოლოდ დამამშვიდებელი წვეთები მქონდა, მეტი არაფერი, და ამით ვიმშვიდებდი თავს. არ ვიცოდი, რა მექნა და კონცენტრაციაც მიჭირდა. თავში მხოლოდ ცუდი აზრები მომდიოდა. არ მიფიქრია იმაზე, რომ ყველაფერი მორჩებოდა. მერე კი, როცა ჩემს სახლთან ახლოს რუსულმა ტანკებმა გაიარეს, ცოტა ამოვისუნთქე. სახლში კანფეტები მქონდა, ერთ კილოზე ცოტა მეტი. გარეთ გავიტანეთ და ჩამოსულ ტანკისტებს ვესროდით. ერთ-ერთმა წერილი გადმომიგდო, რომელშიც ეწერა, „ჩვენ თქვენ დაგიცავთ“. ეს წერილი რომელიღაც კრებაზე ჩვენს პრეზიდენტს, ლეონიდ ხარიტონის ძეს გადავეცი და ვუთხარი: მუზეუმში ან არქივში შეინახეთ, დაე, იქ იყოს-მეთქი. ერთხელ რომელიღაც ტანკს რაღაც დაემართა, ალბათ მექანიზმი გაუფუჭდა და ჩვენთან ახლოს გაჩერდა. ჩემი ქმარი გავიდა და შეკეთებაში დაეხმარა. მისი სახლში, სადილზე შემოპატიჟება გვინდოდა, მაგრამ უარი გვითხრა: რას ამბობთ, ახლა მაგისტრის არ გვცალიაო!

მახსოვს, ომის შემდეგ პირველად როგორ წავედით ცხინვალისა და ჯავაში. ჩვენ, სამი მეგობარი, ქალაქში წავედით; გზაში კი არაფერზე არ შეგვეძლო ლაპარაკი. უბრალოდ ვიყურებოდით და თვალებს ვერ ვუჯერებდით, ვერ ვიჯერებდით, რომ ეს ყველაფერი მართლა მოხდა. ყველა სახლი განადგურდა. ქალაქში შევედით, ერთმანეთს თვალებში შევხედეთ და უბრალოდ ავტირდით. არაფრის თქმა არ შეგვეძლო, საერთოდ არაფრის. არც კი ვიცოდით,

საით წავსულიყავი: დეიდის სახლი მენახა თუ სხვა ახლობლებთან მივსულიყავი. ჩემი სიძეები, ქალიშვილები იქ ცხოვრობენ. არ ვიცოდი, სად წავსულიყავი! სამივე ვიდექით, ვუყურებდით და ვტიროდით. უამრავი ნაცნობი დაიღუპა. ჩემს ქალიშვილს შევხვდი, მან კი არაფრის მოყოლა არ ისურვა: დედა, ყველაფერი ნორმალურადაა, ყველაფერმა ჩაიარა; მან დაინახა ჩემი სახე, დაინახა როგორ ვღელავდი და არ უნდოდა ზედმეტად ჩემი განერვიულება. თუმცა რა შუაშია „ზედმეტად“? მე ხომ უკვე ყველაფერი ჩემი თვალთვინით ვნახე. ყველაფერი გავაცნობიერე და ვიგრძენი: რა გამოიარეს და როგორ გრძნობდნენ თავს. შემდეგ დეიდაც ვნახე. ისიც ჩემს ყველა შეკითხვას ტირილით, მოთქმით ხვდებოდა და ამბობდა რომ აღარ იცის როგორ გააგრძელებს ცხოვრებას. მათგან არავინ არ ლაპარაკობდა დანგრეულ სახლებზე და მათ აღდგენაზე. მხოლოდ იმას ამბობდნენ, თუ როგორი მწუხარება დაატყდათ თავს. როგორ შეიძლება მძინარე ქალაქზე თავდასხმა, როცა იცი, რომ იქ ბავშვები, ქალები, ზრდასრულები და ახალგაზრდები ცხოვრობენ. ასე მგონია, რომ ხალხს უბრალოდ არ შეეძლო ამ მწუხარების გადალახვა. ვესაუბრებოდი და ვგრძნობდი, რომ გონს ვერ მოდიოდნენ. ამას მალე ვერ დაივიწყებდნენ და ეს მათზე აუცილებლად აისახებოდა. როდესაც ასეთ პატარა რესპუბლიკაში ცხოვრობ, სხვისი გასაჭირი არ არსებობს. ეს საერთო მწუხარება იყო. ზოგჯერ არც კი ვკითხულობდით: იცნობ იმ დაღუპულს? რა მნიშვნელობა ჰქონდა, იცნობ თუ არა, ის ჩვენი თანამემამულე იყო.

იყო შიში. ყველაფერი შეიძლება მოხდეს... სანამ პუტინი და მედვედევი გვყავს, ასე თუ ისე მშვიდად შეიძლება ყოფნა. მაგრამ მერე რა იქნება? როდესაც ვლადიკავკაზში მესმის რომ „ბორჯომი“ მსოფლიოში საუკეთესო წყალია, გული მტკივა: ჩვენი „ბაგიათა“ ან „დაუ სუარი“ რატომ არა?! ბოლოს და ბოლოს რატომ ვუკეთებთ რეკლამას მტრის პროდუქტს. ჩვენსას რატომ არა?! მე ჯერ კიდევ მეშინია, ვერ ვმშვიდდები. როდესაც ცხინვალში ან თბილისში თავისუფლად შესვლაზე და გადაადგილებაზე ლაპარაკობენ, ეს საერთოდ არ მომწონს. არ ვიცი, ვინ რას ფიქრობს, მაგრამ მე ამის სურვილი არ მაქვს. აღარ ვენდობი ამ ხალხს. მიუხედავად იმისა, რომ იქ ბევრი ახლობელი და ნათესავი მყავს. მაინც... როგორ უნდა გავიხარო იმით, რომ იმ მიმართულებით გზა გვექნება და თავისუფლად გადაადგილებას შევძლებთ? როგორ შევხვდავ მაშინ ჟანას თვალეში? ან აზა კონსტანტინეს ასულს? როგორ შევხვდავ ვალიევის დედას თვალეში? ვისი შვილებიც, ერთადერთი შვილები დაიღუპნენ! რატომ და რისთვის? მე ახლაც მეშინია.

ჩემთან, გუფთის სკოლაში საქართველოდან დევნილი მოწაფე მოვიდა მეშვიდე კლასში. ნახევარი წლის შემდეგ თავისუფალ

თემას „ბუნების საყვარელ კუთხეს“ ვწერდით. ის მომიახლოვდა და უხეშად მითხრა: მასწავლებლო, მე არანაირი საყვარელი კუთხე არ მაქვს სამხრეთ ოსეთში! მივხვდი, რომ მის ბავშვურ სულს არაერთი წლის განმავლობაში წამლავდნენ. ეუბნებოდნენ, რომ ეს ოსეთი არ არის, არამედ საქართველოა, ქართული მიწებია და ა.შ. ვგრძნობდი რომ ბავშვს უბრალოდ გონება ჰქონდა მონამღვრული და როგორღაც მივეალერსე. მოვუყევი, როგორ ვცხოვრობდით საბჭოთა პერიოდში, როგორ მიყვარდა ნოდარ დუმბაძის „მე, ბეზია, ილიკო და ილარიონი“. მას სახე გაუბრწყინდა და ერთ კვირაში გამომიცხადა, რომ მას არა მხოლოდ საყვარელი კუთხე აქვს სამხრეთ ოსეთში, არამედ მთელი სამხრეთ ოსეთი მისი საყვარელი კუთხე გახდა. ამ მაგალითიდან გამომდინარე, წარმომიდგენია, რას უკეთებენ ოს მონაფეებს ქართულ სკოლებში.

ჩემი ქალიშვილი ადამიანის უფლებათა კომიტეტში მუშაობდა, ისინი სკოლებში ომის შედეგად ქართველების მიერ ჩვენი ბავშვებისთვის მიყენებული მორალური ზიანის შესახებ განაცხადებს აგროვებდნენ. უკვე 62 წლის ვარ, მხრებზე ბავშვებთან მუშაობის დიდი გამოცდილება მანევს და მეშინია. ეს პროცესი თუ დამთავრდება, თუ გადაწყვეტილებას მიიღებენ, რომ ჩვენი ბავშვები დაზარალებდნენ და დიდი მორალური ზიანი მიადგათ, მატერიალურზე რომ არაფერი ვთქვათ, უფრო მშვიდად ვიქნები. მანამდე კი არა. თუმცა, ამ მორალურ ზიანს ალბათ ვერასოდეს ვერავინ აანაზღაურებს.

* * *

ი. ც. ქ. ზნაურის მცხოვრები, 52 წლის

1988 წელს დავამთავრე მსუბუქი მრენველობის ინსტიტუტი მოსკოვში. დავბრუნდი და გავთხოვდი ოჯახში, სადაც დედა ქართველი იყო, მამა – ოსი. აი ასეთ შერეულ ოჯახში მოვხვდი. მაშინ სხვა ადამიანებისგან მესმოდა, რომ აქაური ქართველები თავიანთ ლიდერებთან იკრიბებოდნენ. იკრიბებოდნენ და შემდგომი მოქმედებებისთვის ემზადებოდნენ. მათ რაღაც გეგმები ჰქონდათ – ეს გამსახურდიას პერიოდი. მაშინ ასეთი ლოზუნგები ისმოდა: საქართველო ქართველებისთვის, ოსები – ჩამოსახლებულები, ვისაც ჩვენთან ცხოვრება უნდა, იცხოვროს, ვისაც არა – კი ბატონო, როკის გვირაბი მათთვის გახსნილია და წავიდნენ, ეს ჩვენი ტერიტორიაა. აი ასეთი ფრაზების და ლოზუნგების დეკლარირება ხდებოდა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე. ჩვენს რაიონშიც იყვნენ ქართველები – ნაციონალისტები და ჩვენთანაც ატარებდნენ კრებებს. სოფლების დასახელებაც კი შემიძლია. დავუშვათ, ერთი მათგანი სუნისში ცხოვრობდა, აქ რაიონში მუშაობდა და მუდმივად მასთან სუფრაზე იკრიბებოდნენ. ქეიფის დროს ისე საუბრობდნენ როგორც კავკასიელებს ახასიათებთ. მაგრამ საუბარი ეხებოდა მომავალ გეგმებს, რევოლუციას, რომლის მონყობაც ჩაიფიქრეს ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე. მაშინ ლაპარაკი იყო ჯერ კიდევ სამხრეთ ოსეთზე, საქართველოს შემადგენლობაში მყოფ ავტონომიურ ოლქზე. იყვნენ შერეული ოჯახებიც, მაგრამ ისინი უფრო თავშეკავებულად იქცეოდნენ, იმიტომ, რომ მათთვის ძალიან მძიმე იყო, ორმაგად მძიმე. ამ ოჯახებში ხომ ოსებიც ცხოვრობდნენ და ქართველებიც. ის ოსები კი, რომლებსაც ნაკლები ნათესაური კავშირი ჰქონდათ ქართველებთან, ქართველ ნაციონალისტებს სულ ეკამათებოდნენ. ხანდახან საქმე ჩხუბამდე მიდიოდა. ძალიან ბევრი ინციდენტი ხდებოდა, მაგრამ მაშინ ჯერ კიდევ არსებობდა მილიცია და ყველაფერი მალე გვარდებოდა.

მართალი გითხრათ, იმას, რაც შემდეგ მოხდა, არ ველოდით. გვეგონა, რომ ყველაფერი წყნარად ჩაივლიდა. თუმცა უკვე ძალიან გვიან იყო და მალე ყველაფერს მივხვდი. რატომ? ალბათ იმიტომ, რომ ისეთ ოჯახში გავიზარდე, სადაც მამაჩემს ძალიან თბილი და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ქართველებთან. სახლში, სადაც გავიზარდე, ხშირად მოდიოდნენ ქართველები და ყოველთვის შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ ქართველები იგივე ოსები იყვნენ. გათხოვების შემდეგ, შერეულ ოჯახში ცხოვრების პერიოდში ჩვენთან ხშირად მოდიოდნენ ნათესავი ქართველები. კარგი და თბილი ურთიერთობების გარდა მე ცხოვრებაში სხვა არაფერი მინახავს.

როდესაც ჩემი ქმარი მოვიდა და მითხრა, რომ უნდა წავსულიყავით და შვილები გადაგვერჩინა იმიტომ, რომ ქართველები აპირებდნენ შემოსვლას, მაინც ვფიქრობდი, ეს შეუძლებელია მეთქი. სასწრაფოდ გავამზადე ბავშვი, მაშინ ორი წლის ბიჭუნა მყავდა, მეორეს ველოდებოდი, შვიდი თვის ორსული ვიყავი. ბარგს ვკრავდი და თან ვფიქრობდი – ეს შეუძლებელია-მეთქი. ბოლომდე მაინც არ მჯეროდა. მაგრამ მალე გაგვაფრთხილეს... ადგილობრივი ქართველი მოვიდა ჩემს ქმართან და უთხრა, ისინი შემოსვლას აპირებენ და, ყოველი შემთხვევისათვის, ჯობია, ცოლ-შვილი გაიყვანო. დღემდე სულ ვლოცულობ მისთვის, ის რომ არა... ის რომ არა, მაშინ სახლში დავრჩებოდით და მგონია, რომ ტრაგედია დატრიალდებოდა. იმიტომ, რომ, როცა შემოვიდნენ, პოზიცია პირდაპირ ჩვენს სახლთან დაიკავეს და ოთახი, სადაც ადრე მე ჩემი შვილი ვიყავით ტყვიებით იყო სავსე, ყველა შუშა ჩამტვრეული იყო, ბავშვის საწოლი მასრებით იყო სავსე, ანუ ჩვენი ბოლო ტრაგიკული იქნებოდა. როგორც უკვე ვთქვი, ჩვენ ადგილობრივმა ქართველმა გაგვაფრთხილა. ამბობენ, რომ ის ახლა საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობს. მისი ბედით დავინტერესდი, ნეტავ როგორ არის? თბილისი მოკითხვაც შევუთვალე. ის, რომ დღეს ცოცხლები ვართ, მისი დამსახურებაა.

მე ჩრდილოეთ ოსეთში ბიძასთან გავემგზავრე. გამგზავრება ნამდვილი ტანჯვა იყო. ზამთარი იდგა, მახსოვს, ძალიან დიდი თოვლი მოვიდა. თავს „სიცოცხლის გზით“ – ზარის გზით – ვუშველეთ. შვიდი საათი ფეხით მივდიოდი, ფეხმძიმე ქალი ბავშვით ხელში. ჯავაში ნათესავი მელოდებოდა მანქანით. ვლადიკავკაზში წაგვიყვანეს და მეორე-მესამე დღეს ავადმყოფი ბავშვით საავადმყოფოში მოვხვდით. ორთვე-ნახევარი საავადმყოფოში ვინექით, მაღლობა ღმერთს, ყველაფერმა კარგად ჩაიარა. შემდეგ ძალიან ვნერვიულობდი იმაზე, თუ როგორ ბავშვს გავაჩენდი – წარმოიგინეთ, ორი წლის მძიმე ბავშვი ხელში და მე თვითონ შვიდი თვის ფეხმძიმე. ხან ერთ ნამქერში ვარდები ბავშვით და დგები, ხან მეორეში. უი... ერთ მომენტში დავბრუნდი კიდეცა. ქართველების შემოსვლის მერე ერთ კვირაში დავბრუნდი. ის, რაც სახლში დამხვდა, რაც იქ ხდებოდა ყველაფერი ჩემი თვალთ ვნახე და მივხვდი, რომ იქ გაჩერება ძალიან საშიში იყო, მით უმეტეს, როდესაც შვილი გყავს ავად. ბავშვი დას დაუტოვე. ნივთების წასაღებად უნდა დავბრუნებულიყავი. და რა თქმა უნდა, ივნისში უნდა მემშობიარა.

ივლისში, მას შემდეგ, რაც სამშვიდობოები შემოვიდნენ, უკვე ჩემი ორი ბავშვით დავბრუნდი სახლში. აქაურობა გაუკაცრიელდა. ძალიან ცოტა ადამიანი დარჩა. ვიღაც-ვიღაცეები დაბრუნდნენ, ვიღაცა ჩრდილოეთ ოსეთში დარჩა. მეზობელი ქართველებიც წავიდნენ. მაგრამ ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ ჩვენ გვერ-

დით მცხოვრებმა ქართველებმა ქართველების შემოსვლამდე ჩუმად დატოვეს სამხრეთ ოსეთი. როგორც შემდეგ გავარკვიე, ისინი გაუფრთხილებიათ, რომ რამდენიმე დღით გასულიყვნენ და როდესაც რაიონს აიღებდნენ, უკან დაბრუნებულიყვნენ და ცხოვრება გაეგრძელებინათ. მახსოვს რამდენიმე ნაცნობ ქართველს, რომელიც საქართველოსკენ მიემართებოდა, ვეკითხებოდი; რა ხდება? რატომ მიდიხართ-მეთქი. ერთნი ამბობდნენ, ავად ვარ და ექიმთან მივდივარო, მეორე ამბობდა, ნათესავეებთანო, ვილაცა ამბობდა, შვილებთანო. ისინი სხვადასხვა მიზეზს ასახელებდნენ. აი, ასე ჩუმად ტოვებდნენ რაიონს, ტოვებდნენ თავიანთ სახლებს. სახლში რომ დავბრუნდი ძალიან მიმძიმდა. ჩვენ ხომ მიჩვეულები ვიყავით მეზობლებთან ერთად ცხოვრებას, აქ კი რაიონში ახლომახლო არავინ დარჩა, ამიტომ ძალიან გაგვიჭირდა. ქართველი მეზობლები არ დაბრუნებულან, შეეშინდათ, იმიტომ, რომ ჩვენი ბიჭების დამსახურებით, რომლებიც ჯოხებით ხელში იცავდნენ ჩვენს მინას, რაც ჩაიფიქრეს ის ვერ განახორციელეს. ვთვლი, რომ ეს ჩვენი ბიჭების, ჩვენი შვილების უდიდესი გმირობაა.

უნდა ითქვას რომ 90-იანი წლები ძალიან მძიმე იყო. ორმაგად გაგვიჭირდა. ჩვენი რაიონი უკვე კონფლიქტის ზონა იყო. მუდმივი საშიშროება იყო იმიტომ, რომ გაურკვეველ მდგომარეობაში აღმოვჩნდით. როგორც კი შებინდებოდა, იმწუთასვე იწყებოდა სროლები „ალაზანიდან“. ზუსტად რა ერქვა, ახლა აღარ მახსოვს, მაგრამ ისინი ყოველ საღამოს ნამდვილად რაკეტებს უშვებდნენ. დროთა განმავლობაში ეს ჩვეულებრივი ამბავი გახდა! ჩემი შვილიც კი, რომელიც მხოლოდ ორი წლის იყო, ყოველთვის ფანჯარასთან ჯდებოდა და, როდესაც „ალაზანი“-ს რაკეტები ჩვენ მხარეს მოფრინავდნენ, ითვლიდა, – აი ამ ღამეს ამდენი და ამდენი გამოუშვესო, გუშინ კიდევ ამდენიო. აი, ასეთი ჩვევა ჰქონდა. შიშიც ჩვევად გვექცა. შუქი არ გვექონდა, პროდუქტები ჭირდა, მაგრამ რალაცნაირად ვუძლებდით. ალბათ იმიტომ რომ მაინც სოფელში ვცხოვრობდით და რალაცა ბოსტნიდან გვექონდა, რალაც მოგვეყავდა, რის ვაი-ვაგლახით ვინახავდით პირუტყვს. გვიჭირდა, რა თქმა უნდა, ძალიან გვიჭირდა, მაგრამ ყველაზე მეტად უშუქობა გვტანჯავდა. გაზიც არ გვექონდა. მუდმივად რალაცის მოხარშვა, მომზადება მჭირდებოდა ბავშვებისთვის. ვამზადებდი შეშის ლუმელზე; მაგრამ შეშაც ჭირდა – საშიში იყო ტყეში სიარული: რა იცი რა ხდება. 18 წელიწადი დაძაბულობაში და მუდმივ შიშში გავატარე, გაურკვეველობაში: ვინ იცის, ხვალ რა იქნება? ჩვენ როგორ ვიქნებით? – ეს ძალიან მიმძიმდა. მჯეროდა, რომ ადრე თუ გვიან ყველაფერი დამთავრდებოდა და იმედი მქონდა, რომ ჩვენს ხმას გაიგონებდნენ. ველოდებოდით ჩვენი ტანჯვის დასრულებას, სიმართლის ზეიმს და ადამიანური ცხოვრების დაწყებას. და რუსეთის დამსახურებით

ასეც მოხდა. იმ დროისთვის, როცა რუსი სამშვიდობოები შემოვიდნენ, ჩვენი ცხოვრება გაცილებით უფრო დაცული გახდა.

ვთვლი, რომ ქართველი გლეხებიც ამ კონფლიქტის მსხვერპლნი არიან. იმიტომ, რომ ეს ყველაფერი პოლიტიკაა. ვილაცას სჭირდებოდა, რომ ორი მოძმე ერი – ქართველები და ოსები – ერთმანეთისთვის წაეკიდებინა. მე ხომ ყოველთვის ვიცოდი, რომ ჩემი ქართველი ნათესავები ჩემს წინააღმდეგ საომრად არასოდეს წამოვიდოდნენ. დღემდე, როცა მათ ვეკონტაქტები, მათაც თვალეზზე ცრემლი ადგებათ, ეს ყველაფერი არც მათ უნდოდათ. ისინიც ამ ბინძურ პოლიტიკურ თამაშში აღმოჩნდნენ ჩათრეული.

შემდეგ ყველაფერი თითქოს დაწყნარდა, წლების მანძილზე ყველაფერი ნელ-ნელა გვარდებოდა. 2004 წლისთვის ჩვენთან საზღვარზე, გამშვებ პუნქტთან ბაზრობა მუშაობდა, სადაც ქართველები მუშაობდნენ. ანუ, გაჩნდა ბაზრობა, სადაც ჩვენ, ოსები და ქართველები, ერთად ვვაჭრობდით. ეს იყო გადადგმული ნაბიჯი ორ ხალხს შორის ნდობის აღდგენისაკენ. კაცი იფიქრებდა, რომ ყველაფერი შეიძლება მშვიდობიანად მოგვარებულიყო. იმედი გაჩნდა, რომ მალე ყველა გონს მოეგებოდა და ყველაფერი დალაგდებოდა. მაგრამ საქართველოში სააკაშვილის მოსვლის შემდეგ ყველა ორმხრივმა მცდელობამ უკან დახევა დაიწყო. ჩემი შეხედულებით, მან ამ ყველაფერს დიდი ჯვარი დაუსვა. 2004 წელს ქალაქთან შედარებით ჩვენს რაიონში ასე თუ ისე სიმშვიდე სუფევდა. მაგრამ, საბოლოო ჯამში, რა თქმა უნდა, ყველა დაძაბული და შეშინებული იყო: ისევ ისვრიან, ისევ მსხვერპლია, ისევ ყველაფერი მეორდება. ცხადია, ეს ძალიან გვიმძიმდა.

მაგრამ იმის გამართლება, რაც 2008 წელს საქართველოს მხრიდან მოხდა, ერთი პროცენტითაც არ შემიძლია. 2008 წლის შემდეგ, როდესაც ქართველ ქალებს შევხვდი მათ თვითონ მითხრეს, რომ ძალიან ნუხდნენ იმის გამო, რაც მოხდა, რომ ისინი ჩვენი ძმები და დები არიან, მათ ყოველთვის უნდოდათ ჩვენთან ერთად მშვიდობიანი და ნათესაური ცხოვრება. მე კი ვერ შევძელი, მათთვის არ მეკითხა, იმიტომ რომ ეს ყოველგვარ ჩარჩოებს სცდებოდა; ვუთხარი: „1991 წელს ჩვენ ერთმნიშვნელოვნად დავზარაღდით, მაგრამ თქვენ მეტად დაზარაღდით, იმიტომ რომ დაკარგეთ თქვენი სახლები, ქონება და ყველაფერი, რაც ათეული წლების განმავლობაში გქონდათ მოპოვებული, თქვენ ყველაფერი დაკარგეთ-მეთქი“. ქართველებს უფრო მეტად უჭირდათ, ვიდრე ჩვენ – ჩვენ რაღაც დახმარებას მაინც ვიღებდით, ისინი კი... კარგად მახსოვს, რომ იმ დროს უკვე ქალაქში ვცხოვრობდი, რადგან შვილები ქალაქის სკოლაში სწავლობდნენ. ახლომდებარე ქართული სოფლებიდან ქართველ გლეხებს ყოველდღე ურიკებით გასაყიდად გამოჰქონდათ რძის პროდუქტები, ვაშლს ყიდდნენ და ამით ირჩენდნენ თავს. მათ ესმო-

დათ, რომ უჩვენოდ ვერ იცხოვრებდნენ. მე ვკითხე, ასეთი ტანჯვის, საშინელებების გავლის შემდეგ 2008 წელს ყველაფერ ამის გამოორება როგორ დაუშვით-მეთქი?! მიპასუხეს, რომ ჩვენთვის არავის არაფერი უკითხავს, ჩვენც მოგვატყუეს და ასე გავხდით 2008 წლის ომის მსხვერპლი. აი, რას გვპასუხობს უბრალო გლეხი ხალხი.

7 აგვისტოს სახლში არ ვიყავი. იმ წელს სტავროპოლში ჩემი გოგონა ინსტიტუტში აბარებდა და იქ ვიყავი. მეუღლე კი 10 წლის ბავშვთან ერთად სახლში დარჩა. ჩემმა ძმამ შვილი სასწაულად გადამირჩინა. შვილი... ნახევრად მძინარე 3 საათზე გააღვიძეს, რაც ეცვა, იმით ჩატენეს მანქანაში და სასწრაფოდ გამოიყვანეს. ძმამ ის ისევ ძარის გზით გამოიყვანა. მათი მანქანა დაცხრილეს. დღემდე არ ვიცი ალბათ ღმერთის წყალობით გადამირჩინა ძმამ შვილი. ის შორტებსა და ფოსტლებში ჩამომიყვანა.

შვიდში საღამოს ჩამოვედი ვლადიკავკაზში, ქალიშვილმა ჩააბარა. ჩვენ საოცრად ბედნიერები ვიყავით. ჩამოვედი ვლადიკავკაზში, ჩემს რაიონში, სახლში დაბრუნება მინდოდა, მაგრამ ვლადიკავკაზში ჩემი ქმრის მეგობრები შემხვდნენ და მითხრეს, დაბრუნება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებაო. შენ ახლა როგორ უნდა ნახვიდე, დილით ადრე ჩვენ თვითონ გაგიშვებთო. საღამოს 8 საათი იყო. დავინახე, რომ ჩემი რაიონიდან ხალხით სავსე ავტობუსი ჩამოვიდა. ვხედავ, სულ ყველა ჩვენები, ჩემი მეზობლები არიან. ვეკითხები, რა მოხდა? თქვენ აქ რა გინდათ-მეთქი. ისინი მპასუხობენ, იმიტომ წამოვედით, რომ ახლა იქ ყოფნა საშიშია, რადგან ქართველებმა ისევ ომი წამოიწყესო. მაგრამ შემდეგ მამშვიდებდნენ, სააკაშვილი გამოვიდა ტელევიზიით და თქვა, ოსები ჩვენი დები და ძმები არიან და არავითარი ომი არ იქნებაო. მორჩა. მოვრიგდით. არაფერი არ იქნება. ყველაფერი მშვიდადაა. ასე მითხრეს, არ გინდა ახლა წასვლა, დილას ადრე გაემგზავრებითო. მაგრამ, ცხადია, დილას არსადაც არ წავსულვარ... და ჩემი შვილიც სასწაულად გამოიყვანეს იქიდან. ბავშვი ძალიან შეშინებული იყო, მერე დიდხანს დავდიოდით ექიმთან, ფსიქოლოგთან ვატარებდი. ღამღამობით შეშინებული იღვიძებდა.

8 აგვისტოს, დილას მინდოდა გამგზავრება. ვფიქრობდი ბავშვებს აქ დავტოვებ და ქმართან ჩავალ-მეთქი, მაგრამ მან ყურმილში მიყვირა: შენი პრობლემებია მაკლია აქ, იჯექი მანდ და სანამ არ გეტყვი, არ დაბრუნდეთ. მე ომის დამთავრებიდან ხუთი დღის შემდეგ დავბრუნდი, თუმცა ქმარს ჯერ-ჯერობით ჩემი უკან დაბრუნება მაინც არ უნდოდა. თვითონ აქ იყო, რაიონში. მე ჩამოვედი. ცხადია, გზაზე ნანახმა ძალიან შემაშინა, მაგრამ ჩვენს რაიონში ასე თუ ისე ქალაქთან შედარებით სიმშვიდე იყო. როგორც შემდგომ ცნობილი გახდა, ისინი ქალაქის მინასთან გასწორებას გეგმავდნენ და ამიტომ რაიონს მაინცდამაინც არ ეხებოდნენ. აქ

რამდენიმე რაკეტა გაუშვეს, სულ რამდენიმე სახლი დაზიანდა და რაიონი ქალაქთან შედარებით გადარჩა.

ცხადია, საშინელება იყო. სულ ვფიქრობდი, ცხოვრება როგორ უნდა გავაგრძელოთ-მეთქი. 18 წელს ვიცხოვრეთ ასეთ გაურკვეველობაში, ვიცდიდით, რომ ყველაფერი გადანყვეტილიყო. როდისღა ამოვისუნთქებთ მე, ჩემი შვილები, ჩემი ნათესავები, ჩემი ხალხი, როდისღა ვიცხოვრებთ ადამიანურად? ჩემმა საუკეთესო წლებმა გაურკვეველობაში, შიშში გაიარა. და დღეს გული მწყდება რომ ამაზე არავინაა პასუხისმგებელი. ჩემ გარშემო მცხოვრებმა ადამიანებმაც რამდენი წელი დაკარგეს. ეს ხომ 20 წელია! ეს მთელი თაობაა! ადამიანის ცხოვრება კი მოკლეა. ამ 20 წლის მანძილზე ბევრ რამეს გავაკეთებდი. მაგრამ ყველაფერს ჩამოვრჩი: მატერიალურადაც, მორალურადაც. სამი შვილის ფეხზე დაყენება დანგრეულ ქალაქში, დანგრეულ რესპუბლიკაში არც ისე იოლია. მაგრამ სხვა რა გზა გვაქვს? რით დავიმშვიდოთ თავი? პირადად მე იმით ვიმშვიდებდი თავს, რომ, როგორც იქნა მშვიდობა დადგა. დავიჯერე, რომ სხვალ უკეთესი იქნება, ზეგ კი უფრო უკეთესი. ეს სტიმულს მაძლევდა, ცხოვრების იმედს, რომ ყველა სიძნელეს გადავლახავდი. ამიტომ, მაღლობა ღმერთს, დღეს კარგი შედეგი მაქვს. რა თქმა უნდა, ჯანმრთელობა შემერყა, მაგრამ, სამაგიეროდ, ჩემმა შვილებმა თავიანთი გზა იპოვეს. ცხადია, ეს ყველაფერი დიდი რუსეთის დამსახურებაა.

იმის შიში დღემდე მაქვს, რომ ომი შეიძლება ისევ დაიწყოს. როცა კითხულობ ხმამაღალ გაუაზრებელ განცხადებებს, რომლებსაც ზოგიერთი ქართველი პოლიტიკანი (მათ მხოლოდ ეს შემიძლია ვუნოდო) აკეთებს იმის შესახებ, რომ კვლავ უნდათ ომის გამეორება, ყველაფერი ისევ ბრუნდება, ყველაფერი გახსენდება და შიში გიპყრობს. მაგრამ იმედია, ომი აღარ განმეორდება. ეს არ უნდა განმეორდეს, იმიტომ რომ ბოლოს და ბოლოს უბრალო ქართველ ხალხს ჯერ კიდევ არ დაუკარგავს სალი აზრი. ალბათ, მათაც ყველაფერი ანონ-დანონეს. ამ ომს უბრალო ქართველი ხალხისთვის კარგი არაფერი მოუტანია. ისინიც დაზარალდნენ და მგონია, რომ ჩვენ ხალხებს შორის სალი აზრი გაიმარჯვებს. ვფიქრობ, მათ შორის ნახევარზე მეტი მშვიდობას უჭერს მხარს. იმედი მაქვს, რომ ქართველი ჩვენ შორის ომს აღარ დაუშვებს. მოვუნოდებ ქართველ და ოს ხალხებს, რომ ჩვენ შორის მეტი მშვიდობისმყოფელი იყოს, რომ ჩვენ ყველას მშვიდობა გვსურდეს. ყველა ომი მშვიდობით მთავრდება. მოდი გავიხსენოთ, ოსებო და ქართველებო, რამდენად ღრმა ნათესაური კავშირები გვაქვს და თუნდაც ამ კავშირების გულისთვის, ჩვენი შვილების გულისთვის, მხოლოდ მშვიდობაზე ვიფიქროთ.

* * *

ლ. კ. სამოქალაქო აქტივისტი, ქ. ცხინვალის მცხოვრები

ამ მოგონებას ვუძღვნი ჩემს ახლობელ ადამიანს, მეგობარს, ჩემს დას, ჩემს პარტნიორს უამრავ პროექტში – მანანა მებუკეს. სამშვიდობო საქმიანობაში ჩემი გზის მანათობელ ვარსკვლავს. დღეს ის ძალიან ავადა და ყველა მისი ახლობელი ღმერთს ვევედრებით, რომ სასწაული მოახდინოს და ის ცოცხალი გვიმყოფოს.

ის რაც 89 წელს მოხდა, ყველასთვის მონმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა, მოულოდნელი საშინელება იყო. ჩემთვის ეს სრულიად გაუგებარი იყო. ამ ყველაფერს გულუბრყვილო მონარქიზმად ვთვლიდი: ვამბობდი, მხოლოდ ხელმძღვანელობაა დამნაშავე, მხოლოდ ერთი ადამიანია დამნაშავე-მეთქი. მოკლედ, სხვადასხვა ახსნა-განმარტებას ვეძებდი, მაგრამ ამ კონფლიქტს გლობალურად და სერიოზულად არასოდეს ვაფასებდი. მხოლოდ მაშინ, როდესაც განუკითხაობა დაიწყო, საოცრად გულქვა გავხდით და, ცოდვა გამხელილი ჯობს, ისეთ მარაზმამდე მივედი, რომ ერთ დღეს, როდესაც ქმარმა კეხვში ბენზინგასამართ სადგურზე მთელი ოჯახის – ქმრის, ცოლის და ორი შვილის დახვრეტის ამბავი მითხრა, მაშინ ვთქვი, ასეც მოუხდებათ-მეთქი! და როდესაც ეს პატარა ბავშვები წარმოვიდგინე, მივხვდი, რომ ქალი აღარა ვარ, დედა აღარა ვარ, ადამიანი აღარა ვარ. მივხვდი, რომ, თუ თავს არ ვუშვებდი, საბოლოოდ დავიღუპებოდი.

მე, როგორც ქართული-ოსური ოჯახის წარმომადგენელს, მეშინოდა, როდესაც დედაჩემს ვაკვირდებოდი, ქართველს, რომელიც მთელი ცხოვრება სოციალურად აქტიურ საზოგადო საქმიანობას ეწეოდა. ის ძალიან ძლიერი და ლამაზი იყო და ყოველთვის ყველგან ჩანდა. დედას მთელი ოჯახი ვალმერთებდით, მაგრამ ერთ საათში ის სუსტ, დაკომპლექსებულ არსებად იქცა! ადამიანად რომელსაც დაცვა სჭირდებოდა, დაიბნა და დანაშაულის გრძნობა ჩუმად ანადგურებდა. ცხადია, ჩვენც, მაგრამ ძირითადად თვითონ. ყოველთვის შესცქეროდა მამაჩემს – ოსს, მის საყვარელ ადამიანს, თუ როგორ რეაგირებდა იმაზე, რაც ჩვენი ოჯახის მიღმა ხდებოდა. ძარის ტრაგედიის შემდეგ თავის დასთან თბილისში დარეკა... უნდა აღვნიშნო, რომ დედა ცხრა და-ძმას შორის ყველაზე უფროსი იყო, ყველაზე ადრე გათხოვდა და მათ ყველას ჩემი დედ-მამა ზრდიდა. ისინი მონაცვლეობით ცხოვრობდნენ ჩვენთან – ზოგი დააქორწინეს, ზოგი გაათხოვეს ანუ, ისე იყვნენ, როგორც ჩემი მშობლების შვილები. და აი, ძარის ტრაგედიის მერე დედამ თავის დას დაურეკა და უთხრა: ყველას გადაეცი რომ დღეს მე ყველა დავმარხე და თქვენ კი მე უნდა დამმარხოთ, იმიტომ რომ მე თქვენ აღარ მყავხართ და თქვენ მე აღარ გყავართო. ეს მისთვის ყვე-

ლაზე დიდი ტრაგედია იყო. ომამდე მამა ყოველთვის ეხვეწებოდა დედას, რომ მისი გვარი აელო. ის კი ყოველთვის პასუხობდა: არა ფილიპ, ჩემს გვარს, ჩხეიძეს, მე არასოდეს შევიცვლიო! მაგრამ ერთხელ, როდესაც უკვე გახურებული კონფლიქტი იყო, რაღაც შემთხვევა მოხდა, თუ არ ვცდები, დედას სოფელ დმენისიდან ჯავ-შანმანქანით 14 წლის ბიჭი გამოჰყავდა და ერგნეთში ეს მანქანა არაფორმალეებმა გააჩერეს, გადმოათრიეს დედაც და ბიჭიც. ბიჭი დედაჩემისკენ იწვედა, არ უნდოდა მისი გაშვება, დედაც ებლაუჭებოდა და ამ დროს ერთ-ერთმა ბავშვი დაიჭირა, მინაზე დააგდო და ჩექმებით კისრის მალეები გადაუშხვრია. ამის მერე ისეთი გრძნობა მქონდა, რომ ის სიმაღლეშიც კი დაპატარავდა და მაშინ უთხრა მამას: ფილიპ, ნავიდეთ ქალაქკომში, აღარ მინდა ჩემი გვარის ტარება, მინდა, შენი გვარი მივიღო, თუ შენ ამის უფლებას მომცემო, მამაჩემმა კი უპასუხა: ნელი, ეს ყველაფერი მალე დამთავრდება! შეუძლებელია, ეს სიგიჟე დიდხანს გაგრძელდეს! და თუ ომის მერე მოგინდება ჩემი გვარის მიღება, რა პრობლემაა! ახლა კი იყავი ის, ვინც ხარ! შენ არაფერში არ ხარ დამნაშავეო! მოეხვია და აკოცა.

ასეთი ეპიზოდები ბევრი იყო. არ დავინყებ მათ მოყოლას. უბრალოდ, ახლა რამდენიმე სიტყვით აღვწერე ის ფონი, რომლის დროსაც დავინყე სამშვიდობო საქმიანობა. იმ დროს ეს ჩემი მოწოდება არ იყო. ეს იყო შესაძლებლობა, რომელიც მე გამოვიყენე, რათა შინაგანი სისასტიკისა და ყველა იმ საშინელებისგან გავთავისუფლებულიყავი, რომელიც ჩემში კონფლიქტის დანყების მერე გაჩნდა. პირველი ომის მერე, როდესაც ყველაფერი ჩანყნარდა, თბილისში ტრენინგებზე დავდიოდი, ვიღებდი სერტიფიკატებს, მაგრამ ყველაფერი ეს ისე იყო... ისეთი გრძნობა მქონდა, რომ ჩემთვის ცალკე ვცხოვრობ და ყველაფერი, რასაც ვაკეთებ, პარალელურად არსებობს. და აი, 2004 წელს ჩემს ცხოვრებაში გამოჩნდა მანანა მეზუკე. არც კი მახსოვს, ეს როგორ მოხდა, მაგრამ ჩემმა გულმა მისი გამოჩენის მერე ღლობა დაიწყო. მისი მეუღლე აფხაზეთში დაიჭრა და გარდაიცვალა. ის ფაქტობრივად ორ ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა: „ვეტერანთა კავშირს“, რომელსაც ოდესღაც მისი ქმარი თაოსნობდა და „ინვალიდ მეომართა და დაღუპულ მეზობლთა მეუღლეთა კავშირს“. ჩემზე ათი წლით უმცროსი მანანა ჩემთვის მასწავლებელი, სულიერი მოძღვარი გახდა და თანდათანობით ყველა ჩემი შინაგანი დემონისგან მიხსნიდა. დავინყე შავის თეთრისგან, წერტილისა და მძიმის გარჩევა. თავში ქაოსი მქონდა და ერთ რამეს ვგრძნობდი, ვაცნობიერებდი, რომ ამის გაკეთება არ შეიძლებოდა, ამისგან უნდა გავთავისუფლებულიყავი, მაგრამ არ ვიცოდი, როგორ და ცდისა და შეცდომის მეთოდით ვცდილობდი გაგებას. სწორედ ამ დროს გამოჩნდა მანანა, რომელმაც ცალკეული წინადადებებით, ქცევებით, ღიმილით, სწავლებით, კითხვებით ჩემში როგორღაც ყველაფერი სტრუქტურირებულად

თაროებზე დააღაგა და მიმართულება მომცა. ანუ, შემოიძლია ვთქვა, რომ ყოველგვარი ტრენინგების გარეშე სამყაროს კულტურას მაზიარა. ჩემს სულში სიმშვიდე შემოიტანა. მანანა თავისი ქვეყნის დიდი პატრიოტი იყო და ძალიან განიცდიდა ყველაფერს, რაც იქ ხდებოდა. ყოველთვის ამბობდა, ჩემი საქართველო არ არის იმის ღირსი, რაც აქ ხდებაო. ის ძალიან თბილად გვეპყრობოდა ოსებს სამხრეთ ოსეთიდან. ის ჩვენ თანაგვიგრძნობდა. ხშირად ჩამოდიოდა აქ და თავს უხერხულად გრძნობდა ყოველივე იმის გამო, რასაც საკუთარი თვალთ ხედავდა. ერთ დღეს ასეთი რამ მოხდა: ქალაქში ღამის სროლების შემდეგ მოხუცები და ბავშვები დაილუპნენ, მათ ცენტრალური მოედნიდან მიასვენებდნენ. მანანა ზუსტად დილით ჩამოვიდა. როდესაც ჩამოვიდა, ვუთხარი: ვიცი, რომ არ დამთანხმდები იქ წამოსვლაზე, მაგრამ იცოდე, რაც მოხდა საშინელებაა-მეთქი. მან მიპასუხა, თუ იქ არ მცემენ, მაშინ წამოვალ. ეს 2004 წელს მოხდა. ვურჩიე, ქართულად არ ილაპარაკო, ჩემ გვერდით იყავი და მაშინ არაფერი დაეგემუქრება-მეთქი. გასვენებაში წავედით. ის სამგლოვიარო მიტინგის, საუბრების, ცრემლების, ნათესავების ტრაგედიის მოწმე გახდა და ბოლომდე გააცილა ეს პროცესია ჩემთან ერთად. როცა ჩემთან სახლში დავბრუნდით, მითხრა: თუკი აქამდე კიდევ მქონდა რამის იმედი, ახლა უკვე აღარაფერი დამრჩა, ეს ჩვენი ურთიერთობების დასასრულის დასაწყისიაო. მიუხედავად ყოველივე ამისა, ამ ჩვენ შემდგომში კიდევ რამდენიმე სამშვიდობო პროექტი განვახორციელეთ. მათ ერქვა „ქალები მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის“. პროექტები პარალელურად მიდიოდა, მე ცალკე ვაკეთებდი ჩემს საქმეს, ის – ცალკე. ჩვენი გზები წლის მანძილზე ორჯერ-სამჯერ სადმე, ნეიტრალურ ტერიტორიაზე იკვეთებოდა.

2008 წელი მანანასთვის კატასტროფა იყო. ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობდით, რადგან მას გულწრფელად ვენდობოდი. დავურეკე და ვუთხარი: ჩვენი მუხნარი სავსეა ქართველი ჯარისკაცების გვამებით. ქალაქში უკვე სუნი დგას, საჭიროა მათი გატანა, თორემ მათ საძმო სასაფლაოზე დაკრძალავენ; რამე ილონე-მეთქი! საღამოს დამირეკა და მეუბნება, ვიყავი ჯანდაცვის სამინისტროში, თავდაცვის სამინისტროში, კიდევ სადღაც და იქ მიპასუხეს, სამხრეთ ოსეთში ჩვენი არცერთი ქართველი ჯარისკაცი არ არის დაღუპულიო. ამის მერე რაც მოხდა, ყველამ ვიცი. საბედნიეროდ, ოსურმა მხარემ ჰუმანურობა გამოიჩინა, შეუკვეთეს კუბოები და ისინი უბრალოდ ორმოში არ ჩაყარეს, კუბოებში ჩაასვენეს, დაუძახეს მღვდელს, რომელმაც წესი აუგო და საძმო საფლაოში დაკრძალეს. ამის მერე ჩამოვიდა ჰამერბერგი და მას სიტუაცია მოახსენეს. ის საქართველოში გაემგზავრა და შემდეგ უზარმაზარი რეფრეჟერატორ-მაცივრები გამოგზავნეს, ჩამოიყვანეს მღვდელი ნიქოზიდან, რომელმაც წესი აუგო დაღუპულებს და ამის შემდეგ

გადაასვენეს. მახსოვს ერთი ეპიზოდი 2008 წლის ზაფხულში. მანანა დიდხანს მთავაზობდა ბათუმში ბავშვებთან ერთად დასასვენებლად წასვლას, სადაც მას ბინა ჰქონდა, მაგრამ მე არაფრით არ ვთანხმდებოდი. ივლისის ბოლოს 28 რიცხვში, როდესაც მანანა ჩემთან იყო, ჩემი უმცროსი ქალიშვილი და შვილიშვილები ჩამოვიდნენ. მანანა მოგვიტრიალდა და გვეუბნება: ეხლა ვსხდებით მანქანაში და მივდივართ, მორჩა! არავითარი უარი! ბავშვებმა დამინყეს ხვენწა თუ შეიძლება ერთი კვირით მაინც წავიდეთო. ჩემი ქალიშვილი კი ზუსტად ამ დროს 10 აგვისტოს უნდა წასულიყო ქალაქ ვლადიმირში სანარმოო პრაქტიკაზე. ბათუმში მეც მყავს ნათესავები და დავთანხმდი. ჩავსხედით მანქანაში და გავემგზავრეთ. უკვე პირველ ორ რიცხვში ტელევიზიით ახალ ამბებში მესმის რომ ქალაქი დაცხრილეს, სამ და ოთხ რიცხვშიც დაცხრილეს. ვურეკავ ჩემს მეგობრებს, რომელთაგან ზოგიერთი ეუთოს ოფისში მუშაობდა და ვეკითხები: რა ხდება მანდ? იქნებ სასწრაფოდ დავბრუნდე? მპასუხობენ: როგორც ყოველთვის: ისვრიან და გაჩერდებიან. ისიც კი შემახსენეს რომ ამდენი წლის მანძილზე ამას უნდა შესჩვეოდითო. სამსა და ოთხ რიცხვში დაცხრილვის შემდეგ რაღაც სხვანაირად ვიგრძენი თავი და მანანას ვუთხარი, აღარანაირი დასვენება, სახლში მივდივართ-მეთქი. ექვსში თბილისში ჩამოვედით, ღამე მანანასთან გავათიეთ. დილას კი მეუბნება, ლირა, იქნებ დარჩეო. ვპასუხობ, არა, რას ამბობ, არ შემიძლია, მთელი ღამე არ მეძინა-მეთქი. ის კი მეუბნება, ლირა, უბრალოდ იმის თქმა მინდა, რომ გორის ხიდის იქით ველარ გადაგიყვანო. მე დავთანხმდი. დაფურეკე ეუთოს ერთ-ერთ მძღოლს, რომელიც ხშირად მეხმარებოდა. მაგრამ მან მითხრა, ეს შეუძლებელია, არა, აქ ისეთი ამბავია! ჩვენ არსად წასვლა არ შეგვიძლიაო! მაშინ ეუთოს თანამდებობის პირს დაფურეკე. მან მომისმინა და მითხრა, ახლა გორში ჩვენი თანამშრომლები ცხინვალის ოფისისთვის (7 რიცხვში) წყალს ყიდულობენ, ისინი გამოივლიან და თქვენც ბავშვებთან ერთად წამოგიყვანენ. სად იდგებით? ვუპასუხე, ხიდთან დაგელოდებით-მეთქი. მანანასთან ერთად ჩამოვედით და გზის პირას გავაჩერეთ მანქანა. ათ წუთსაც არ გაუვლია და გვერდზე გადახურულმა სატვირთო მანქანებმა ჩავვიქროლეს. მანქანები კი იყო გადახურული, მაგრამ უკანა მხარე ღია იყო და როგორც გერმანელების შესახებ ფილმებშია ხოლმე, მოჩანდნენ ბიჭები, რომლებიც მანქანებში იცინოდნენ, ხელს გვიქნევდნენ, მოკლედ მივხვდით რომ რაღაც საშინელება ხდებოდა. ჩემი შვილიშვილი კი მეკითხებოდა: ბებო, საით მიდიან ისინი? მე შიშისაგან კრიჭა შემეკრა. ვეუბნები: ალბათ რამე სამხედრო სწავლებები აქვთ-მეთქი. მანანა კი ზის საჭესთან სულ თეთრი, რაღაც არაბუნებრივად თეთრი ჩანდა. იქ საათზე მეტ ხანს ვიდექით. ამ ხნის მანძილზე მანქანები და ტექნიკა განუწყვეტლივ მოძრაობდა. მარჯვენა მხარეს ბუჩქებიდან

გამოვიდა უჩვეულო მანქანა ზედ ტყვიამფრქვევით. ერთი საათის შემდეგ კიდევ რაღაც მანქანამ შემოგვიარა... ასეთი მანქანა ცხოვრებაში არ მინახავს: „პობედას“ წააგავდა, ოღონდ ძალიან დიდი, თეთრი, თითქმის შავი ჩამუქებული შუშებით. მან გარშემო შემოგვიარა და 50 მეტრში გაჩერდა. მანანას ვეკითხები: ეს რა მანქანაა? და მან, აი, ამ მკვდარი გაფითრებული ტუჩებით დაიჩურჩულა: ლირა ფრთხილად, ჩვენ გვისმენენ! ეტყობა, მათ დაურეკეს და უთხრეს, იქ დიდი ხანია რაღაც მანქანა დგასო და გადაწყვიტეს რომ ჯაშუშები ვიყავით. როცა გავიაზრე, რა ხდებოდა, ალბათ ჩემში ჩემი შვილებისა და თვითგადარჩენის ინსტინქტი ამოქმედდა. ისტერიულად დავინყე რაღაცის ყვირილი, სიცილი, რაღაცა არარსებული ისტორიების გახსენება. მოკლედ ისტერია დამეწყა. ეს ნამდვილი სიგიჟე იყო. მანანას სახის გამომეტყველებითაც მივხვდი რომ ჭკუიდან ვიშლებოდი. ჩემი აზრით, ეს 20 წუთის განმავლობაში გრძელდებოდა. რომლის მერეც მანქანა მოტრიალდა და წავიდა. კიდევ 15 წუთი ვიცდიდით. გამოჩნდა ეუთოს მანქანა ქულერებით, თუმცა ვერ ვხვდები რისთვის სჭირდებოდათ. ჩვენ რაღაცნაირად გადავბარგდით მანქანაში და წავედით. ცხინვალში რომ შემოვედით საზღვარზე სიცარიელე იყო, კიდევაც გამიკვირდა: როცა იქიდან აქეთ მოვდიოდით, გამშვებ პუნქტზე ოსური და ქართული ბლოკ-პოსტები და ბეტონის წინააღობები იდგა. ახლა კი აქ სრული სიცარიელე იყო, აბსოლუტური სიცარიელე! შემოვედით. გარშემო კი სრული სიჩუმეა. ქალაქში ისეთი სიჩუმე იდგა, რომ ყურებში წივილის ხმა მესმოდა. თან საშინლად ცხელოდა. არარეალურობის შეგრძნება დამეუფლა, თითქოს სადღაც მივფრინავ, ანდა... მოკლედ ეს აუხსნელი გრძნობაა. სახლამდე მიგვიყვანეს, მანქანიდან გადმოვედით. 2008 წლის 7 აგვისტოს დღის 3 საათი იყო!

მანანას ეჭვი კი ჰქონდა, მაგრამ ამ ყველაფრის დაჯერება უჭირდა, ისევე როგორც ჩემს ყველა დანარჩენ კოლეგას, ყველა მეგობარს. ომი და ისიც, რაც შემდგომ მოხდა, მისთვის ისეთი ველურობა იყო, რომ დღემდე ამის ახსნა ვერ შეძლო. რაც შემდეგ 7 აგვისტოს მოხდა, ყველამ ვიცით: საქართველოს პრეზიდენტმა ყველა დაგვაძინა და ღამის 12 საათზე კასეტური ბომბები დაგვიშინა. ცხადია, 8 აგვისტოდან მანანა მუდმივად მირეკავდა, მუდმივად! ლირა, როგორ ხართ? რა გჭირთ? ბავშვები როგორ არიან? ლირა, დაიძალეთ! ლირა, ლირა, ლირა... ყველას და ყველაფერს წყევლიდა ქვეყანაზე. ყურმილში ტიროდა. ისეთ აბსურდამდე მივედით, რომ აქეთ დავუნყე დანყნარება. ვეუბნები: კარგი, დანყნარდი, გადავრჩებით. მაგრამ რაღაც მომენტში, ეს იყო 8-ში საღამოს, როდესაც დაბომბვისგან სახლი ზანზარებდა, უკვე მეგონა, რომ ყველანი დავილუპებოდით. როდესაც მანანამ დამირეკა, ვუთხარი: მანანა, ყველა დოკუმენტი რაც კი გამაჩნია ბოსტანში საცეცხლურში დავმალე, ძველ მიტოვებულ საცეცხლურში და

ნაგავი დავაყარე. თუ რამეა, როცა აქეთ მოხვდები და ამას იპოვი, ყველაფერი ჩემს შვილებს მიეცი-მეთქი. ის, ცხადია, ატირდა. რა საშინლადაც არ უნდა ჟღერდეს, 2008 წლის 8 აგვისტოს თითქოს შვებაც კი ვიგრძენი იმის გამო, რომ ქართველებსა და ოსებს შორის აქეთ-იქით სიარული აღარ მომინევდა. ქართული სისხლი, ქართული კულტურა, ქართველი დედა, ბებიების და ბაბუების სიყვარული – ეს ყველაფერი ჩემში იყო. მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება საბჭოთა საქართველოში, საბჭოთა სამხრეთ ოსეთში გავატარე. ჩემი მენტალიტეტი საკმაოდ განსხვავდებოდა და ახლაც განსხვავდება წმინდა წყლის ოსების მენტალიტეტიგან. ახლაც კი, სხვის საამებლად ვერავის ვეტყვი, რომ ქართველები მძულს. ვისაც ვერ ვიტან, ეს კარგად ვიცი, მაგრამ მაშინ, რაღაც შვება ვიგრძენი და გავიფიქრე, მორჩა, არჩევა აღარ მომინევს. ყველაფერს თავის სახელი დაერქვა. არაფერი საერთო ქართველებთან აღარ მექნება-მეთქი. ეს იყო მთელი ჩემი შინაგანი მდგომარეობის კოლაფსი, რომელმაც შვება მომგვარა. აი, ვფიქრობ, მადლობა ღმერთს, პირველ რიგში ჩემთვის ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. მეორე რიგში, გადავწყვიტე რომ მთელმა ქვეყანამ, როგორც იქნა, დაინახა, ვინ ვინ არის-მეთქი. ჩემთვის გავიფიქრე, ახლა დავინყებთ ახალი ოსეთის შენებას, ჩვენ ახალი მომავალი გვექნება, მე, როგორც ისტორიკოსმა, ვიცი, რომ ყოველი ომის შემდეგ აღმშენებლობის პროცესი იწყება, რადგან ტრაგიკული მოვლენები ხალხს ყოველთვის აერთიანებს-მეთქი. ეს ისევე კარგად ვიცოდი, როგორც ის, რომ ახლა ამ ნანგრევებზე ახალი ოსეთი იბადება. და ჩემთვის ეს ბედნიერება იყო. ომის შემდეგ 2008 წლის ოქტომბერში მანანამ დამირეკა და მითხრა, ლირა, ჩვენს ქალებს შენთან შეხვედრა უნდათო. გადავწყვიტე, რომ გაგიჟდა. ეს იყო სამხრეთ კავკასიური შეხვედრა. მასში აფხაზი ქალები მონაწილეობდნენ, უფრო სწორედ, იქ უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ პროტესტის ნიშნად არ ჩამოვიდნენ. იქ იყვნენ ქალები ყარაბაღიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, საქართველოდან. ნასვლაზე უარის თქმას ვაპირებდი, მაგრამ, როდესაც ქართული დელეგაციის შემადგენლობა ვნახე, გამიხარდა და გადავიფიქრე. მტკიცედ გადავწყვიტე ნასვლა, რადგან შესაძლებლობა მეძლეოდა, მეთქვა ის, რასაც ვფიქრობდი და სადამდეც მივდი. ეს იყო სამშვიდობო სფეროში ჩვენი ურთიერთობისთვის საბოლოო წერტილის დასმის შესაძლებლობა. გადავწყვიტე: არავითარი სამშვიდობო მოღვაწეობა! სინამდვილეში ჩვენ ვერაფრის გაკეთებას ვერ შევძლებთ! როცა ამის შესახებ საუბარი დავიწყეთ ქართული დელეგაციიდან ერთი მონაწილე უცებ ძალიან ემოციურად „თავს დაგვესხა“: ამათ რაზე უნდა ველაპარაკოთ?! ხომ ჩანს, რომ ეს სპეცსამსახურების დავალებაა, მათი კი არა სპეცსამსახურების ტექსტიაო. მოკლედ საქმე ჩხუბამდეც კი მივიდა. კოშმარი იყო. მაგრამ არ ვნანობ, რომ

იქ ვიყავი. პირიქით, შემდეგ ჩემს აფხაზ მეგობრებს მივწერე – ისინი რომ ჩამოსულიყვნენ და ჩვენ გვერდით დამდგარიყვნენ, ჩვენ უფრო გაგვიადვილდებოდა. ჩვენც რომ არ ჩამოვსულიყავით, ისინი ისხდებოდნენ და თავიანთ „სიმართლეს“, ცხადია ბრჭყალებში, ილაპარაკებდნენ. ასე კი შესაძლებლობა გვქონდა ყველაფერი გვეთქვა, რაც გვინდოდა. ჩვენ ყურს გვიგდებდნენ ჩვენი მეგობრები სხვა რესპუბლიკებიდან. ეს ოქტომბერში მოხდა. ნოემბერში კი მე და მანანა სტოკჰოლმში დაგვპატიყეს ჩვენმა დონორებმა ქვინა თილ ქვინადან რომლებიც ჩვენს პროექტს „ქალები მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის“ აფინანსებდნენ. მიგვიწვიეს გაფართოებულ პრესკონფერენციაზე. ანუ, მე როგორც ოსი, მანანა კი, როგორც ქართველი. არ შემეძლო ტყუილი მელაპარაკა მანანას თანდასწრებით, არც მანანას შეეძლო – ჩემი თანდასწრებით. ამ გაფართოებულ პრესკონფერენციაზე, სადაც 40 ადამიანი იმყოფებოდა, ძალიან მნიშვნელოვან და პრინციპულ კითხვებს გვისვამდნენ. როცა მე დანგრეული ცხინვალის დიდი ფოტო (2X3) გამოვფინე, ერთ-ერთი ჟურნალისტი დარბაზიდან ადგა და თქვა, უკაცრავად, მე ვიცი ეს ფოტო. ეს გორია, რომელიც რუსულმა თვითმფრინავებმა დაბომბესო. მე დავიბენი და მანანას შევხედე. მანანამ მშვიდად ასწია თავი, თუმცა ვგრძნობდი, რომ მას ეს არ სიამოვნებდა და უპასუხა, ეს, ცხინვალისა და არა გორიო. მანანა ძალიან ღირსეული პარტნიორი იყო. მე მას თვალდახუჭული ვენდობოდი.

მანანა ყველა ქალს, რომელიც ჩვენს შეხვედრებში მონაწილეობდა, დიდი სითბოთი და ყურადღებით ეპყრობოდა. ჩვენი ქალები მას აღმერთებდნენ. იქ იყო იუმორიც, თანაგრძნობაც, ყოველთვის იყო გაგება. ჩვენი შეხვედრების შემდეგაც კი, ჩვენი ქალები, რომლებიც თბილისში ჩადიოდნენ – იქნებოდა ეს ჯანმრთელობის პრობლემა თუ სხვა მიზეზი... მანანა რაღაც სხვანაირი იყო. მან, რომელსაც მანქანა ჰყავდა, ბოლომდე იცოდა გადაყოლა, რის გამოც მე მისი უზომოდ მაღლიერი ვარ. მანანა არის და იქნება ის პიროვნება, რომლის დამსახურებითაც მჯერა, რომ ოსებსა და ქართველებს შორის ადრე თუ გვიან შესაძლებელი იქნება თბილი და კეთილმეზობლური ურთიერთობების აღდგენა. არ ვიცი, ეს როდის მოხდება, შეიძლება, 50 წლის შემდეგ, არ ვიცი. მაგრამ ისეთი ადამიანები, როგორიც მანანაა, გვაძლევენ იმედს, რომ ოდესმე ჩვენ ერთმანეთის ნდობას მოვიპოვებთ და კეთილი მეზობლები გავხდებით. მანანა არის ზუსტად ეს ხიდი ჩვენ შორის და, ღმერთმა ქნას, რომ ის კიდევ დიდხანს დარჩეს ასეთ ხიდად. მის შესახებ გაუთავებლად შემიძლია ვილაპარაკო, მაგრამ ახლა მხოლოდ მის ჯანმრთელობაზე ვლოცულობ.

P.S. სამწუხაროდ, მანანა მებუკე ჩვენთან აღარ არის. იგი გარდაიცვალა 2016 წლის 6 მარტს. დაე, იყოს მისი მარადიული ხსოვნა.

ა. ჯ. ქ. ცხინვალის მცხოვრები, 34 წლის

იცით, ჩემთვის ომი როგორ დაიწყო? ეს 1989 წლის ნოემბერში მოხდა. მაშინ 7 წლის ვიყავი, მახსოვს, მოღრუბლული დღე იყო და მთელი ქალაქი „ყურებზე“ იდგა, პატარა ვიყავი და ვერაფერს ვხვდებოდი. მესმოდა მხოლოდ, რომ ვიღაც ქართველები მოვიდნენ, ისროდნენ. მაშინ სიტყვა „სროლის“ მნიშვნელობაც კი არ მესმოდა, გარშემო მხოლოდ ხმამაღალი ტკაცუნის ისმოდა. შემდეგ ყველაფერი დატრიალდა: დაიწყო ბლოკადა, მოდიოდა შეტყობინებები, რომ გადანვეს ეს სოფელი, გადანვეს ის სოფელი, დაიჭირეს ადამიანები, ვიღაცეები დახვრიტეს, ქალაქში გაჩნდა რაღაც ბარიკადები, დაიწყო სროლები. ჩვენი სახლის გვერდით ბარიკადები არ იყო. იმ მომენტში, როდესაც გავაცნობიერე, თუ რა არის ომი, ისინი უკვე ინსტიტუტის შენობის გვერდით იდგნენ. იქ იყო პირველი ბარიკადები და იქვე იდგა დიდი სახანძრო მანქანა, რომელიც, ვფიქრობ, ჩვენებმა ქართველებს წაართვეს. რაღაც ტროლეიბუსები ბარიკადების როლს ასრულებდნენ და გზას კეტავდნენ. მახსოვს, როგორ მიგვქონდა საჭმელი მებრძოლებთან, ყველანი ეზოში იკრიბებოდნენ და იმას გვაძლევდნენ, რაც შეეძლოთ, თუმცა მაშინ საჭმლის მხრივ საქმე ძალიან ცუდად იყო. ზოგი გვაძლევდა იმას, რაც თვითონ მოჰყავდა, ზოგს კონსერვები მოჰქონდა. ყველაფერი, რაც იყო, როგორც იტყვიან, მიდიოდა „ფრონტზე“ – ბარიკადებზე ბიჭებთან, რომ მათ არ ეშიმშილათ და ასე თუ ისე დანაყრებულები ყოფილიყვნენ. ჩვენ კი, ბავშვებს, ეს საჭმელი მათთან დაგვქონდა. პური, რა თქმა უნდა, არ იყო. მახსოვს, ერთხელ ბევრი საჭმლის სოდა ვიპოვეთ, მაგრამ არ ვიცოდით, რა იყო. მისგან პური გამოგვიცხვეს. ჩვენს ეზოში ყველა ბავშვი დიდი სიამოვნებით ჭამდა და ეს პური ჩვენ მებრძოლებსაც გავუწვანნილეთ. როდესაც ჩვენს მებრძოლებთან საჭმელი მიგვქონდა, ცხადია, მათ ველაპარაკებოდით. ისინი ყოველთვის გვეკითხებოდნენ, როგორაა თქვენი საქმეები, ვინა ხართ თქვენ, სად შეიძლება სიგარეტის შოვნაო, იმიტომ, რომ ჩვენ პატარები ვიყავით და ვიცოდით, სად რა იყიდებოდა და ა.შ. ისინი გვეკითხებოდნენ, თქვენ თვითონ ხომ არ გჭირდებათ რამეო. ჩვენ მათ ვაზნებს ვთხოვდით, რომელიც თვითონაც არ ჰყოფნიდათ და ისინი ჰილზებს, უკვე გასროლილ ვაზნებს გვაძლევდნენ, რის გამოც უზომოდ ბედნიერები ვიყავით და ერთხელ, როგორღაც ახალი წლისთვის შევაგროვეთ ტყვიები იმისთვის, რომ ჰაერში გვესროლა და ფეიერვერკი მოგვეწყო. მაშინ ორი-სამი ტყვიის გასროლის უფლებას გვაძლევდნენ და მერე მთელი წელიწადი ბედნიერები დავდიოდით: ვაშა, როგორც იქნა, მეც გავისროლე! აი, ასეთი ბავშვობა გვქონდა.

ყოველთვის გვანტერესებდა მტრის ნახვა. იქით, მეორე მხარეს, დაახლოებით ბოგირის რაიონში, გზაჯვარედინზე ქართველების პოზიციები იყო. იქ კარგად აღჭურვილი ჩაფხუტიანი ადამიანები დადიოდნენ. ჩვენ მათ მაინცდამაინც კარგად ვერ ვხედავდით. ჩვენები გვიხსნიდნენ, იმ ადამიანებს, რომლებსაც ხედავთ, ჩვენი განადგურება უნდათო. ჩვენ კი გვესმოდა, რომ, აი, ის მტერია და ჩვენ კიდევე აქ ვართ. მახსოვს, რომ არ იყო წყალი. წყლისთვის მუხნარში წყაროებზე წასვლა გვინევდა. დგები 5-6 საათზე, იღებ ბიდონს, დებ თვითნაკეთ ურიკაზე, მიაგორებ და იქ კიდევე მინიმუმ 3-4 საათი დგახარ რიგში, თანაც ამ დროს მუდმივად ისვრიან სნაიპერები. ოღონდ ადამიანებს კი ესვრიან, არამედ მათთან საკმაოდ ახლოს ისვრიან. ჩვენთვის კი მთავარი უკან დაბრუნება და წყლის სახლში მიტანა იყო. ტრასით კი არ მივდიოდით, არამედ შემოვლითი გზებით, ეზოების, ბოსტნების, დახურული ადგილების გავლით. მივიტანდით სახლში წყალს და ყველაფერი კარგად იყო! შენ უკვე შეგგვეძლო, ჩაი აგვედულებინა და რამე მოგვეხარშა.

სათამაშოები მაშინ არ იყო და იმით ვთამაშობდით რაც გვექონდა. რა თქმა უნდა, ჩვენი თამაშები ომობანა იყო. ვპოულობდით ცარიელ ჰილზებს და მუდმივად ვთამაშობდით ომობანას: შენ გაცვია ჯავშანჭილეთი, მე კი მახურავს ჩაფხუტი. აი ასეთი იყო ბავშვური თამაშები. ასევე გვანტერესებდა იმის ყურება, როგორ ისროდნენ ტრასირებით.

ერთხელ იყო მომენტი, როდესაც სადგურის მიმდებარე მოედანს ესროდნენ, უფრო სწორად, იქ ჩვენს მეზობლებს ჰქონდათ რაღაც ბაზა და ქართველები მას რომელიღაც მსხვილკალიბრიანი იარაღით, მათ შორის ჭურვებით, ცხრილავდნენ. ჩვენ, ბავშვები, წავედით ამ ლამაზი სანახაობის საყურებლად და სროლაში მოვყევით. მიმოვიფანტეთ და, მადლობა ღმერთს, არავინ დაშავებულა, მაგრამ შემდეგ სახლში გვექონდა ორდღიანი შინაპატიმრობა.

მშობლები ყველაფერს აკეთებდნენ, რომ არ გვეგრძნო ეს გაჭირვება. ხანდახან ჩვენთან ნათესავი ჩამოდიოდა, როდესაც მოსკოვიდან გამოლწევას ახერხებდა და ჩამოჰქონდა კანფეტები, ძალიან, ძალიან ბევრი კანფეტი. ამ დროს ჩვენს ეზოში დიდი ზეიმი იყო!

მაშინ ჩემი ბავშვური ცნობიერება ამ სიტუაციას, როგორც კეთილისა და ბოროტის ბრძოლას, ისე აფასებდა. ასეთი შეგრძნება მქონდა მას მერე, რაც ვნახე და გავიგონე, თუ რას აკეთებდნენ ქართველი არაფორმალეები: როგორ მარხავდნენ ადამიანებს ცოცხლად, აიძულებდნენ ქალებს ჩამოსულიყვნენ ავტობუსებიდან და ჩამდგარიყვნენ ცივ წყალში ზამთარში – მქონდა შეგრძნე-

ბა, რომ ჩვენ მართლები ვართ, მქონდა შეგრძნება რომ ჩვენ მართალი საქმისთვის ვიბრძვით, რომ ეს არ არის ომი მხოლოდ გადარჩენისთვის. თუმცა, ყველა ეს აზრი მოგვიანებით გავაცნობიერე. იმ დროს კი, როცა პატარა ვიყავი, ეს ყველაფერი ჩემთვის დიდი, რეალური ომობანას თამაში იყო.

საოცრად გვინდოდა, მალე გავზრდილიყავით! მებრძოლებს ყოველდღიურად ვაწვდიდით საჭმელს და ვეკითხებოდით: ჩვენთვის ჯერ არ შეიძლება? ჯერ კიდევ არ შეიძლება ჩვენთვის ბრძოლა? და როდის შევძლებთ? ისინი გვპასუხობდნენ: ყველაფერი ნორმალურადაა, გაიზარდეთ. და სანამ თქვენ გაიზრდებით, მანამდე ომიც დამთავრდება. ისინი შეცდნენ; ჩვენ გაიზარდეთ, ომი კი ისევ გრძელდებოდა, ხან ცხრებოდა, ხან ახლდებოდა.

როცა ჩვიდმეტი წლის გავხდი, მე თვითონ ჩავდექი მებრძოლთა რიგებში. როცა არმიაში სამსახურის დრომ მომინია, მიახლოებით იმ დრომდე აქტიური საბრძოლო მოქმედებები არ მიმდინარეობდა. თითქოს ყველაფერი ჩანყნარდა. თითქოს მშვიდობიანი ცხოვრება დაიწყო, მაგრამ ესეც „ბრჭყალებში“. რა თქმა უნდა, ხშირი იყო ადამიანების გატაცება, მკვლელობა, რალაც საშინელებები ხდებოდა. მაგრამ, როდესაც 2004 წლიდან სამსახური დავიწყე შეიარაღებულ ფორმირებაში, საბრძოლო მოქმედებები კვლავ განახლდა. შემდეგ იყო 2008 წლის ომი. მე ვიცავდი ჩემს სახლს. წარმოიდგინეთ, რომ თქვენს სახლში შემოვარდა ყაჩაღი, თქვენ, ცხადია, დაიცავთ თქვენს სახლს. აი, ზუსტად ასეთი გრძნობა მრჩება დღემდე: უნდა დავიცვა ჩემი ოჯახი, ახლობლები, ნათესავები, მეგობრები. და რატომღაც არ გვიფიქრია: რისთვის ვიბრძვი? რისთვისაა ეს საჭირო? საჭიროა და მორჩა! ისეთი შეგრძნება გვექონდა, რომ თუ არ დავიცავთ, მაშინ ჩვენ ხვალ უბრალოდ აღარ ვიქნებით.

მახსოვს ჩემი პირველი ბრძოლა. 2004 წელი იდგა. სროლების დაწყებისთანავე პოზიციებზე ვიდექით და უცებ ჩვენკენ ჭურვი გამოფრინდა. ჭურვი ოდნავ ზემოთ აფეთქდა, ჩვენებმა კი საპასუხო ცეცხლი გახსნეს. ძირითადად ყველა სიბნელეში ისროდა ნათებებისკენ. ამ დროს იცი, რომ ქვემოთ პოზიციებია და მათ უნდა ესროლო. არ შეგვშინებია. სისხლში ადრენალინის მოზღვავენას ვგრძნობდი. თითქოს ბრძოლის დამთავრების შემდეგ „დამქოქეს“ – მთელი ღამე არ დამეძინა. ჩემი პირველი ბრძოლა არ იყო გამაოგნებელი, ალბათ იმიტომ, რომ ბავშვობიდან ამ სიტუაციაში ვცხოვრობდი. ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ომი – ეს ცხოვრების წესია და შენ ასეთ გარემოში ცხოვრობ და იზრდები. ეს იყო „როგორც ყოველთვის“. ბავშვობიდან ხედავ სიკვდილს – იხოცებიან ახლობლები და ნაცნობი ადამიანები. შეიძლება, ეს სწორი არ არის და დროთა განმავლობაში ადამიანს გული უქვავდება. გული

ქვავდება. საოცრად გეცოდება მოკლული მეგობრები, მოკლული ნაცნობები და უცნობი ადამიანებიც, რომლებიც დაიღუპნენ. ეს, რა თქმა უნდა, ტრაგედია და აუნაზღაურებელი დანაკლისია, მაგრამ სიკვდილის მიმართ ჩნდება გარკვეული დამოკიდებულება. თან ხვდები, რომ მათ ადგილას შეიძლება შენ იწვე; თუმცა არ გვეშინოდა. იმის გვეშინოდა, რომ უაზროდ დავიღუპებოდით, რაღაც სისულელის გამო. და თუ ბრძოლაში იღუპები, მაშინ – მხოლოდ ღიმილით. თუმცა, ცხადია, ცდილობ გადარჩე.

იყო უამრავი საინტერესო მომენტი. დროებითი სიმშვიდის პერიოდში, უკვე 2004 წლის მერე, დგახარ პოზიციაზე, ხედავ მტერს, ის კი შენ გხედავს. როგორღაც ვურთიერთობთ, ვეკითხებით: რატომ გვიკეთებთ ასეთ რამეს? რატომ გვანადგურებთ, რატომ მოხვედით ომით, ხომ ნორმალურად ვცხოვრობდით! მათ არ იცოდნენ, რა ეპასუხათ. ყველას თავისი მოსაზრება ჰქონდა. ამისი მსგავსი: ჩვენ ვიცავთ ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას. მე მათ ვეუბნები: რა მთლიანობას? თქვენ ქართველები ხართ, ჩვენ ოსები! სად? საიდან სად? რაც ყოველთვის იყო და იქნება – ეს არის მტრის მხარეს მდგარი იარაღიანი ადამიანების მიმართ სიძულვილი. ასე რომ, მტერი ყოველთვის მტერია. სძინავს, ღვიძავს თუ იბრძვის, ან არ იბრძვის, მაგრამ ხვდები, რომ იმ მხარეს, საზღვარს იქით, ყველა არა, მაგრამ ბევრი, მტერია.

ყველა ჩემი მეგობარი, ნაცნობი მსახურობდა შეიარაღებულ ფორმირებებში. ჩემს ნაცნობებსა და მეგობრებს შორის ერთ ადამიანსაც არ ვიცნობ, რომელსაც უარი ეთქვას მსგავს სამსახურზე, პირიქით, ეს დიდი პატივი იყო. რაც უფრო მალე აიღებდი ხელში იარაღს და წახვიდოდი პოსტზე, მით უფრო სწრაფად იქცეოდი მამაკაცად. შენ უკვე მზად ხარ, რაღაცაზე პასუხი აგო. ასე ვთქვათ: ხომ აქვს ზოგ ხალხს სრულწლოვანების აღნიშვნის წეს-ჩვეულება. ზუსტად ეს იყო ჩვენი წეს-ჩვეულება. ზოგს ეს 15 წლის ასაკში, ვიღაცას – 16, ვიღაცას კი 18 წლისას მოუწია, მაგრამ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ვინმეს ეს არ ნდომოდა, არ ნდომოდა, დაეცვა საკუთარი სახლი. დაახლოებით წელიწად-ნახევარს, ორ წელიწადს ვმსახურობდი შეიარაღებულ ფორმირებებში. შემდეგ სამსახური სამშვიდობო კონტინგენტში დავინყე. ეს დროებითი სიმშვიდის პერიოდი იყო – ამ დროს საბრძოლო მოქმედებები არ მიმდინარეობდა. სანამ შეიარაღებულ ფორმირებებში ვმსახურობდი, ჩემი მომავალი საკმაოდ ბუნდოვნად მეჩვენებოდა, რადგანაც ვხვდებოდი, რომ მშვიდობისმყოფელები მშვიდობას იცავენ, მაგრამ, სანამ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ყველა დავა არ დამთავრდება და არ გვექნება ისეთი ძლიერი მხარდაჭერა, როგორიც დღეს რუსეთის სახით გვაქვს, მანამდე ეს არასოდეს მორჩება. ძალიან მეში-

ნოდა, რომ ჩვენი შვილებიც ჩვენს გზაზე ივლიდნენ, ანუ იმავს ნახავდნენ: სიკვდილს, გაჭირვებას... ეს კი ძალიან არ მინდოდა. ასე მერჩია: უმჯობესია, დღეს ყველაფერი გავაკეთო იმისათვის, რომ ხვალ ყველაფერი მშვიდად იყოს.

როდესაც სამშვიდობო კონტინგენტში ვმსახურობდი, მშვიდობისმყოფელების დღეს შეჯიბრებები გვქონდა. მათში მონაწილეობას იღებდნენ რუსი, ოსი და ქართველი სამშვიდობოები. ზუსტად იმ დროს ქართველების ქვედანაყოფი კოსოვოში თუ სხვა მსგავს ადგილას მსახურობდა. ყველას ყურში ხვდებოდა, რომ ისინი ყველაზე, ყველაზე მაგრები არიან. მაშინ გაგვაოცა მათმა აღჭურვილობამ, დანიდან დანყებული, საათით დამთავრებული, ათასნაირი რაციებით. მოკლედ: ყველაფერი ნატოსი იყო, ქურდული. რა თქმა უნდა ლამაზი, ბრჭყვიალა, ქურდული, ძვირფასი. ისინი მონყალედ ზემოდან გვიყურებდნენ. იქ ასეთი დისციპლინები იყო: იარაღის დაშლა-ანყობა, დისტანციაზე სირბილი, წინააღმდეგობების დაძლევა. ანუ ისეთი ყოველდღიური საჯარისო ამბები, რომელიც „ყოჩაღმა“ სპეცნაზელებმა ნორმალურად ვერ გადალახეს. მოკლედ ყველაზე, ყველაზე მაგრები ყველა დისციპლინაში ყველაზე ბოლოები აღმოჩნდნენ. როდესაც მოვუგეთ, ჩამქრალი თვალებით გვიყურებდნენ. რბილად რომ ვთქვათ, ძალიან უგუნებოდ იყვნენ. მათი უფროსები საშინლად ილანძლებოდნენ ქართულად, მათ შორის გინებაც მესმოდა. იმნუთასვე გაემგზავრნენ. მთელი ჩვენი უფროსობა ძალიან კმაყოფილი იყო. გალიმებულები დადიოდნენ: აი, შეხედეთ ჩვენს ბიჭებს! სადღესასწაულო ვახშამიც მოგვინყვეს ტორტებით.

სიმართლე გითხრათ, 2008 წლის ომს ველოდი. ველოდი იმ გაგებით, რომ არ მინდოდა, მაგრამ ვიცოდი, რომ აუცილებლად მოვიდოდა, რომ კიდევ ერთი დიდი ომი იქნებოდა და რალაცნაირად არ ვდუნდებოდი. ყველა ბიჭმა იცოდა, რომ დიდი ომი დაიწყებოდა და ამისთვის ყველა მზად იყო. როგორ დაიწყო ჩემი 2008 წელი? უკვე აღარ ვმსახურობდი არსად; სადღაც ვცხოვრობდი, ვმუშაობდი, ჩემს საქმეებს ვაკეთებდი. სამხედრო სამსახურში აღარ ვიყავი. 2008 წელს ქართველი სამხედროები ისევ გააქტიურდნენ. ისევ დაიწყო მკვლელობები, როდესაც სნაიპერებმა ბიჭები დახოცეს, მივხვდი, რომ ომი ისევ იწყებოდა. კვლავ დავბრუნდი შეიარაღებულ ფორმირებაში ჩემს მეგობრებთან. იმ დღესვე მომცეს იარაღი – 7 აგვისტოს. როდესაც შეიარაღებული ფორმირებების შტაბში მოვედით, ბოლომდე არც კი გვჯეროდა, რომ რაიმე საბრძოლო მოქმედებები დაიწყებოდა, დაიწყებოდა ომი. სხვადასხვა მოვლენები განვითარდა: ჩამოვიდნენ მინისტრები, დაიწყო მოლაპარაკებები და ა.შ. მოკლედ, საბოლოოდ, ყველას ნაცვლად მხოლოდ ჩვენს

ჯგუფს დაურიგეს იარაღი. ჩვენ ვიყავით მორიგე ჯგუფი, თუ რამე მოხდებოდა, იქვე ახლოს უნდა ვყოფილიყავით. უკვე გვიანი საღამო იდგა, როდესაც ჩვენთან პრეზიდენტი ედუარდ ჯაბევიჩი მოვიდა და გვითხრა: ბიჭებო, მორჩა, მიშიკოს თავისი არმია უკან მიჰყავს საზღვრისკენ, ომი არ იქნება. შეგიძლიათ, მშვიდად ნახვიდეთ სახლებში. როგორც კი ნავიდა, ნახევარი თუ ერთი საათის შემდეგ პირველი აფეთქების ხმა გაისმა. ჩვენ უკვე სახლებში წასვლა გვინდოდა, ბევრი ნავიდა კიდეც, მაგრამ ზოგი დარჩა. სულ 15 – 20 კაცი და აქვე პირველი აფეთქება!

და წამოვიდა ცეცხლის პირველი ჯერი. აი, ასეთი ხალიჩისებური დაშენა იყო! არ ვიცი რატომ, მაგრამ მაშინ ჩვენს კვადრატში არც ერთი ყუმბარა არ მოხვედრილა. ამ დროს უბრალოდ ზიხარ და ხედავ, აკვირდები... ბახ, ბახ, ბახ... იქვე სახლი დაინვა. ისეთი შეგრძნება გაქვს, თითქოს რომელიღაც ფილმში ხარ, ომზე, მიდის ომი და შენ აკვირდები, როგორც სურათს 3 ფორმატში. მოდიოდა შეტყობინებები: ქალი მოკვდა, კიდევ ვიღაცა დაიღუპა, კიდევ ვიღაც მოკვდა და სადღაც დილისთვის აცნობიერებ, რომ ეს რეალური საბრძოლო მოქმედებებია. უკვე საჭიროა თავდაცვა. პერიოდულად კავშირი წყდებოდა. ამ დროს ნაცნობი ქალი დამიკავშირდა. შეშინებულებს რომელიღაც სახლის სარდაფისთვის შეეფარებინათ თავი. იქვე იყვნენ ბავშვები და საჭმელი და წყალი არ ჰქონდათ. მთხოვეს, მათთვის ცოტაოდენი საჭმელი და წყალი მიმეტანა. ჩვენ ბევრი მშრალი საკვები გვქონდა. ღამით, როდესაც ჯერ კიდევ ცეცხლი იყო გახსნილი, გავავსე ზურგჩანთა, ჩავყარე ჩანთაში მშრალი საკვები, მოვძებნე 2 ბოთლი წყალი და მათთვის წაღებას ვაპირებდი, მაგრამ, როგორც კი რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი და ჩვენი ბაზის საზღვარს გავცდი, მივხვდი, რომ უბრალოდ ვერც მივალწევდი. დავურეკე და ვუთხარი, იქნებ დილაამდე გაძლოთ-მეთქი. დილისკენ ყველაფერი მეტ-ნაკლებად ნათელი გახდებოდა. მეორე დილას, 4 – 5 საათისთვის ყველაფერი მივუტანე. მეკითხებოდნენ, რა ხდებოდა. ადამიანები შეშინებულები იყვნენ, ვერავინ ვერ იგებდა, რა ხდებოდა. ყველა კითხულობდა, როდის ჩაერეოდა რუსეთი. აფუხსენი, იმისათვის, რომ ჯარი აქამდე მოვიდეს, მინიმუმ ერთი დღე-ღამეა საჭირო, მანამდე კი ყველაფერი ჩვენზე, ჩვენს მებრძოლებზე, ჩვენს ბიჭებზეა-მეთქი დამოკიდებული. ყველა შოკში იყო, პანიკაში. ვერ იგებდნენ: რა? როგორ? რისთვის? ხომ თითქოს ყველაფერი ნორმალურად იყო? ხომ ამბობდნენ, ომი აღარ იქნებაო.

მე ბავშვობიდანვე გადავწყვიტე, რომ ომი ბოროტებაა, ყველაზე დიდი საშინელება რაც კი შეიძლება მოხდეს. რომ, როდესაც ადამიანები ომობენ, ორივე მხარე ზარალდება. არა აქვს მნიშვნელობა,

ვინ არის მართალი და ვინ მტყუანი. მესმოდა, რომ ომს არაფერი კარგი არ მოაქვს, იგი ადამიანებს შორეულ წარსულში ისვრის, ქვის ხანაში აბრუნებს, რაც დიდი ბოროტებაა. ყველაფერ ამას ბავშვობაში მივხვდი, მაგრამ რას ვიზამთ?! ცხოვრება ისეთია, რომ რამდენჯერმე მომიწია ბრძოლა და... თავისთავად, მე მშვიდობისმოყვარე ადამიანი ვარ. არ მიყვარს ომი, მაგრამ იძულებული გავხდი, ხელში ამელო იარაღი და საკუთარი სახლი დამეცვა. ზოგჯერ, როდესაც შენტვის შტაბში ზიხარ, შენი ფიქრები მხოლოდ შენს სახლს დასტრიალებს: როგორ არიან იქ დედა და მამა? როგორ არიან იქ შენი ახლობლები? არ გაქვს შენს რაიონში მოხვედრის საშუალება. ამ დროს მორბის განენილი, მტვერში ამოგანგლული, ფორმაშემოხეული ბიჭი ველური თვალებით და გეხვეწება, წყალი მომეციო. ვეკითხები, სად იყავი-მეთქი. თურმე სწორედ ჩემს რაიონში ყოფილა. ვაყრი კითხვებს: როგორ არის ხალხი? რამე დაინგრა? ის კი მპასუხობს, რომ ის რაიონი აღარ არსებობს, რომ ის ადგავეს პირისაგან მიწისა. დიდხანს ველოდე: დარწმუნებული ხარ? ის კი მპასუხობს: – დიახ. იქიდან გამომდინარე, თუ რა ხდებოდა ღამე, როგორ ბომბავდნენ და ანადგურებდნენ ქალაქს, ცხადია, ყველაფერი დავიჯერე. რალაცნაირად მოვახერხე გმირთა ქუჩაზე გამოსვლა, რომ ჩემი თვალთ მენახა, ეს სიმართლე იყო თუ არა. დავინახე, რომ კორპუსს კვამლი ასდის, იქიდან შავი კვამლი გამოდის – ანუ სახლს ცეცხლი უკიდია. მივხვდი, რომ ეს შეიძლება სინამდვილე ყოფილიყო. იქ იყვნენ დედაჩემი და ჩემიანები, ისინი, ვისთან ერთადაც გავიზარდე, მეზობლები, ყველა, ყველა, ყველა. შენი რაიონი, სადაც შენ ცხოვრობ, სადაც შენი სახლია. უცებ კი გეუბნებიან, რომ ის აღარ არის. ამ დროს დადგა მომენტი... არ ვიცი, თითქოს შიგნით რალაცა გამოირთო. გაუცხოება, რალაცნაირად ყველაფერი სულერთი გახდა. და ამ დროს დავინახე მტერი. ეს იყო ტანკი, იქ, სადაც ახლა გადასასვლელზე ჯვარი დგას. ტანკი, მის გვერდით კი ადამიანი დადის და აქეთ იყურება. მაშინ ისიც კი გავიფიქრე, ეს რუსეთის ჯარია-მეთქი და ძალიან გამიხარდა. და ამ დროს მან საცხოვრებელი კორპუსისკენ ისროლა და მივხვდი, რომ მტერი იყო. უკვე საკმაოდ ახლოს იყო. და დატრიალდა... მეგობრები, ძალიან ბევრი ახლო მეგობარი დამელუპა. მე მესმის, რომ ისინი რომ არ დაღუპულიყვნენ, ახლა ყველაფერი სხვანაირად იქნებოდა, სხვანაირად გაგრძელდებოდა ცხოვრება მათთვისაც, ჩემთვისაც და სხვა ადამიანებისთვისაც. მაგრამ ისიც მესმოდა, რომ ასეთი სროლების პირობებში, ასეთი ომის პირობებში მსხვერპლი დიდი იქნებოდა და ბევრი ნაცნობი დაიღუპებოდა. პრინციპში ასეც მოხდა. არ არსებობს ომი დანაკარგის გარეშე. ცინიკურად ჟღერს, მაგრამ ასეა.

აქამდე მახსოვს ერთი ნათელი მომენტი. ჩვენი რაცია დაჯდა და

დამტენის ძეხნის დროს (ბრძოლა მიმდინარეობდა და თავს ვიცავდით), ერთ-ერთ საცხოვრებელ კორპუსთან გავლისას სარდაფში ჩავედით დასასვენებლად და წყლის დასალევად. იქ დავინახე ქალი პატარა ბავშვით ხელში, ბავშვი 3-4 თვის იქნებოდა. ძალიან პატარა, მთლად თოთო იყო. შოკში ვარ, ვუყურებ და ვხვდები, რომ ეს შეუძლებელია, ყველა ბავშვი საომარ მოქმედებებამდე გაიყვანეს, ყველა ბავშვი ევაკუირებული იყო. ვეკითხები, შენ რატომ არ გაემგზავრე-მეთქი. მპასუხობს, ვერ მოვასწარი, ვერ შევძელიო. და ამ დროს სარდაფიდან გამოდის ორი მოზარდი, მოსწავლეები 14-15 წლის, სპორტულ ფორმაში, სამხედრო კეპით, ხელში ავტომატით, ერთი მჭიდით. მთლად ახალგაზრდა ბიჭები. შოკში ვარ: თქვენ ვინ ხართ? რას აკეთებთ? აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთს მამამისის ავტომატი უპოვია. მამა რომელიღაც შეიარაღებულ ფორმირებაში იყო ბატალიონში და მოსვლა ვერ შეძლო. მან მოძებნა ავტომატი ერთი მჭიდით და გადაწყვიტა, სახლი დაეცვა. მეუბნება: თუ ვინმე შემოვა სადარბაზოში, დავხვრეტ! მე კი ვეუბნები: არა, შენ ახლა სარდაფში იჯდები და არსად არ გახვალ! იმიტომ, რომ მარტო ვერაფერს ვერ მიაღწევ. თუ ერთხელ მაინც გაისვრი, მაშინ აქ ყველას ერთად გამოგწვავენ. ამიტომ ჯობია, იჯდე და არაფერი გააკეთო! მან თითქოს დამიჯერა. და ეს მომენტი ყოველთვის თვალწინ მედგა. ვხვდებოდი რომ ასეთი ქალები ბავშვებთან ერთად ქალაქში ბევრნი დარჩნენ. ძალიან ბევრი ხალხი იყო სარდაფებში: მოხუცები, ქალები, ბავშვები. ეს ბიჭი ვერ დავიმახსოვრე. უბრალოდ ისეთი დღე იყო რომ ზოგიერთი მომენტი არ დამამახსოვრდა, რადგან საბრძოლო მოქმედებების დროს ადამიანი „ავტომატივითა“ და ბევრ მომენტს უბრალოდ ვერ იმახსოვრებს: ადამიანებს, იმათ, ვინც შენთან ერთად იყო, სახეებს. ყველაფერი ნაცრისფერ გადღაბნილ მასას ჰგავს. შემდეგ კონტუზიაც მქონდა. არ ვიცი, ახლა რომ შევხვედროდი ამ ბიჭს, ხელს ძლიერად ჩამოვართმევდი, მოვეხვეოდი და ვეტყოდი, ნამდვილი მამაკაცი ხარ-მეთქი! რადგან მის ასაკში ასეთ რამეს ყველა ვერ შეძლებს. ცხადია, არასწორია, რომ ბავშვი იარაღით ხელში დგას თავის სარდაფში და მზადაა, ეს სარდაფი მტრისაგან დაიცვას და ა.შ. ეს უზომო სიმამაცეა! ვფიქრობ, ჩვენ ნორმალური მომავალი გვაქვს, რაკი ასეთი ბავშვები იზრდებიან. ისინი თავიანთ შვილებსაც ასწავლიან, როგორ უნდა მოიქცნენ ცხოვრებაში სწორად.

მეშინია თუ არა ომის თავიდან დანყების? შიში არა მაქვს, იმიტომ რომ ის არასოდეს არ მქონია, მაგრამ სადღაც შიგნით, ცნობიერებაში იმ შესაძლებლობას ვუშვებ, რომ ომი შეიძლება რეალურად ისევ დაიწყოს. ანუ მე დარწმუნებული არა ვარ, რომ ის არასდროს აღარ განმეორდება. არავინ იცის, ხვალინდელი დღე

როგორ მობრუნდება. ჩემი თაობა ომში გაიზარდა. ჩვენ მას შევეჩვიეთ, მისით ვცხოვრობდით. გარკვეულ მომენტებში უფრო კომფორტულადაც კი ვგრძნობდით საბრძოლო მოქმედებების დროს თავს, ვიდრე მშვიდობიანი ცხოვრებისას. საბრძოლო მოქმედებების დროს, მშვიდობიანი ცხოვრებისგან განსხვავებით, მკაფიოდ გვესმოდა, რა უნდა გვეკეთებინა. ეს არასწორია. ეს ასე არ უნდა იყოს. არ მინდა, რომ მომავალი თაობა, მათ შორის ის პატარა ბავშვი, იარაღით ხელში გაიზარდოს და აკეთოს ის, რასაც ჩვენ ვაკეთებდით! მე ეს არ მინდა! მირჩევნია, მეტი გავაკეთო, მაგრამ არ დავუშვებ, რომ ის კვლავ იარაღით ხელში დადგეს. იმიტომ, რომ, თუ ყოველი თაობა იარაღით ხელში გაიზრდება, მაშინ ადამიანი არათუ წინ წაიწევეს, არამედ პირიქით, უკან დაიხევს. არ მინდა, რომ ეს ყველაფერი ისევ განმეორდეს.

ამ ბოლო ხანებში სიზმრებს ხშირად ვხედავ. ხანდახან უბრალოდ სიზმრებში საბრძოლო მოქმედებებს ვხედავ. ზოგჯერ ვხედავ მოვლენებს და იმ დღეებს, როდესაც რეალური საბრძოლო მოქმედებები ხდებოდა. ამ სიზმრებში ხანდახან მე მკლავენ, უმეტესწილად კი მე ვკლავ, ან კლავენ იმათ, ვინც ჩემ გარშემოა. არ მინდა, რომ სიზმრები ხილვებად ჩავთვალო, არ მინდა, რომ ეს ყველაფერი სინამდვილეში მოხდეს. დაე, ეს ყველაფერი მხოლოდ სიზმარი იყოს. იქ შეიძლება გარდაისახო, როგორც კომპიუტერულ თამაშში; შეგიძლია, არ იღელვო იმათზე, ვინც შენ გვერდითაა. დაე, ეს მხოლოდ სიზმარი იყოს. ოღონდ ეს სიზმრები უფრო ხშირად მესიზმრება, ვიდრე უნინ და იმ აზრამდე მივყავარ, რომ შეიძლება, რაღაც ისევ დაინყოს, რაღაც, რაც არ მინდა... საშინლად არ მინდა!

* * *

მ. კ. ქ. ცხინვალის მცხოვრები, 37 წლის

მე დავიბადე თბილისში 1976 წელს, მუშის ოჯახში. დედაჩემი სხვადასხვა ქარხნებში მუშაობდა: ლუდის ქარხანაში, ჩაის ფაბრიკაში, შამპანიური ღვინოების ქარხანაში. მამა მშენებელი იყო, ახალგაზრდობაში სპორტით იყო გატაცებული, მძიმე ათლეტიკით, ძირითადად შტანგით. მას პრიზებიც ჰქონდა. ჩემზე ათი წლით უფროსი ძმა ცირკის მსახიობია. ბავშვობიდან ცირკით იყო გატაცებული და 13 წლიდან მუშაობს ცირკში. დაამთავრა თბილისის საცირკო სასწავლებელი და დღემდე ცირკშია. ახლა უკრაინაში ცხოვრობს, ხარკოვში, თავისი საესტრადო – საცირკო კოლექტივი ჰყავს. მთელი ჩემი ოჯახი ეთნიკურად ოსია, დედა ლენინგორის რაიონიდანაა, მამა – ცხინვალის რაიონიდან. დედამ და მამამ ერთმანეთი თბილისში გაიცნეს. სასწავლებლად იყვნენ ჩასული და იქ შეხვდნენ ერთმანეთს. ცხოვრება ერთმანეთს დაუკავშირეს და თბილისში საცხოვრებლად დარჩნენ. მიიღეს ბინა თემქის რაიონში. ეს თბილისის წყალსაცავის გვერდითაა, თბილისის ზღვას რომ ედახიან. მე ძალიან ბედნიერი საბჭოთა ბავშვობა მქონდა. მეგონა, რომ მთელი ცხოვრება სინამდვილეში ასეთივე ზღაპარი იქნებოდა. მაგრამ ეს ზღაპარი ძალიან სწრაფად დამთავრდა.

ჩვენ დიდ, მრავალსართულიან კორპუსში ვცხოვრობდით, სადაც მეგობრული სამეზობლო გვყავდა. ყველანი სახლის ეზოში ვიკრიბებოდით ე.წ. „ბირჟაზე“. იქ უფროსები ისხდნენ, ან უბრალოდ, ან გაშლილ სუფრასთან და ერთად ვახშობდნენ, ბავშვები კი იქვე ახლოს თამაშობდნენ. ზოგი კარტს თამაშობდა, ზოგი ნარდს, ზოგი კი დომინოს. ყოველთვის მხიარულება იყო. ერთადერთი დღისით იყო მოწყენილობა, იმიტომ რომ ზოგი სამსახურში იყო, ზოგიც სასწავლებელში, საღამოს კი ისევ იწყებოდა ცხოვრება. ჩემს მეზობლებში იყვნენ სომხებიც, იეზიდებიც, ქართველებიც, ოსებიც, ებრაელებიც... ყველა, ყველა... სხვადასხვანაირი მეზობლები მყავდა, მაგრამ მათ შორის არასოდეს არავითარი განსხვავება არ ყოფილა. თითქოს ყველა ერთიანი და ერთნაირი ვიყავით. ზღაპარმა მაშინ დაიწყო დასრულება, როდესაც დედა ავად გახდა. დედა 89 წელს გახდა ავად. მაშინ საქართველოში უკვე იწყებოდა არეულობები, ეს 9 აპრილის მოვლენებია, როდესაც მიტინგი სისხლისღვრით დამთავრდა. ეს ყველაზე მძიმე პერიოდი იყო. პირველ რიგში ადამიანები რალაცნაირები გახდნენ... ყველა თავის თავში ჩაიკეტა, და დედაც ავად გახდა. ეს ყველასთვის მძიმე პერიოდი იყო. როდესაც ეს ყველაფერი დაიწყო, მაშინ მეცამეტე წელში

ვიყავი. ჩემთვის ყველაზე მძიმე ზუსტად 89 წელი იყო, როდესაც აპენდიციტის შეტევით მოვხვდი საავადმყოფოში. 7 აპრილს გამიკეთეს ოპერაცია. ამ დროს სწორედ ეს მიტინგები მიდიოდა, გზები გადაკეტილი იყო, დედა კი ყოველდღე, ყოველ ცისმარე დღე მოდიოდა ჩემთან. დილით წავიდოდა სახლში, მოამზადებდა საჭმელს, აიღებდა ჩემთვის გამოსაცვლელ ტანსაცმელს და ფეხით ბრუნდებოდა საავადმყოფოში. საავადმყოფომდე ფეხით მოსვლას კი სამი საათი სჭირდებოდა. და ასე ყოველდღე – დილის 6 საათზე სახლში, სადღაც სადილობის დროს – ჩემთან. მე ძალიან განვიცდიდი, რომ დედა ჩემ გამო ასე წვალობდა. ამ დროს ის უკვე თავადაც ავად იყო. მამა კი მუშაობდა, ძალიან კარგი სპეციალისტი იყო, შეიძლება ითქვას ერთ-ერთი საუკეთესო. საბჭოთა პერიოდში მოსკოვშიც კი პირველ ადგილებს იკავებდა. მას „ოქროსხელე-ბა ოსტატის“ და კიდევ სხვა მრავალი წოდება ჰქონდა. მათი სახელები ზუსტად აღარ მახსოვს. მშენებლის სამუშაო ძალიან მძიმეა: დილაადრიან გადიხარ და გვიან ღამით, არაქათგამოცლილი ბრუნდები სახლში. იმ დროისთვის ძმა უკვე დაოჯახებული იყო. ის უკრაინაში მსახურობდა და იქვე დარჩა. ჰოსპიტალში მოხვდა ჯერ ისევ ცირკის დროინდელი ტრავმის გამო: შაპიტოში მუშაობისას მოტოციკლიდან ჩამოვარდა და ლავინის ძვალი გაიტეხა, და არმიაში სამსახურის დროს ჰოსპიტალში გააგზავნეს. იქ ოპერაცია გაუკეთეს, რალაც შტიფტი ჩაუსვეს. იქვე გაიცნო მედდა და როდესაც სამსახურის ვადა გაუვიდა, ცოლის შერთვა გადაწყვიტა. ისინი შეუღლდნენ და, ღვთის წყალობით, დღემდე ერთად არიან.

დედა 90 წელს გარდაიცვალა. მას ონკოლოგიური დაავადება აღმოაჩნდა, მაგრამ ამის შესახებ არავინ არაფერი იცოდა, სანამ... ექიმებმაც კი ვერაფერი დაადგინეს, სანამ ოპერაცია არ გაუკეთეს. ფიქრობდნენ, რომ ნაღველში კენჭები ჰქონდა და ოპერაციის გაკეთება გადაწყვიტეს და როდესაც გაკვეთეს, კიბო აღმოაჩნდა. გვითხრეს, თვეზე მეტს ვერ იცოცხლებსო. დედის გარდაცვალების შემდეგ მამასთან ძალიან გაჭირდა ცხოვრება, მას ცხოვრება დედის გარეშე ვერ წარმოედგინა და სმა დაიწყო. იმ დროისათვის მუშაობაც შეწყვიტა, უკვე მორჩა... ის ცხოვრებაში ჩაიკარგა. მას მერე თითქმის აღარავის უნახავს ფხიზელი. მე, ეტყობა, ვალიზიანები და ჩემზე იყრიდა ჯავრს. იმ მომენტისთვის არ მესმოდა, რა ხდებოდა. რაში ვიყავი დამნაშავე? მხოლოდ მისი სიკვდილის მერე მივხვდი, რომ მშვიდად ვერ მიყურებდა, რადგან დედას ვაგონებდი. როდესაც მეზობლებმა დაინახეს, რომ ცოცხალი მამის ხელშიც კი მარტო ვიყავი დარჩენილი, შეშინდნენ, რომ გზას ავცდებოდი, მათ ხომ არ იცოდნენ ჩემი ხასიათი და ჩემი გათხოვება გადაწყვიტეს. მე ძმასთან უკრაინაში გავიპარე და შემდეგ იქ შვიდი წელი ვიცხოვრე.

მესმოდა, რომ თბილისში უკვე არეულობები იყო. ოსებს ცუდად ექცეოდნენ, ოსების ბინებს იკავებდნენ. ჩვენ კი გაგვიმართლა, კარგი მეზობლები აღმოგვაჩნდა და მათ ჩვენს სახლში არავინ შეუშვეს. ამიტომ ჩვენი ბინა ჩვენ დაგვრჩა. დედაჩემის ძმას ძალიან ცუდად მოექცნენ, სცემეს. ის კი ამ დროს უკვე ასაკოვანი კაცი იყო. სადღაც დაუჭერიათ ქართველებს და ისე უცემიათ, რომ დაბრმავდა. სხვადასხვა მოტეხილობები ჰქონდა, მათ შორის ნეკნების. დიაბეტიც ჰქონდა... ეტყობა, შაქარმა აუწია და დაბრმავდა. ვილაცამ შემთხვევით იპოვა გზაზე, სასწრაფოს გამოუძახეს და საავადმყოფოში გადაიყვანეს. მას მერე რაც გადაადგილება შეძლო, ქალაქი დატოვეს, გაემგზავრნენ და ახლა რუსეთში – ვლადიკავკაზში, ჩრდილოეთ ოსეთში ცხოვრობენ: ცოლი, ქალიშვილი, შვილიშვილები. ნაცნობები კი... ვიცი, რომ სამხრეთ ოსეთიდან მიდიოდა ავტობუსი, რომელიც გააჩერეს და ყველა ჩამოსვეს. მამაკაცები გააშიშვლეს, ცივ წყალს ასხამდნენ და დიდ რეფრიჟერატორში (მაცივარში) ყრიდნენ. ცოტა ხნის შემდეგ უკან გამოყავდათ, ისევ წყალს ასხამდნენ და უკან აბრუნებდნენ. უმეტესობამ ამას ვერ გაუძლო და დღემდე ინვალიდები არიან, მათ ვეღარ აღიდგინეს ჯანმრთელობა. მაგალითად, ვიცი, რომ ზამთარში, როდესაც ძალიან დიდი თოვლი იდო, საშინელი ყინვები იდგა, ჩემი დეიდა დაიჭირეს და მდინარეში ცივ წყალში შესვლა აიძულეს. ეს ქართული სოფლების რაიონში მოხდა. ჩვენთან, სამხრეთ ოსეთში სოფლები შერეულადაა განლაგებული – ოსური სოფელი, შემდეგ ქართული, მერე ისევ ოსური, შემდეგ ისევ ქართული. ასე რომ, ასეთი ისტორიები ბევრი იყო. ამიტომ ქართველების მიმართ ჩემი დამოკიდებულება, მიუხედავად იმისა, რომ პირადად ჩემთვის არაფერი დაუშავებიათ, ამის შემდეგ ნეგატიური გახდა.

1998 წელს თბილისში დავბრუნდი, იმიტომ რომ მამა ავად გახდა და მისთვის უნდა მომეწყო. ქალაქი ძალიან შეცვლილი დამხვდა. რალაცნაირი გახდა... არ ვიცი, შეიძლება ჩემი პირადი შეგრძნებები იყო, მაგრამ ის თითქოს არამშობლიური მომეჩვენა. მას უკვე, როგორც მშობლიურ ქალაქს, ვეღარ აღვიქვამდი. მეზობლები თითქოს ცუდად არ მექცეოდნენ. შეიძლება ითქვას, კარგადაც მექცეოდნენ, მეხმარებოდნენ კიდევაც, რითაც შეეძლოთ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგრძნობოდა, რომ აქცენტს ჩემს ოსობაზე აკეთებდნენ. მეუბნებოდნენ, სამწუხაროა, რომ ოსი ხარ, ჩვენიანი რომ ყოფილიყავი, აქ უპრობლემოდ გათხოვდებოდი, ცხოვრებას მოიწყობდი, მაგრამ ისე მოხდა, რომ ოსი ხარ, თუმცა კარგი ადამიანი ხარო.

ბევრი ნაცნობი ოსი თავს ქართველად ასალებდა. ღმერთმა არ ქნას, ვინმეს მათთვის ოსი ეწოდებინა. გვარებს იცვლიდნენ, ბო-

ლოში „შვილის“ ამატებდნენ, თითქოს ამას მათი ბუნების შეცვლა შეეძლო. ისინი ამ ქალაქში ცხოვრებას უკვე შეგუებულები იყვნენ. მთელი სიცოცხლე აქ გაატარეს. ჰქონდათ კარგი სამსახურები, კარგი პერსპექტივა, ზოგი სწავლობდა, ზოგს თავის გამოჩენის შანსი ჰქონდა. კიდევ მახსოვს, რომ ბევრი შერეული ოჯახი იყო. იყვნენ ისეთები ვისაც დედა ქართველი ჰყავდა და მამა ოსი, მთელი სიცოცხლე ერთად იცხოვრეს და ამ სიბერეში ხომ არ გაშორდებოდნენ?! ანდა მაშინ ერთად უნდა გამგზავრებულიყვნენ. ეტყობა, თავისთვის სხვა გამოსავალს ვერ ხედავდნენ და ამიტომ გვარებს იცვლიდნენ. სამსახურებიდან ოსების განთავისუფლების ბევრი შემთხვევა იყო, რალაცა წვრილმანების გამო საყვედურებს აძლევდნენ და შემდეგ ბრძანების საფუძველზე ათავისუფლებდნენ.

1999 წელს მამა გარდაიცვალა. მისი წლისთავის შემდეგ სამხრეთ ოსეთში დაბრუნება გადაწყვიტე. პირველ რიგში, აქ ყველა ჩემიანია, ჩემი სისხლი, მეორე რიგში, ჩემი მშობლები სამხრეთ ოსეთში არიან დაკრძალული და მესამე რიგში, აქ მე გაცილებით მიაღვილდება ცხოვრება. გვარის შეცვლას არ ვაპირებდი, ასეთი რამ აზრადაც არ მომსვლია. ჩემთვის ეს ღალატის ტოლფასია. ამიტომ გადავწყვიტე, იქიდან წამოვსულიყავი, არჩევანიც დიდი არ მქონდა. მინდოდა, იმ ადგილებთან ვყოფილიყავი ახლოს, სადაც ჩემი მშობლები იყვნენ დაკრძალული. იქ ოროთახიანი ბინა გავყიდე, აქ კი სამოთახიანი ვიყიდე. მაშინ ეს თანაბარ გაცვლად ითვლებოდა, მაგრამ, როგორც შემდეგ მითხრეს, ჩემი ბინა იაფად გამიყიდია. თუმცა თავს ნორმალურად ვგრძნობდი და, რაც მთავარია, იქიდან წამოვედი. ჩამოსვლის შემდეგ ორ კვირაში მუშაობა დავიწყე. თბილისში არავინ არ იცოდა, რომ მოვდიოდი. ეს ყველაფერი ჩუმიად გავაკეთე. მეზობლებმა მხოლოდ მაშინ გაიგეს, როდესაც ჩემოდნებით გამოვედი. მთელი ავეჯი იქ დავტოვე. წამოვიღე მხოლოდ ის, რის ხელით წამოვდებაც შეიძლებოდა. პერიოდულად ჩამოვდიოდი და ხან ჭურჭელი მიმქონდა და ხან სხვა რამ. მეზობლებს წამოსვლის შესახებ იმიტომ არ ვუთხარი, რომ დამინყებდნენ გადარწმუნებას, ეს არ გააკეთოო. ამის შესახებ არაფრის გაგონება არ მსურდა, იმიტომ, რომ იმ მომენტისთვის ასე ჩავთვალე სწორად და გადანყვეტილება მიღებული მქონდა. ჩემი გამომგზავრების პერიოდში საქართველოს ედუარდ შევარდნაძე ხელმძღვანელობდა და თითქოს უფრო სიმშვიდე იყო. თითქოს რწმენა გამიჩნდა, მაგრამ ბოლომდე არ მჯეროდა. ვიცნობდი ქართველების ბუნებას და ნაკლებად სავარაუდო იყო, რომ ისინი შეცვლილიყვნენ. თხა გავყიდე, თხა ვიყიდე გამოვიდა – ერთი მიდიოდა, მეორე მოდიოდა, ისეთივე, უბრალოდ სხვაგვარად ლაპარაკობდა და იმავეს აკეთებ-

და. დღემდე არ მჯერა, რომ რამე შეიცვლება. სიმართლე რომ ვთქვა, დღემდე ველოდები მათგან რაიმე მზაკვრობას. არც მაშინ იყო ჩემთვის გასაკვირი, რომ ასეთი ამბები ხდებოდა. იმიტომ რომ ყოველთვის ცდილობდნენ ოსი ხალხისთვის უჩუმრად ზიანის მიყენებას. დღემდე არ მჯერა, რომ ყველაფერი დამთავრებულია. 2004 წელს ჩვენ ყველა ცხინვალის გარეუბანში ვცხოვრობდით. მთელი კორპუსი ჩავდიოდით სარდაფებში და სროლების დამთავრებას ველოდებოდით. ჩანყნარდებოდა – ამოვიდოდით, მერე ისევ ჩავდიოდით. აი ასე... სანამ დროებით ყველაფერი არ მიჩუმდებოდა.

2008 წელს მე აქ ვიყავი. საერთოდ არასოდეს დამიტოვებია აქაურობა. პასპორტიც კი არ მქონდა. მოქალაქეობა და პასპორტი 2008 წლის ომის შემდეგ მივიღე. ამიტომ ვცხოვრობდი ასე გაუსვლელად. 2008 წელს, როცა ომი დაიწყო, სახლში ვიყავი და მეძინა. და, როგორც კი სროლა დაიწყო, მეზობლებმა კინალამ ჩემი კარი ჩამოიღეს. შეეშინდათ, რომ იქ დავრჩებოდი და რაღაც დამემართებოდა. ჩემი სარდაფში ჩაყვანაც კი გადაწყვიტეს. მე კი, ნამძინარევს, არ მესმოდა, გარშემო რა ხდებოდა. შემდეგ მეზობლებთან ერთად ჩავედი სარდაფში და იქ ვისხედით. აფეთქებებისგან კორპუსი სულ ზანზარებდა. ამას სარდაფშიც კი ვგრძნობდით. თითქოს ძლიერი მიწისძვრა იყო. სარდაფში მიახლოებით 5 დღე ვისხედით და მაშინაც კი, როცა სროლები დამთავრდა, ისეთებიც იყვნენ, ვისაც ამოსვლა არ უნდოდა. ეტყობა, ბოლომდე არ სჯეროდათ, რომ ყველაფერი დამთავრდა. მათ მარტო დატოვებას კი ჩვენ არ ვაპირებდით. და, ამიტომ მთელი კორპუსი იქ იჯდა.

ჩვენს კორპუსთან ახლოს მერე მცხოვრებლებმა ერთი ქართველის გვამი იპოვეს. ქართული ტანკი ზუსტად ჩვენი კორპუსის წინ ტრიალდებოდა. როდესაც ტანკი ჩვენი სადარბაზოს წინ მოტრიალდა, ქვედა კორპუსისკენ გაისროლა, რომელიც უფრო საქართველოს საზღვართან ახლოს, ნიქოზის დასახლებასთან მდებარეობდა. კორპუსის მეხუთე სართულის გვერდითმა კედელმა ოდნავ გადმოიწია. ომის შემდეგ ის გაარემონტეს და ყველაფერი ალაგინეს. ჭურვი ჩვენი კორპუსის მეხუთე სართულს მოხვდა, მაგრამ შემთხვევით, რატომღაც არ გასკდა. ფანჯარაში შემოვარდა და იქვე დარჩა. შემდეგ მაშველები მოვიდნენ და გაიტანეს.

პერიოდულად, როდესაც სიჩუმე ისადგურებდა, სარდაფიდან ამოვდიოდით და სადარბაზოდან გამოვდიოდით. თვალდათვალ ვხედავდი, როგორ იცვლებოდა ქალაქი. როდესაც საბოლოოდ ამოვედით სარდაფებიდან და რაიონში გავიარეთ, მეზობლების ძებნა დავიწყეთ: ახალგაზრდა ბიჭების, მამაკაცების, რომლებიც მსახურობდნენ შეიარაღებულ ფორმირებებში, გაგება გვინდოდა: სად, როგორ, რანაირად არიან ისინი? მეზობლებთან ერთად გა-

დავწყვიტეთ მათი მოძებნა და მათ შესახებ რამის გაგება. მადლობა ღმერთს, არავინ დაშავებულა. ყველაფერი რიგზე იყო. თუმცა მაშინ ბევრი ახალგაზრდა დაიღუპა.

ყველაზე საშინელი ნანგრევების და გაფუჭებული გზების ყურება იყო – ორმო ორმოზე. ყველაზე საშინელი მომენტი კი ის იყო, რომ არსად ჩანდნენ ბავშვები, არ ისმოდა მათი ხმა. აი, ეს იყო ყველაზე საზარელი. ისეთი შეგრძნება იყო რომ ცხოვრება სრულიად გაჩერდა.

მინდოდა, მერწმუნა, რომ ცხოვრება აღდგება. ჩვენ ხომ არ ვიცოდით, რამდენად ცუდად იყო ყველაფერი და მინდოდა, უკეთესის რწმენა მქონოდა. მაგრამ კონკრეტული რწმენა მხოლოდ მაშინ გამიჩნდა, როდესაც მოედანზე მოვედით და ერთადერთი ბავშვი დავინახეთ. ორი-სამი წლის იქნებოდა. ბავშვი რომ დავინახეთ ყველა ავტირდით, რადგან ვირწმუნეთ, რომ ცხოვრება წინაა. ძალიან პატარა იყო, ქუდი ეხურა, ფუნთუშა ლოყები და ხვეული თმა ჰქონდა. მოკლედ ძალიან ლამაზი ბავშვი იყო დიდი თვალებით. მე დავიჯერე. გამიჩნდა კონკრეტული რწმენა იმისა, რომ ცხოვრება გრძელდება, რომ ეს ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის! ჩვენ ფეხზე დავდგებით, ყველაფერი კარგად იქნება, იმაზე უკეთესადაც კი, ვიდრე იყო. ცხოვრება ნამდვილად ამის შემდეგ დაიწყო. დაიწყეს ქალაქის, გზების, სახლების აღდგენა. ადამიანებს ისევ გაუჩნდათ საცხოვრებელი ადგილი, გაჩნდა სამუშაო. ცხოვრება ლაგდებოდა. ცხადია, ჩვენ კიდევ მოგვინევს მოთმენა. მაგრამ მჯერა, რომ ლამაზი მომავალი შორს არ არის.

მგონია, რომ ქართველებისთვის ოსების წინააღმდეგ ომი ნორმალურია. იმიტომ, რომ მჯერა, მათ ბევრი რამის მოგონება შეუძლიათ და სრულებითაც არ უნდათ, ვილაცამ ამის შესახებ რაიმე იცოდეს.

არ ვნანობ, თბილისიდან რომ წამოვედი. ბუნებრივია, როდესაც ჩამოვედი, სრულყოფილად ვფლობდი ქართულ ენას. დღეს თითქმის სულ დამავიწყდა და საერთოდ არ ვნანობ ამას. თბილისში ცხოვრების დროს ერთ მეზობელთან დაბადებიდან ვმეგობრობდი. პერიოდულად ინტერნეტით გვქონდა მიმოწერა. მათ თითქოს ყველაფერი ნორმალურად აქვთ. არ მინდოდა, ამ მოვლენების შესახებ რამე მეკითხა, მე ხომ მასთან ვმეგობრობდი და არ მინდოდა, მასში ჩემთვის რალაცა ახალი აღმომეჩინა. მეშინია, რამე ვკითხო. ვაითუ ისიც იმავეს ფიქრობს, რასაც მისი ხელისუფლება! ამიტომ ჩვენ ნეიტრალურ თემებზე ვსაუბრობთ და თვითონაც არასოდეს არ მისვამს უხერხულ კითხვებს, იცის, რომ პირდაპირ ვეტყვი იმას, რასაც ამ ყველაფერზე ვფიქრობ. ეტყობა, თვითონაც არ უნდა ამის გაგონება. ჩვენ ვლაპარაკობთ ასე... ოჯახზე, ბავშვებზე, ვიხსენებთ

ბავშვობას და მორჩა. პოლიტიკა ჩვენთვის დახურული თემაა. როდესაც დედა მიხვდა, რომ კვდებოდა და მისი ბოლო დღეები დადგა, ყველა დაგვიბარა და გვთხოვა, რომ მამაჩემის სოფელში დაგვეკრძალა. იმ მომენტში არ ვფიქრობდით, რომ აქ გადმოვსახლდებოდით. დედას კიდევაც ვთხოვდით, ეს არ დაევალებინა ჩვენთვის, იმიტომ რომ აქ, თბილისში უფრო გაგვიადვილდებოდა საფლავზე სიარული. მან კი გვითხრა: თუ იქ არ წამიყვანთ, მაშინ მე სათითაოდ წაგიყვანთ ჩემთანო. ეს მისი უკანასკნელი ნება იყო. გადმოვასვენეთ და დავმარხეთ მამის მშობლიურ სოფელში. დედის გარდაცვალების მერე მამამ საფლავი ისე შემოლობა, რომ სიკვდილის მერე ისიც იქ დაგვესაფლავებინა. დღეს ისიც იქ არის დაკრძალული. სამწუხაროდ, 90-იანი წლების ომის დროს მამაჩემის მშობლიური სოფელი ქართველებმა მიწასთან გაასწორეს. იქ პატარა სასაფლაოსა და სალოცავის გარდა აღარაფერი დარჩა. სამწუხაროდ, დღეს იქ მოხვედრა მაინც გამიჭირდებოდა, რადგან ზუსტად სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე სამხედროებმა საწვრთნელი პოლიგონი გააკეთეს. მშობლების საფლავის მოსანახულებლად ბოლოს ორი წლის წინ ვიყავი. მას მერე იქ ვერაფრით ველარ მოვხვდი. ყველანაირად ვცდილობ, ხელისუფლებამდე, პასუხისმგებელ პირებამდე მივიტანო ეს ამბავი, რომ ასე არ შეიძლება, იმიტომ რომ ოსებისთვის სასაფლაო ყოველთვის წმინდა ადგილად ითვლებოდა და არ შეიძლებოდა მისი შებლაღვა. როგორც ჩანს, ხელისუფლებას ეს არ ადარდებს, ამაზე არ ფიქრობს, მათთვის ეს მნიშვნელოვანი არ არის. მიუხედავად იმისა, რომ თბილისში ვცხოვრობდი და ვიზრდებოდი იმ დროს, როდესაც ღმერთის და ყველაფერი წმინდის არსებობას უარყოფდნენ, ჩემმა მშობლებმა შეძლეს, ჩვენთვის ოსური კულტურისა და ტრადიციების მიმართ სიყვარული ჩაენერგათ. მათ ძალიან ბევრი რამ მასწავლეს, ჩვენთვის ეს ყველაფერი ძალიან მნიშვნელოვანი იყო. დღეს ვერ ვიტყვი, რომ უცოდველი ვარ, დედამინაზე ყველაზე უცოდველი ადამიანიც კი ცოდვილია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაქსიმალურად ვცდილობ, ჩვენს ტრადიციებს და კულტურას მივდიო. ამით იმაზე უფრო სიღრმისეულად დავინტერესდი, ვიდრე მასწავლიდნენ. მაგალითად ვცდილობ გავარკვიო, რა გზავნილების დატოვებას ცდილობდნენ ჩვენი წინაპრები, რას გვიანდერძებდნენ, რა უნდა გვცოდნოდა ამის შესახებ. იმიტომ, რომ უამრავი გზავნილი დაშიფრულია და ალბათ წლები და დიდი შრომაა საჭირო ამის გასარკვევად. ვცდილობ, ცხოვრებაში შემოვიტანო ის, რასაც ამ ცოდნის მეშვეობით განვიცდი, ვცდილობ რალაც ორნამენტების გაშიფვრას. თავიდან ამონვის ხელოვნებითაც კი ვიყავი გატაცებული. ვცდილობდი ოსური ღვეზელის დაფებზე ოსური ორნამენტის ამონვას. ნართული ეპოსიდან ეტიუ-

დების შესრულებას. ახლა ბოთლების ოსურ სტილში მოხატვა და-
 ვიწყე. იმედი მაქვს, რომ ამაზე არ გავჩერდები და კიდევ რაღაცას
 ვისწავლი. მინდა, რომ ადამიანებს უფრო სერიოზული დამოკიდე-
 ბულება ჰქონდეთ ოსური კულტურის, ტრადიციების, რელიგიის
 მიმართ და მისდიონ მათ. რადგან ჩვენი რელიგია ჩვენი კულტუ-
 რაა. აი, მაშინ ოსეთი გადარჩება, ფეხზე წამოდგება და უფრო ძლი-
 ერი გახდება. ადამიანები უმეტესად თავიანთი უძლურების გამო
 ომობენ. ომს ყოველთვის სუსტი იწყებს. ჩემი აზრით, ეს სისუსტე
 და გაუმაძღრობაა. უბრალოდ უნდა იცხოვრო შენი ისტორიით, უნ-
 და იცხოვრო ღვთისნიერად. ყველა ომის შესაწყვეტად ერთი ჭეშ-
 მარიტი რელიგიაა საჭირო. ამისთვის უბრალოდ ბიბლიის სწორად
 გაშიფვრაა საჭირო. ის სწორად უნდა გადაინეროს, ისე, როგორც
 თავიდან იყო ჩაფიქრებული. ვფიქრობ, მას შემდეგ ბიბლია იმდენ-
 ჯერ გადაინერა! ათასჯერ და მილიონჯერ! პრინციპში ყველა-
 ფერი ეკლესიის მეშვეობით კეთდებოდა და, ცხადია, ყოველთვის
 ხელისუფლების სასარგებლოდ. რადგან იქ, სადაც რელიგია იყო,
 ყოველთვის არსებობდა მისით დაინტერესებული ხელისუფლება:
 იგივე მეფეები, იგივე ეკლესია.

ბიბლიაში წერია: „არა კაც კლა“, მაგრამ „არა კაც კლა“ რატომ-
 დაც უბრალო ხალხისთვისაა, რადგანაც არ ვიცი ისეთი მმართვე-
 ლი, რომელსაც არ მოუკლავს. ყველა ომი ხომ მმართველებისგან
 მოდის. ისინი იწყებენ ამ ომებს, გაცნობიერებულად მიდიან ამაზე
 და იციან, რომ ერთი და ორი ადამიანი კი არ დაილუპება, არამედ
 შეიძლება, მთელი ერები განადგურდნენ.

* * *

ს. ა. პედაგოგი, ქალაქ ცხინვალის ხურზარინის რაიონის მცხოვრები, 65 წლის

სამხრეთ ოსეთში არის სოფელი ორტევი, მე იქ დავიბადე. აქ, ცხინვალში გავიზარდე. სკოლაში წავედი და მე-6 სკოლის მათემატიკური კლასი დავამთავრე. შემდეგ აქვე ჩავაბარე ინსტიტუტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. დამთავრების მერე მიმავლინეს სამუშაოდ საქართველოში, ლაგოდეხის რაიონში, სოფელ სვობოდნოეში. ეს რუსული სოფელია. იქ ძალიან კარგად მიმიღეს. სკოლის დირექტორი ოსი იყო, გვრად პარასტაევი. მაშინვე მიშოვეს ბინა, სადაც ერთ ქალთან ერთად ვცხოვრობდი. ძალიან კარგი კოლექტივი იყო, ვმუშაობდი, მგონი, მოსწავლეებსაც და მასწავლებლებსაც მოვენონე. იქვე გავთხოვდი და რუსს გავყევი ცოლად. ორი შვილი მყავს. იქ მხოლოდ 9 კლასი გვქონდა, რომლის დამთავრების შემდეგ ქართულ სკოლაში გადასვლა იყო საჭირო. მაგრამ ჩემმა შვილებმა მაინც ვერ ისწავლეს ქართულად ლაპარაკი და ამის გამო იძულებული ვიყავი, აქ ჩამომეყვანა. აქ, ცხინვალში, ჩემი მშობლები ცხოვრობდნენ. 90-იან წლებში სწორედ აქ წამოვიყვანე შვილები, მინდოდა, აქ რამენაირად მომეწყო. ჩემს მშობლებს 90-იან წლებში სახლი მთლიანად დაენვათ. მათ მისცეს ვაგონი, რომელიც ჩვენი სახლის გვერდით კი არ დადგეს, არამედ ჩემი ძმის სახლთან ახლოს თაბოლოვის ქუჩაზე. ისინი ამ ვაგონში ნორმალური პირობების გარეშე ცხოვრობდნენ. მოკლედ, ჩემმა ქალიშვილმა აქ დაამთავრა ეკონომიკის ფაკულტეტი, ბიჭმა – იურიდიული ვლადიკავკაზში. ჩვენ საქართველოს რუსულ სოფელში ვცხოვრობდით. ძალიან ხშირად ჩვენ, მასწავლებლებს, გვკრებდნენ სოფლის საბჭოში და ბევრს ლაპარაკობდნენ იმის შესახებ, რომ რუსეთი საქართველოს მტერია. იქ ერთი სოფელია, ცოდნისკარი. იქაც გვკრებდნენ და ამ მიტინგზე ქართველები გამოდიოდნენ. ერთი კაცი ამბობდა, მოდი ყველა რუსს დავაჭრათ თავები და გავგზავნოთ რუსეთშიო. შემდეგ ქალებმა დაიწყეს, ეგ როგორ შეიძლება, როგორ გაბედე ამის თქმაო, მაგრამ ყველა ხომ არ იყო ასეთი... მოკლედ, იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც რუსები პურის ან რძის რიგში იდგნენ და მათ შეურაცხყოფას აყენებდნენ: ეი, შენ, რუსო, აქ რას აკეთებ? ნაეთრიე შენს რუსეთში! რა თქმა უნდა, ყველა ასე არ ლაპარაკობდა, მაგრამ იყო ასეთი მომენტებიც. მე როგორღაც გავემგზავრე იქით ავტობუსით, ჩამოსვლა მინდოდა, მძღოლმა რაღაც მითხრა, რუსულად ვუპასუხე, ის კი მომიტრიალდა: შენ აქ რას აკეთებ? ნაეთრიე აქედან! მე უბრალოდ შევხედე, ჩამოვედი და წავედი.

შემდეგ ოსებზე დაიწყეს რალაციის ლაპარაკი. ჩვენმა დირექტორმა სამსახური დატოვა. ამბობდნენ, რომ ოსებმა, რომლებიც თანამდებობებზე მუშაობენ, სამსახური უნდა დატოვონ, თანამდებობებზე მათ არ უნდა იმუშაონო. ბევრი გაათავისუფლეს. დანერეს განცხადებები და წავიდნენ. მეზობელი მყავდა სემინიხინა, რომელმაც თბილისში საბავშვო ბაღში სამსახური დატოვა იმის გამო რომ რუსი იყო. „განცხადება დანერეო“ – ამას მიყვებოდა და ოსებსაც იმავეს სთავაზობდნენ: საკუთარი ხელით დანერეთ განცხადებები, რომ წასვლა გინდათო და ასე გვათავისუფლებდნენ სამსახურებიდან. სოფელში ხანდახან სროლის ხმაც ისმოდა. ძალიან გვეშინოდა! მე ოსი ვარ – ქმარი კი რუსი. ყველას ეშინოდა. მაგრამ უფრო მეტად ოსებს ეშინოდათ. ერთ დღეს სხვენშიც კი ავძვერი და იქ გავათიე ღამე. თურმე ჩემს მეზობელს ძალი მოუკლავს, მე კიდევ მეგონა, რომ მოვიდნენ... ჰოდა, რა იცი რა ხდება! დაძროდნენ მაროდორები და ათასი ჯურის ადამიანები. ძალიან შემეშინდა! შემდეგ უკვე აღარაფერი არ ვიცოდი ჩემიანების შესახებ, არ ვიცოდი, რა ხდებოდა იქ. აღმოჩნდა, რომ ჩვენი სახლი დაუნვათ. ჩემმა მშობლებმა სამხრეთ ოსეთი დატოვეს. უფრო სწორად, დედა ვლადიკავკაზში გაემგზავრა. ფეხში დაჭრეს, თუმცა იქ ვერ გაძლო და უკან დაბრუნდა. დედას ფეხი დიდხანს არ უხორცდებოდა. მამაჩემი, სახლის გადანვის და საერთოდაც ამ ამბებზე ნერვიულობის გამო უეცრად გარდაიცვალა. დედამ ძლივს მოასწრო წლისთავის გადახდა და თვითონაც გარდაიცვალა: ფეხზე ანთება დაეწყო, შემდეგ კი კიბოც დაუდგინეს. მოკლედ, ისიც გარდაიცვალა. აქ არაფერი არ დაგვრჩა. მხოლოდ ჩემი ძმები ცხოვრობენ დღემდე აქ. მე კი... ჩემი შვილები მაშინ ვლადიკავკაზში მოვანყვე, ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდნენ. შემდეგ ქალიშვილი ოსს გაჰყვა ცოლად. ბიჭმა აქაური – ჯაველი ცოლი მოიყვანა. ისინი იქ ბინებში ცხოვრობენ. მე კი დავბრუნდი საქართველოში, სოფელში. მართალი ვთქვა, ჩვენ არაფერს გვერჩოდნენ. ვმუშაობდით, დავდიოდით სკოლაში, ისე როგორც საჭირო იყო. მაგრამ დირექტორი 2008 წლის ომამდე რუსი გვყავდა, ჩემი ყოფილი მოსწავლე. როდესაც 8 აგვისტოს გადმოსცეს, ომიაო, ო ღმერთო! გავიფიქრე, რა უნდა ვქნათ-მეთქი. მე თვითონ შემეშინდა წასვლა, მაგრამ ჩემი ქმარი გავგზავნე და ვუთხარი: შენ რუსი ხარ, ალბათ ასე უკეთესია, იქნებ როგორღაც გააღწიო-მეთქი ცხინვალამდე. ის გორამდე მივიდა და რუსებმა უთხრეს: მოქალაქეობა არ გაქვს და შენთვის არ შეიძლებაო. მოკლედ, უკან დაბრუნდა. მე კიდევ მოქალაქეობა მქონდა, იმიტომ, რომ ადგილობრივი ვიყავი. ომის შემდეგ ვფიქრობდი, იქ, სამხრეთ ოსეთში უკვე მორჩა... აღარავინ დარჩა-მეთქი ცოცხალი.

პირველ სექტემბერს სკოლაში მოვედით და გვითხრეს, რომ

ყველანი ტრასაზე უნდა გავსულიყავით. გაგვიყვანეს არა მხოლოდ მასწავლებლები და მოსწავლეები, არამედ ადგილობრივი მცხოვრებლებიც. დაგვაყენეს აი, ასე: ლაგოდეხიდან წნორის მმართველებით განვდილი ხელის დაშორებით და ხელში დაგვაჭყერინეს ქართული დროშები და პლაკატები „ძირს რუსეთი!“. შემდეგ ჩვენ გვერდით ჩამოიარეს მანქანებმა და ვიდეოს იღებდნენ: ანუ შეხედეთ მთელი საქართველო რუსეთის წინააღმდეგ დგასო! ჩვენ, ეს ფაქტობრივად ძალით გაგვაკეთებინეს. უარსაც ვამბობდით, წასვლა არ გვინდოდა, მაგრამ დირექტორმა გვითხრა: გინდა მუშაობა? მაშინ გადი ტრასაზე! მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რა მექნა: დავრჩენილიყავი თუ წავსულიყავი იქიდან. ჩემი მშობლები 90-იანი წლების ომის მერე მესხენებოდნენ აქ დავბრუნებულიყავი, უნდოდათ თუნდაც პატარა ქოხი მეყიდა, მაგრამ ამდენი ფული არ გვექონდა და ამის გამო იქ დავრჩით. შემდეგ გამგზავრება გვინდოდა, მაგრამ ვაჭიანურეთ, ვაჭიანურეთ; მე ცხინვალშიც კი ჩავედი და აქ დავტოვე განცხადება. მაშინ მე აქ სოფელ წუნარში მთავაზობდნენ სახლს. მეუღლეს ვთხოვდი, გადავიდეთ-მეთქი, მაგრამ იმან არაო, სოფლიდან სოფელშიო, ასეო და ისეო, რატომღაც თავიდანვე არ მოინდომა, ამიტომ დავრჩით სადაც ვიყავით. როდესაც პირველ სექტემბერს ასე გამოგვიყვანეს, მოვედი სახლში, ვიფიქრე, ვიფიქრე, დილაადრიან დავავლე ხელი ჩემს ჩანთას და 2 რიცხვში გავემგზავრე! ვფიქრობ: წავალ, ვცდი! თუ გავაღწევ – გავაღწევ. ჩამოვედი გორში. ტაქსის მძღოლებს მოველაპარაკე, რომ რაც შეიძლება ახლოს მივეყვანე საზღვართან, მაგრამ ყველამ უარი მითხრა. შემდეგ მივედი რუს ჯარისკაცებთან, რომლებიც იქვე იდგნენ, მომთხოვეს პასპორტი, შეხედეს და მითხრეს, გატარებით კი გაგატარებთ, მაგრამ როგორ წახვალ, როდესაც არანაირი ტრანსპორტი არ არის? ვუთხარი, ოღონდ გამიშვიტ-მეთქი. ჰოდა, წავედი. წავედი, ვიარე, ვიარე და რომელიღაცა ხიდს მივუახლოვდი. იქაც რუსი ჯარისკაცები იდგნენ. იმთაღ შეხედეს ჩემს პასპორტს და შევეცოდე: როგორ მიაღწევ ცხინვალამდე? მაინც წავედი, ვიარე, ვიარე და ერთადერთი წითელი ჯვრის მანქანა შემხვდა, რომელიც სადღაც იქით მიდიოდა, იქითა მხარეს. იქიდან აფეთქებების ხმა ისმოდა, მაგრამ ტრასაზე არავინ არ იყო, მე კიდევაც მესწინოდა, მიწა სულ შავი იყო აქეთ მხარესაც და იქითაც. ყველგან აი, ასეთი, დიდი მასრები ეყარა. გვამების და კიდევ რაღაცის სუნი იდგა. მაგრამ არ ვჩერდებოდი, მივდიოდი და მივდიოდი, მოკლედ, ასე მივალნიე ცხინვალამდე. არ ვიცი რამდენ ხანს მომიწია სიარული გორიდან აქამდე. იქ, გამშვებ პუნქტზე ჩვენი ოსები და რუსები იდგნენ. შორიდან დამინახეს რომ მარტო მოვდიოდი, ჩემს გვერდით არავინ იყო და როდესაც მივუახლოვდი დამიძახეს: აბა, მოდი აქო!

მიხმეს და დაუძახეს რუს ოფიცერს. მათ ავუხსენი რომ არაფერი მნიშვნელოვანი არ ხდებოდა. იქიდან ჩემიანებს დავურეკე. თურმე მეძებდნენ. ქმარს კი ასე მოველაპარაკე: შევეცდები გავალწიო და თუ გავალწიე იქ გამოჩნდება რა და როგორ. როცა გავალწიე, დავურეკე, მაშინ ჯერ კიდევ არსებობდა ორმხრივი კავშირი, ვეუბნები, რომ ასე და ასე, უკვე აქ ვარ-მეთქი. ქმარი კი მეკითხება, ეხლა რა უნდა ვქნათო? მე ვეუბნები, არ ვიცი, უკან დასახევი გზა არ მაქვს და აქ შენ თუ ჩამოხვალ-მეთქი. ის კი მპასუხობს, როგორ მივატოვო ჩემი ავადმყოფი დედაო. მოკლედ, ის დარჩა.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა იქ ვცხოვრობდი, რუსული არხები გათიშეს და სულ იმის აგიტაცია მიდიოდა, რომ რუსეთი მტერია. თუმცა ყველას ესმოდა, რომ ეს ასე არ არის, მით უმეტეს – განათლებულ ადამიანებს, ექიმებს და ა.შ. მაგრამ... ისეთი აგიტაცია მიდიოდა, რომ უმეტესობა ჩვენი სოფლიდან რუსეთში გაემგზავრა, ზოგი კურსკში, ზოგი სხვაგან. იქ თითქმის არავინ დარჩა და სკოლაში მონაფეების რაოდენობაც შემცირდა. ყველა ბინა ქართველებმა იყიდეს, ქართველები ბლომად არიან გურჯაანიდან და აზერბაიჯანიდან. აი, იქიდან ძალიან ბევრი ჩამოვიდა. ადგილობრივი ახალგაზრდობა კი გაემგზავრა. იქ მხოლოდ ისინი დარჩნენ, ვისაც წასასვლელი არსად ჰქონდა. შემდეგ, მე მივმართე წითელ ჯვარს ცხინვალში ჩემი ქმრის თაობაზე. მათ მიპასუხეს, თუ იქ მოძებნებნით რამდენიმე ოჯახს, ჩვენ შევძლებთ მათ გადმოყვანას, მაგრამ ერთი ადამიანისთვის იქ ვერ გავემგზავრებითო. ჩემს ქმარს შევატყობინე, რომ მოლაპარაკებოდა ჩვენს მეზობლებს და თუ ისინი მოინდომებდნენ, წითელი ჯვარი ჩავიდოდა და ყველას წამოიყვანდა. მან კი მითხრა, რომ ისინი არსად არ აპირებდნენ წასვლას. ახლა ის ერთეულები, რომლებიც იქ დარჩნენ მოხუცი ქალები და მამაკაცები არიან, რომელთაც სმა დაინყეს და მათი უმეტესობა ამისგან გარდაიცვალა.

ჩემი შვილები მამას ხშირად ურეკავენ. მას ფულს ვუგზავნით. იქ ხელფასი არ არის. მხოლოდ შენი ბოსტნიდან რასაც მოიპოვებ, იმით შეიძლება ცხოვრება. ზაფხულში ჩემს ქმართან მისი და ჩავიდა. ის თვითონ კრასნოდარში ცხოვრობს. მთელი თვე დარჩა და ეხმარებოდა მოსავლის აღებაში. ასე მითხრა, შენი ქმარი იძახის, სანამ ცოცხალი ვარ, სანამ შემიძლია, მე აქედან არასად არ წავალ. ძალიან უნდა შვილიშვილების ნახვა და ყველასი. სულ დელავს რომ მე აქ გავთხოვდი. არაფერიც არ გავთხოვილვარ! აი ასე ცხოვრობს იქ მარტო. მისი ძმაც იქ ცხოვრობს. ერთმანეთში კავშირი აქვთ და ეხმარებიან, მაგრამ ის მარტოა.

მე მომცეს ბინა „სოლნეჩნოს“ (ხურზარინის) რაიონში, ცხინვალში. ისე, აქაც ბევრი სიძნელეა. ახლა აქ ვცხოვრობ. სამსახურში მოვეწყვე.

ყველაზე დიდი შეცდომა გამსახურდია დაუშვა. პირველი შეცდომა დაუშვა და შემდეგ წავიდა და წავიდა. 2008 წლის ომის შემდგომ გავიგე, რომ მასში მონაწილეობას ჩვენი სოფლის, სვობოდნოს ახალგაზრდები იღებდნენ. მაშინ იქ, ქართველები უკვე საკმაოდ ბევრნი ცხოვრობდნენ. ისინი კი სამხრეთ ოსეთში საომრად ჩამოვიდნენ. ისინი აქეთ საომრად ტანკებით გამოგზავნეს. ეს იქიდან ვიცი, რომ, როდესაც ისინი მრიცხვში ღამე ჩამოვიდნენ, 9-ში მათი ლაპარაკი გავიგონე, რომ რუსეთმა შემოუტია და ისე გამოიქცნენ, რომ ვერაფერს ხედავდნენ, იმალებოდნენ ორმოებში და ცოცხალ-მკვდრები დაბრუნდნენ სახლში. ისინი ყვებოდნენ, რომ, როდესაც რუსეთი აქ მოვიდა, ისეთი მოაწყო, რომ ქართველები, ვისაც როგორ შეეძლო, ისე გარბოდა. ერთი ქალი, რომელიც ლაგოდების რაიონში უმაღლეს ორგანოებში მუშაობდა, არ ვიცი რა თანამდებობაზე, მიყვებოდა: იქ იმდენი ჩვენი ბიჭი დაიღუპაო! ვითომ რუსეთმა დალუპა ისინი, გესმით?! მე კიდევ ვუთხარი: და რამდენი რუსი დაიღუპა-მეთქი! მან კი ისეთი მიყვირა რომ... ერთი ქართული ენის მასწავლებელი გვყავდა, ჩვენ კამათი დავიწყეთ და ის ყველანაირად ამართლებდა ქართველებს. რადიოში მუდმივად გადმოსცემდნენ, რომ აი, ჩვენი ბიჭები დაიღუპნენ, ისინი დახვრიტეს, დააპატიმრეს, მოკლეს, და თანაც ამას თითქოს ოსები და რუსები აკეთებდნენ. აქ ჩვენები რომ დაიღუპნენ, ამას ვერავინ ხედავდა. ამბობდნენ, რომ იქ ყველა ქართველი მოკლეს. აბა, ჰკითხეთ ახლა გორელებს! პირიქით, ისინი ამბობენ, რომ რუსი ჯარისკაცები მათ კარგად ექცეოდნენ. თავის ულუფასაც კი სთავაზობდნენ იმიტომ რომ საჭმელი არ იყო.

7-ში ღამე გადმოსცეს, საქართველო არასდროს იომებს ოსებთან, ისინი ძმები არიანო. სააკაშვილი გამოდიოდა კიდევ და ამბობდა, რომ ოსებმა რძისგან ერბოს გაკეთება მოიგონეს და ქართველებს ასწავლეს. მოკლედ ოსები ჯერ ვითომ აამაღლა და ღამე კი საომრად მოვიდა. ეს როგორ გავიგოთ?! ერთ-ერთ ჩვენს სოფელში ის კოსტა ხეთაგუროვის ძეგლის აღდგენაშიც კი მოგვეხმარა, ვითომ კარგი დამოკიდებულება ჰქონდა ოსებთან. ოსური სკოლაც კი გაარემონტეს, თუმცა მისი წასვლის შემდეგ რემონტი მომენტალურად ჩამოინგრა. ბათქაში ჩამოიშალა, მასწავლებლები ჩიოდნენ: ეს რა გაგვიკეთესო?! მოკლედ, თავი მოიწონეს და მორჩა. ომი დაიწყო. არავინ იცოდა, ვინ ვის დაესხა თავს, რუსეთი დაესხა თავს ოსებს და ქართველები იცავდნენ მათ, თუ საქართველო შემოვიდა და ის გვეომება. სანამ ეს ბიჭები არ დაბრუნდნენ, არავინ არაფერი იცოდა. როცა დაბრუნდნენ, ამბავი ისე მოგვანოდეს თითქოს რუსეთი თავს დაესხა ქართველებს და როგორც თავებს მინდვრიდან, ისე მიერეკებოდა მათ. მე არ ვნანობ, რომ უკან

დავბრუნდი. იცით, როგორც კი გავთხოვდი და იქ გავემგზავრე, ვირივით ვმუშაობდი. ჩვენ ერთდროულად გვქონდა კიტრიც და პომიდორიც. ყველაფერი ერთ მომენტში. ძალიან მძიმე ფიზიკური შრომა გვინევდა. ეთერზეთების ქარხანაში ვამუშავებდით ნემსინვერას. ეს ქარხანა დაინგრა, უკვე აღარ არსებობს. ამ ქარხნის დამსახურებით ჩვენ სეზონურად ვცხოვრობდით. ახლა იქ აღარანაირი სამუშაო აღარ არის. ახლა ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ აქ ვარ. მშობლებს დიდი ხნის წინ უნდოდათ ჩემი იქიდან დაბრუნება. როცა ჩემთან სტუმრად ჩამოდიოდნენ, ხედავდნენ, როგორ ვმუშაობდით, დღესა და ღამეს ვასწორებდით. ჩემი შვილები პატარაობიდანვე ჩვენივე დამზადებული პატარა თოხებით ჩვენთან ერთად შრომობდნენ. დედაჩემი სულ მეჩხუბებოდა, რატომ აიძულე ამდენ მუშაობასო? მე კიდევ ვეუბნებოდი, ჩემზე უკეთესად მუშაობენ და მე მეხმარებიან-მეთქი. აბა როგორ? იქ სხვანაირად არ შეიძლებოდა: თუ მუშაობ, რაღაც გექნება, თუ არა და – არა. სკოლაც... თანდათან მოსწავლეებმაც იკლეს, ქართველებმა რუსული არ იცოდნენ. განათლების რაიონულ განყოფილებაში განაცხადეს რომ საჭიროა ქართულ ენაზე გადასვლა, პირველი კლასის შექმნა ქართული ენის სექტორის ბაზაზე, იმისათვის, რომ ყველაფერი თანდათან ქართულ ენაზე გადავიდესო და ასეც მოხდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი დირექტორი რუსი იყო რუსული ოჯახიდან, რომელიც დიდი ხანია როსტოვიდან გადმოვიდა და იქ დასახლდა, მისი დები ქართველებს გაჰყვნენ ცოლად და გაქართველდნენ. მათ კარგად იცოდნენ ქართული ენა და ახლაც იქ მუშაობენ, თუმცა სხვა სოფელში ცხოვრობენ და 3 კილომეტრს გადიან ფეხით. მაშინ ფეხით დადიოდნენ და ახლა არ ვიცი, შეიძლება მანქანები შეიძინეს. ქმარს ახლა ხან 5000-ს ვუგზავნით, ხან 3000-ს. ისევ იქ ცხოვრობს. ჩვენი ლეღვის ხის მურაბაც კი გამოგვიგზავნა დის ხელით, ამბობს, მე თვითონ მოვხარშეო; და ეხმარებოდა და ჩვენთვის ნობათის გამოგზავნა გადაუნყვეტია. ამბობს, იქ მეტს ვეღარ გავუძლებო...

თ. მ. დაბა ლენინგორის¹ მცხოვრები

1988 წელს 12 თუ 13 წლის ვიყავი. და აი, რა მოგონება დამრჩა: ახლო მეზობელი გვყავდა, მილიციის უფროსის მოადგილე და მათთან ის ხალხი დადიოდა... „ლიდერებს“ რომ ეძახდნენ. დაახლოებით 20 წლის განმავლობაში სიტყვა „ლიდერები“ ჩემთვის ყველაზე საშინელ სიტყვად იქცა. ჩემთვის ლიდერი იმ ადამიანებს ნიშნავდა, რომლებიც მოდიან, ამცირებენ და ყრიან ხალხს. ჩემმა ოჯახმა ეს ადამიანი რამდენჯერმე დაიცვა, რის გამოც ერთხელ მამაჩემი, მეორედ კი ჩვენთან სტუმრად მყოფი ბიძაჩემი სცემეს. მოკლედ ამ ოჯახს რაიონი არ დაუტოვებია. ქართველი ცოლი ჰყავდა და დარჩნენ. თუმცა მათთვის ეს ყველაფერი შეურაცხყოფა იყო: მოდიოდნენ, აგინებდნენ, ქვებს ესროდნენ, უყვიროდნენ. არ მინდა, იმ ადამიანის სახელი და გვარი დავასახელო, ვინც მათთან მოდიოდა, მაგრამ კარგად მახსოვს, მე თვითონ მინახავს კარის ზღურბლზე. ბავშვობიდან მახსოვს ისინი, ვისაც მაშინ „ლიდერებს“ ეძახდნენ, მათ ხელს არც ახლა ახლებს არავინ. მახსოვს, რომ ჩემი კლასიდან ბავშვები წავიდნენ. როგორც შეგვეძლო, ვცდილობდით, გვეთქვა, რომ ვწუხდით, რომ გვტოვებდნენ. ისინი ოსები იყვნენ. მახსოვს, ერთი ჩემი თანაკლასელი ამბობდა რომ არ უნდოდა გამგზავრება. მაგრამ ბოლოს მაინც წავიდნენ ვლადიკავკაზში, სადაც მათი ბედი ძალიან ცუდად წარიმართა. მამა გულის შეტევით გარდაიცვალა. მერე ის და მისი და ავარიში მოყვნენ. მანქანაში ის ცოლთან, მისი და კი – საქმროსთან ერთად ისხდნენ. საქმრო დაიღუპა, მისი ცოლი კი დღემდე ინვალიდის ეტლში ზის, სიარული ვეღარ შეძლო და დაშორდნენ.

სკოლაში ისეთებიც გვყავდნენ, ვინც ცეცხლზე ნავთს ასხამდა და ისეთებიც, ვინც ამბობდა, რომ ასე არ შეიძლებოდა. იმის მთქმელი კი არავინ იყო, ბავშვებო, ეს თქვენი საქმე არაა და უმჯობესია, რომ ისწავლოთ, არასრულწლოვანი მოსწავლეების საქმე არ არის პოლიტიკურ მოვლენებში მონაწილეობა და მიტინგებზე გამოსვლაო.

ცუდი დრო იყო. გაჭირვებით ვშოულობდით რალაცას საქმლის მოსამზადებლად. ჩემი ოჯახიც ზუსტად ასე ცხოვრობდა, ფინანსურად გვიჭირდა. კარგად მახსოვს, რა გემრიელი წინიბურას კოტლეტები გვქონდა ახალ წელს! თუმცა ამ ყველაფერს თავისი პლუსებიც ჰქონდა: არ ვიცი როგორ, მაგრამ 50-მდე სახის ქსოვა ვისწავლე. ახლა ყველაფერი დამავინწყდა, ყველაფრის ყიდვა შეიძლე-

¹ ადგილების დასახელება არ რედაქტირდებოდა და მოცემულია ისე, როგორც მას იყენებენ ამბების მთხრობელები.

ბა, მაშინ კი ვცდილობდით, ყველაფერი თვითონ გვეკეთებინა, რომ უფრო ლამაზები გამოვჩენილიყავით.

რაიონში ხმა დადიოდა, რომ „ლიდერებმა“ ერთი ოსური სოფელი გაძარცვეს. ის სახლიც კი ვნახე, სადაც მათი გადასაფარებლები, ხალიჩები, ლეიბები ეწყობოდა და ნიავედებოდა. ყველა ხედავდა რომ ამ ძარცვების შემდეგ ჩვენს რაიონში ზოგიერთ ოჯახში ძროხები და ღორები გაჩნდა. მათი სისასტიკის შესახებაც გვესმოდა. ერთის მხრივ, მეშინოდა, ჩვენთანაც არ მოსულიყვნენ, მეორე მხრივ, არ მეშინოდა, იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, ოსები არ ვიყავით და, მეორეც, ისინი მხოლოდ იმათთან მიდიოდნენ ვინც კარგად ცხოვრობდა, რაც ჩვენ არ გვემუქრებოდა, მდიდრები არ ვიყავით, ყოველდღიური საჩრთი ვარსებობდით. ჩვენი სიღარიბე გვეხმარებოდა, მათთვის სულერთი იყო, ვის გაძარცვავდნენ, ხანდახან ეროვნებას მნიშვნელობა არ ჰქონდა, ისეთ ნარკოტიკულ კაიფში იყვნენ... საღამოობით ავტომატებიდან სროლა გვესმოდა, მოკლედ ყველასთვის განუკითხაობა იდგა.

ლენინგორში ვერაფერს ვიგებდით იმის შესახებ, რა ხდებოდა სამხრეთ ოსეთში. მე აქტიური ადამიანი ვარ და ახლაც თვალს ვადევნებ მოვლენებს ინტერნეტით და გაზეთებით. მაგრამ ახლა, როგორც 20 წლის წინ, ადამიანებმა არაფერი იციან სამხრეთ ოსეთის შესახებ, თუ რა ხდება აქ... ჩვენთან არ გადმოსცემენ ადგილობრივი ტელეარხები. თუმცა არც იმის თქმა შემიძლია, რომ ეს ამბები ზოგიერთ ლენინგორელს საერთოდ აინტერესებს. ეს იმიტომ, რომ ბევრი აქ საკუთარ მომავალს ვერ ხედავს, მათთვის სულერთია. მთავარი მიზანია ფულის შოვნა და მორჩა. 20 წლის წინანდელი კი არა 2008 წლის ამბებიც კი არ გაუგიათ. მე თვითონ, მაგალითად, თბილისში ნათესავებს ვურეკავდი და ვეუბნებოდი: ჩამოდით, აქ სინყნარეა! რა ომი? რას ამბობთ? მხოლოდ ის ვიცოდით, რასაც ტელევიზორით გადმოსცემდნენ. იქ კი 8, 9, 11 და 12 აგვისტოს ჩვენს დასახლებაში მშენებლობას აჩვენებდნენ. ადამიანები კერძო სახლებს იშენებდნენ.

ვერ ვიტყვი რომ სააკაშვილის მოსვლის შემდეგ ცხოვრება ძალიან შეიცვალა. თვითმმართველობის დონეზე შეიცვალა რაღაც. მას ძალიან უყვარდა თეატრალური წარმოდგენები. ერთხელ იმის სათქმელად ჩამოვიდა რომ ადგილობრივი ხელმძღვანელები ბიუჯეტის ქურდები და გაუნათლებლები არიან. თუმცა ერთი თვის შემდეგ ერთმანეთის მხარდამჭერები გახდნენ. და მათ, ვისაც ერთი თვის წინ რაიონში სახალხოდ ღორებს ეძახდა, პარლამენტში „ჩვენი დროის გმირებად“ მოიხსენიებდა.

2006 წელს, ერთ დღესაც გვითხრეს, რომ ჩვენთან არჩევნები უნდა ჩატარებულიყო და „სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაცია“ უნდა აგვერჩია. ერთ ჩემს მეგობარს ვუთხარი, რა არჩევნები-მეთქი? და რა შუაშია-მეთქი აქ ვიღაც დიმიტრი სანაკოევი? ტერიტორი-

ულად მცხეთა – მთიანეთის გუბერნიას ვეკუთვნით. გვყავს გუბერნატორი, რომელსაც კი არ ვირჩევთ, არამედ პრეზიდენტი ნიშნავს. გვყავს გამგებელი მუნიციპალიტეტიდან, საკრებულო და საკრებულოს თავმჯდომარე. და მან რა უნდა გააკეთოს? როგორ უნდა დავემორჩილოთ? ან რისთვისაა ეს ყველაფერი? მე და ჩემმა მეგობარმა ამ საკითხის ჟურნალისტებთან წამონევაც კი გადავწყვიტეთ. მაგრამ, ეტყობა, ეს არ იყო სახელმწიფოს ინტერესებში და არც ერთი მათგანი არ დაინტერესებულა, თუ რას ვფიქრობდით ამის შესახებ. მაშინ არც ვიცოდით, სად იყო ქურთა, თამარაშენი, მხოლოდ ახლა გავიგე. ვის ეკუთვნოდა არ ვიცოდით. არასოდეს გავგეგო, რომ ისინი ჩვენ რაიონს ეკუთვნოდნენ, დიმა სანაკოვეის შესახებაც არაფერი გვსმენოდა. მერე მოვიდნენ, როგორც ყოველთვის, აი ეს „ლიდერები“, ან „ლიდერების“ მემკვიდრეები, იდგნენ დიმას გარშემო. ამ დროისთვის ის მათთვის უკვე აღარ იყო ოსი. მათ უცბათ დაინყეს სამხრეთ ოსეთის ოლქის მხარდაჭერა. გვყავდა მაჟორიტარი დეპუტატი, რომელმაც არჩევნების ჩასატარებლად პარლამენტში სამხრეთ ოსეთის ოლქის აღდგენას დაუჭირა მხარი მის საზღვრებში, ჩვენი რაიონის ჩათვლით, რამეთუ ჩვენ ძველი რუქების მიხედვით ამ რაიონს ვეკუთვნოდით. სულ გვესმოდა: დიმა მოვიდა საჩუქრებით, დიმა მოვიდა, დიმა მოვიდა... მოკლედ დიმა ლენინგორელების მესია გახდა.

ჩემს მეხსიერებაში ასეთი არჩევნები მანამდე არ ყოფილა! მე მგონია, მსგავსი აღარც განმეორდება. მე და ჩემი მშობლები ისეთ ჩიხში ვცხოვრობდით, თუ ვინმემ ზუსტად არ იცოდა მისამართი, ვერასოდეს მოგვაგნებდა. მაგრამ იქაც კი არჩევნების წინ, ღამით სპეცნაზელები იდგნენ. მთელი რაიონი სპეცნაზელებით იყო სავსე. შეიარაღებული ხალხის გამოჩენა ჩვენთვის სიურპრიზი იყო. იმდენი ხანი არ გვენახა, და ახლა... კიდევ დიმამ ხმა ჩვენს რაიონში მისცა, სადაც არც ჩანერილიც იყო და არც რეზიდენციის მოწყობას გეგმავდა. მოკლედ, რაღაც სპექტაკლი იყო. შეიარაღებული ხალხის შესახებ აგვიხსნეს, რომ რაღაც საშიშროება არსებობდა, ცხინვალიდან პროვოკაციები იყო მოსალოდნელი. უნდა ვაღიარო, რომ ვფიქრობდი, როგორ შეიძლება ცხინვალიდან ჩვენთან ტერაქტების მოწყობა-მეთქი? ჩემთვის ეს სხვა პლანეტა იყო. როგორც მოსალოდნელი იყო, არჩევნებმა ძალიან კარგად ჩაიარა. იმათ ვინც აირჩა გამსახურდია, ვინც აირჩა სააკაშვილი, აირჩიეს დიმა სანაკოვეიც. აი, დღემდე ისინი ირჩევენ. ვგულისხმობ, კომისიების დამკვირვებლებს და მათ, ვინც ხმებს ითვლის; ეს ოც წელზე მეტია, ერთი და იგივე ხალხია. არჩევნები უბანზე დოლ-გარმონის და ქადების თანხლებით ჩატარდა. მახსოვს, ჩემი რვა თუ ცხრა წლის შვილი როგორ მეხვეწებოდა, წავიდეთ, ავირჩიოთო... რაიონში უამრავი რეკლამა გადიოდა: „ვირჩევთ დიმა სანაკოვეს!“ ჩემი შვილი კი ოსია და მთხოვდა, გეხვეწები, ავირჩიოთ დიმა სანაკოვეო! რა თქმა უნ-

და ნავედით. უკვე 22 წელია, არჩევნებზე დავდივარ და მე-6 თუ მე-8-ჯერ ხმას „ყველას წინააღმდეგ“ ვაძლევ. თუმცა, ეს არჩევნები მაღიზიანებდა. თვითონ „უწყინარი“ ადამიანი იყო, აგრესიას არ ინვევდა. სამაგიეროდ მისი გარემოცვა იყო მიუღებელი. ვიცოდი, ამას ფულის გამო აკეთებდნენ. არჩევნები დამთავრდა და მორჩა.

1993 წელს ოსს გავეყევი ცოლად. ერთმა ადგილობრივმა ბიჭმა მომიტაცა, მის შესახებ მხოლოდ ის ვიცოდი, რომ იქვე ცხოვრობდა. სრულწლოვანი არ ვიყავი და გავთხოვდი. ამაზე მეტი საუბარი აღარ მინდა, ჩვენი ოჯახი ვერ შედგა. ცალ-ცალკე ვცხოვრობთ, სამაგიეროდ, მყავს შესანიშნავი ქალიშვილი ანა. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ქალიშვილი ქართველების გარემოცვაში იზრდებოდა, ჩვენ კი ოჯახში ყოველთვის ქართულად ვლაპარაკობდით, ყოველთვის ვგრძნობდი რომ ანაში, შიგნით (ვფიქრობ ეს ყველა ოსს აქვს) ყოველთვის იყო იმის თქმის სურვილი, რომ ეთქვა: აი, შეხედეთ, ოსები რა კარგები არიანო! სულ ელოდა ამის თქმის შესაძლებლობას, იმიტომ, რომ ტელევიზორში მუდმივად გადმოსცემდნენ, რომ ოსებმა ვილაც მოიტაცეს, ვილაც ტყვედ აიყვანეს და შემდეგ გამოსასყიდი მოითხოვეს. მხოლოდ ეს ესმოდა. ერთხელ მოგვიყვინენ რომ გორიდან ვინმე პეტრიაშვილი გაუტაციათ ცხინვალისკენ, თუმცა ეს წმინდა წყლის ბიზნესი იყო და არა პოლიტიკური დანაშაული. არ ვიცი, ალბათ ვილაცას ფული არ დაუბრუნა და შემდეგ ტელევიზორით გვიჩვენეს, რომ თვით ედუარდ კოკოითმა გატაცებული მამას დაუბრუნა. ანამ კი დაიძახა: აჰა, შეხედეთ რა კარგიაო! 5 თუ 6 წლის იყო და იძახდა: გამოდით ახლა და დაამტკიცეთ, რომ არ არის კარგი ადამიანი, ხომ ხედავთ, როგორი განსაკუთრებულიაო! აღფრთოვანებული იყო კოკოითით. მახსოვს, პირველად საბავშვო ბაღში ისწავლა გათვლა-თამაში ოსურად. საოცრად ამაყი იყო! თითქოს კოსტა ხეთაგუროვის ყველა ნაწარმოები იცოდა. მისთვის ეს ერთი და იგივე იყო. ხშირად კრებდა ბავშვებს, მეზობელ ქალებს აგროვებდა, გამოდიოდა და ასე იძახდა, ახლა მე ნავიკითხავ ლექსს ოსურ ენაზეო. ჩვენი მეზობელი ოსის ქალები კი ყოველთვის ეუბნებოდნენ: ანა, ეს ოსური არ არისო. არც ისე დიდი ხნის წინ მითხრა, რომ მიუხედავად ყველაფრისა, თავისი ეროვნული ფესვების შენარჩუნება სურდა. მეკითხებოდა, როგორ ფიქრობ, შეიძლება, „ზოზირთად“ დავენეროო? ახლა მისი გვარი ზოზიროვაა. მომწონდა თუ არა, მე მას ყოველთვის მხარს ვუჭერდი და ვეუბნებოდი, რომ ამის გარკვევა შეიძლებოდა და შეეძლო, საკუთარი თავისთვის ეს საჩუქარი გაეკეთებინა. შეიძლება ვილაცისთვის ეს არაფერს ნიშნავს, ბევრი მკითხავს, ის ოსურად რატომ არ ლაპარაკობსო? ლენინგორში სკოლაში რომ დადიოდა ენა კარგად ესმოდა. სულ კონტაქტობდა ბებიასთან, რომელიც ოსურად ელაპარაკებოდა. ანას ბებია ოსია. ჩემთვის ეს პლუსია. სხვათა შორის, თბილი-

სის უნივერსიტეტში მასთან კიდევ ორი ოსი გოგონა სწავლობდა, მაგრამ მათი გვარები „შვილი“-ზე მთავრდებოდა. ანა მომიყვა რომ ერთხელ მისმა თანაკურსელმა თქვა კურსზე მარტო ერთი ოსიაო, რაზეც იმ ორმა უპასუხა ჩვენც ოსები ვართო. ანამ უპასუხა: თქვენ „შვილი“ ხართ და ნულარ ლაპარაკობთო. შეიძლება ეს წვრილმანე-ბია, მაგრამ ჩვენს სიტუაციაში ვფიქრობ, ესეც კარგია.

გული მწყდება, 2008 წლის შემდეგ 7 წელზე მეტი გავიდა, აქ ჩამოსული ჩინოვნიკები კი სულ გვახსენებენ, რომ ჩვენ ოსურად არ ვლაპარაკობთ. დიახ, არ ვლაპარაკობთ იმიტომ, რომ არავინ გვასწავლის. ამისთვის მინიმუმ ერთი წრის ორგანიზებაა საჭირო. მას მერე, რაც წავიკითხე უკრაინაში მოხალისეების გაგზავნის შესახებ, ყველა ნაცნობ პოლიტიკური პარტიის ლიდერს ვუთხარი: რატომ არ გინდათ ლენინგორში მოხალისე-ფილოლოგების გაგზავნა-მეთქი? რად გინდათ ბრძოლა, „ჯობია ოსური ენის მოხალისეები გაგზავნოთ-მეთქი. აი, ამას ვურჩევ პარტიებსაც: ეს ხომ მათთვის გლობალური საკითხი არ არის, რომელსაც ვერასოდეს ვერ გადწყვეტენ. უკეთესია, ადგილობრივი პრობლემები გადაჭრან.

შემდეგ 2008 წელი იყო. ჩვენთან დიდი პროპაგანდა მიდიოდა! თბილისიდან ვბრუნდებოდი, როდესაც ჩვენი სამარშრუტო გააჩერეს, გვერდზე გადაგვნიეს და გვითხრეს, ჯარი უნდა გაატაროთო. ხელიც კი დავუქნიეთ ჯარისკაცებს. ვფიქრობდი, ალბათ ბანდიტების გასანადგურებლად მიდიან, რომლებიც ქართველებსაც და ოსებსაც ანუხებენ-მეთქი! სხვა პლანეტაზე ვცხოვრობდით! შემდეგ ჩვენთან მოდიოდნენ და გვეუბნებოდნენ, რომ პანიკა არ იყო საჭირო და არაფერი არ ხდებოდა. იმ ყველაფერს, რაც ადრეც გვესმოდა. მაშინაც კი, როდესაც გამოაცხადეს, რომ კონსტიტუციური მთლიანობის აღდგენის ბრძანება გაიცა, არ ვიცოდით, თუ ომი მიდიოდა. ვფიქრობდი, რა არის „კონსტიტუციური მთლიანობა“-მეთქი? და იმ დროს კიდევ იმასაც ამბობდნენ, რომ ყველაფერი მალე დამთავრდებოდა. ამას უბრალო ხალხი კი არა ისეთი ადამიანები იძახდნენ, რომლებიც ვალდებულები იყვნენ, დავეცავით, ჩვენზე ეზრუნათ და არა თავიანთ ოჯახებზე და საკუთარ ტყავზე. შემდეგ გავიგეთ, რომ ღამე, როცა გვეძინა, მათ თავიანთი ოჯახები გაიყვანეს და ძვირფასი ნივთები, რაც გააჩნდათ, ყველაფერი წაიღეს. საქონელიც კი წაიყვანეს. ჩვენ კი აქ დარჩინას გვავალდებულებდნენ. ისეთი ხელმძღვანელობა იყო, რომელიც თავის პირად საქონელზე: ძროხებზე, ბოჩოლებზე, ცხვრებზე, ხარებზე ზრუნავდა – ჩვენზე კი არა! ჩვენი წასვლის აზრსაც ვერ ვხედავდი და ამიტომ დავრჩით. ახლაც ვაკრიტიკებ ახლანდელ ხელისუფლებას, მაგრამ წინას და ჩემ ყოფილ მეგობრებს ვერაფრით ვპატიობ, რომ არ გაგვაფრთხილეს, არ გვითხრეს, ღამით რომ მიდიოდნენ. მადლობა ღმერთს, ჩემს ქალიშვილს არაფერი დამართნია, მაგრამ ხომ

შეიძლება რამე მოსვლოდა? ისინი გაჭირვების დროს გვერდით არ დამიდგნენ გვერდში და ახლა უკვე აღარ მჭირდებიან.

2008 წლის 16 აგვისტოს ეკლესიაში ვიყავით, იქ რალაც წირვა მიდიოდა. უცებ სასწრაფო დახმარების ხელმძღვანელი ქალი შემოვარდა და თქვა, მოდიან, უბრალოდ მოდიანო! მაშინვე მივხვდით, ვინც მოდიოდა. თავს უშველეთო! ეს იმას ნიშნავდა, რომ უნდა გავქცეულიყავით. საით? ტყისკენ ფეხით გავიქეციტ. დედა მაშინ საცხოობში მუშაობდა. მამას ვთხოვე, ნადი, უთხარი, გაიქცეს-მეთქი, მაგრამ ის არ წამოვიდა. მეუბნება, შეხედე, რამდენი პურია, როგორ დავტოვო, ყველაფერი გაფუჭდება, რომც მომკლან, პურს ასე არ დავტოვებ, ჩემი საკუთარი პური კი არ არისო! მოკლედ, არ წამოვიდა. მე, ანა და მამამისი კი ტყეში წავედით. იქ კი სიჩუმის მაგივრად ხმაური იყო. ბავშვები ტიროდნენ და უცხო ბებიები მათ ლექსებს უკითხავდნენ. ყველა გაუპატიურებასა და მკვლელობებზე ლაპარაკობდა. ამაზე გამუდმებით საუბრობდა ქართული ტელევიზია. წარმოვიდგინეთ, რომ ჩვენთანაც მოვიდოდნენ და ჩვენი ეროვნების გამო იმავეს გაგვიკეთებდნენ. ვილაც მოგვიგზავნეს და გვითხრეს, თუ სნაიპერები ან ბანდიტები არა ხართ, გამოდითო. მე გამოვედი. როცა რამის მეშინია, მირჩევნია, პირისპირ შევეჩიხო და ჭორებს ყური არ დავუგდო. იქ ისეთი ვერაფერი დავინახე. ვნახე წვერიანი, სავარაუდოდ, ცხინვალელი ბიჭები, რომლებიც გამოგველაპარაკნენ. რამდენიმემ მითხრა, გვახსოვხარო, მაგრამ მე არ მახსოვდა. შემთხვევით სულ შავები მეცვა. რამდენიმემ მკითხა, ვინმე დაგელუპა ომის დროსო? – არავინ-მეთქი. მაშინ ვის გლოვობო? ვუთხარი, რომ ეს შემთხვევითობა იყო. შემდეგ დავასკვენი, რომ კონფლიქტის დროს ყურადღება ჩაცმასაც უნდა მიაქციო.

სამუშაოზე მარტო დავრჩი. ვცდილობდი, გამეაზრებინა, რა ხდებოდა გარშემო და მივხვდი, რომ ხელისუფლება აღარ არსებობდა. ისინი ჩამოდიოდნენ, ვისაც უფრო დიდი კუნთები ჰქონდა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელებად ინიშნებოდნენ. მოკლედ განუკითხაობა სუფევდა. აგვისტოს ბოლოს და სექტემბრის დასაწყისში რალაცა შერეული კომისია მოიგონეს, რომელსაც რაიონი უნდა ემართა. ხალხი შეკრიბეს და სთხოვეს ეპასუხათ კითხვაზე „ვის უფრო მეტად ენდობით“. მახსოვს, ერთ „ლიდერს“ ნდობა ადგილობრივმა ოსებმა გამოუცხადეს, არა მარტო ადგილობრივებმა, ერთი ცხინვალისდანაც კი იყო ჩამოსული. მერე ერთი ოსი აყვირდა: ისევ ასეთ ბანდიტებს ენდობით, რომლებიც მაშინ გვამცირებდნენო! უკვე აღარ მახსოვს რომელი თვე და რიცხვიდან გაჩნდა ადმინისტრაციის პირველი მეთაური. ადგილობრივი კი იყო, მაგრამ მაინც საშინელი განუკითხაობა ტრიალებდა. ხალხი ტომრებზე, კიბეებზე იდგა და ხელფასებს ისე არიგებდნენ. აგვისტოს დღეებში ძალიან ბევრი წავიდა, მაგრამ სექტემბერში დაბრუნდნენ, როდესაც

გაიგეს, რომ აქ არავინ არ მოუკლავთ და მათი ქონება არავის გაუძარცვავს. მერე, როდესაც წეროვანში ლტოლვილების დასახლება აშენდა, ისევ წავიდნენ. ყოველთვის ვიძახი: ეს ხალხი შიშის გამო კი არ წავიდა, არამედ კარგი და ლამაზი პირობების გამო, რომელიც იქ შესთავაზეს-მეთქი. ამას იმიტომ ვფიქრობ, რომ წლის დასაწყისში, იანვრამდე, მხოლოდ ერთ დასახლებაში სკოლაში 200 ბავშვი სწავლობდა, ახლა კი მთელს რაიონში სწავლობს 200 ბავშვი. ჩვენთან არაფერი არ ხდება, გვეუბნებიან, რომ ნიჭიერი ბავშვები არ გვყავს. ჩვენი ბავშვები კი, რომლებიც საზღვარგარეთ წავიდნენ, სიგელებს იღებენ. უბრალოდ საქართველოში მეტი შესაძლებლობაა ბავშვების განვითარებისა და საერთოდ ყველაფრისთვის. ჩვენთანაც შეიძლება იგივე პირობების შექმნა, მაგრამ ამას არავინ ითხოვს და არავის უნდა თავის ატკიება.

ზოგიერთი ოსი, რომელიც 90-იანებში წავიდა ახლა დაბრუნდა და აქ ცხოვრობს. ეს ისინი არიან, ვისაც სამი-ოთხი სამუშაო მისცეს. მაგალითად, ჩემი თანაკლასელის ოჯახი ჯერ დაბრუნდა და შემდეგ ისევ გაემგზავრა. მათ აქ ველარ შეძლეს ცხოვრება, იმიტომ, რომ, სადაც არ უნდა მიხვიდე, პასუხს არავინ გცემს. უინტერესოა იქ ცხოვრება, სადაც არ იცი, შენ გარშემო რა ხდება, სადაც კანონი არ არსებობს. კანონი ისაა, თუ ვის როგორი დამოკიდებულება აქვს შენ მიმართ. მაგალითად, მკაცრად წერია, რომ ლენინგორიდან საქართველოში წასვლა-წამოსვლის საშვის მისაღებად დოკუმენტების ჩაბარებაა საჭირო. თუ სუს-ი ჩათვლის რომ ეს ადამიანი საშვს იმსახურებს, მაშინ მისცემენ, თუმცა, თავის დროზე ყველა ეს ადამიანი იმსახურებდა ფორმა „მეცხრეს“ (საპასპორტო ცნობა). აი, უკვე ორი წელიწადია, ჩემს დას ამ ბიუროკრატიის გამო საშვს არ აძლევენ და ვერ ჩამოდის, რაც ძალიან საწყენია. ჩვენ მარტო არჩევნების დროს გვენდობიან. არ ვიცი, ზუსტად როგორ გამოვხატო, მაგრამ ჩვენი მთავარი შეცდომა ომი იყო. პირველ რიგში, ომი. ვფიქრობ, ვინმეს ჩემი ბინაც რომ მოუნდეს, ომის გარეშეც დავთმო. არ მიღირს მოკვლა და ბრძოლა თუნდაც საკუთარი ბინისთვის. ბავშვის, დედის, მამის არც ერთი ცრემლი და არც ერთი სანტიმეტრი მინა ამაღ არ ღირს. ჩვენ ყველა მოვკვდებით და ყოველთვის იქნება ადგილი, სადაც დაგვმარხავენ. მე არასოდეს არ მიყრია კენჭი და არ მქონია იმის ამბიცია ვინმეს ავერჩიე და ადამიანებისთვის მეხელმძღვანელა, მაგრამ იმათ, ვინც საკუთარ თავზე ასეთ პასუხისმგებლობას იღებს, ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისთვის, რომ უბრალო ადამიანები არ დაიტანჯონ. ერთმა ჩემმა მეგობარმა მკითხა, თამარა, როგორ ფიქრობ, ვისი მოქალაქე უფრო ხარ, სამხრეთ ოსეთის თუ საქართველოსიო. ახლა ამ სიტყვებს გულწრფელად ვამბობ და ჩვენი ხელისუფლება კარგად უნდა დაფიქრდეს: ძალიან მინდა, სამხრეთ ოსეთის სრულუფლებიანი მცხოვრები გავხდე. თუმცა ჯერჯერობით არ გამომდის.

ზ. ქ. ქ. ცხინვალის მცხოვრები, 55 წლის

მე წმინდა ოსურ ოჯახში დავიბადე. ბებიებიც ოსები მყავდა და პაპებიც. მოკლედ საქართველოში დაბადებული წმინდა წყლის ოსი ვარ. ჩვენს ოჯახში ყოველთვის ოსურ ტრადიციებს მივდედდით. დედა დუშეთის რაიონიდან იყო, ისიც სუფთა ოსი. მას ხუთი ძმა და ორი და ჰყავდა. დიდი მეურნეობა ჰქონდათ. ცხადია, მყავდა მამაც, რომელიც მეცხრე კლასში გარდამეცვალა. პრინციპში, როგორც ყველას, ჩვენც დიდი მეურნეობა გვქონდა. მაშინ არავინ არ იყო ღარიბი, არავინ შიმშილობდა და არავის უჭირდა. ყველა ბავშვი იღებდა უმაღლეს განათლებას და სწავლობდა. მშობლებს დავყავდი ცეკვაზე და ყველაფერს აკეთებდნენ ამისათვის რაც საჭირო იყო. ამბობენ, ემიგრანტები ოჯახში მეტად ინახავენ ტრადიციებსო. მაგალითად, ჩემს ოჯახში ყოველთვის აღვნიშნავდით „ჯაური ბონტას“ (წმინდა დღეები), „იჩინატას“, „ჯეორგობატას“. ჩვენ გვერდით ქართული სოფელი იყო. ვთქვათ, ვილაცა გარდაიცვალა, დასაფლავებაზე ყოველთვის მოპატიჟეს გვიგზავნიდნენ, ჩვენ არ ვუგზავნიდით, ვინაიდან ორივე, ქართული და ოსური სოფლები ვალდებული იყვნენ, ერთმანეთთან დაუპატიჟებლად ევლოთ, ისევე როგორც „ჯაური ბონტასის“ (წმინდა დღესასწაულები) დროს. გარდაცვლილთა მოსახსენიებელ დღეებს ყოველთვის ოსური ტრადიციებით აღვნიშნავდით. გვქონდა საერთო სკოლა, სოფლის საბჭო, საბავშვო ბაღი. მეგობრულად და კარგად ვცხოვრობდით. მართალი ვთქვა, მეორე მხრივ, როდესაც ბავშვი ვიყავი, ოსურად ხმამაღლა ლაპარაკი სირცხვილად მიმაჩნდა. რაღაც ულამაზოდ ითვლებოდა და კომპლექსი გვქონდა. რატომ? ეტყობა, იქ ისეთი ატმოსფერო იყო, მე კი ბავშვი ვიყავი.

21 წლის ვიყავი, როდესაც ოსეთში ჩამოვედი. მაშინ ვერ ვიგებდი, როდის ლაპარაკობდნენ ქართველებზე და როდის – ოსებზე. ეს ისტორია, მაგალითად 20-იანი წლები, სკოლაში არ გაგვივლია, ანუ, რაც სინამდვილეში იყო ჩვენი ურთიერთობები. არ გვასწავლიდნენ. მე თვითონ ქართული სკოლა დავამთავრე და იქ ეს არ იყო. ისიც კი არ ვიცოდი, რომ დავით სოსლანი ოსი იყო. არც ის ვიცოდი, რომ თამარ მეფის დედა ოსი იყო. ჩვენ ამას არ გვასწავლიდნენ. არა მხოლოდ ოსებს, ქართველებსაც არ ასწავლიდნენ. სკოლა კი ამ დროს ქართული იყო და ნამდვილად კარგი სკოლა იყო. სამაგიეროდ, მათგან ვისწავლე პატრიოტიზმი, სამშობლოს სიყვარული. ყველაფერი ეს ქართულ სკოლაში ვისწავლე. მაგალითად, როდესაც ქართველი პატარა ბავშვი საბავშვო ბაღში მიდის მისი პირველი ლექსია: „მე

პატარა ქართველი ვარ, კავკასიის მთების შვილი და ა.შ“. გასაგებია? აი, ამ ლექსს ასწავლიან მათ. ამიტომაც, ქართული სკოლა ძლიერი სკოლაა. აი, ესაა პატრიოტიზმი: გიყვარდეს შენი სამშობლო, გიყვარდეს შენი ენა, გიყვარდეს შენი ხალხი. ეს ყველაფერი ქართველებმა მასწავლეს. ოსურ ენას ოჯახში იმით ვინარჩუნებდით, რომ სახლში სულ ოსურად ვლაპარაკობდით. რა თქმა უნდა ბავშვები დავდიოდით სკოლაში მაგრამ საბავშვო ბაღამდე ყველა ოსურ ოჯახში ოსურად ლაპარაკობდნენ. 90-იან წლებში, როდესაც საბავშვო ბაღები გახსნეს, სწორედ ამ პერიოდში ბავშვები ქართულ ენაზე გადავედით. სკოლა 1977 წელს დავამთავრე და გავხდი ის, რაზეც ვოცნებობდი, თუმცა მანამდე ბალერინობა მინდოდა და როდესაც ცეკვაზე მივედი, მეგონა, რომ ბალეტს მასწავლიდნენ. ბავშვობაში ქორეოგრაფიულ სტუდიაში დავდიოდი, შემდეგ დავამთავრე ქორეოგრაფიული სასწავლებელი და მოვხვდი ანსამბლ „სიმღში“. ეს იყო ჩემი ოცნება. სისხლის ყივილი. მე მინდოდა ცეკვა ოსურ ანსამბლში – არა რალაც „ალანში“, არამედ მხოლოდ „სიმღში“. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მაშინვე ჩამოვედი ცხინვალში და იქ, იმ წუთშივე ამიყვანეს მოცეკვავედ.

მახსოვს ეს დღე: შევედი დარბაზში, მადლობა ღმერთს მაშინდელმა სამხატვრო ხელმძღვანელებმა შემამონმეს. იქ იყვნენ დიდი კომპოზიტორები დუდარ ხახანოვი, პაველ ბითიევი, ქორეოგრაფი, სახალხო არტისტი ასლან გაბისოვი. აი, ასეთი ელიტარული არტისტები დამხვდნენ. მაშინ, სამხრეთ ოსეთში ქორეოგრაფიული სასწავლებელი არ არსებობდა, იყო მხოლოდ წრეები. მე კი იქ პროფესიონალი პედაგოგების მიერ მომზადებული, პროფესიონალური სასწავლებლიდან მივედი. რა თქმა უნდა კარგად მიმიღეს. ხელმძღვანელი მეუბნებოდა: არ ჰყავთ კიდეც შენნაირი გოგონები, რომ აქ ოსეთში იმუშაონ, აქ ჩამოვიდნენო? ვფიქრობ, არასოდეს ჩემი კოლექტივი არ დამიღალატებია. მე მგონი, თითოეულ ადამიანზეა დამოკიდებული როგორ მიგიღებენ ახალ ადგილას – როგორც მოიქცევი, ისევე მიგიღებენ! მით უმეტეს შემოქმედებით კოლექტივში. ამ კოლექტივში 20 წელიწადს ვიმუშავე. ეს პროფესიონალური სტაჟია. რომ არა მძიმე 90-იანი წლები, კიდეც 5 წელიწადს ვიდგებოდი სცენაზე. ჩვენ, ბალეტის არტისტებს, იქნება ეს ეროვნული თუ კლასიკური, მოკლე საბალეტო ცხოვრება გვაქვს. აი, დრამატულ არტისტებს კი ღრმა სიბერემდე შეუძლიათ მუშაობა.

მახსოვს, როგორ იწყებოდა ეს კონფლიქტი. მახსოვს... 3 დღე ისროდნენ, მეოთხე დღეს ისევ იწყებოდა მოლაპარაკებები და იწერებოდა სტატიები. მეოთხე დღეს ყველა ვიცვამდით ქუსლიან ფეხსაცმელს, ვიკეთებდით ვარცხნილობას, ვაგროვებდით სარეპეტიციო ნივთებს, მივდიოდით თეატრში, სადაც ჩვენი სარეპეტიციო დარ-

ბაზი იყო და ვმუშაობდით. ვმუშაობდით დადგმებზე, გვექონდა კონცერტებიც, გამოსვლებიც, ვმუშაობდით ბავშვებთან. მერე მთელი კვირა ისევ დაძაბულობა იყო, ხოლო ერთი კვირის შემდეგ ისევ სამუშაოდ გავდიოდით. მაშინ ძლიერები და ახალგაზრდები ვიყავით. სულიერადაც ძალიან მდიდრები ვიყავით. რა გვაძლევდა მაშინ ძალას? ალბათ პატრიოტიზმი, სიყვარული ხალხის მიმართ, რწმენა იმისა, რომ ამ ქვეყანაზე ზედმეტნი არ ვართ და რომ ჩვენც გვაქვს სიცოცხლის უფლება. მიუხედავად იმისა, რომ წყალი თვეობით და წლობით არ გვექონდა ჩვენი ქალები აჩენდნენ შვილებს, იკეთებდნენ ვარცხნილობებს. ერთი ჩაიდანი წყლით ვახერხებდით ვარცხნილობის გაკეთებასაც და სუფთად და აკურატულად სიარულსაც. როდესაც ჩვენთან ჟურნალისტები ჩამოდიოდნენ ყოველთვის უკვირდათ: როგორი მოვლილი ქალები დადიან ქალაქში, მათ ხომ საერთოდ არა აქვთ წყალიო! არიან ადამიანები, რომლებსაც თავისი უბედურების ლექსებში გამოხატვა შეუძლიათ, არიან ადამიანები რომლებიც ტირიან, არიან ადამიანები რომლებიც ილანძღებიან, მათ ეწყებათ ისტერიკა და ასე გამოხატავენ ემოციებს, მაგრამ, როდესაც ზარის ტრაგედია მოხდა, მე მინდოდა, თუმცა ეს ჩემგან შეიძლება სულელურად ჟღერდეს, მაგრამ... გახსოვთ, ინგა ჯიოევა (ოპერის მომღერალი) რომ ჩამოვიდა იტალიიდან? ჩვენ კამერული ორკესტრი გვყავდა. გავაკეთეთ შემოქმედებითი საღამო. კონცერტის დასაწყისში გვთხოვეს, გვეცეკვა ერთი ოსური ცეკვა „ნარნარი“. მე იქ ვიყავი და კოსტიუმიც თან მქონდა. ყველა ჩვენი კოსტიუმი თეატრში ხომ დაინვა, მხოლოდ ჩემი გადარჩა შემთხვევით და სახლში აღმომაჩნდა. პარტნიორიც უკვე აქ აღარ იყო, ჩრდილოეთ ოსეთში იყო წასული. მე როგორღაც მოვძებნე, მაშინ ხომ მობილური ტელეფონები არ არსებობდა. ავტობუსის მგზავრების დახმარებით დავუკავშირდი და ისიც თავისი კოსტიუმით ჩამოვიდა კონცერტზე, სადაც ერთად შევასრულეთ ცეკვა „ნარნარი“. მახსოვს, ძალიან დაძაბული დღე და გარემო იყო, მაგრამ კონცერტი მაინც ჩატარდა და მახსოვს, როგორ მომდიოდა ცრემლები, როგორ ვცეკვავადი. მე ვერცხლისფერი კაბა მეცვა, ყელში კი ბურთი მეჩხირებოდა. კინალამ დავიხრჩვი. და ეს ცრემლები... თუმცა, იცით, რა მინდა, რომ ვთქვა? – ცეკვა ვილაცისთვის გართობაა, ჩემთვის კი ეს მოძრაობაა, პატრიოტიზმია, ჩემთვის ეს სამშობლოს სიყვარულია. ცეკვის მეშვეობით მე ვარსებობ სამყაროში და აღვიქვამ მას.

როგორ ვცხოვრობდით მძიმე 90-იანებში? მაგალითად, თუ ვილაცას დაბადების დღე ჰქონდა, ჩვენ მასთან პროდუქტები მიგვექონდა, ვუნანილებდით ლუკმა-პურს. მაგალითად, იმ დროს კარაქი ტალონებით იყო. დავუშვათ, ვილაცას ჩვენებიდან პატარა ბავშვი ჰყავდა, არასოდეს არ ვაძლევდი ჩემს თავს უფლებას, ეს კარაქი

მეჭამა. ამას იმ მეგობრებს ვუნანილებდი, ვისაც ბავშვები ჰყავდა. როგორ შემეძლო, საკუთარი თავისთვის ამ კარაქის ჭამის უფლება მიმეცა, როდესაც ჩემს მეგობრებს ორი და სამი შვილი ჰყავდათ. მაშინ არც გათბობა არ იყო. იყო შეშა. ვთქვით, ვინმესთან მივდიოდით სტუმრად, თან მიგვქონდა ერთი შეკვრა შეშა. ვარსებობდით, როგორც შეგვძელო და მომავლისაც გვჯეროდა. პირადად მე მჯეროდა და ახლაც მჯერა. მაშინ ასე ვფიქრობდი: ჩატარდება რაღაც მოლაპარაკებები და ყველაფერი სწრაფად დამთავრდება. აი, ვილაც დაწერს რამე სტატიას და ეს სტატია ყველაფერს გადაწყვეტს. ტელევიზიაში თუნდაც სულ მცირე ინფორმაცია გვაიმედებდა, რომ ყველაფერი მორჩა. ვფიქრობდით, ერთი ინტერვიუ და ყველაფერი დამთავრდება! და ცხადია ამ ყველაფრის გვჯეროდა.

ორი წელიწადი არაფერი ვიცოდი საქართველოში მცხოვრები ჩემი ოჯახის შესახებ. ერთხელ სიზმარში ქვების წვიმა ვნახე. მთელს სოფელს აწვიმდა. მე კი მივდივარ, მივდივარ და ვხედავ, რომ ჩვენ სახლს, რომელიც მაღლობზე იდგა, ქვები ეცემა, დიდი ქვები. მაშინ ვიგრძენი რაღაცა. აი, ზუსტად მაშინ ჩვენი სოფელი გამოასახლეს. ეს ინსტინქტურად ვიგრძენი. არაერთხელ ვნახე სიზმარში ჩემი ბებია, დიდედა და ჩვენი სოფლის კიდევ რამდენიმე მოხუცი, რომლებიც დღეს ცოცხლები აღარ არიან. ისინი ჩემთან მოვიდნენ. მაშინ სარდაფებში ვცხოვრობდით და ისინი თითქოს ღამე მოვიდნენ ჩვენთან. ვეკითხები: თქვენ აქ რას აკეთებთ-მეთქი. ჩვენ გამოგვყარესო – ასე მპასუხობენ. მახსოვს, რომ ცხრა თვის მანძილზე ხელფასი არ გვქონდა და ვერ შევძელი ვლადიკავკაზში გამგზავრება, რაც (მაშინ) ღალატად ითვლებოდა. ერთი ორსული მეზობელი ქალი მყავდა, რომელსაც ორი პატარა ბავშვი ჰყავდა. როგორ დამეტოვებინა ისინი?! მყავდა მეგობრები, რომლებიც ყოველდღე საგუშაგოზე იდგნენ. არ შემეძლო გამგზავრება! არ შემეძლო მათი მიტოვება! მერე ვილაცამ ვლადიკავკაზიდან მითხრა, რომ ჩემი ოჯახი ნახა. სოფელში, სადაც იმ დროისთვის ისინი ცხოვრობდნენ, ერთი ადამიანი უკვე მოკლეს. იქ ყოველდღიურად დადიოდნენ მანქანები, საიდანაც ისროდნენ და ხალხს აშინებდნენ. ერთი მოკლეს. ამის შემდეგ ჩემებმა როგორღაც გამოაღწიეს. როდესაც გავიგე, რომ ჩემები ვლადიკავკაზში არიან, იქამდე ზარის გზით ჩავედი. შემდეგ საერთო საცხოვრებელში ვიპოვე ჩემები: ძმა თავისი ოთხი პატარა შვილით, რძალი და დედა... უბრალოდ, დედაჩემი იქ 2008 წელს ჩავიდა. უთქვამს, მალე მოკვდები და კიდევ ერთხელ მინდა ჩემი სახლის ნახვაო, თავისი სოფლის, თუნდაც ერთხელ! მომეცით უფლება, ეს გავაკეთოო, გვითხრა მან. ჩვენ ვილაცის მეშვეობით გავამგზავრეთ დედა, მაგრამ ნერვიულობის ნიადაგზე ინსულტი მოუვიდა. სამ წელიწად-ნახევარს ჩავარდნილი იყო. იმ სახლში ორი

ოთახი გავარემონტეთ და ისე გავაკეთეთ რომ დედა თავის სახლში გარდაცვლილიყო, რომელიც თავის დროზე, საძირკვლიდან დაწყებული ბოლომდე, თვითონ ააშენა საქართველოში. ეს იყო მისი ოცნება – იქ სიკვდილი. ყველა ოსი მეზობელი გაემგზავრა. იქ მხოლოდ ისინი დარჩნენ ვისაც ქართველი ან სომეხი ცოლი ჰყავდა. წმინდა ოსური ოჯახები წავიდნენ. საბოლოო ჯამში, სოფელში არ დარჩენილა არც ერთი ქართული და ოსური სახლი, რომელიც არ გაეძარცვათ. მაგრამ ჩვენი სახლისთვის ხელი არავის უხლია, არავის, იმიტომ რომ ჩვენ რეპუტაცია გვქონდა ქართულ სოფელშიც და ყველგან მეგობრები გვყავდა. მაგრამ ახლა გაიზარდა თაობა, რომელიც ჩვენ არ გვიცნობს და არც უნდათ, რომ გვიცნობდნენ. სიმართლე რომ ვთქვა, იმ სახლებს, რომლებიც ქართველებმა იყიდეს და ცხოვრობენ, მაინც ძარცვავენ. მაგრამ ჩვენს სახლს ხელს არავინ არ ახლებს. მე კი დავრჩი ცხინვალში და ჩემი თავი მთლიანად სამსახურს მივუძღვენი. ვცხოვრობდი, როგორც ყველა, არც ცუდად, არც კარგად. სამწუხაროდ, კარიერაზე და ამბიციებზე არასდროს მიფიქრია. როგორც აღმზარდეს, ისევე ვიქცეოდი და ვმუშაობდი. ის, რაც ხდებოდა, ხდებოდა თავისთავად: კარიერა, წოდება და სხვა დანარჩენიც. ზურგს უკან არანაირი მაგარი ნაცნობობა არ მედგა. პარალელურად ყოველთვის ვმუშაობდი ბავშვებთან, კერძოდ, 2000 წლიდან. მე უკვე აღვზარდე სამი თაობა. შემდეგ ზოგი ირჩევს ამ პროფესიას, ზოგი – არა. ჩვენი ბავშვები სასწავლებლად რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში გაემგზავრნენ. ბავშვებთან, რასაკვირველია, უკეთესია მუშაობა. თუ ბავშვი ცეკვას ვერ ისწავლის, სიარულს მაინც ისწავლის... ცეკვა მხოლოდ იმისთვის არ არის რომ ბავშვმა იცეკვოს. ცეკვაში ბავშვი სწავლობს ესთეტიკას, ეთიკას, ფიზიკურ განვითარებას, პატრიოტიზმს, მასში კოსტიუმიცაა და ტრადიციაც. ჩვენ არა მხოლოდ ოსურ ცეკვებს ვსწავლობთ. ვსწავლობთ კავკასიურ ცეკვებს. მოცემულ მომენტში დაღესტნური ცეკვა დავდგით, აფხაზური ცეკვა. ბავშვებს ძალიან უნდათ აჭარული ცეკვების შესწავლა. მათ ძალიან უყვართ, მოსწონთ ეს ცეკვა. ხელოვნება ხალხს ეკუთვნის. თუ უნდათ – დაე, შეისწავლონ. მაგრამ სცენაზე ცეკვის ჩვენება... იქ კოსტიუმებიცაა საჭირო, მუსიკაც, ბევრი რამეა საჭირო იმისთვის, რომ ერთი ცეკვა სრულფასოვნად აჩვენო სცენაზე. ამისათვის საჭიროა საშუალება, შესაძლებლობაც, სურვილიც და ბოლოს და ბოლოს პოლიტიკური ატმოსფერო. ისე კი ყველა ხალხი, პირველ რიგში, თავის ცეკვას უნდა სწავლობდეს, იცნობდეს საკუთარ ხელოვნებას, პირველ რიგში უნდა განავითაროს თავისი და შემდეგ, თუ ასწავლი სხვა ხალხების ხელოვნებას, ეს ადამიანის ზრდაზე მეტყველებს. ის ამით კი არ მცირდება, არამედ იზრდება.

მე ვგვიყვები მიშა სააკაშვილზე. როდესაც ცუდ ხასიათზე ვიყავი და მიშა გამოდიოდა (მაპატიეთ რომ მე მას მიშას ვეძახი, მაგრამ ისინიც თავიანთ პრეზიდენტს მიშას ეძახდნენ), სრულიად მეხსენებოდა სტრესი. პირველ რიგში, სააკაშვილის დამსახურებაა... თუმცა, სამწუხარო, რომ ორივე მხრიდან დაილუპა ხალხი, მეც შემთხვევით დავრჩი ცოცხალი, დაე, მაპატიონ იმათ, ვის ოჯახშიც დალუპულები არიან, მაგრამ მიშას დამსახურებაა რომ ჩვენ დამოუკიდებლობა გვაქვს. 2008 წელი... ყველას ახსოვს, როგორ გამოვიდა „ძვირფასი“ მიშა ტელევიზიით და თქვა, რომ არაფერი არ იქნებოდა. შემდეგ სამი დღე ისროდნენ, ზედიზედ სამი დღე! 11 რიცხვამდე ჩვენ უკვე სამი დღე სარდაფებში ვათევდით ლამეს. მახსოვს რომ სამი დღის განმავლობაში ერთი წამითაც კი არ შეწყვეტილა სროლა. ჩვენ ყველანი, ცხადია, სარდაფებში ჩავედით. ჩემი მეზობელი, სანაკოვევი, ეზოში დაილუპა. ქართული ტანკებიც ვნახე. თავიდან რუსული ტანკები მეგონა. როდესაც სადარბაზოში ამოვედი ტანკზე დავინახე ქართული წარწერა „პოლიცია. მათ აქ წრე დაარტყეს, მე კიდევ რუსული ტანკები მეგონა. ხომ ამბობდნენ მოდიან, მოდიან, მოდიანო. სამი დღე – ღამის განმავლობაში არანაირი ტანკები არ იყო, არავითარი რუსეთი. და უცებ ვხედავ ტანკებს! სარდაფები კი მთლიანად გადავსებული იყო ხალხით. მივუბრუნდი მათ და ვეუბნები (აღამიანებმა შიშისაგან ფერი დაკარგეს): ნუ გეშინიათ, ქართულად კარგად ვლაპარაკობ, მე აქ ვიქნები და ვეტყვი, რომ აქ მხოლოდ ქალები და ბავშვები არიან. აქ დავდგები და არ შემოვუშვებ. თუმცა მე რა შემეძლო. შემდეგ ერთი ქალი ადგა და თქვა რომ ქართულად ლაპარაკობდა, მაგრამ ტანკები მოტრიალდნენ და წავიდნენ, აქ არ გაჩერებულან, წავიდნენ ზემოთ ცენტრალური მოედნისკენ. შემდეგ გავიგეთ, რომ ისინი „სოვპროფის“ უკანა მხარეს აუფეთქებიათ. ცხადია ბევრი ნაცნობი დაილუპა. ჩვენს ქალაქში უცხო ადამიანები არც იყვნენ: ჩვენ ყველანი ნაცნობები ვართ, ნათესავეები, თითქმის ყველა ახლობელი ადამიანები. ყველა, ვინც დაილუპა ახლობელი იყო. იყო მომენტი, როდესაც მეზობლები ამბობდნენ, რომ საქართველოს მხარეს კორიდორი გახსნეს და გამშვები პუნქტიდან ყველას შეეძლო თბილისში წასვლა. ყველას მიიღებდნენ. მე კიდევ ვფიქრობ: სამი დღე... უკვე მეხუთე დღეს დაუბანლები, ჭუჭყიანები, ვსხედვართ სარდაფში, დაუვარცხნელები, ფოსტლებში... ცხოვრებაში არ გამიცვეთია ფეხსაცმელი და ახლა, ხუთი დღის მანძილზე ორი წყვილი ფეხსაცმელი დავხიე. მეზობელმა 42 ზომის ფეხსაცმელი მომცა, მეორე კაცმა კი – წინდები. აი ასე ვიჯექი სარდაფში. წარმოვიდგინე: გახსნეს კორიდორი, მე ტყვე ვარ, რომელიც საქართველოში ამ კორიდორის გავლით მიდის და გავიფიქრე: უმალ მოვკვდები-მეთქი (იცინის). იქ კი ჩემი მეგობრები

დგანან, ნათესავები. მე ანეული ხელებით მივდივარ ამ კორიდორში?! ავედი ჩემს ბინაში და ჩემი მეზობელი გამომყვა, რომელიც, საცოდავი, მალევე გარდაიცვალა. მან სარდაფში ჩასვლა მთხოვა, მე კიდევე ვუპასუხე: არა! არავითარი კორიდორი!

11 რიცხვში ჰაფეზის ქუჩაზე უწინდებურად არც ერთი რუსული ტანკი არ იდგა! 11-ში დილას ჩვენმა მეზობელმა, რომელსაც მანამდე ერთი შვილი გარდაეცვალა, მეორე კი შემთხვევით ვლადიკავკაზში აღმოჩნდა და ცდილობდა, აქ ჩამოსულიყო, მითხრა რომ მანქანა „გაზელი“ ჰყავდა და აქედან წასვლას აპირებდა რომ შვილი აქ არ დაბრუნებულიყო. ეს მათი ერთადერთი შვილი იყო და არ უნდოდათ მისი აქ დაბრუნება. ის კიდევე თურმე იქიდან მოინევედა. მშობლები კი აქ იყვნენ. მეზობელი მეუბნება, ნავიდეთო. რაც იქნება იქნებო! თითქოს 11 – ში დილას სინყნარე იყო. ჩვენ, ჩვენმა ბავშვიანმა მეზობელმა და კიდევე ორმა ბავშვმა გარისკვა გადავწყვიტეთ და გავემგზავრეთ. მაგრამ, როდესაც ქალაქი დავინახეთ... ორი საათი დაგვჭირდა, ქალაქიდან გასაღწევად. ჩამსხვრეული მინები და ა.შ. არანაირი საშუალება არ იყო რომ ქუჩებში თავისუფლად გვევლო, ამიტომ კაცები გამოდიოდნენ გზების განმენდად. დამტვრეული მინების გამო საბურავები ხშირად ფუჭდებოდა და მათ იქვე სადღაც კუთხეში ცვლიდნენ. ჩვენც ზარის გზით ძლივძლივობით მივალწიეთ დანიშნულების ადგილს. იქ ვნახე აფეთქებული მანქანები, დახოცილი ადამიანები, რომლებიც ყველგან ეყარნენ. ყველგან ადამიანები ეყარნენ! საშინელი ამბები ხდებოდა. არ შემეძლია ყოველივე იმის აღწერა, რაც იქ ხდებოდა. მეგონა, რომ კომმარულ სიზმარში ვიყავი. სადღაც ფეხი ეგდო, სადღაც ხელები. ჯავამდე მივალწიეთ და მანქანა გაფუჭდა. ამასობაში ჩემი მეზობლის შვილმა უკვე ჯავამდე ჩამოაღწია და 11 რიცხვში დავინახე როგორ მიემართებოდნენ ტანკები ჯავისკენ. ერთი კვირის შემდეგ დავბრუნდი. მეზობელი კორპუსის სახურავი ინვოდა, ალბათ ჭურვი მოხვდა. ამ სახურავის ნაწილები ჩემს სანოლზე ეყარა. მთელი კვირა ვიჯექი და ვერაფერს ვერ ვაკეთებდი. ვფიქრობდი, ავდგები დავალაგებ-მეთქი, მაგრამ ფიზიკურად არაფრის ვაკეთება არ შემეძლო. რაღაცნაირად გაშტერებული ვიყავი. მეზობლები ისევ სარდაფში იკრიბებოდნენ, იმიტომ რომ იქვე გვექონდა სანთლები, იქვე იდგა გასაშლელი სანოლები. ამ პირობებში მეზობლებთან ერთად მთელი კვირა დავყავი. ჩვენს ბინებში ასვლა არ შეგვეძლო.

მაგრამ ცხოვრება გრძელდება. ბავშვები იზრდებიან. ქალები შვილებს აჩენენ. მაგალითად, ზამთარში ვერ ატყობ, რომ ქალები ორსულად არიან. გაზაფხულზე კი როგორც კი დათბება, გაიხედავ და ყველა ეტლით სეირნობს. უყურებ და ფიქრობ, როდის იყვნენ ესენი ორსულად? ეს როდის მოხდა?! როდესაც პარკში რაიმე ლო-

ნისძიებაა, იქ იმდენი ბავშვია, იფიქრებ, რომ მალე მათთვის სკოლები აღარ გვეყოფა. ჩვენ, ოსები, მგონი, ძალიან გამძლეები ვართ. ყველაფერი კარგად იქნება! სულიერად ცხადია არ ვდუნდები, მაგრამ ხანდახან ვიძაბები. წყენა არ მაფინყდება, მე ასეთი კომპლექსი მაქვს.

შეიძლება ჩვენი თაობა სიბერეში ვერაფერს მოესწროს. ამაზე, ურთიერთობების აღდგენაზე ალბათ წლები დაიხარჯება, შეიძლება საუკუნეებიც კი. იმიტომ, რომ ჩვენ ქართველებთან ერთად ვცხოვრობდით და ყველაფერი ასე სწრაფად გაფუჭდა. მაგრამ ამის აღსადგენად... ჩვენ შვილებს არ ესმით, როგორები არიან ქართველები, ისინი ქართველებს შორის არ ცხოვრობენ და მათთან არ ურთიერთობენ. იზრდებიან ისე, რომ ქართველები მტრები არიან, ქართველები კი ისე იზრდებიან, რომ ოსები მკვლელებად და საშინელ ადამიანებად მიაჩნიათ. აბა, როგორ შეიძლება მათი გადარწმუნება? ძალიან, ძალიან, ძალიან ბევრი წელია საჭირო იმისთვის, რომ მათ ეს ყველაფერი დაავინყდეთ. ამისათვის თაობებია საჭირო. ჩვენ კი ეს ალბათ არასდროს დაგვაავინყდება. ჩვენ ვურთიერთობთ. მე მათთვის ცუდი არასოდეს მინდოდა, ომის დროსაც კი. არ შემიძლია მათ, ქართველებს ცუდი ვუსურვო, არ შემიძლია! იმიტომ, რომ მე მათ შორის გავიზარდე და განათლებაც იქ მივიღე. ერთხელ კიდევ გავიმეორებ: სამშობლოს სიყვარული, საკუთარი ხალხის სიყვარული – ეს გაკვეთილი იქ მივიღე. არ შემიძლია მათი სიძულვილი. არ შემიძლია ისინი არ მიყვარდეს. არ შემიძლია, ქართველ ხალხს ცუდი ვუსურვო და ეს არასდროს შემეძლო. თუმცა იყო მომენტები, როდესაც ახლობლებს ვკარგავდი. მაშინ საშინელი აზრები მომდიოდა თავში, მაგრამ ყველაფერი ადამიანზეა დამოკიდებული. მე ხომ არ შემიძლია ოსი ხალხის პრობლემების გადანყვება. მე რიგითი ადამიანი ვარ, რომელიც თავის ცხოვრებაზე ყვება, თავის აზრებს გამოხატავს. სამწუხაროდ, ამ ყველაფერს დიდი პოლიტიკა განსაზღვრავს და არა პატარა ადამიანები. თუკი მე ვინმე მიყვარდა ჩემი მეგობრებიდან, ნათესავი ქართველებიდან, მაშინ მათ მიმართ ჩემს სულში არაფერი შეცვლილა. ისევ ისე მიყვარს ისინი, ისევ ვურთიერთობ მათთან, ისე ხშირად არა მაგრამ წელიწადში ერთხელ მაინც ვხვდებით. მაგრამ, როდესაც ჩვენ შემთხვევით ვხვდებით ერთმანეთს, ვცდილობთ, მტკივნეულ თემებს არ შევეხოთ, ერთმანეთს ვუფრთხილდებით, იმიტომ, რომ მე ოსი ვარ საქართველოდან და მეც ბევრი რამ დავკარგე იქ. სულ რომ არაფერი იყოს, იქ ჩემი წინაპრების საფლავები დარჩა. მათაც აქ რაღაც დაკარგეს. ასე რომ, ჩვენ ყველამ რაღაც დავკარგეთ, რაღაც მნიშვნელოვანი ამ ცხოვრებაში და ვცდილობთ, არ ვისაუბროთ ისეთ რამეზე, რაც გულს გვატკენს.

კრებულ „კონფლიქტის საფასური: უთქმელი ამბები, ქართულ-ოსური კონტექსტი“ რედაქტორები მადლობას უხდებიან ყველას, ვინც ნვლილი შეიტანა მის შექმნაში.

განსაკუთრებული მადლობა ამ ისტორიების ავტორებს, რომლებმაც თავის თავზე გადაიტანეს ომის მთელი სიმძიმე და არ მოერიდნენ საკუთარი ტკივილის ხელახლა გახსენებას, გაგვიზიარეს კონფლიქტის საფასურის შესახებ საკუთარი ხედვები და მიდგომები. სწორედ ეს ადამიანები დღესაც პირადად იხდიან ამ კონფლიქტის საფასურს.

დიდი მადლობა ჩვენს ჟურნალისტებს, გოგა აფციაურსა და ირინა ქელეხსაევას შეგროვებული მასალისათვის, მაღალი პროფესიული სტანდარტებისა და სამშვიდობო პრინციპების ერთგულებისათვის, მთხრობელებთან ერთად განცდილი ემოციებისა და მათ მიმართ მიუკერძოებელი დამოკიდებულებისათვის როგორც მათი არც თუ იოლი ცხოვრებისეული ისტორიების ჩანერის დროს, ასევე მასალაზე მუშაობის ყველა ეტაპზე.

სპეციალურ მადლობას ვუხდით ყველა იმ ადამიანს, ვისი მაღალ-პროფესიული და თავდადებული შრომის გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა კრებულის სამ ენაზე გამოცემა: მთარგმნელებს ნათია ნადირაძეს, ნანა გამყრელიძეს, ნინა სელვანსა და მანანა სვენსონ-გნოლიძეს, ტექსტის რედაქტორებს ანა ჭაბაშვილს, ნატალია ტადევოსიანს და ჯეკი გრაიფს, დიზაინერებს, დამკაბადონებლებსა და ტიპოგრაფიის თანამშრომლებს.

მადლობა მარგარიტა ტადევოსიანს, პუბლიკაციაზე პასუხისმგებელ პირს, მის მიერ განუული კოლოსალური შრომისათვის, მისი უშრეტი ენერჯის, ოპტიმიზმისა და საქმის ერთგულებისათვის, რაც ესოდენ მნიშვნელოვანი იყო პუბლიკაციაზე მუშაობის ყველა ეტაპზე.

მადლობა გაერთიანებული სამეფოს კონფლიქტების, სტაბილურობისა და უსაფრთხოების ფონდსა (UK CSSF) და ამერიკის განვითარების სააგენტოს (USAID), რომელთა ფინანსური მხარდაჭერის გარეშე ეს კრებული ვერ შედგებოდა.

გვინდა, ხაზგასმით აღვნიშნოთ ის ფასდაუდებელი თანადგომა და დახმარება, რომელიც ჩვენმა პარტნიორებმა და კოლეგებმა, ლირა კოზაევამ და გიორგი კანაშვილმა გაგვინიეს მთელი ამ ხნის მანძილზე. გულწრფელი მადლობა მათ ამისათვის.